K 62377
2

სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა

პროფ. ილია მეჩნიკოვი.

ადამიანის ბუნება

(Etudes sur la nature humaine).

თარგმანი ივანე ელიაშვილისა

ს. ს. ს. რ. სახელმწიფო გამომცემლობა

ტფილისი.
ს. მ. უ. ს. პოლიგრაფ. განყ. მე-3 სტამბა
1923.

5А2:4
Д 619

ადამიანის ბუნება

573.612.89
Д-535

(Etudes sur la nature humaine)

პროფესორ ილია მეჩნიკოვისა

Библиотека

თარგმანი ივანე ელიაშვილისა

ამ შრომას უძღვნი ჩემს მეუღლეს თამარს

მთარგმნელი

Библиотека

ტფილისი
ს. მ. ფ. ს. პოლიგრაფ. განყ. მე-3 სტამბა
1923.

ც. ს. ბ.
Ц.Н.Б.

წინასიტყვაობა.

«ადამიანის ბუნება» არის შესანიშნავი თხზულება ჩვენის დროის ერთ იმ უდიდეს ადამიანისა, რომლის სახელიც იყო ილია მეჩნიკოვი. ძნელი წარმოსადგენია ისეთი წერაკითხვის მცოდნე ადამიანი, რომელსაც ეს სახელი არ გაეგონოს და სრულიადაც არ არსებობს ისეთი კულტურული ხალხი, რომლის ენაზედაც არ იყოს გამოცემული ეს თხზულება.

სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი ძირითადი საკითხია ადამიანის არსებობისა და აქედამ წარმომდგარი საკითხები, თუ რა არის ადამიანის არსებობის მიზანი, რითაა ადამიანის სიცოცხლე მწარე და ტკბილი, რა გარემოება უმართავს ხელს და რა დაბრკოლება ეღობება წინ ადამიანის სიცოცხლესა და კეთილდღეობას, როგორ უნდა აიცდინოს ადამიანმა ცხოვრების უკუღმართობა და ვისა და რას შეუძლია განკურნოს ადამიანის არსებობა ამ უკუღმართობისაგან,—აი, ის მწვავე საგანი, რომლის მეცნიერულის თვალსაზრომით გადაწყვეტას კისრულობს ეს დიადი მეცნიერი.

ეს წიგნი არის უმაღლესი გამოსახვა ადამიანის ბუნებისა, დამყარებული მეცნიერულ საბუთსა და მოსაზრებაზე, იგია ღრმა და დაუშრეტელი წყარო აზროვნობისა და სარკე სიკვდილ-სიცოცხლის ამოცანისა.

ხანში შესული მკითხველი იპოვის ამ წიგნში დამაკმაყოფილებელსა და დამამშვიდებელ პასუხს თვის განვლილ ცხოვრების საკითხებისას, ხოლო ახალგაზრდა—დაუშრეტელ წყაროს მხნეობისასა, აზროვნობისა და მეცნიერებისადმი მისწრაფებისას...

მოკლედ, რომ მოვსჭრათ, ეს წიგნი არის საუნჯე, რომელშიაც მეცნიერულად დასაბუთებულია ადამიანის მთელი ბუნება თვისის ნაკლულოვანებითა და ღირსებითა.

დაე, მკითხველმა საზოგადოებამ დასდოს ამ წიგნს ფასი და მსჯავრი. მე მხოლოდ ერთს ვიტყვი: ბედნიერად მიმაჩნია ჩემი თავი, რომ წილად მხვდა მისი გადმოთარგმნა მშობლიურს ენაზე. მკითხველი საზოგადოებისადმი ამ სამსახურის სიტკბოებას აქედანვე უღრმესის სიამოვნებით განვიცდი და შეცდომებისათვის მკითხველსა ვსთხოვ პატიებასა და შენიშნულ შეცდომათა მითითებას.

ი. ელიაშვილი.

1917 წ. 20/X. დედაქალაქი.

თ ა ვ ი 1.

საზოგადო მიმოხილვა იმისი, თუ ვინ რა შეხედულებისა იყო ადამიანის ბუნებაზედ.

ადამიანის ბუნების შესწავლის მნიშვნელობა.—ადამიანის ბუნება, როგორც ზნეობრივობის საძარკველი.—ადამიანის ბუნების თაყვანისცემა ელლინთა მიერ.—ძველ მეაზროვნეთა მეტრიოპატია.—რაციონალისტური შეხედულებანი XVIII და XIX საუკუნეთა.—დამკირება ადამიანის ბუნებისა სარწმუნოებრივ მოძღვრებების მიერ—ამ მოძღვრებათა გავლენა ცხოვრებასა და ხელოვნებაზე.—წინააღმდეგობა რეფორმაციისა ადამიანის ბუნების დამკირების შესახებ.—დასახიჩრება ადამიანის სხეულისა პირველყოფილ ხალხთა მიერ.

თუნდა მეცნიერებამ დიდი წარმატება შესძინა კაცობრიობას, მაგრამ მაინც გაისმის უკმაყოფილობის ხმა მეცნიერების შესახებ. მართალია, მან ბევრად გააუმჯობესაო,—ამბობენ,—ადამიანის ნივთიერი ცხოვრების ვითარება, მაგრამ ვერ შესძლო დაეკმაყოფილებინა ადამიანის ზნეობრივი და ფილოსოფიური მოთხოვნილებანი, რომელნიც ასე მწვავედ აინტერესებს დღევანდელ კულტურულ ადამიანსაო. მან ძირი გამოუთხარა სარწმუნოებას, მოუსპო კაცობრიობას სასოება იმდროს, როცა არა მიუცია რა სამაგიეროო.

უეჭველია, რომ ახლანდელი კაცობრიობა განიცდის ერთგვარ საზოგადო უძლურებას. თვის მრავალმხრივ მოღვაწეობაში კაცობრიობას დღესდღეობით ბევრად მეტი პირობები უწყობენ ხელს, ვიდრე ძველად, მაგრამ მაინც უძლურებასა ჰგრძნობს, როცა ჰსურს მოაწესრიგოს თავისი ცხოვრება, განსაზღვროს თვისი დამოკიდებულება ადამიანთა მრავალგვარ ჯგუფთა შორის (ოჯახთან, ხალხთან, თემთან, მთელს კაცობრიობასთან).

ერთი მხრივ, ეს უძლურება უკმაყოფილობაა არსებულის წესწყობილებით და მეორეს მხრივ—გაჩენაა პესიმიზმისა და მისტიციზმისა. როგორც ვიცით, მეცხრამეტე საუკუნის ფილოსოფიურ სისტემათა უმრავლესობა უიმედობით არის გამსჭვალული, სრულიად უარჰყოფს არათუ პირად ბედნიერებას, არამედ სიცოცხლესაც კი. უეჭველია, რომ თავისკვლამ ფრიად იმატა ყველა განათლებულს ქვეყანაში. ეს ფაქტი ისე მუდმივია და თვალსაჩინო, რომ არა ღირს საბუთების აღნუსხვა.

ასეთს მდგომარეობას რომ თავი დააღწიონ, სცდილობენ, აღადგინონ რელიგია და მისტიციზმი, ყოველმხრივ ჰლამობენ აზალ რელიგიათა დასაბუთებასა და ძველთა გაუმჯობესობას.

აქამდინაც კი მივიდა საქმე, რომ მეცნიერების ზოგიერთმა მომხრეთაგანმა მეცნიერების უძლურება აღიარა კაცობრიობის არსებობის საკითხის გადაწყვეტაში. ჰფიქრობდენ, რომ ამ საკითხის გადაწყვეტა ჩვენს ჭკუას აღემატებაო.

ამ უიმედო დასკვნას დაადგნენ, თუმცა მრავალი ცდა იყო დაემყარებინათ რაციონალური წარმოდგენა ქვეყნიერებისა და ადამიანის შესახებ.

დიდი ხანია წამოყენებულია საკითხი: შესაძლებელია თუ არა რწმენა შეიცვალოს სხვა რამ საფუძველით ადამიანთა ყოფა—ქცევისათვის და ეს ყოფა-ქცევა მიიმართოს საზოგადო კეთილდღეობის დასამყარებლად? სხვა და სხვა დროის მეცნიერნი და მოაზრენი ჰფიქრობდნენ, რომ ადამიანის ბუნება გვაძლევს ყოველგვარ სიღსარს (რაციონალური) მტკიცე ზნეობრივობის დასამყარებლადაო.

ჩვენ ვიცით, თუ რა დიდ პატივსა სდებდნენ ელლინები ძველად ადამიანის ბუნებას. საბერძნეთის ცივილიზაციის უპალ აზიელები ისახავდნენ ღმერთებს რაღაც ზლაპრულ არსებათ, ნახევრად კაცათ და ნახევრად მხეცათ; ელლინებმა კაცშეჰქმნეს თვისი ღმერთები ადამიანთა მოდგმის საუკეთესო წარმომადგენელთა სახით და უმთავრესად ეს გარემოება ახასიათებს ძველ ბერძენთა ცივილიზაციასა და ცხოვრებას. ისინი თაყვანს

სცემდნენ ადამიანის ბუნების გარეგან ფორმასაც კი და უარ ჰყოფდნენ ყოველსავე, რაც არ შეესაბამებოდა ადამიანის ბუნებრივ სახეს. მაგალითად ადამიანის ფრიად დამამცრებლად მიაჩნდათ პირის მოპარსვა, რადგან უწვერო კაცი ემსგავსება ქალს და ამიტომ არაბუნებრივ სახეს იღებსო [1]).

ადამიანის ბუნების თაყვანისცემა ელლინებმა გამოხატეს პლასტიკით და ეს დაედვა საფუძვლათ მათ უპირატესობას ხელოვნების დარგში. რადგან მათი სურვილი იყო შესწავლა და შექმნა სრულის ადამიანის სახისა, ამიტომაც იმათ გაზომილი ჰქონდათ ადამიანის სხეულის ყველა ნაწილი და ისეთის სიზუსტით უახლოვდებოდნენ სინამდვილეს, რომ ახლანდელი მეცნიერება ადასტურებს ყოველს მათ დასკვნას. [2]).

და ჩვენ ვხედავთ, რომ ქანდაკება, როგორც ხელოვნება, უფრო მეტად მომარჯვებული გამოსახატავად ელლინთა წარმოდგენისა ადამიანის ბუნების შესახებ, გადაიქცა მათთვის სრულიად ეროვნულ ხელოვნებათ.

ბერძენთა ფილოსოფიასაც კი ფრიად დიდი წარმოდგენა აქვს ადამიანის ბუნებაზე, მის სხეულსა და სახეზე. ელლინთა ხელოვნების იდეალი იყო ადამიანის სხეულის შექმნა. იმ დროსვე ბერძნული ფილოსოფია აღიარებდა ადამიანის ბუნების ყოველ თვისების ღირსებას და ლამობდა მთელის ადამიანის ჰარმონიულ განვითარებას. [3]) ეს იდეა, პლატონის მიერ ჩამოსხმული, საფუძვლათ დაედვა ძველ აკადემიას და იქიდამ გადავიდა ახალ აკადემიის მოძღვრებაში და სკეპტიკოსთა შკოლაში. ქსენოკრატის (IV საუკუნე) მოძღვრებით,—ძველს

---

1) პირის პარსვის ჩვეულება შემოვიდა მაკედონელთა ბატონობის შემდეგ და მაშინაც კი მოაზრენი უარჰყოფდნენ ამ ჩვეულებას, რადგან ეს ეწინააღმდეგებოდა მათ პრინციპებს. Germann: „Lehrbuch der griechischen Privatalterthümer". 1870. I. p. 175—177.

2) Qustelet: „Anthropometrie". 1870. p. 82.

3) Zeller: „Die Philosophie der Griechen" 1875. T. 1. p. 74.

აკადემიას ეკუთვნოდა, -„ბედნიერება არის აღსრულება ყოველ ბუნებრივ აქტისა და მდგომარეობისა და ამასთანავე მოპოვება სათნოებისა, რაიცა ადამიანის ბუნებრივი თვისებაა. (Zeller. l. c., p. 880).

რადგან ადამიანის ბუნების თაყვანისცემის პრინციპი თავისთავად ფრიად საზოგადო ხასიათისაა, გასაკვირიც არ არის, რომ მის გამოყენების საკითხმა გამოიწვია აზრთა შეხლა-შემოხლა და წინააღმდეგობა. იმ დროს, როცა **პლატონი** სდევნიდა განცხრომას სიკეთის იდეიდან, მისი შეგირდი **არისტოტელი** სრულიად წინააღმდეგს ჰქადაგობდა. უკანასკნელი ამბობს, რომ განცხრომა ყოველ მოქმედების ბუნებრივი დაგვირგვანებაა. განცხრომა ისევე არის შედეგი მჭიდროდ შეკავშირებული ცხოვრების სისრულესთან, როგორადაც სილამაზე და ტანმრთელობა შეკავშირებულია ადამიანის სხეულის სისრულესთანაო. (Zeller. l. c., p. 447 T. 2).

ძველად აღმოცენდა სწავლა, რომელსაც სახელად დაერქვა მეტრიოპოტია და რომლის საგნადაც იყო დასახული შესწავლა ადამიანის ზნეობრივ ცხოვრების მისწრაფებისა ბუნებასთან შეთამხმებით. ეს სწავლა იყო შეწყნარებული მრავალ მეაზროვნეთაგან, მხოლოდ მისი პრაქტიკული განსახიერება იყო ფერადი. მაგალითად სტოიკოსების აზრით, ,,უმაღლესი სიკეთე და უმაღლესი ბედნიერება არის თვით ბუნებასთან შეთანხმებული ცხოვრება''. თვის ყოფაქცევას ადამიანი უნდა უთანხმებდეს ქვეყნიურ შეგნებას და ყოველი შეგნებული და ჭკუადამჯდარი არსება უნდა მიისწრაფოდეს განსაკუთრებით იმისაკენ, რაიც გამომდინარეობს ამ საერთო კანონის შეგნებისაგან''. (Zeller. T. III. p. 193).

ამავე ცხოვრების ძირითადმა პრინციპმა, ბუნებასთან შეთანხმებულმა, მიიყვანა ეპიკურიელები იმ დასკვნამდე, რომ ,,განცხრომა არის ბუნებრივი სიკეთე, ესე იგი ისეთი მდგომარეობა, რომელიც შეთანხმებულია ბუნებასთან და ანიჭებს ადამიანს გულითად სიამოვნებას''. (Zeller. l. c. p. 401).

თუნდა ერთსა და იმავე ძირითად საფუძვლიდინ გამომ-
დინარეობდნენ, მაგრამ სტოიკოსთა და ეპიკურელთა თეო-
რიებმა მიიღეს სრულიად საწინააღმდეგო მიმართულება,

რომის ფილოსოფოსთ პრინციპათ სწამდათ ცხოვრება, სწორის გზით მიმართული, ბუნებასთან შეთანხმებული. **სენეკამ** (De Vita beata) წარმოსთქვა ასეთი აზრი: ,,მიჰყევით ბუნებას; გონება მას უკვირდება კიდეც და ეკითხება კიდეც; აი ეს არის ბედნიერება, ეს არის ბუნებასთან შეთანხმებული ცხოვრება''.

ჩვენ არ ძალგვიძს კვალდაკვალ გავითვალისწინოთ ხანგრძლივი განვითარება ამ იდეისა და ვიკმარებთ მხოლოდ იმის აღნუსხვას, რომ ამას წამოაყენებდნენ ყოველთვის, როცა ეძებდნენ რაციონალურ პრინციპს, რომელიც ჰმართავდა ადამიანის ყოფაქცევას გარეშე რელიგიურ სანქციისა.

ჩვენ ვხედავთ ამ იდეას **ქრისტეს** სჯულის მიმდევართა შორისაც, რომელნიც ამხედრებულნი იყვნენ ასკეტიზმისა და ადამიანის ბუნების დაჩაგვრის წინააღმდეგ, რამაც ისე აშკარად იჩონა თავი პირველ საუკუნეთა ქრისტეანეთა შორის.

ელლინთა მოძღვრება ადამიანის ბუნებასთან შეთანხმებულ ცხოვრებას შესახებ ცხადლივ გამოიხატა აღორძინების ეპოქისა და მის შემდგომ საუკუნეთა რაციონალისტურ თეორიებში. შოტლანდიელი ფილოსოფოსი 18 საუკუნისა **გიუტჩესონი**[1]) ამტკიცებს, რომ ყველა ჩყენი ბუნებრივი მისწრაფება სრულიად კანონიერია და მაღი დაკმაყოფილება უმაღლესი სათნოებაა. იგი ამგვარად ოპოზიციაში უდგა შოტლანდიის სამღვდელოების იდეათა, რადგანაც ჰქადაგებდა უმაღლეს სიძულვილს ადამიანის ბინებისას. ,,**გიუტჩესონს** არა მცირედი პატივი ერგებაო,—ამბობს **ბეკლი**[2]),—ის პირველი

[1]) „Moral Philosophy''. London. 1755.

[2]) Buckle: „Histoire de la civilisation en Angleterre". Trad par Baillot. 1865 T. V. p. 194.

გაუმკლავდა შოტლანდიაში ამ დამამცირებელ პრინციპებსაო''.

საფრანგეთის მე-18 საუკუნის ფილოსოფოსებმაც, როგელნიც ჰლამობდნენ შეეცვალათ ყოფაქცევის რელიგიური საფუძველი ნამდვილ რაციონალისტურ პრინციპებით, აგრეთვე ადამიანის ბუნებას მიმართეს.

რევოლიუციის წინახანებში დაისტამბა სამ ტომად ბარონ გოლბახის თხზულება: ,,საყოველთაო ზნეობრივობა ანუ ადამიანის მოვალეობა, დაფუძნებული მის ბუნებაზე''. (1776 წ.). მკაცრ მატერიალისტურ და ატეისტურ თვალსაზრისით გამჭვალულმა, ამ მწერალმა წარმოსთქვა ასეთი აზრები: ,,თუ უნდა რომ საყოველთაო იყოს, ზნეობრივობა უნდა ეთანხმებოდეს ადამიანის ბუნებას საზოგადოდ, ესე იგი ემყარებოდეს მის არსებობას, მის თვისებას, რომელიც განუყრელად ეკუთვნის ყველა მის მსგავს არსებათა ბუნებას და რომლითაც ის განსხვავდება დანარჩენ ცხოველთაგან. თვის მკვიდრ დასამყარებლად ზნეობრივობა მოითხოვს ადამიანის ბუნების ცოდნას''. (T. I, p. 32).

ამ ძველ ფილოსოფოსთაგან წამოყენებულ პრინციპს ხელახლა აღიარებენ მე-19 საუკუნის რაციონალისტებიც. ვილჰელმ ჰუმბოლდტი ამბობს: ,,საბოლოო ნატვრა ადამიანისა, ესე იგი ის ნატვრა, რომელსაც უკარნახებს ადამიანს მუდმივი და უცვლელი ბრძანება მისი გონებისა...., არის რაც შეიძლება ჰარმონიული განვითარება მის ნიჭიერებისა, როგორც სრულისა და მთლიანის ერთეულისა''.

შესანიშნავი თანამედროვე ისტორიკოსი ლეკკი[1]) ასევე ახასიათებს ცხოვრების აზრს, იმის ფიქრით ,,ეგ აზრია ყოველივე არსებულის სრული განვითარება იმ რაოდენობასა და ურთიერთობაში, რომელიც განუსაზღვრავს ბუნებას''.

ელლინთა რაციონალიზმი შეწყნარებული იყო არა მარტო ფილოსოფოსთა და ისტორიკოსთა მიერ: იმავე აზრი-

[1]) „History of European Morals''. London. 1877.

სანი იყვნენ ბუნნბისმეტყველნიც და მათ შორის საუკეთესონიც. ადვილი გასაგება იგივე პრინციპი **დარვინის**[1]) ამ სიტყვებშიაც: ,,ტერმინი საყოველთაო სიკეთე შეიძლება განისაზღვროს როგორც აღნუსხვა რაც შეიძლება მრავალ არსებათა რიცხვის განვითარებისა, რომელთაც აქვთ სრული ძალა და ტანმრთელობა, შეხამებულად იმ ნიჭთან, რომელიც განვითარებულია იმდენად, რამდენადაც შესაძლებელია არსებულ ვითარებაში''.

უფრო მეტად უახლოვდება ძველ მეაზროვნეთა შეხედულობას ერთი ინგლისის დიდებულ ბუნებისმეტყველის (დარვინის) მიმდევართაგანი **გიორგი ზეიდლიცი**[2]). იმის აზრით, ზნეობრივსა და გონიერს ცხოვრებას ჰნიშნავს ,,დაკმაყოფილება სხეულის ყველა მოთხოვნილებათა ზომიერად და ურთიერთ შორის შეთანხმებით''.

ცხოვრების აზრის ანალიზის შემდეგ **ჰერბერტ სპენსერი**[3]) დაასკვნის, რომ ზნეობრივობა უნდა მიიმართებოდეს, რაც შეიძლება, სრულისა და ფართო ცხოვრების მიღწევისკენ. აგრედვე ადამიანის ფიზიკურ წარმატების საზომათ ინგლისის ფილოსოფოსს მიაჩნია განსაკუთრებით ,,რაც შეიძლება სხეულის ყველა ნაწილის სრული შეგუება ყველა ფუნქციათა აღსასრულებლად; რამდენადაც ეს საზომი ეხება ზნეობრივს წარმატებას, იგივე ,,საყოველთაო სიკეთის ხელის შეწყობაა''. ნაკლებ გარკვეულად, მაგრამ საკმარასის აშკარაობით ეს იდეები ცხადჰყოფს ძველის სოფლმხედველობის იდეალს.

ხოლო იმდროს, როცა თეორვთიკოს—რაციონალისტები ყოველ ხანისა ეძიებდნენ ზნეობრივობის საფუძველს ადამიანის ბუნებაში, რომელიც მათ ეხატებოდათ კეთილად და წარმატებულად, მრავალი რელიგიური მოძღვრება სრულიად წინააღმდეგს ჰქადაგობდა.

---

[1]) ,,La descendance de l'homme et la sélection zexuelle''.

[2]) „Die Darvinisehe Theorie''. 1875. p. 272.

[3]) ,,The Data of Ethies''. 1879.

ადამიანის ბუნებას ჰყოფდნენ ორ ნაწილად: სული და ხორცი, რომელთაგან სულს რაკხდნენ ღირსად ყურადღებისა და ხორცს კი ბუდედ და წყაროდ ყოველგვარ უბედურობისა. აქედან წარმოსდგა წამება და დასახიჩრება, ფრიად გავრცელებული მრავალ ტომთა შორის. მაგალითები ინდოსტანის ფაკირებისა, რომელნიც ეკიდებიან ჩრკინის დუგმაზე, დერვიშებისა და მუსულმანთა აისუასი, რომელნიც თავს იტეხენ; რუსთ საჭურისებისა და სხვათა მრავალთა ცხადჰყოფენ, რომ მრავალი არ ამყარებს თვის ყოფაქცევას ჩვენის ბუნების წარმატებაზე.

ბუდდამ [1]) სრულიად გარკვევით გამოსთქვა თვისი აზრი ადამიანის ბუნების ცუდ თვისებაზე.

ქალთა საწოლების დათვალიერების შემდეგ, მან აშკარად წარმოიდგინა მრთელი ბიწიერება სხეულისა, რომელიც იწვევს სიძულვილსა და განკიცხვას; ჰფიქრობდა რა თვის სხეულზე და ჰხედვიდა რა თვის უძლურებას, რომელიც გამომდინარეობდა სხეულის თვისებათაგან' წარმოიდგენდა რა სიწმიდისა დი ბიწიერების იდეას, ამჩნევდა, რომ ფეხიდან თავამდე, თვით ტვინის საზღვრამდე, სხეული იშვება ბიწიერებიდან და მისგან მხოლოდ ბიწიერი წარმოდინდება. ამ მოსაზრებაზე ამყარებს ასეთს დასკვნას: ,,სადაა ის ბრძენი, რომელიც შეხედავს რა ყოველსავე ამას, არ ჩასთვალოს თვისი სხეული თვისსავე მტრად''?

ძველი ეპოქის დამლევს, ელლინთა თვალსაზრისმა ადამიანის შუნებაზე დაუთმო ადგილი სულ სხვაგვარ შეხედულებას. სტოიკოსთა ზნეობრივ შეხედულებათა შორის პირისპირობამ და მათმა ადამიანის ბუნების თაყვანისცემამ აიძულა ერთი რომაელთა უკანასკნელი სტოიკოსთაგანი, **სენეკა**, სახელგანთქმული თანამედროვე **იესო ქრისტესი**, უარყოფად ძველის სწავლისა. ბუნებრივ სისუსტის რწმენამ, ადამიანის წარმატების მხრივ ჩამორჩენამ და ბიწიერების ყოვლადყოფო-

---

[1]) ,,Lalita Vistara''.

ბამ და სიძლიერემ მიიყვანა **სენეკა** იმ დასკნამდე, რომ თვით ადამიანის ბუნებას საფუძვლად უდევს **უგუნურება** და ბიწიერებაო, რომ ეს საფუძველია ჩვენის სხეულისა და იმოდენად უმნიშვნელო რამ არის, რაზედაც ფიქრიც არა ჰღირს. რომ ეგ საფუძველი მხოლოდ გარსია ჩვენის სულისა, ხანმოკლე ჭურჭელი მისი, რომელშიაც სული მუდამ ჰშფოთავს, რომ იგია მძიმე ტვირთი, რომელიც აწევს სულს, იგია საკანი, რომლისაგან განთავისუფლებას ჰლამობს სული. **სენეკას** აზრით, სული უნდა ებრძოდეს ხორცს, რომელიც აყენებს ყოველგვარ სიმწარეს, სულიკი თვისის არსებით წმიდაა და ხელუხლებელი და იმოდენადვე მაღლა სდგას ხორცზე, რამოდენადაც ღვთაება მატერიაზედა [1]).

უფრო მეტი დუალიზმი და მასთან ერთად ხორცის უარისყოფა და სულისა კი ამაღლება ახასიათებს ქრისტეანეთა შეხდულებას ადამიანის ბუნებაზე. IV და V საუკუნეში **ქრისტეს** შემდეგ იმოდენად დამყარდა ეს შეხედულება. რომ ბრძოლა ჩვენის ბუნების გრძნობიარე მხარეებთან პრინციპად გადაიქცა.

მთელს საქრისტეანოში გავრცელდა სრული ასკეტიზმი. „ბრძოლა შიმშილისა, წყურვილისა და ძილის წინააღმდეგ, ყოველ განცხრომათა უარისყოფა, რაიც გამოწვეულია მხედველობითი, სმენითი ანუ გემოვნებითი გრძნობებით და განსაკუთრებით სქესობრივ ურთიერთობათაგან თავდაჭერილი ცხოვრება შეიქმნა ადამიანის არსებობის მისწრაფებად. ადამიანის ბუნებას გამოუცხადეს ომი; ყოველგვარი სიამთვნება, თვით უბრალოკი, აღკრძალული იყო, რადგან დარწმუნებულნი იყვნენ, ადამიანი ბუნებრივ გახრწნილი აიროგორი კონტრასტი ჰსუფევდა იმ წყნარსა და მხიარულ შეხედულებასთან შედარებით, რომელიც ახასიათებდა ბერძენთა ფილოსოფიას, რომელსაც აზრიდაც არ მოსვლია ამხედრებულ იყო ადამიანის ვითომდა ბიწიერისა და გახრწნილ ბუნების

[1]) Zeller. l.c. p. 633.

წინიაღმდეგ". [2]) ეს დუალისტური შეხედულება ისე გამ-
წვავდა, ისინი ისეთის თავგამეტებით იცავდნენ სულს, რომ
ფიზიკურად ხორცის უარყოფით თითქმის მხეცებს ემსგავ-
სებოდნენ. განდეგილნი ესახლებოდნენ მხეცთა სორო—
ბუნაგებში, ტანსაცმელს არ იკარებდნენ და ტიტველ-შიშ-
ველნი და თმაგაწეწილნი დახეტიალებდნენ. ,,მესოპოტამიასა
და სირიაში დაარსდა ერთგვარი მძოვარათა სექტა, რომელ-
ნიც დაძრწოდნენ მთა-ბარში, არ სჭამდნენ პურსა და სხვა
რამ სანოვაგეს გარდა ბალახისა. სხეულის სისუფთავეს სთვლიდ-
ნენ სულის სიბინძურედ და წმინდანებათ იჩნევდენ ისეთ
ადამიანებს, რომელნიც არ ჰზრუნავდნენ ხორციელ სიწმინ-
დისათვის. ათანასე აღტაცებით გვიამბობს, რომ წმინდა ან-
ტონს, მონაზონთა უხუცესს, სიბერეში არასოდეს ფეხი არ
დაუბანიაო". (ლეკკი).

ამგვარმა მოძღვრებამ სრულიად წარყვნა ადამიანის თან-
დაყოლილი ინსტინქტები. ოჯახობრივი და საზოგადოებრივი
ალღო (ინსტინქტი) იმდენად დაეცა, რომ ფანატიკოს-ქრის-
ტიანები გულცივად ეპყრობოდნენ თავისიანებს და ნათესა-
ვებს. ერთს წმინდანს ადიდებდნენ მისთვის, რომ სასტიკად და
შეუბრალებლად ეპყრობოდა ნათესავებს.

მოგვითხრობენ, როცა ერთმა მორწმუნემ სთხოვა აბბატ
სიზეს მიეღო მწირად, აბბატი შეეკითხა: გვყავს თუ არა ვინმე
ახლობელიო? „ვაჟი მყავს„—მიუგო ქრისტეანმა. „მაშ წაი-
ყვანე და წყალში გადააგდე ვაჟი, თუ გინდა ბერად შედგო-
მაო"—მიუგო აბბატმა. მამამ ის იყო დააპირა ბრძანების
შესრულება, როცა აბბატმა უარჰყო თავის ბრძანება. ბერად
აღკვეცილთ უნდა უარეყოთ თვისი სამშობლოც კი. (ლეკკი)
ეს მოძღვრება დიდის ხნითა და მტკიცედ დამყარდა. მე-17
საუკუნის შოტლანდიელ წმინდა მამათა შეხედულობით
„საკვირველია, რომ დედა-მიწა ითმენს იმოდენ საზიზღრო-
ბას და, როგორც ოდესმე, არ გასკდება, რათა შთანთქას

[2]) Lecky: ,,History of European Morals".

ყოველივე თვის ბიწიერებასთან ერთად, რადგანაც, უთუოდ მთლად ქმნილებათა შორის არა არს მეტად საშინელი და გახრწნილი, ვიდრე ადამიანი“-ო [1]). ამიტომ გასაკვირველიც არ არის, რომ ასეთს სოფლმხედველობის გამო უცოლობა და გამრავლების აღღოს დათრგუნვა სავალდებულო შეიქმნა კათოლიკეთა სამღვდელოებისთვის.

წმინდა მათეს სიტყვები: საჭურისობა რომელთ დაისაჭურისეს თავნი თვისნი სასუფეველის მისაღწევად, ზოგს ესმოდა როგორც უცოლობის მოძღვრება და ზოგს სიტყვა-სიტყვად. ამიტომაც უკანასკნელნი მთლიანად ანუ ნაწილად ისაჭურისებდნენ თავს. ქალებს სჭრიდნენ ძუძუებს, რათა მოესპოთ მათთვის სქესობრივი გრძნობა. სახარების ეს მოძღვრება ამგვარად ესმის მხოლოდ საჭურისთა ერთ სექტას, რომელიც დღესაც გავრცელებულია რუსეთში.

წმინდა პავლეს აზრი, რომ უცოლონი და ქვრივნი არ ქორწინდებოდნენ, შეიქმნა სავალდებულოდ და მე-IV საუკუნედან კათოლიკეთა ეკლესია თანდათან აკანონებს უცოლობას, რომელიც მე-XI საუკუნის დასაწყისიდან საბოლოოდ დაკანონდა (გრიგოლ VII დროს),

უარყოფობითი შეხედულება ადამიანის ბუნებაზე დღესაც დაცულია კათოლიკეთა ეკლესიაში. ლევ XIII აშკარად აღიარებს მას თვის საკითხავში [2]) „მასონთა სექტის შესახებ“. „ადამიანის ბუნება,—ამბობს იგი,—გახრწნილია პირველყოფილ შეცოდების მიერ და იმიტომაც უფრო ბიწიერია, ვიდრე კეთილმყოფელი. ამიტომ, ვისაცა ჰსურს სიკეთე, უნდა დასთრგუნოს სულის აბორგებული მღელვარება და დაუმორჩილოს ვნება დამჯდარ ჭკუას“.

ჭრისტეანულმა მოძღვრებამ ადამიანის ბუნების შესახებ თავი იჩინა ხელოვნებაშიაც. ქანდაკება, ესოდენ გაბატონებული

---

[1]) Buckle: „Histoire de la civilisaton en Angleterre“.

[2]) „De secta massonum“. Parisilis. 1884 p. 9.

ძველს დროში და ძჭიდროდ შეკავშირებული ბერძენთა სოფლმხედველობის საფუძველთან, მსწრაფლ დაეცა.

რომის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში იგი უფრო ბოგინობდა, ხოლო იტალიაში სრულიად მოისპო მე-VIII საუკუნეში. მხატვრობა თუმცა მეტად ხეირობდა, მაგრამ ისიც ფრიად შეფერხდა. იტალიის ხელოვნების ნაწარმოებნი კაროლინგების ხანაში ცხადჰყოფენ სრულს გულგრილობას ადამიანის ბუნებისადმი, მოკლებულნი არიან ჰარმონიასა და სიტურფის გრძნობას. შემდგომ იტალიის ხელოვნება უფრო დაეცა: „ბუნების შესწავლასა და დაახლოვებით გაცნობას ადამიანის ხატებისას არავინ აღარ ეტანებოდა იმ ეპოქას, რომელიც ყოველის ფეხის გადადგმაზე ეძიებდა არა ამქვეყნიურ ძალებს,—იმ ეპოქას, რომლის მხედველობა დამყარებული იყო კონტრასტზე მიწიერსა და ზეციურს შორის, არ შეეძლო შეეწყნარებინა ხელოვნებაში ფიზიკური კანონზომიერება და მოვლენათა ბუნებრივი მიმდინარეობა“ [1]).

ადამიანის ბუნებაზე ქრისტეანულ შეხედულებასა და საშუალო საუკუნეების ხელოვნებას შორის რომ მჭიდრო კავშირი სუფევს,—ეს უეჭველია. ტენი [2]) ასე ახასიათებს ამ ეპოქას: როცა უცქერი ეკლესიების მინებსა და ქანდაკებებს, პირველყოფილ ხელოვნებას, მგონია, რომ კაცობრიობა გადაგვარებულა, მისი სისხლი დაშრეტილა; ჭლექიანი წმინდანები, დამახინჯებული მოწამენი, მკერდვიწრო, გულ-ჩავარდნილ გრძელ-ფეხა და ხელებმოკრუნჩხულნი ქალწულნი, გამხმარნი და ქანცმილეულნი განდეგილნი, გაქყლეტილსა და დასისხლიანებულ ჭიაყელათა მსგავსი ხატებანი იესო ქრისტესი, პროცესიები უფერულ, გამხმარ და დამწუხრებულ ხალხთა, რომელთა სახეზე გამოსჭვივის სიმახინჯენი უძლურებისა და კრძალვა-დაჩაგვრისა“.

საშუალო საუკუნეთა ხელოვნება თანდათან კნინდებო-

[1]) Schnaase: „Geschichte der bildenden Künste“.

[2]) „Philosophie de l'art“, 4 édition, 1885 .T. II, 352.

და, როცა ამ უბედურებას მხსნელად მოევლინა ელლინთა სულის აღორძინება. ხელოვნების უდიდეს ოსტატებად შეიქმნენ მსწავლულნი, რომელთაც ხელთეპყრათ გამომზომი მეთოდები და მათემატიკა, როგორც მაგალითად ალბერტი, ლეონარდო-და-ვინჩი, მიქელ-ანჯელო და სხვანი. დაბრუნება ბერძნულ ხელოვნების იდეალისა და ბუნებისაკენ კვლავ ამყარებს უცხო, ტურფა ფორმების გემოს.

ელლინთა სულის აღორძინება გამოსჭვივის მეცნიერებაში და ფეხს იდგამს თვით რელიგიაშიაც კი: რეფორმაცია გამოდის ადამიანის ბუნების დამცველად. ლიუტერის ტრაქტატები კვლავ აღადგენენ „რაც შეიძლება მრთელ განვითარების პრინციპს ადამიანის ბუნებრივ ძალთა შესახებ“ და მის განხორციელებაში ჰპოულობს თვის არსებობის ერთს უმთავრეს მიზეზთაგანს.

სავალდებულო უცოლობა მოსპო და ნებადართულ იქმნა სრული დაკმაყოფილება ყველა მოთხოვნილებისა, რომელიც შეეხამები ბუნების კანონებს [3]).

იმათ გარდა, რომელნიც ჰქადაგებდნენ სარწმუნოების გზით უაღრეს სიძულვილს ადამიანის ბუნებისას, უნდა მოვიხსენიოთ კიდევ მრავალნი გაუნათლებელნი ველური ტომნი, რომელნიც მრავალ გვარად ასახიჩრებდნენ სხეულს. ძნელია აღნუსხვა იმ რიცხვ-მრავალ საშუალებათა, რომლითაც ისინი ასახიჩრებდნენ და ამახინჯებდნენ ადამიანის სახეს. ეთნოგრაფიის სახელმძღვანელოებსა და მოგზაურთა აღწერილობანში ამის მრავალი მაგალითები მოიძებნება. ყოველ ღონისძიებასა ხმაროობდნენ, რამდენადაც შეიძლებოდა, შეეცვალათ ბუნებრივი სახე თმასა, კბილებისა და ტუჩებისა. მრავალი პირველყოფილ ხალხთაგანი იღებავს კბილებს, ან იგლეჯს ან იხერხავს ისე, რომ გააწვრილოს და სხვა სახე მისცეს. ზოგნი [illegible] ტუჩებში ჩხვლეტს,

[3]) Reinhard: „System der christlichen Moral“ IV 1814, p. 831; t. III, 1812, p. 14.

K 62374 / 7844 2556

მიწას, ძვლებსა და სხვა საგნებს. დიდ ადგილს დაიჭერდა, რომ მოვყოლოდით იმ საშუალებათა აღწერას, რომელთა მეოხებითაც ველურნი ხალხნი დამღით იჭრელებდნენ ტანს. ყოველგვარ საშუალებით იმახინჯებდნენ თავს, გულ-მკერდსა და ფეხებს.

არ შეგვიძლია დასაბუთებით ავხსნათ ეს ჩვეულებანი სარწმუნოებრივის ანუ ფილოსოფიური მოძღვრების თვალსარისით, ის მაინც აშკარაა, რომ ამ ჩვეულებათა მიმდევარნი ვერ ჩაირიცხებიან ადამიანის ბუნების პატივისმცემელთა სიაში, როგორც კულტურული ელლინები, არამედ აღინუსხებიან, როგორც მიმდევარნი ადამიანის ბუნების გადაგვარებისა თვისის გემოვნებისდა მიხედვით.

და რადგანაც არსებულ ვითარებით უკმაყოფილობა ფრიად გავრცელებულია კაცობრიობაში, ბუნებრივი საკითხი გვიდგება თვალწინ: შესაძლებელია თუ არა გამოინახოს საერთო რამ საფუძველი ადამიანის ბუნებაზე ამ ესოდენ მრავალგვარ შეხედულებათა შორის? ზემორე ნათქვამიდან უნდა დაენახა მკითხველს, რომ ადამიანის ბუნება ყოველ დროს საინტერესოდ მიაჩნდა კაცობრიობას, რომ ეს საკითხი ფრიად საგულისხმიერო იყო კეთილისა და სილამაზის შემეცნებისათვის.

დროა საფუძვლიანად შევისწავლოთ ეს საკითხი მკაცრ მეცნიერულ მეთოდების საშუალებით, რაიც შეესაბამება აწინდელ დროს.

ამიტომაც ჩვენ ვეცდებით გავითვალისწინოთ შემეცნება ადამიანის ბუნებისა, მისი ღირსებანი და ნაკლულევანებანი.

ხოლო ვიდრე ადამიანის შესწავლას შეუდგებოდეთ, აუცილებლად მიგვაჩნია თვალი გადავავლოთ მთელს ორგანიულს მსოფლიოს საზოგადოდ, რათა მოვიპოვოთ საფუძველი ჩვენის გამოკვლევის უმთავრეს საკითხის გადაწყვეტის გასაადვილებლად.

თავი II.

მდაბიო არსთა ჰარმონია და დისჰარმონია.

ორგანიული მსოფლიო ადამიანის გაჩენამდე დედამიწაზე. —არ სუფევს კანონი საყოველთაო პროგრესისა.—ბაიკის განაყოფიერება.—მწერთა მნიშვნელობა ორქიდეათა განაყოფიერებაში.—მწერთა მიერ ორქიდეათა მტვრის გადატანის მექანიზმი.—მთხრელ კრაზანათა ხასიათი.—ჰარმონიის მაგალითები ბუნებაში.—სხეულის უსარგებლო ნაწილები.—ორქიდეათა მტვრის პირველყოფილი სახე.—ბუნების დისჰარმონია,—ცუდათ შეგუებულნი მწერნი.—ალღოთა მიდრეკა. —გაუკუღმართება სქესობრივის ალღოსი.—სინათლისაგან მწერთა მიმზიდველობა.—მანათებელნი მწერნი.—ბუნებრივ არჩევანის კანონი.—ბედნიერება და უბედურობა ორგანიულ მსოფლიოში.

ადამიანის გაჩენამდე დედამიწას აშვენებდნენ მრავალნი მცენარენი და ცხოველნი. ამ არსთა შორის ზოგიერთნი იყვნენ დაჯილდოებულნი განსაკუთრებულის გრძნობიაროობით, ზოგნიც კარგად განვითარებულის ალღოთი და ხანდისხან ჭკუითაც კი, რომლის მეოხებითაც იცავდნენ თავს და ამრავლებდნენ თავის გვარს.

ის მრავალნი გვარნი, რომელნიც კარგად შეეთვისნენ არსებობის გარეშე ვითარებას, იმ თავიდან დღემდე შენახულან. ქვანახშირის პერიოდის დროს ჯერ კიდევ არსით სჩანან ჩიტები და ძუძუმწოვარნი, მაგრამ უშველებელს ტყეებში, რომელშიაც იზრდებოდა უშველებელი გვიმბრა, ბუდობდნენ მრავალნი საღსარმოსილნი ცხოველნი და მათ შორის მორიელნი და მწერნი. იმ დროინდელნი მორიელნი ძალიან ჰგვანან ჩვენის დროის ცხელ ქვეყნების მორიელებს და იმ დროის მწერთა შორის მოიძებნებიან ფრიად მსგავსნი ჩვენის დროის აბანოს ჭიებისა (ტარაკანებისა). ზოგი ჩვენის დროის ხისმგზავსი გვიმრა აგრეთვე ძალიან ჰგავს ქვანახშირის პე-

რიოდის გვიმბრას. ცხოველთა შორის, რომელთა სხეული დაფარულია სადაფით, როგორადაც ძირფეხა და ხელფეხა, ზოგიერთი გვარი შენახულა იმ დროიდან, რომელიც ბევრად უსწროს ქვანახშირის ხანას.

მაგრამ ასეთ გადარჩენილ არსთა შორის მრავალნი მცენარენი და ცხოველნი უკვე გამქრალან და ჩვენს დრომდე ვერ მოულწევიათ.

წინად, მესამე ეპოქის დროს, ევროპის ულრანს ტყეებში სცხოვრობდნენ მრავალი მაიმუნები, რომელთა გაქვავებულ ნეშტებს ჰპოულობენ საბერძნეთში. ძველად ევროპაში მოიპოვებოდნენ ადამიანისსგავსნი მაიმუნები (Dryopitecus), რომელთა კვალი ინახება საფრანგეთის მესამე ეპოქის ფორმაციებში.. [1])

და აი ამ ცხოველთ, თუმცა ბევრად მაღალის ორგანიზაციისანი იყვნენ, ვიდრე აბანოს ჭიები და მორიელები, ვერ შესძლეს შეთვისება იმ გარეგან ვითარების შეცვლისა, რომელიც მოხდა ეპოქაში.

იგივე მოუვიდა მრავალ მაღალ ძუძუმაწოვრებს, მამონტებსა და მასტოდონტებს და სხვ.

ეს ფაქტები ვერ ადასტურებს არაერთხელ გამოთქმულ აზრს, თითქოს ბუნებაში სუფევდეს საყოველთაო პროგრესის კანონი, რომლის მეოხებითაც უფრო რთულ შენაწევრების (ორგანიზაციის) არსებანი თანდათან ვითარდებოდნენ. უეჭველია, უმაღლეს საფეხურზე მდგომ ფორმების განვითარება შესაძლო იქმნებოდა მხოლოდ თავის მდაბალ წინაპართა განვითარების შემდეგ. ხოლო ეს კიდევ იმას არ ამტკიცებს, რომ ეს განვითარება მუდამ წინმავალი იყოს. ადამიანი ერთი ნაგვიანევი, ბოლონდელი ქმნილებათაგანია დედამიწაზე, ხოლო არიან ისეთნიც, რომელნიც ადამიანზე გვიან გაჩენილან. უეჭველია, მკბენართა ზოგიერთი გვარი

[1]) Gaudry: „Mammiferes tertiaires". 1878, p. 255.

გაჩენილია ადამიანის შემდეგ, მაგალითად ტილი (Pediculus vestimenti). ზოგიერთმა ადამიანის სხეულში დაბუდებულ პარაზიტთაგანმა მიიღო თვისი გვარის სახე მხოლოდ ადამიანის გაჩენის შემდეგ, მაგალითად მუცლის ქიები და სხვა და სხვა გვარი მიკრობები, მათ შორის ბლენორეის გონოკოკები. მაშასადამე ქმნილებათა გვირგვინს არა ადამიანთა, არამედ პარაზიტებ შორის უნდა ვეძებდეთ.

სჩანს, ბუნება თვალდახუჭული არ მიისწრაფვის პროგრესისაკენ. დღემუდამ სახიერდებიან მრავალნი არსებანი ცვალებადობის თვისებით დაჯილდოებულნი.

მათ შორის სცოცხლობენ, ბოგინობენ და მრავალდებიან ისინი, რომელნიც კარგად შეჰფერებიან გარეშე ვითარებას, ხოლო რომელნიც ვერ შეჰფერებიან ამ ვითარებას, ვერ მრავლდებიან და იხოცებიან.

ამ ვითარებათ ადვილად გათვალისწინებისათვის და მათის მნიშვნელობის ცხადყოფისათვის რამდენსამე საგულისხმიერო მაგალითს მოვიტანთ. ლამაზ, ტურფა არსთა შორის ცოტანი არიან ისეთნი, რომელთაც შეეძლოს მეტოქეობა გაუწიონ ყვავილოვან მცენარეებს. ორქიდეათა სილამაზით ყველანი აღტაცებაში მოდიან, რომ ეს ყვავილები არა ჩვენის ესთეტიურ გემოვნების დასაკმაყოფილებლად განვითარებულან, სჩანს იქიდამ, რომ ორქიდეები ადამიანზე ადრე ამშვენებდენ დედამიწას.

ორქიდეათა შორის არის ერთი გვარი. ცხელ ქვეყნებში კარგად ხეირობს და გავრცელებულია ამ ნახევარ საუკუნის განმავლობაში. ეს არის ბაიკი. მისი ნაყოფი ფრიად სუნელოვანია.

ძველად ბაიკი იზრდებოდა მექსიკასა და სამხრეთ ამერიკის ტყეებში და მის პარკებს ჰკრეფდნენ. ხოლო, როცა ბაიკის ხმარება დაიწყეს შოკოლადის შესაზავებლად, მაშინ შეუდგნენ მის ხელოვნურად გაშენებას. ამიტომაც გააშენეს ბევრს თბილ ქვეყნებში, საცა იხეირა კიდეც. ბაიკი კარგად იზრდე-

ბოდა, ყვავილებითაც იმოსებოდა, მხოლოდ ნაყოფს არ იძლეოდა. და რადგანაც სუნნელოვანობისთვის საჭირო იყო სწორედ ნაყოფი, ამიტომ გამოიკვლიეს მისი უნაყოფობის მიზეზი და აი რა აღმოჩნდა.

ყვავილი უნაყოფოდ სჭკნებოდა თურმე იმიტომ, რომ მისი დედობრივი და მამობრივი ნაწილები ერთმანეთს არ ხვდებოდნენ, თუმცა ორივენი ერთსა და იმავე ყვავილზე ვითარდებოდნენ. მათ შეუღლებას უშლიდა ერთგვარი აპკი.

როცა ეს შეჰნიშნეს, ხელოვნურად გადიტანეს ბაიკის მტვერი **ბუტკოს პირზე**, ესე იგი მოახდინეს ხელოვნური განაყოფიერება. 1841 წ. მონა-ზანგმა **ედმონდ ალბუსმა თანხმობის კუნძულებზე** ალმოაჩინა პრაქტიკული საშუალება ბაიკის დედობრივსა და მამობრივ ნაწილთა შეუღლებისა. მას შემდეგ ბაიკის კულტურა ფრიად გავრცელდა სხვა და სხვა ქვეყანაში. ბამბუკის წამწვეტებულ ჩხირს ანუ სავარცხლის კბილს ჩაუყენებენ თავის დროზე ბაიკის ყვავილს. ეს ჩხირი აძლევს ბაიკის დედობრივსა და მამობრივ ნაწილებს შეუღლების საშუალებას და ამ გვარად სულ მოკლე ხანში ნაყოფიერდება მრავალი ყვავილი. ხოლო ეს ყვავილები გამოიღებენ ნაყოფს საუკეთო პარკის მსგავსად. [1])

ბაიკის სამშობლოში ეს ხელოვნური ადამიანის ხელის ჩარევა სულ ზედმეტია. **გვიანასა** და **მექსიკაში** ბაიკის ყვავილებს ანაყოფიერებს ერთგვარი წვრილი ფუტკარი Melipone. ეს ფუტკარი თავს ევლება ბაიკს თაფლისათვის ტკბილის წვენის გამოსაღებად. პატარა ჩიტუნიები — კოლიბრი — აგრეთვე მოფრინდებიან ხოლმე ბაიკის ყვავილებზე და თვის პაწია ნისკარტით აუღლებენ მათს სქესობრივ ელემენტებს.

მაშასადამე, სამშობლოს გარეშე ბაიკის უნაყოფობა, თუ არ ხელოვნურის განაყოფიერებით, ადვილად აიხსნება მით, რომ საჭირო მწერნი და კოლიბრნი არ მოიპოვებიან.

ხოლო მარტო ბაიკი კი არ არის ასეთს მდგომარეობაში,

---

[1]) Delteil: „la vanille". Paris. 1897.

არამედ სხვა მრავალი ორქიდეათა გვარი მცენარენიც, რადგან მათის ყვავილების მტვრის გადატანა ქარს არ შეუძლია. ამ საქმეში საჭიროა დახმარება მწერთა, როგორადაც დაამტკიცა მე-XVIII საუკუნეში **შპრენგელმა** და უმთავრესად **დარვინმა** თავის შესანიშნავ გამოკვლევებით, რომლებითაც ქვემორე ვიხელმძღვანელებთ. [2])

მრავალგვარნი მწერნი, როგორაც ფუტკარი, კრაზანა, ორფრთანი, ჭოლოები და უამრავი პეპელები დაასხდებიან ხოლმე ორქიდეების ყვავილებს მათის ტკბილის წვენის გამოსაწუწნად. ხოლო ვიდრე წვენს მიაღწევდნენ, თვისის ტანით ეხებიან ყვავილების მაღალ ნაწილებს, საცა იმყოფებიან მამობრივი ელემენტები. ამასობაში ერთად შეჯგუფულ მტვრის მარცვლები, ეგრედწოდებული პოლინიები, ეკვრიან მწერთა ტანს ერთგვარ ლორწოს მეოხებით. ამ ლორწოს ამზადებს ყვავილის ერთი ნაწილი, რომელსაც უწოდებენ rostellum. ამ გარემოებაში პოლინიები მაგრად ეკვრიან პეპელათა ხორთუმებს, თავს ან სხეულის სხვა ნაწილთ იმ მწერთა, რომელთაც გადააქვთ მტვერი. ყვავილის ყოველი ნაწილი მომარჯვებულია შეუღლების ხელის შესაწყობად.

მტვრის გადატანა რომ სასურველ შედეგს აღწევდეს, აუცილებლად საჭიროა პოლინიის მწერთა ტანზე მიკვრა, რათა ლორწო დროზე ჰხმებოდეს. ამისათვის კი ფრიად საჭიროა მწერის ხანგრძლივი ჯდომა ყვავილზე; ეს გარემოებავეა მიზეზი, რომ ზოგ ორქიდეათა ყვავილის წვენი იკრიბება ძნელად მისადგომ რეზერვუარში. მწერი დიდხანს ეძებს სასურველ წვენს; ხან და ხან წვენის გამოწუწვნას ვერ ახერხებს, თუ აპკი არ გახვრიტა. ვიდრე მწერი ამას მოასწრობდეს, მის ტანზე მიკრული პოლინიის ლორწო უკვე შრება.

---

[2]) დარვინი. „ორქიდეათა განაყოფიერება", აგრეთვე Müller: Dei" Befruchtung der Pflanzen durch Jnsecten". Leipzig. 1874, pp. 74—85.

იმ ორქიდეებს, რომელთა ლორწო ჩქარა შრება, არ ესაჭიროებათ მწერთა დიდის ხნით წვევა და ამიტომაც მათი ყვავილების წვენი ადვილი ამოსაღებია და მწერიც მოკლე ხანში ჰპოულობს და სწუწნის.

ამ ფაქტების დამყარების შემდეგ დარვინი ამბობს: „როცა ლორწოს გასაშრობლად საჭიროა ხანი, ყვავილის წვენი ისეა დამალული, რომ მწერს კარგა ხანი უნდება ძებნა; ხოლო როცა ეს ლორწო მალე შრება, წვენი ადვილად მისაწვდომია. თუ ეს გარემოებათა ორმაგი ამბავი შემთხვევითია, ეს შემთხვევა ფრიად საბედნიერია მცენარისათვის და თუ ეს, როგორც მე მგონია, შემთხვევითი არაა, მაშ, რა საუცხოო ჰარმონია დაუწესებია ბუნებას ამითი“.

ზოგ ორქიდეას ყვავილებში წვენის მაგივრად გროვდება წყლის მსგავსი სითხე. ეს სითხე გროვდება ყვავილის ძირს ფოთოლზე, რომელიც ღრმა ლამბაქს ჰგავს. ეს სითხე როდი იზიდავს მწერს ყვავილზე, არამედ უსველებს ფრთებს და აიძულებს გაიაროს იმ სივიწროეში, საცა მოგროვილია ყვავილის წვენი სქესობრივ ორგანოთა შორის. ზოგი მწერი სიხარბით სჭამს ყვავილების ხორციან ნაწილებს, მაგალითად ფუტკარი და გამაძღარნი ვარდებიან ამ სითხეში. დოქტორ კრიუგერს გამოუკვლევია ეს მოვლენა და უნახავს, როგორ ცვივდებოდნენ ფუტკრები ლამბაქში და იქიდან იძულებულ ხდებოდნენ გამძვრალიყვნენ წვრილ სრუტეში.

საოცარია ამ სველ ფუტკრის მოგზაურობა თვისის შემთხვევითის ტანის დაბანვის შემდეგ და მითი გაძრომა წვრილ გასავალში, საცა ისინი აუცილებლად უნდა შეეხონ ყვავილის სქესობრივ ნაწილებს.

ყვავილის მტვერი ეკვრის მათს სოველ ტანს და ამგვარად გადააქვთ მტვერი ბუტკოს ტანის წებოიან პირზე.

ზოგ ორქიდეას გვარი მამობრივ ელემენტებს საგანგებოდ მოწყობილის იარაღის მეოხებით მიაყრის ხოლმე მწერს ტანზედ. ეს ხდება მაშინ, როცა მწერი დაჯდება ყვავილს.

პოლლინიები მაშინ ისრებივით გამოცვივიან და მიეკვრიან მწერს. ,,ამ მოულოდნელი მოძრაობით აღშფოთებული, ან ტკბილი წვენით გამაძღარი მწერი, აღრე თუ გვიან [სტოვებს ამ ყვავილს და გადააქვს მტვერი დედობრივ ყვავილზე; აქ მწერი იმავე გზით მოეწყობა ყვავილზე და ისარის ის ნაწილი, რომელშიაც მტვერი იმყოფება, ეკვრის ბუტკოს ტანის ლორწოიან პირს'' (დარვიანი, l. c.ა გვ. 206).

ამ საოცარ გარემოების მეოხებით მომხდარ შეუღლების დაწვრილებით აღწერის შემდეგ დარვინი ამბობს: ,,ვინ გაბედავდა ეფიქრა, რომ გვარის გამრავლება დამოკიდებული ყოფილიყოს ასეთს რთულს მექანიზმზე, ესოდენ ხელოვნურად და მასთანავე ესოდენ უნაკლულოდ მოწყობილზე''? (გვ. 239).

საოცარის საშუალებით ანაყოფირებენ მწერები ერთგვარ ორქიდეას, ეგრედ-წოდებულს ღერმინიუმს (Herminium monorchis). ამ მცენარეს ფრიად პაწაწა ყვავილები აქვს და მწერიც უნდა პაწაწკინტელა იყოს, რომ შიგ მოთავსდეს. უადგილობის გამო ეს მწერები იძულებულნი არიან განსაკუთრებული მდგომარეობა მიიღონ ყვავილის ერთს კუთხეში. პოლლინიები ისეა მოწყობილი, რომ უთუოდ მწერის ერთ წინაფეხს უნდა მოხვდეს და როცა მტვერით დატვირთული ფეხებით გადადის მეორე ყვავილზე, აუცილებლად ანაყოფიერებს სწორედ შესაფერ ადგილზე მყოფ ბუტკოს ტანის პირს. ,,მე არ შემიძლია მოვიყვანო მეორე მაგალითიო, — ამბობს დარვინი, — საცა ყვავილის ყოველი ნაწილი ისე საოცრად იყოს მოწყობილი განაყოფიერების განსაზღვრულ საშუალების მხრივ, როგოროდაც ეს პაწაწა ღერმინიუმის ყვავილი''-ო (გვ. 57).

ხოლო ორქიდეათა გარდაც ბევრია ისეთი ყვავილი, რომლის საკვირველი მოწყობილობა წარმოადგენს მწერთა მიერ მის განაყოფიერების გასაოცარ ხელის შეწყობას.

არა მარტო მცენარეთა ყვავილების შესწავლა, არამედ ცპოველთა ცხოვრების მრავალი მაგალითიც ცხადჰყოფს

ბუნების ჰარმონიას. ჩვენ აქ მოვიყვანთ მხოლოდ ღირსშესანიშნავ მაგალითებს.

ყველას არა ერთხელ უნახავს დედამიწის ზედაპირზე მფრინავი ლამაზი და მოხდენილი, კოპწია კრაზანა. ეს კრაზანა ხშირად ჩაძვრება ხოლმე მიწაში ან სილაში და მალე სტოვებს სოროებს. ეს გახლავთ მთხრელი კრაზანა. მათი ზნე-ჩვეულებანი დიდი გამჭრიახობით შეისწავლა **ფაბრმა**. ეს კრაზანა სცხოვრობს განკერძოებით და მისი ცხოვრება დიდად განსხვავდება მის თანამეგვარეთა ცხოვრებისაგან. ფუტკარი ასაზრდოებს თვის ჭიას თაფლითა და ყვავილების მტვერით, ხოლო ონავარი კრაზანა მიუტანს საზრდოს თვის სათუთსა და უმწეო ჭიას და გვერდით დაუდებს. ფუტკარიც და კრაზანაც ულოლიავებენ თავიანთ ჭიებს, ზრდიან, წვრთნიან.

მთხრელი კრაზანა კი სულ სხვაფრივ ჰმოქმედობს. ის ვერც კი ჰხედავს თავის შთამომავლობას, რადგან კვერცხს სდებს ამოთხრილს სოროში, რომელსაც თავს წაულესავს ხოლმე. ჭიები ისე იბადებიან, რომ დედა ვერც კი იხილავს მათ. ხოლო საზრდოს დედა დაუმზადებს ადრევე, ვიდრე კვერცხებს დადებდეს. ამიტომ ისინი გათხრიან სოროს თუ არა, ჩაყრიან შიგ ობობას, კალიებსა და სხვა მწერს.

მთხრელ კრაზანას ყოველი გვარი საზრდოდ ჰხმარობს ერთს რომელსამე ან რამდენსამე მონათესავე გვარის მწერს და ისეთის სისწორით ირჩევს საზრდოს, თითქოს რომელიმე კოლლექციონერი აგროვებდეს მისთვის საინტერესო პატარა ცხოველთა რომლისამე გვარის წარმომადგენელთ.

დიდად სახელგანთქმული ენტომოლოგი **ლეონ დეუფური** გაოცებულია იმით, თუ რა ოსტატურად ეძებს და იჭერს კრაზანა **ცერცერისი** ლამაზსა და ფრიად იშვიათ კოლოებს **ბუპრესტის** გვარისას. ამ ჭოლოთა შესასწავლად მან მიჰმართა იმ მასალას, რომელიც შეგროვილი ჰქონდა **ცერცერისს** სოროში. ამგვარად გაიადვილა შრომა მათის დაჭერისა და შეგროვებისა.

სოროები სავსე იყო უმოძრაო **ბუპრესტებით**. თუმცა მკვდარი ჭოლო ჩქარა ხმება, აქ კი ჭოლოები კარგად შენახულიყვნენ რამდენისამე კვირის განმავლობაში. ამიტომ **ლეონ დეუფური** დარწმუნდა, რომ **ცერცერისი**, ვიდრე მოჰკლავდეს თავის მსხვრპლს, უშხაპუნებს კან ქვეშ რაღაც ანტისეპტურს საშუალებას და ამის მეოხებით ინახება ჭოლო უხრწნელად.

ფაბრმა მეტიც გაიგო ამ კრაზანათა ცხოვრების. თურმე ისინი კი არ ჰხოცავენ ჭოლოებს, არამედ აბრუებენ, ადამბლებენ. ამ მსხვერპლთა ზოგიერთ ნაწილთა მოქმედებამ დააარწმუნა **ფაბრი**, რომ ისინი ცოცხალნი არიან. ისინი ოდნავ მოძრაობენ კიდეც, მხოლოდ სიარულისა და მით უმეტეს გაქცევის თავი კი არა აქვთ. ამ სიდამბლის მექანიზმი, რამდენადაც ის ცხადჰყო **ფაბრმა**, მართლა რომ ფრიად განსაცვიფრებელი მოვლენათაგანია ბუნებაში. დაიჭერს თუ არა მწერს ანუ ობობას, ალღოს ხელმძღვანელობის მეოხებით მთხრელი კრაზანა ჩაასობს თვის ისარს სწორედ იმ ალაგას, საცაა ცენტრი ფეხების მოძრაობის ნერვებისა. რბილკანიან ცხოველების (ობობა, კალია) ისრით გაგმირვა არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს კრაზანასათვის, ხოლო ჭოლოებს საზოგადოდ და **ბუპრესტისსა** და **გრძელცხვირას** განსაკუთრებით ძალიან მაგარი კანი აქვთ, ასე რომ მათი განგმირვა თავისის წვრილისა და პატარა ისარით კრაზანას არ შეუძლია. ამიტომაც თავის სურვილის მისაღწევათ **ცერცერისი** მოუძებნის გულმკერდზე ისეთს ადგილს, პირველსა და მეორე ფეხთა შუა, საცა თხელი კანია, და ასობს ისარს სწორედ იმ ადგილას, სადაც იმყოფება ფეხთა მოძრაობის ნერვების ცენტრი. **ბუპრესტისს** ყველა ფეხის ცენტრები თითქმის ერთს ადგილას აქვს და ამიტომ ერთის ისარის ჩასმით უდამბლდებათ ყველა ფეხი. ასეთის ოპერაციის შემდეგ **ბუპრესტისი** დამბლა დაცემულია, ხოლო სიცოცხლე არ ესპობა მრავალ დღის განმავლობაში. „**ცერცერისები** ჭოლოების მოტაცების დროს

ისეთის კანონებით ხელმძღვანელობენო, — აბბობს ფაბრი. [1]) — რომელთა შეთვასება შეუძლია ადამიანს უაღრესის მეცნიერების მეოხებით ანატომიისა და ფიზოლოგიის შესწავლით. სულ მეტია კაცმა ყოველივე ეს შემთხვევას მიაწეროს: ამ-გვარ ჰარმონიის შემთხვევით ახსნა არ შეიძლება."

გაავსებენ თუ არა სოროებს საკმარისად მწერებითა და ობობებით, კრაზანები დასდებენ შიგ კვერცხებს და წაუ-ლესვენ თავს. რამოდენსამე ხნის შემდეგ კვერცხიდან გამოი-ჩეკება ჭია და სჭამს იქვე მყოფ მწერებს. რომ ეს მწერები დამბლა დაცემული არ ყოფილიყვნენ, ხომ გაექცეოდათ, ან რომ მკვდარნი ყოფილიყვნენ, გახმებოდნენ ან დალპებოდ-ნენ და ჭიების საზრდოთ აღარ ივარგებდნენ. მაშასადამე, ასეთი საოცარი ალღოს განვითარება, რომლის მეოხებითაც მთხრელი კრაზანა ადამბლებს თვის მსხვერპლს, გამოწვეუ-ლია პირდაპირისა და აუცილებლობის საჭიროებით. ჭია შესჭამს ჯერ ერთს, მერე მეორეს და დანარჩენებს იმ დრომ-დე, ვიდრე მაგარ კანით არ შეიმოსება მთელ ზამთრის გან-მავლობაში გაზაფხულამდე.

ზაფხულზე პარკად იქცევა და შემდეგ კი — მთელ მწე-რად. ახლა უკვე გამოდის პარკიდან და თავისუფლად დაჰფ-ფრინავს ისე, როგორც დაჰფრინავდა მისი დედა, რომელიც არასოდეს არ უნახავს.

ბუნების ჰარმონიულ მოვლენათა შორის ძნელი წარმო-სადგენია მეტად გასაოცარი მაგალითები, ვიდრე მთხრელ კრაზანათა ზნე-ჩვეულებანი და ორქიდეათა განაყოფიერების მექანიზმი. ხოლო ბუნების ჰარმონიულ მოვლენას ადამიანი ჰხედავს ყოველს ნაბიჯზე. ამიტომაც არ არის გასაკვირველი რომ მათ დიდი ხანია მიიპყრეს მრავალ მკვლევართა და მე-აზროვნეთა ყურადღება. ვინაიდგან მათი ახსნა შეუძლებელი იყო თვით ინდივიდუუმთა შეგნებულის მოქმედებით, რადგან

---

[1]) „Souvenirs entomologiques". I. Série. 1879. p. 71—78.

ფრიად მდაბალ საფეხურზე დგანან ორგანიზაციისა და გონებრივის მხრივ, იმიტომაც ბუნებრივად რაცხდნენ ეძებნათ უმაღლეს ძალთა მოვლინება, რომელსაც უნდა შეექმნა და წინგაძღოლოდა ბუნების ამ მოვლენებს. ხოლო ასეთი შეხედულობა კი ცალმხრივია.

ორგანიზაციისა და ცხოვრების ახლო შესწავლამ დაგვანახა, რომ სრულ ჰარმონიასთან მოიპოვება ისეთი ფაქტებიც, რომელიც გვარწმუნებს, რომ შეფერება ან ნაკლებად არის მოხერხებული და ან სრულიად არ არსებობს.

ორქიდეათა ყვავილის ანალიზი თითქოს გვარწმუნებს, რომ ყოველი მისი ნაწილი—მცირედიც და უმნიშვნელოც კი—განთვისებულად მოქმედობს განაყოფიერებისა და შეუღლების საქმეში. ნამდვილად-კი ეს ასე არ არის: ზოგიერთ ორქიდეას ორგანოები არავითარ ფუნქციას არ ასრულებენ.

თვით იმ **კატაზეტუმს**, რომელიც ისარივით ესვრის ხოლმე პოლლინიებს მწერთა ტანს, აქვს ისეთი დედობრივი ყვავილები, საცა მამობრივი ნაწილები მიმქრალი და სრულიად უმნიშვნელოა ამ ყვავილებში „... არც ერთი ორ აპკისებურ ტომსიკებთაგანი, რომლებშიაც იმყოფება შეჯგუფული რუდიმენტული პოლლინიები, არ იხსნება; ისინი განცალკევებულნი არიან ერთი მეორისაგან და სცილდებიან მამობრივ ღერს (ციმციმას). მათი ქსოვილი მსხვილია და ხორციანი, როგორადაც რუდიმენტულ ორგანოთა უმეტესი ნაწილი; მათი ზომა და ფორმა ფერადია; მათი პოლლინიები, რომელიც, მაშასადამე, უხმარია, ერთი ათად ნაკლების ზომისაა, ვიდრე მამობრივ ყვავილთა პოლლინიები“. (დარვინი). მაშასადამე, ეს პროდუქტები უეჭველად უხმარია.

ამ რუდიმენტულ პოლლინიათა არსებობა, რომელთა გადატანაც და მათ მიერ დედობრივ ყვავილთა განაყოფიერებაც შეუძლებელია, ადვილი ასაღსნელია მით, რომ ოდესმე **კატაზეტუმის** ყვავილები ნამდვილი გერმაფროდიტები (აკუმები) იყვნენ. ხოლო დროთა განმავლობაში მამობრივი ორ-

განოები დაკნინდნენ იმ ყვავილებში, რომელთაც, პირიქით, განავითარეს დედობრივი ელემენტები. ამ დაკნინების პროცესსის დასამტკიცებლად საკმარისია ის მოვლენა, რომ ეს დაკნინებული პოლლინიები ვეღარ ასრულებენ თვის ნორმალურ ფუნქციას.

უმოქმედო რუდიმენტული ორგანოები ხშირია და ყოველ ნაბიჯზე გვხდებიან. ჩვენ ვხედავთ, რომ მიწაში მცხოვრებ ცხოველებს მხოლოდღა დაკნინებული თვალები აქვსთ; იმ ცხოველთა და მცენარეთ, რომელთაც გამრავლება არ შეუძლიათ,—დაკნინებული სქესობრივი ორგანოები.

ორქიდეები და მრავალი სხვა ყვავილები შეუგუებიათ მწერებს განაყოფიერებისათვის, როგორადაც მრავალ მწერთ შეუთვისებიათ უნარი ყვავილების გამოყენებისა. პეპელებსა, ფუტკარს და მრავალ სხვა მწერს საოცრადა აქვთ პირი მოწყობილი ყვავილში ჩასაყოფად და ტკბილის წვენის ამოსაწუწნად. ხოლო მრავალია ისეთიც, რომელსაც ასე ბედნიერად არა აქვთ მოწყობილი საწუწნი იარაღი.

ხშირია ისეთი მოვლენაც, როცა მწერები თამამად აჯდებიან ყვავილებს მათთვის მიუწვდომელ წვენისათვის, ვერას ხდებიან და იღუპებიან კიდეც. **დარვინს** უნახავს „ერთი პაწაწა მწერი, ჩავარდნილი გამაგრებულ ლორწოში და იმგვარად მიკრული ორქიდეა **ლისტერა ოვატას** ბუტკოს პირზე და პოლლინიებზე, რომ ვერას გზით ვერ დაეხწევია თავი. მწერი თვით ერთს პოლლინიაზე მომკრო იყო, ლორწოიანი სითხე მოხვედროდა და ღონე კი აღარ შესწევდა თავი დაეხწია მის სიმძიმიდან. საცოდავი მწერი დაისაჯა, რადგან შეუხამებელი შრომა იკისრა და დაიღუპა კიდეც“.

მრავალია ისეთი მწერი, რომელთ საწუწნი იარაღი შეხამებული აქვთ ყვავილთა წვენის შესაგემებლად. სხვებიც არ იუარებდნენ მათ წვენს, თომ ისევე მოწყობილნი ყოფილიყვნენ. **კოკცინელლას** ანუ ჭია მაიას (ხვალდარიის) უყვარს ყვავილის წვენი. ხშირად უნაყოფოდ სცდილობს გამოწუწნოს წვენი

ბაბუწვერას. **ხერმან მიულლერი**[1]) მოგვითხრობს, თუ როგორ ცდილობს ეს მწერი აიღოს ტკბილი წვენი **ეროდიუმ ციკუტარუმისა**. „უხვრხულება, თუ როგორ შეუხამებლად ეტანება ეს ჭოღო ყვავილის წვენს, იმოდენად სასაცილოა, რომ ღირს მოთხრობად. დააჯდება ხვალდარია ყვავილის ფოთოლს და შეუდგება ფოთლის ძირში წვნის ძებნას თუ არა, ფოთოლი სწყდება და ისიც დაეცემა მეორე ფოთოლზე ან ვარდება მიწაზე ფოთლიანათ. პირველ შემთხვევაში მოივლის ყველა ხუთსავე ფოთოლს და ტყულაუბრალოდ უვლის ირგვლივ დაცვენილ ყვავილს, ხოლო მეორე შემთხვევაში ხელმეორედ აღოღდება იმავე ყვავილის მეორე ღეროზე და თავიდამ იწყებს იმავე ისტორიას. ოთხჯერ მოსხლტა ერთი ხვალდარია ყვავილიდან, ძირს დაეცა, მაგრამ მაინც თავისას არ იშლიდა“.

ფრიად შეხამებული ზოგიერთ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად მწერთა ალღო ხშირად საოცრად და შესანიშნავად მიიდრიკება ხოლმე საუკეთესოთოდ. ვიდრე დაპარკდებოდეს პეპელების ჭია გარს ირტყამს მშვენივრად მოქსოვილ პარკს. ეს პარკი იცავს ყოველ გარეშე მავნე გავლენისაგან. ამის მეოხებით გადიქცევა პარკუჭად და შემდეგ პეპელად, ხვრეტს პარკის თავს და გამოფრინდება. თუ პარკი რითიმე დაშავდა, მისი წესიერი გადაქმნა შეუძლებლად ხდება და ჭია კვდება. **ფაბრს**. [2]) უნდოდა გაეგო, შეუძლია თუ არა ჭიას ქსოვის დროს ხელოვნურად დაზიანებული პარკი გაასწოროს. ამ აზრით მაკრატლით მოსჭრა თავი პარკს სწორედ იმ დროს, როცა **მახაონის** ჭია პარკს ჰქსოვდა. ჭია ჰქსოვდა ქვეით და ვერ ამჩნევდა, რომ პარკს თავი მოჭრილი ჰქონდა. ამ შემთხვევაში „**მახაონის** ჭია ვერ ამჩნევდა, რომ დაღუპვა მოელოდა და წყნარად, სისწორით ჰქსოვდა თავის საქსოვს; როცა ქსოვდა უკანასკნელ წყობას, ვერ ამჩნევდა, რომ ეს წყობა

---

[1]) „Die Befrunchttung der Blumen durch Insedten“. 1873. p. 167.

[2]) „Souvenirs entomologiques“, 4-me série, p. 47.

ჩაქსოვილია ცარიელ ადგილზე და არ ცდილობდა ამოევსო ჭუჭრუტანა. უყურადღებობის გამო ზედმეტად შრომობდა".

სრულ ჰარმონიას ვერ ჰნახავთ ვერც მთხრელ კრაზანათა შორის, თუნდა მათი შეგუებული ალღო ესოდენ ძლიერია. ფაბრს უნდოდა გაეგო, როგორ მოიქცევა კრაზანა, თუ კაცი მოსტაცებს სოროში ჩადებულ კვერცხებს. ამის გასაგებად მოჰპარა სოროდან ობობას მტერს მთხრელ კრაზანა **პელოპეას** [3]) კვერცხები. „**პელოპეა** განაგრძობდა უკვე მოტაცებულ კვერცხებისთვის ობობების ჭერას და სოროში გროვებას; ამრავლებდა საზრდოს იმოდენადვე გულმოდგენით, რამდენადაც მე ვპარავდი." მწერი უაზროდ განაგრძობდა თვის ნადირობას და ვერ ამჩნევდა რომ მისი შრომა უნაყოფო იყო. აი, მაშასადამე გადაგვარებულ, უაზრო დედაშვილურ ალღოს მაგალითიც.

ასეთს მუდმივ ზრუნვასთან შთამომავლობისათვის, რომელსაც არ ეღირსება არსებობა, ჩვენ ვხედავთ სრულიად წინააღმდეგ მოვლენასაც. ზოგიერთი დედა ჰბოცავს და სჭამს შვილებს. დედა ბაჭია ხშირად შესანსლავს ხოლმე შთელს თვის შთამომავლობას, ანდა არ უვლის, შიმშილით ჰკლივს. ზოგჯერ ამას სჩადიან გამოუცდელნი ახალგაზდა დედები, ხოლო ზოგჯერ ეს დამახინჯებული (ინსტინქტი) ალღო ხნიერ დედებსაც ეჰჩნევათ, რომელთაც ჩვეულებად დასჩემებიათ მიტოვება ან შესანსლა თვისი შვილებისა. სხვა ძუძუმწოვარ ცხოველთა და ფრინველთა შორისაც ხშირია ისეთი შემთხვევა, როცა დედა ან უმწეოდ სტოვებს ან შესჭამს თვის შთამომავლობას.

დამახინჯებული ალღო გავრცელებულია აგრეთვე ცხოველთა შორის. გიუბერი [1]) გვარწმუნებს, რომ როცა ჭიანჭველებს დედლები აკლდებათ, მამლები მისცვივიან მუშებს და ძალას ატანენ. ეს ძალდატანება ჟლეტავს მათ, რადგან მათი სქესობრივი ორგანოები არ არის სრულებით განვითარებული და სახმარი სქესობრივი მხრით.

---

[1]) „Recherches sur les moeurs des fourmis indigénes". Paris. 1810.

უწესო შეუღლება შემჩნეულია ლუკანუსისა, ფუტკართა და განსაკუთრებით მაჟაურთა შორისაც. [2])

ასეთივე შემთხვევები შემჩნეულია უმაღლეს ცხოველთა შორისაც, მაგალითად ძაღლთა შორის. ძუძუმწოვრები ჩუკნაობასაც ეწევიან, მაიმუნები და ირმები; ორივე სქესის ცხენი ხშირად აკმაყოფილებს სქესობრივ მოთხოვნილებას უწესოდ. ამბობენ ძაღლი, დათვი, აქლემი, სპილო, თუთიყუში და სხვანი ჩუკნაობას ეწევიანო. [3])

კიდევ კარგი, რომ ეს დამახინჯებული ალღო არ ჰკლავს ცხოველებს. ხოლო ბუნებაში უფრო საშიში დამახინჯებული ალღოა გავრცელებული. ვის არ უნახავს, თუ რა უამრავი მწერი აწყდება ხოლმე ზაფხულში სანთელსა და ცეცხლს? მათ შორის ხშირია ჭოღო, დღიურა და უმეტესად ღამის პეპელები. ევლებიან ირგვლივ ალს, ეწვებათ ფრთები და ცვივდებიან აუარებელის რიცხვით. ეს ალღო ისეთი მუდმივი და განვითარებული აქვთ ამ მწერებს, რომ მას ხმაობენ ხერხად ამ მწერთა გასანადგურებლად. სხვათა შორის ერთგვარი ღამის პეპელის—ბოტის სტიკტიკალის—გასაწყობად, რომლის ჭია ფრიად ერჩის პურსა და ჭარხალს, ურჩევენ მინდვრებში ცეცხლის გაჩაღებას. [4]) პეპელები ეტანებიან სინათლეს და უამრავად ვარდებიან ცეცხლში.

როცა დღიურა (ეფემერა) მრავლად გაჩნდება წყლის პირად, მეთევზები ნავებში წაუკიდებენ ცეცხლს თივას და ეს მწერები შემოეხვევიან ალს, იწვავენ ფრთებს და ვარდებიან წყალში. აქ მათ დაესევიან თევზები და ჰყლაპავენ. [5])

ასეთი დისჰარმონიული, დამღუპველი ალღო ემჩნევათ ღამის მწერებს. ისინი დღისით ისვენებენ და მხოლოდ მზის ჩასვლის შემდეგ გამოდიან თვისი თავშესაფარიდან. პურის

---

[2]) Féré. „L'instinct sexuel" 1902, p. 76.

[3]) Moll: „Untersuch. üb. d. Libido sexualis". t. II. p. p. 372, 373.

[4]) კეპენი. „მავნე მწერები" ტ. II, 1883, გვ. 237.

[5]) Swammerdam: „Biblia naturae Leyda"e. 1737.

ყანებში ხშირია ჭოლოები — ანიზოპლია და **რიზოტროგუს.** ისინი ძლიერ ჰგვანან ერთმანეთს. ხოლო როცა ღამით ანთებენ ცეცხლს, მისკენ თავგამეტებით მიესწრაფვის მარტო **რიზოტროგუსი.** ანიზოპლია კი წყნარად ჰზის პურში. ეს ჭოლოები შეუღლდებიან ხოლმე დღისით, ხოლო **რიზოტროგუსები** ღამით. მარტო მამლები დაჰფრინავენ ბნელში და მიდიან ცეცხლზე იმ დროს, როცა დედლები სხედან მიწაზე მცენარეთა შორის [1]). ალბად სინათლე უღვივებს სქესობრივ მღელვარებას. დედლის ძებნაში აწყდებიან ცეცხლს, სადაცა ჰფიქრობენ დედლის მოპოვებას და ვერ ამჩნევენ საფრთხეს.

ასეთს შეხედულებას ამ დისჰარმონიულსა და დამღუპველ ალღოსას ის საბუთიც აქვს, რომ ცეცხლზე მიზიდული პეპლები თითქმის ყველა მამლებია. ენტომოლოგები ეუბნებიან მიწის მწარმოებელთ, რომ მავნე ბოტისის ცეცხლით განადგურება შეუძლებელიაო, რადგან დედლები ცეცხლს არ ეკარებიანო, რომელთაც, მაშასადამე, შეუძლიათ დასდონ კვერცხები და გამოიყვანონ გაუმაძღარ ჭიათა თაობაო.

დღიურებში მამლები სჭარბობენ. მაშასადამე, საფიქრებელია, რომ მათი ცეცხლთან ტრიალი წარმოადგენდეს სქესობრივ ალღოს დამახინჯებას. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჭოლოთა შორის არიან ისეთებიც, რომელთა დედლები ღამით ანათებენ და იზიდავენ მამლებს სინათლით. მხოლოდ უფრთო დედალი ციცინათელა ანათებს ხოლმე საამურად. და მათ შორისაც, როცა დედალიც და მამალიც ანათებენ, დედლები უფრო დიდ სინათლეს იღებენ. თუნდა ისიც მართალია, რომ ზოგიერთ ჭოლოთა ჭიებიც ანათებენ უფრო მეტად. ეს მოვლენა **დარვინმა** [2]) იმის საბუთად გამოიყენა, რომ სინათლის ბეოხებით მწერნი მტერს აშინებენო. ასეთი დასკვნა შესაძლოა, ხოლო შესაძლოა ისიც, რომ სინათლის მეოხებით მწერები გზას იკვლევდნენ სიბნელეში [3]). მაგრამ

---

[1]) ბრემი. „მწერები“.

მაინცა და მაინც თვალსაჩინოა, რომ ნათებას სქესობრივი ხასიათიც აქვს მამლის მიზიდვის საქმეში.

ჩვენ აქ არ გამოუდგებით მაინცა და მაინც ამ აუარებელ მწერთა დამღუპველ ალღოს მნიშვნელობას. ჩვენთვის მეტად საგულისხმოა ის, რომ ბუნებაში ხშირია დისჰარმონია ცეცხლთან მიმზიდველ ალღოსა და მის დამღუპველ შედეგს შორის.

ცხადია, ალღო ან რომელიმე დისჰარმონიული თვისება თუ უსწრაფავს სიკვდილს, იგი (ალღო) ვერც ფეხს მოიკიდებს და ვერც გავრცელდება. დამახინჯებული დედაშვილური ალღო უსპობს სიცოცხლეს შთამომავლობას. ამიტომაც მას (შთამომავლობას) საიდან შეუძლია ან განავითაროს, ან შთამომავლობას გადასცეს ეს დამაინჯებული ალღო? რომ ყველა დედალ ბაჭიებს ან და მათ უმეტეს ნაწილს არ მოევლოთ შვილებისთვის, ხომ დღეს მათი სინსილაც აღარ იქნებოდა. პირიქით, ის დედლები კი, რომელნიც წესიერად ზრდიან და უვლიან შვილებს, წარმოშობენ საღ ახალ თაობას და გადასცემენ მას ამ გვარის გამრავლებისათვის საკეთილდღეო ალღოსაც. ამიტომაცაა, რომ ბუნებაში ჩვენ ჰარმონიულ თვისებას მეტს ვხედავთ, ვიდრე დამღუპველს, მავნეს. მავნე თვისება მავნეა კერძო პირისა და გვარისთვისაც. ამგვარად სწარმოებს თვისებანი. სასარგებლო თვისებანი გადადიან შთამომავლობაში და ინიხებიან, ხოლო მავნენი ისპობიან. ამ დისჰარმონიულ თვისებებს შეუძლიათ გვარის მოსპობა, ხოლო შესაძლოა ისაც, რომ ვიდრე რომელიმე გვარს გაანადგურებდეს, თვით მოისპოს და ამ შემთხვევაში ვნების მაგიერ სარგებლობა მოუტანოს გვარს.

ეს ბუნებრივ არჩევნის განუწყვეტლივი პროცესი მშვე-

---

[3]) დარვინი. „ადამიანის წარმოშობა და სქესობრივი შერჩევა“.

[2]) R. Dubois, „Les Elatérides lumineux“. Meulan. 1886, p. 209

ნივრად ცხადჰყოფს გვართა გადაქმნასა და წარმოშობას სასარგებლო თვისებათა დაცვა-შენახვითა და მავნე თვისებათა მოსპობით. იგი აღმოაჩინეს დარვინმა და **ოოლესმა**, ხოლო უკანასკნელმა ამ დიდებულ მეცნიერთაშორის საკმარისად გააშუქა და გამოამზეურა.

მაშასადამე, ადამიანის გაჩენამდე დედამიწაზე იყვნენ ბედნიერნი წესიერად შეგუებულნი ქმნილებანი და უბედურნიც, რომელნიც თვისი დისჰარმონიულის აღლოს მეოხებით ზიანდებოდნენ ან იღუპებოდნენ. რომ ამ ქმნილებათ შესძლებოდათ აზროვნობა და თვის შთაბეჭდილებათა გამოთქმა, ცხადია, ორქიდეები და მთხრელი კრაზანები ოპტიმისტთა გუნდში ჩაირიცხებოდნენ. ისინი გვეტყოდნენ, რომ ქვეყანა მშვენივრად არის მოწყობილი და სრულის კმაყოფილებისა და ბედნიერების მისაღწევად საკმაოა დაემორჩილო ბუნებრივ **ალღოსაო**. დისჰარმონიული და ცხოვრების ვითარებას ცუდად შეგუებული არსებანი უთუოდ პესიმისტურის შეხედულებისანი იქნებოდნენ. უკანასკნელთა გუნდში ჩაირიცხებოდნენ შიმშილისა და გემოს გაღებით თაფლისაკენ სულწაძლეული ხვალდარია, რომელიც უნაყოფოდ ეძებს ყვავილების წოვნას და უნაყოფოდ დროს ჰკარგავს, ანუ ცეცხლისაკენ ალღოთი მიზიდულნი მწერნი, რომელნიც ფრთებს იწვავენ და იღუპებიან: რასაკვირველი იქნებოდა, ამათ რომ გამოეცხადებინათ ქვეყანა საზიზღარია, უნდა დაინგრეს და ქვა ქვაზე აღარ დარჩესო.

მაშ, რომელ გუნდში უნდა ჩაირიცხოს ჩვენთვის ყველაზე მეტად საინტერესო კაცობრიობა? შეგუებული არის ადამიანის ბუნება ცხოვრების ვათარებასთან თუ დისჰარმონიული? ამის პასუხისათვის საჭიროა ფაქტების ვრცელი განხილვა; მკითხველი ამას ქვევით დაინახავს.

თ ა ვ ი III.

ჰიპოტეზა ადამიანის მაიმუნიდან წარმოშობისა.

ნათესაობა ადამიანისა და ადამიანისმსგავს მაიმუნთა შორის. — ანალოგია მათ კბილთა, ხელ-ფეხთა და ტვინს შო-

რის.—მსგავსება ადამიანისა და ადამიანის მონაგვარ მაიმუნთა ჭიისმსგავს ნაწლევისა.—ანალოგია ნამდევარასა და ადამიანის ჩანასახსა და ადამიანისმსგავს მაიმუნთა შორის.—სისხლის ნათესაობა ადამიანისა და მაიმუნებისა და მათი ცხადყოფა გემოლიტიურ და დამლეკავ შრატებით.—გვართა გადაქმნა.—მკვეთრი გარდასვლა მაიმუნისაკან ადამიანამდე.—დამთვლელი ინოდი, როგორაც მაგალითი ადამიანის ახალ თვისებათა უეცრივის გაჩენისა.—ადამიანის რუდიმენტული ორგანოები.—ადამიანის პროგრესიულ და რეგრესიულ ორგანოთა შორის დამოკიდებულობა.

ვიდრე ადამიანის ბუნებას შევიგნებდეთ, საჭიროა გავითვალისწინოთ ადამიანის გაჩენის ამბავი, რომელიც მრავალი საუკუნოების განმავლობაში აინტერესებს კაცობრიობას. როგორც ჩვენ დროამდე მოღწეული გადმოცემა ამბობს, ადამიანი ღვთის განსაკუთრებული ქმნილებაა. ამ საგნით დაინტერესებულნი არიან მეცნიერულად ბუნების მკვლევარნიც.

აგერ მეორე საუკუნეა, რაც დარვინმა ადამიანსაც შეუფარდა ბუნებრივ არჩევანის კანონის აღმოჩენა და მისი მნიშვნელობა სახეთა გადაქმნაში.

რა რომ მისი ძირითადი შრომა გამოქვეყნდა **სახეთა წარმოშობაზე**, დიდის გულდასმით შეუდგნენ ადამიანის წარმოშობის საგნის შესწავლას. რამდენისამე წლის შემდეგ (1863 წ.) **ჰეკსლემ** ამ საგნის შესანიშნავი მიმოხილვა დასწერა: „რა მდგომარეობა უჭირავს ადამიანს ბუნებაში". ფრიად საყურადღებო მეცნიერულ საბუთთა მეოხებით ის ამტკიცებს, რომ ადამიანი წარმოსდგება ცხოველთაგან, რომ ის არის მაიმუნის, განსაკუთრებით ადამიანისმგავს მაიმუნის, მონათესავე ძუძუმწოვარი.

და თუნდა **ჰეკსლემ** ეს დიდის ოსტატობით აღსნა, შაინც დღემდე მოიპოვებიან ფრიად განვითარებულნი და განათლებულნი კაცნი, რომელნიც ამტკიცებენ, რომ მეცნიერებამ ვერ გვიპასუხა „საიდამ წარმოვსდგებით"-ო და „ევო-

ლიუციის თეორიას არ ძალუძს ოდესმე ამის პასუხი მოგვცესო“ (ბრიუნეტიერი: „Revue des deux Mondes“ 1 janv. 1895)

ადამიანის ტანის დაწვრილებითი შესწავლა საბოლოოდ და გადაჭრით გვიმტკიცებს მჭიდრო დამოკიდებულებას ადამიანსა და ადამიანისმსგავს მაიმუნთა შორის.

გამოჩენილი ბუნებისმეტყველნი, მათ შორის დიდებული **ლინნეი**, **შიმპანზეს**ა და **ორანგუტანგის** აღმოჩენის შეოხებით დაადგნენ იმ აზრს, რომ ადამიანი და დიდის ტანის მაიმუნები მონათესავენი არიანო.

იქიდან დაწყებული შეუდგნენ მათის ორგანიზაციის დაწვრილებით შესწავლას და განკერძოებით ყოველ ძვლისა და კუნთის შედარებას ადამიანისა და დიდ-ტანიან უკუდო მაიმუნებისას. ამ ორგანიზმთაშორის ანალოგია წვრილმანებშიაც კი საოცარი აღმოჩნდა.

ჩვენ ვიცით, თუ რა მნიშვნელობა აქვს კბილებს სახეთა მსგავსებისა და განსხვავების გამორკვევაში, ხოლო ადამიანის კბილები ფრიად ჰგვანან ადამიანისმსგავს მაიმუნთა კბილებს. ჩვენ კარგად ვიცით მოსაცვლელ და მუდმივ კბილების ამბავი. ამ შემთხვევაში ადამიანსა და ადამიანისმსგავს მაიმუნთა შორის საოცარი მსგავსებაა. ორივეს კბილების ერთი და იგივე რიცხვი აქვთ — 32; გარეგნობაცა და საზოგადო განწყობილობაც ერთია. განსხვავდებიან მხოლოდ მეორეხარისხოვან თვისებით: ფორმით, შედარებითის სიდიდითა და კუნძებით. ადამიანისმსგავს მაიმუნებს კბილები უფრო განვითარებულნი აქვთ ვიდრე ადამიანს. გორილლას წინა კბილები მეტად გრძელი აქვს და უკანა კბილების ძირები უფრო რთული, ვიდრე ადამიანს.

ხოლო ისიც უნდა გვქონდეს გულში, რომ ყველა ეს განსხვავება მეტად ნაკლებია, ვიდრე ადამიანისმსგავსსა და დანარჩენ მაიმუნთა კბილებ შორის. პავიანებს, რომლებიც ფრიად ახლო დგანან ადამიანისებურ მაიმუნთან, კბილები

სრულიად სხვაგვარი აქვთ. მათი ზედა უკანა კბილების ფორმა სულ სხვაა, ვიდრე გორილლასი. წინა კბილები გრძელია და უკანა მეტად რთული, ვიდრე გორილლასი.

ახალ ქვეყნის მაიმუნთა კბილები უფრო მეტად განსხვავდება ადამიანისა და ადამიანის მსგავს მაიმუნების კბილთაგან. 32 მაგიერ 36 კბილი უზით. უკანა კბილები 12 აქვთ 8 მაგიერ. მთელი შეხედულება და კბილის მოყვანილობა დიდად განსხვავდება ადამიანისმსგავს მაიმუნთა კბილებისგან.

ეს საბუთები აიძულებს **ჰეკსლეს** დაასკვნას, რომ „თუმცა დიდი განსხვავებაა უმაღლეს მაიმუნთა და ადამიანის კბილთა შორის, ეს განსხვავება ბევრად ნაკლებია, ვიდრე კბილთა განსხვავება უმაღლესსა და უმდაბლეს მაიმუნთა შორის“.

მეორე ადამიანისმგავს მაიმუნებისა ერთი მეორესთან დამახლოვებელი თვისება კუდუსუნის ანატომიაშია.

გულდასმით რომ გავსინჯოთ, მაიმუნების კუდუსუნში დავინახავთ სამს, იშვიათად ოთხს ხერხემალს. ხოლო ადამიანისმსგავს მაიმუნებისაში, ხუთს, ესეიგი იმდენსავე, რამდენსაც ადამიანის კუდუსუნში ვპოულობთ.

ჩონჩხი საზოგადოდ და თავის ქალა განსაკუთრებით დიდად განუსხვავდებათ ადამიანსა და უმაღლეს მაიმუნებს; ხოლო ეს განსხვავებაც ბევრად ნაკლებია, ვიდრე უმაღლესსა და ჩვეულებრივ მაიმუნთა შორის. მაშასადამე **ჰეკსლეს** მიერ გამოთქმული აზრი ჩონჩხის შესახებ სრულიად სწორია: „ცხადია, რომ განსხვავება გორილლასა და ადამიანის თავის ქალისა და საზოგადოდ ჩონჩხისა ბევრად ნაკლებია, ვიდრე გორილლასა და ზოგ მაიმუნთაშორის“.

იმ შეხედულობის მომხრენი, რომ კაკობრიობა ძირითადად განსხვავდება ყველა მაიმუნებისაგან, დაჟინებით უთითებდნენ ადამიანისა და ადამიანის მსგავს მაიმუნთა ტერფის განსხვავებაზედ. მართლაც, ეს განსხვავება უეჭველია. ადამიანი მუდამ ფეხზე დგას, უმაღლესი მაიმუნები კი—მხოლოდ ზოგჯერ. ამიტომაც მაიმუნების ტერფი მეტად განვითარე-

ბულია. მეგრამ არც ისე დიდია ეს განსხვავება. იმის დამტკიცებასაც კი ლამობდნენ, რომ მაიმუნები „ოთხხელა“ ცხოველები არიანო, რომ მათი ქვედა ტანი „ხელებით“ თავდებაო. ამ ხანად კი დასაბუთებულია, რომ მაიმუნებსაც ისეთივე ტერფები აქვთ, როგორც ადამიანს.

„გორილლას ფეხებიც ნამდვილის ტერფებით თავდება მოძრავის ცერითურთ. ეს არის ფეხი, რომლითაც მაიმუნს შეუძლია აიღოს საგანი, და არა ხელი. არავითარი ძირითადი განსხვავება არაა ადამიანისა და გორილლას ტერფთა შორის გარდა ზომისა, მოძრაობისა და ნაწილთა მცირემნიშვნელოვან ნაშენობისა“.

ყოველ შემთხვევაში აქაც კვლავ მტკიცდება ის კანონი, „რომ დიდია თუ მცირე განსხვავება ადამიანის ხელსა და ფეხს შორის ერთის მხრივ და გორილლას ამავე ნაწილთა შორის მეორეს მხრივ, ეს განსხვავებანი მეტად ღირსშესანიშნავია გორილლასა და დაბალ მაიმუნთა შედარებით“. (ჰეკსლე).

კუნთებისა და სხვა შინაგან ორგანოთა შედარებასაც იმავე დასკვნამდე მივყავართ: მაიმუნთა შორის განსხვავება მეტად მრავალფიროვანი და მნიშვნელოვანია, ვიდრე ადამიანისმსგავს მაიმუნთა და ადმიანს შორის.

დიდი დავა გამოიწვია ამ შემთხვევაში ტვინის ანატომიამ. ზოგიერთნი ფრიად სწავლულთაგანნი, და მათ შორის ოუენიც, ამტკიცებდნენ, რომ მაიმუნებს აკლიათ ტვინის ისეთი ნაწილები, რომელიც ფრიად დამახასიათებელია ადამიანის ტვინისა, მაგალითად: უკანა პირი, უკანა რქა და მცირე ჰიპოკამპი. ამის შესახებ გაიმართა მკაცრი პოლემიკა ანატომთა შორის, ხოლო საბოლოოდ ოუენმა ვერ გაიმარჯვა. ამ ხანად ერთხმად მიღებულია, რომ ტვინის ზემოაღნიშნული ნაწილები ერთგვარად ახასიათებს ადამიანსაცა და მაიმუნსაც. ის ნაწილები მკვეთრად გამოსახვაა მაიმუნის იმ ოვისებათა, რომელნიც ადამიანის სხეულშიც იმყოფებიან.

რასაკვირველია, ადამიანსა და ადამიანის მსგავს მაიმუნთა ტვინის განსხვავება ბევრად ნაკლებია, ვიდრე უმაღლეს და დაბალ მაიმუნთა ტვინის განსხვავება.

ნაწლევთა არხი კვლავ ამტკიცებს ადამიანისა და ადამიანისმგავს მაიმუნების ნათესავობას. ადამიანს აქვს ბრმა ნაწლევზე მიბმულს ისეთი შესანიშნავი და საოცარი ჭიისმსგავსი კოწოლი. რომლის ხშირი და საშიში დაავადება—აპენდიციტი—ასე გავრცელებულია. და ეს კოწოლიც სწორედ ერთგვარი აქვს ადამიანს და ადამიანისმსგავს მაიმუნებსაც. არც ერთს სხვა მაიმუნთაგანს ეს კოწოლი არ აქვს.

მდაბალ მაიმუნებს ან სრულიად არა აქვთ ჭიისმსგავხი კოწოლი, ანუ ისეთი აქვთ, რომ ადამიანისას თუ მოაგონებს კაცს, თორემ მეტი არა.

ამიტომაც არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ესოდენ მრავალრიცხოვან მსგავს თვისებათა მიხედვით მეცნიერებამ ამ 40 წლის წინად გამოაშკარავა უეჭველი ნათესავობა ადამიანისა და ადამიანისმსგავს მაიმუნთა შორის. ეს ჭეშმარიტება მით უფრო მტკიცედ დამყარდა მეცნიერებაში, რომ ვერავინ შესძლო ამის უარყოფა რაიმე უეჭველ საბუთის მეოხებით. ამას შემდეგ შეიკრიბა მრავალი საბუთი ადამიანისმსგავს მაიმუნთა ბუნებრივ ისტორიისათვის.

ცრუ თეორიას საზოგადოდ არ ძალუძს ახალ ფაქტების იერიშს გაუძლოს, წინაღმდეგობა გაუწიოს. ხშირად ჰლამობენ ეს ფაქტები შეუფარდონ თეორიის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. ხოლო ასეთი ცდა დღემოკლეა და თეორია უარყოფილი. ამიტომაც ჩვენის საგნისათვის სასარგებლო იქნებოდა ადამიანის ადამიანისმსგავს მაიმუნისაგან წარმოშობის თეორია შეუფარდოთ იმ მრავალ საბუთებს, რომელიც შეჰკრიბა მეცნიერებამ ამ უკანასკნელ რამდენსამე ათეულ წელთა განმავლობაში.

იმ დროს, როცა ჰექსლე ჰლამობდა ადამიანისთვის მიეთვისებინა შესაფერი ადგილ ბუნებაში, თითქმის არა იცო-

დენ რა ადამიანისმსგავს მაიმუნთა განვითარების ისტორიისა. **დარვინს** [1]), **ფოხტს** [2]), **ჰეკსლეს** [3]), როდი ჰქონდათ საკმაო ცოდნა ამ მაიმუხთა ემბრიოლოგიისა, როცა ისინი ასაბუთებდნენ ადამიანის ცხოველთაგან წარმოშობის მოძღვრებას.

უეჭველია, რომ განვითარების ისტორია ძვირფასი სახელმძღვინელოა სხეულთა ნათესაობის გამოკლევის საქმეში. ამიტომაც საინტელესოა თვალი გადავავლოთ იმ ფაქტებს, რომელიც დამყარებულია ადამიანისმსგავს მაიმუნთა ემბრიოლოგიისათვის. რადგანაც ამ გამოკვლევისათვის მასალების გამოძებნა ფრიად საძნელოა, ამიტომ არ უნდა გვიკვირდეს, თუ ამ საკითხის ეხლანდელი მდგომარეობა სრული არ არის.

ნამდევარას [4]) მოწყობილობა ძვირფასი მაჩვენებელია ძუძუმწოვართა კლასიფიკაციისათვის. ერთის თვალის გადავლებაც საკმაოა ძაღლისა და ზღვის ღორის ნამდევარაზე, რომ ამ ორ სრულებით უმსგავს ცხოველთა ნათესავობა ცხადვჰყოთ. ყველა დღემდე გამოკვლეულ ადამიანისმხგავს მაიმუნთა ნამდევარაც ისეთივე დისკოსებური ტიპისაა, როგორც ადამიანისა. **დენიკერმა** და **ზელენკამ** [5]) დაამტკიცეს, რომ წინად მარტო ადამიანისთვის დამახასიათებლად მიჩნეული ჭიპის ზონრის მდგომარეობა ისეთივეა, როგორც ადამიამისმსგავს მაიმუნებისა. უნდა აღვნიშნოთ, რომ თვის ჩანასახის გარსთა მოწყობილობით ეს მაიმუნები ადამიანს უფრო უახლოვდებიან, ვიდრე მდაბალ მაიმუნებს.

ადამიანისა და მაიმუნის ჩანასახთა მსგავსება კი საოცარია. **ზელენკა** ამტკიცებს, რომ „ადამიანის ჩანასახთა დისკოები პირველ ხანში ფრიად ემსგავსება კუდიან მაიმუნთა ჩანასახთა დისკოებს მდგომარეობითაც და შეხედულებითაც-ო“.

---

[1]) „ადამიანის წარმოშობა“.
[2]) „ლექციები ადამიანის შესახებ“.
[3]) „ანტროპოგენია“.
[4]) „Archives de soologie cxpérimentale“. 1885.
[5]) „Studien über Entwickelungsgeschichte der Thiere“ 1898—1902.

შემდეგის განვითარების სტადიები კი უკვე განსხვავდება. ახლა ადამიანის ჩანასახი უფრო ადამიანისმსგავს მაიმუნისას ემსგავსება, ვიდრე უბრალო მაიმუნისას.

შემდეგში უფრო მკაცრად იხატება განსხვავება ადამიანისა და ადამიანისებურ მაიმუნისა. ასე რომ ადამიანისმსგავს მაიმუნის სახე წინ იწევს და იღებს მხეცებრივ შეხედულობას, რაიც არ შეეხამება ადამიანის ბუნებას. ყოველ შემთხვევაში უკვე საკმაოდ განვითარებულ ადამიანისა და ადამიანისებურს მაიმუნების ჩანასახთა შორის 5 და 6 თვეზე მაინც დიდი მსგავსებაა. **დენიკერს** ჩაუვარდა ხელში გორილლას ფრიად იშვიათი ჩანასახი და სავსებითაც შეისწავლა. ერთის თვალით რომ გადაჰხედოთ ამ ჩანასახს, დარწმუნდებით თუ, რა ნათესავობაა ადამიანის ამავე ხნის ჩანასახთან.

უეჭველია, გორილას ჩანასახს ბევრად მეტი მსგავსება აქვს ადამიანთან, ვიდრე დამთავრებულს. ამასვე ადასტურებს დაწვრილებით ანატომიური შესწავლაც.

ამგვარად ვრწმუნდებით, რომ ადიმიანისმგსავს მაიმინების ჩანასახსა და ახალთაობის თავის ქალას მეტი მსგავსება აქვთ ადამიანის თავის ქალასი, ვიდრე მთავარ მაიმუნებს. „ადამიანისმსგავს მაიმუნების ბავშვების თავის ქალები ისევე გვანან ერთი მეორისას, როგორც ადამიანის ბავშვების თავის ქალებს. ხოლო პირველ კბილების გაჭრის შემდეგ უკვე ისე ტიპიურად განსხვავდებიან, რომ მათი ნათესაობის დასაბუთება შესაძლოა მხოლოდ დღეს უკვე გამქრალ საშუალ ფორმათა მეოხებით“ (**ზელენკა**).

ემბრიოლოგიური საბუთები თუმცა კი ადასტურებს ადამიანის მაიმუნისაგან წარმოშობას, მაგრამ არა იმ ადამიანის მსგავს მაიმუნთაგან, რომელნიც დღეს ცხოვრობენ.

საზოგადოდ იმ აზრს ადგანან, რომ ერთსაც და მეორესაც ერთი და იგივე წინაპარი ჰყავდათო. ამ აზრის დასაბუთებას ჰლამობენ პალეონტოლოგიურ საბუთების შემწეობით. ამგვარად დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ კუნძულ

იავაზე ეჟენ დჟუბუას [1]) მიერ მიწაში ნაპოვნ ძვლებს 1894 წელს. ზოგიერთნი ჰფიქრობენ, რომ თავის ქალა, ორი კბილი და **წვივის** ძვალი იმ ცხოველისა, რომელსაც დაარქვეს სახელად **პიტეკანტროპუს ერექტუს**, ეკუთვნიან ადამიანისა და ადამიანის მსგავს მაიმუნის შუა მყოფ ფორმასაო.

ხოლო რადგან ასეთს საბუთებზე დამყარება არაა ხელსაყრელი და უხიფათო, ამიტომ ჩვენ მათ გვერდს აუვლით ჩვენის აზრის დასამტკიცებად. მით უმეტეს გვერდს აუვლით ამ სახიფათო გზას, რომ ადამიანის ცხოველთაგან წარმოშობა ყოველგზით მკვიდრად და ცხადად დამტკიცებულია.

ყოველივე, რაც დღემდე გაკეთებულა ადამიანის წარმოშობის საკითხის დასამტკიცებლად, დამყარებულია ადამიანისა და მაიმუნთ შედარებითს ანატომიასა და ემბრიოლოგიაზე. ჩაუკვირდა რა ამ საკითხის გადაწყვეტას, **დარვინი** ბეჯითად ამტკიცებდა, რომ ადამიანისა და ადამიანისმსგავს მაიმუნთა პარაზიტების მსგავსება უთუოდ მოასწავებს მათ სხეულთა წვენისა და შინაგან ნაწილთა ნათესაობასაო.

სულ სხვა გზით მიმართულ გამოკვლევათა მეოხებით ამ რამდენისამე წლის წინად ეღმოაჩინეს ისეთი ფაქტები, რომელიც ახალ ნათელს ჰფენს ცხოველთა გვარების ნათესაობის საგანს.

ერთ რომლისამე ძუძუმწოვარ ცხოველის სისხლის შეშხაპუნებით სხვა გვარ ცხოველის კან ქვეშ აღმოაჩინეს საოცარი ცვლილებანი უკანასკნელის სხეულში. რომ აკიღოთ ბაჭიას სისხლი, დავამზადოთ მისი შრატი და მიუმატოთ ამ გამჭვირვალსა და უფერულ სითხეს რამდენიმე წვეთი მეორე გვარის მღრინავის სისხლისა, მაგალითად ზღვის გოჭისა, არავითარი ცვლილება არ მოახდენს. ზღვის გოჭის სისხლს ჩვეულებრივი ფერი შერჩება და სისხლის ბირთვებიც თითქმის უცვლელი დარჩება. აგრედვე არავითარ ცვლილებას არ წარმოადგენს ამ ორ ცხოველთა შრატის ერთმანერთში არევა.

---

[1]) ეს ცნობები მოყვანილია **ალსბერგის** ახალ წიგნში: „Die Abstammung der Menschen“ 1902. თ. III.

პირიქით, ჩვენ რომ ისეთის ბაჭიის სისხლიდან მოვამზადოთ შრატი, რომელსაც ადრე შეშხაპუნებული ჰქონდა კან ქვეშ ზღვის გოჭის სისხლი, დავრწმუნდებით, რომ ეს შრატი არაჩვეულებრივსა და საოცარ თვისებას იჩენს. ამ შრატს რომ ზღვის გოჭის სისხლის რამდენიმე წვეთი გაურიოთ, ვნახავთ, რომ ეს წითელი სითხე სულ სხვა სახეს იღებს. თუ წინად მღვრიე იყო, ახლა უკვე გამჭვირვალეა. წყალნარევ წითელის ღვინის ფერი აქვს. ეს ცვლილება მოახდინა ზღვის გოჭის სისხლის წითელ ბირთვების (მომზადებულ) აცრილ ბაჭიის შრატში გახსნამ.

ეს შრატი იღებს მეორე ღირსშესანიშნავ თვისებასაც. რომ მიუმატოთ არა სისხლი ზღვის გოჭისა, არამედ მხოლოდ მის სისხლის შრატი, ნარევი თითქმის ერთს წამში იმღვრევა და იყენებს დიდ დანალეკს.

მაშასადამე, ზღვის გოჭის სისხლის ბაჭიის კან ქვეშ შეშხაპუნებამ შესცვალა უკანასკნელის შრატი და ახალი თვისებანი მიანიჭა: ზღვის გოჭის სისხლის წითელ ბირთვების გახსნა და იმავე ცხოველის შრატის შეერთებით დანალეკის გაჩენა.

იმ ცხოველთა შრატი, რომელნიც აცრილნი არიან ადრევე სხვა გვარ ცხოველთა სისხლის კან ქვეშ შეშხაპუნებით, ხშირად ფრიად თავისებურია. ამ შემთხვევაში შრატი გამოიღებს დანალეკს მხოლოდ იმავე გვარ ცხოველის შრატის მიმატებით, რომლის სისხლიც აცრილი ჰქონდა, და იმავე მხოლოდ გვარისავე წითელ ბირთვებსა ჰხსნის. ხოლო ისეთი მაგალითებიცაა, რომ აცრილ ცხოველის შრატი ხსნის არა თუ იმავე გვარის სისხლის წითელ ბირთვებს, რომლის სისხლიც ჰქონდა შეშხაპუნებელი, არამედ მეზობელ გვართა სისხლის წითელ ბირთვებსაც. მაგალითად, იმ ბაჭიის შრატი, რომელსაც რამდენჯერმე შეშხაპუნებული აქვს ქათმის სისხლი, ხსნის არა მარტო ქათმის სისხლის წითელ ბირთვებს, არამედ მტრედისაც, თუნდა, მართალია, ნაკლებად.

შრატების ამ თვისებით ხელმძღვანელობს სამოსამართლო მედიცინა დაქცეულ სისხლის გამოსაცნობად.

ხშირად ფრიად საჭიროა ხოლმე გავიგოთ, ერთი თუ მეორე სისხლის ლაქა კაცისაა, თუ ცხოველის სისხლისაა.

უკანასკნელ დრომდე ვერ არჩევდნენ ადამიანისა და სხვა ძუძუმწოვარ ცხოველთა სისხლს. ამიტომ შეეცადნენ გაეგოთ, შეიძლება თუ არა სისხლის ლაქაში მყოფ სისხლის წითელ ბირთვების გახსნა იმ ცხოველთა შრატის მეოხებით, რომელთაც ადრევე ჰქონდათ აცრილი ადამიანის სისხლი. თუ ეს მოხერხდებოდა, იმ შემთხვევაში, სჩანს, სისხლის ლაქა ადამიანის სისხლისა ყოფილა. ხოლო ჩქარა მიხვდენ, რომ ეს მეთოდი არ იყო სწორი. მეორეს მხრივ გაიგეს, რომ დანალეკის მეთოდი მეტად გარკვეულ შედეგებს იძლევა. და აი, რა აღმოჩნდა. რომელსამე ცხოველს, ბაჭია იქნება იგი, ძაღლი, ცხვარი, თუ ცხენი, რამდენჯერმე აუცრიან ადამიანის სისხლს. რამდენისამე ხნის შემდეგ ამ ცხოველს ართმევენ სისხლს და ამზადებენ წმინდა გამჭვირვალე შრატს, რომელსაც სავსებით ათავისუფლებენ სისხლის ბირთვებისაგან. ამ შრატს რომ ადამიანის შრატის რამდენიმე წვეთი მიუმატოთ, იმ წამსვე ჭურჭლის ძრუზე გაჩნდება დანალეკი. ამგზით რწმუნდებიან, რომ დამზადებული შრატი საკმაოდ მომქმედია და იმის შემწეობით შეიძლება ადამიანის თუნდ გამხმარ სისხლისაც-კი გარჩევა. ამ აზრით მის მცირედ ნაწილს ხსნიან მარილის ფიზიოლოგიურ (0,8%) შენაზავში და ასხამენ იმ საჭაშნიკო შუშაში, საცა უკვე დამზადებულია ადამიანის სისხლით აცრილ ცხოველის შრატი. თუ მოკლე ხანში შუშის ძრუზე დანალეკი გაჩნდა, ეს იმის საბუთი იქნება, რომ სისხლი ადამიანისა იყო. ეს მეთოდი უკვე ვრცელდება სამოსამართლო მედიცინაში.

ზემოხსენებული რეაქცია ჩვენთვის საინტერესოა იმ მხრივ, რომ მის მეოხებით შეგვიძლია გამოვარკვიოთ ცხოველთა გვარებ შორის ნათესაობრივი კავშირი. ქათმის სის-

ხლით აცრილ ცხოველის შრატი ჰლეკავს არა თუ მარტო ქათმის, არამედ მტრედის შრატსაც; ხოლო არ იცვლება, თუ მიუმატებთ ძუძუმწოვართა შრატს. ეს უეჭველ ჰყოფს იმ გარემოებას, რომ ქათამსა და მტრედს შორის ახლო ნათესაობა ჰსუფევს. მეორე მაგალითიც: იმ ცხოველის შრატი, რომელსაც აცრილი აქვს ხარის სისხლი, ძალიან ილეკება, თუ მიუმატეთ ცოტაოდენი ხარისავე შრატი, ხოლო ამ რეაქციას არ იძლევა სხვა ძუძუმწოვართა მთელ რიგის შრატი, თვით ცხვრისა, ირმისა და ფურ-ირმისაც კი (ულენჰუტი) [1]. მაშასადამე, ხარის ჯიშისა და სხვა მცოხნავთა შორის ნათესაობა არ ყოფილა ისე დიდი, როგორც ქათამსა და მტრედს შორის

რას წარმოადგენს ადამიანის სისხლით აცრილ ცხოველთა შრატი? იმას რომ ადამიანის შრატის შერეკით დამლეკავი შრატი განსაკუთრებით აგრედვე დაჰლეკს ზოგიერთ მაიმუნთა (მცირე პავიანების) შრატსაც (ვასსერმანი და შიუტცე) [2].

გრაუმბაუმმა [3] ლივერპულში იშოვა დიდძალი სამ დიდ ადამიანისმსგავს მაიმუნთა: გორილლასი, შიმპანზისა და ორანგუტანგის სისხლი.

მან აღმოაჩინა, რომ ადამიანის სისხლით აცრილ ცხოველთა შრატი არა თუ მარტო ადამიანის შრატს ჰლეკავს, არამედ ზემოხსენებულ ადამიანისმსგავს მაიმუნისასაც. თურმე „შეუძლებელია გაარჩიოთ ეს დანალეკი თვისებრივად და რაოდენობით იმ დანალეკისაგან, რომელსაც იძლევა ადამიანის შრატი“.

ამ გამოკვლევის შესამოწმებლად **გრაუნბაუმმა** აიღო შრატი იმ ცხოველთა, რომლებსაც აცრილი ჰქონდათ გორილლას, შიმპანზისა და ორანგუტანგის სისხლი. ყველა ამ

---

[1]) Uhlenhuth: ,,Deutsche Medic. Woehenschrift'' 1901. p. 82.
[2]) ,,Berliner Klinishe Wochen''. 1901. p. 7.
[3]) ,,The Lancet''. 1902. 8/I.

შრატებმა დაჰლეკეს ამ სამივე მაიმუნის შრატი სწორედ ისე-ვე, როგორც ადამიანის შრატიცა. მაშასადამე, უეჭველია, რომ ადამიანისა და ადამიანისმსგავს მაიმუნთა შორის ჰსუ-ფევს, არა თუ მარტო გარეგნულ სხეულისა და უმთავრეს მის ნაწილთა ანალოგია, არამედ შინაგანი, ღვიძლი ნათესაობაც.

ამ ფაქტების წინადადნუსხვა, რასაკვირველია, არ შე-ეძლო ადამიანის მაიმუნისაგან წარმოშობის თეორიას, ხოლო იგი ფაქტები საოცრად ადასტურებს ამ თეორიას.

მაშასადამე, ცხადია, რომ ადამიანი ეკუთვნის პრიმატთა ჯგუფის ცხოველებს და მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩვე-ნის დროის უმაღლეს მაიმუნებთან. ამ შედეგს დიდი მნიშვ-ნელობა აქვს ადამიანის ბუნების შესახებთა მოსაზრებათა-თვის.

რასაკვირველია, ფრიად საგულისხმიერო იქნებოდა იმ გზის გაშუქება, რომლითაც სწარმოებდა ადამიანის მაიმუნი-საგან წარმოშობა. ხოლო ამის შესახებ ჩვენი ცოდნა შორს ვერ მიდის. თავის იდამიანისმსგავს მაიმუნთა შესახებს გამო-კვლევაში **ზელენკა** ამტკიცებს, რომ ადამიანი შიმპანზეს უახლოვესი ნათესავიაო. „დიდი მსგავსება ადამიანისა და შიმპანზეს უკანა კბილებისა ერთის შეხედვით ადასტურებს ადამიანის დღეს უკვე გამქრალ გვარებისაგან წარმოშობას, რომელნიც ემსგავსებიან **დრიოპიტეკუსებს**. ხოლო ამ დას-კვნას ეწინააღმდეგება ის გარემოება, რომ შიმპანზეს მოსა-ცვლელი კბილები უფრო უახლოვდება ორანგუტანგისას, ვიდრე ადამიანისას“. (ზელენკა).

ცხადია, ამ საკითხის გაშუქებისათვის საჭიროა მეტად სწორი ცოდნა იმ გაქვავებულ ადამიანისმსგავს მაიმუნებისა, როგორიც არიან დრიოპიტეკუსები და მათი მეგვარეები. მეცნიერების დღევანდელს მდგომარეობაში შესაძლებელია მხოლოდ საზოგადო ხასიათის ჰიპოტეზების წარმოთქმა ადა-მიანის წარმოშობისათვის.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ადამიანისა და მაიმუნის ჩა-

ნასახები უფრო ჰგვანან ერთმანეთს, ვიდრე მათი დამთავრებული ფორმები. სწორედ ასევე ადამიანი და მაიმუნი ბავშვობაში უფრო ჰგვანან ერთმანეთს, ვიდრე ჭაბუკობაში. სახესთან შედარებით თავის ქალის მეტად ძლიერი განვითარება ახასიათებს, როგორც ყმაწვილ მაიმუნებს, აგრეთვე ყმაწვილსა და დამთავრებულ ადამიანსაც. ადამიანისმსგავს მაიმუნებს ყბის ძვლები თანდათან ეზრდებათ, მაშინ, როდესაც ადამიანის ყბის ძვლების ზრდა ჩერდება. ასეთივე განვითარების შეჩერება ემჩნევა ადამიანის ტანზე მყოფ ბალანსაც.

ასე განუვითარებელი რჩება ადამიანის ტანზე ბალანი მთელს მის სიცოცხლეში და განსაკუთრებით ადამიანის ზურგზე ბალანი ან სულ არ ამოდის, ან და ფრიად ცოტა. იმის გამოისობით, რომ მაიმუნის ზურგი ბევრად მეტად მოფენილია ბალნით, ვიდრე მუცელ-მკერდი, ჰლამობდნენ ის აზრი დაესკვნათ, რომ ადამიანსა და მაიმუნს შორის ძირითადი განსხვავება არისო. ხოლო ემბრიოლოგია გვიაშკარავებს ამ ვითომდა საწინააღმდეგო აზრს. დენიკერის მაერ შესწავლილ გორილლას ჩანასახს ზურგზე თითქმის სულაც არ ესხა ბალანი. „წარბსა და წამწამთ გარდა ჩანასახს ნამდვილი ბალანი ესხა მხოლოდ თავზე, შუბლზე და საზრდოლზე. დანარჩენი ტანი ან უთმო იყო და ან მცირე, არა უგრძეს ერთის მილიმეტრისა, თმა ესხა". (დენიკერი). ჭიპის ირგვლივ უთმო მუცლის კანს ჰფენდა ბუსუსები, ხოლოდ უფრო განვითარებული, ვიდრე ზურგზე. მაშასადამე, ზურგის ხშირი თმა მაიმუნებს უჩნდებათ უფრო გვიან ჩანასახობის დროს.

თმის ამოსვლის მხრივ ადამიანი უფრო მაიმუნის ჩანასახს ემსგავსება, ვიდრე მთავარ მაიმუნს. ეს ფაქტი არა თუ არ უშლის ხელს ადამიანისა და ადამიანისმსგავს მაიმუნთა შორის ნათესაობის თეორიას, არამედ პირიქით, ძვირფასი მაჩვენებელია ადამიანის წარმოშობისა. ამ ყველა ცნობილ საბუთების ჯამი ნებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ადამიანი წარმოშობილა ადამიანის მსგავს მაიმუნის ადრინდელ დრო-

ის ჩანასახის შეჩერებულ ფორმისაგან. რომ იგი არის ერთ-გვარი მაიმუნთა ჯიშის „მახინჯი“ არა ესთეტიურის, არამედ ზოოლოგიურის თვალსაზრისით. ადამიანი შეგვიძლია ვიგულისხმით, როგორც ადამიანისმსგავს მსიმუნთა არაჩვეულებრივი ბავშვი, რომელიც იშვა ბევრად მეტად განვითარებულის ტვინითა და ჭკუით, ვიდრე მის მშობლებსა ჰქონდა. ეს ჰიპოტეზა სრულიად ეთანხმება ყველა უკვე ცნობილ ფაქტს.

უნდა ვიფიქროთ, რომ ზოგიერთ ორგანიზმთა გვარები როდი ემორჩილებიან ნელის განვითარების კანონს, არამედ უეცრად ჩნდებიან და ამ შეთხვევაში ბუნება ნახტომს შვრება. უკვე დარვინმა შეამჩნია ეს შესაძლებლობა, ხოლო პირველად ის აღმოაჩინა თვის ღირსშესანიშნავს გამოკვლევებში, ბოტანიკოსმა ჰუგო დე ვრისმა [1]).

15 წლის განმავლობაში მან გააშენა ამერიკული მცენარე ენოტერა ლამარკიანა და შეამჩნია მის ყვავილთა შორის უეცარი გაჩენა ისეთ ყვავილებისა, რომელნიც დიდად განსხვავდებოდნენ წინაპართა ყვავილებისაგან. ეს ყვავილები ისეთ განსხვავებას წარმოადგენდნენ, რომ შესაძლო შეიქმნა მათი რამდენსამე სხვა და სხვა გვარად დაყოფა. პირველ წლების განმავლობაში დე ვრისმა გამოჰყო სამი გვარი: ენოტერა ლატა, ენოტერა ნანელლა და ზოგჯერ ენოტერა სცინტილანს; ხოლო ცვალებადობა თანდათან მატულობდა ისე, რომ დაბოლოს მან გამოჰყო 12 ახალი გვარი. ისინი თესლით მრავლებოდნენ და შთამოებას გადასცემდნენ თვის განსაკუთრებულ თვისებებს. ამგვარად დე ვრისს მიეცა შემთხვევა თვისის თვალით ენახა ახალ გვართა უეცარი წარმოშობა.

უოუოდ ადამიანიც ამგვარადვე წარმოშვა რომელმამე ადამიანისმსგავსმა მაიმუნმა თვისთა თვისებათა ცვალება.

---

[1]) „Die Mutationstheorie“ t. I. Leipzig, 1901.

დობის ხანაში. წარმოშვა ისეთი ბავშვები, რომელთაც ახასიათებდა ახლად შეძენილი თვისებები.

არაჩვეულებრივ დიდ ტვინს, დიდ თავის ქალაში მოთავსებულს, მიეცა საშუალება თვის გონებრივ ნიჭის საჩქაროდ განკითარებისა ბევრად უმეტესად, ვიდრე მშობლებსა და საზოგადოდ წინაპართა გვარსა ჰქონდა. ეს ვანსხვავება უნდა გადასცემოდა შთამოებას და რადგან საარსებობო ბრძოლაში მას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ახალი რასა უნდა დამკვიდრებულიყო, გავრცელებულიყო და უპირატესობაც მიეღო. არაჩვეულებრივს გონებრივ განვითარებას უნდა გამოეწვია გაუჯობესობა საზრდოს ამორჩევისა, რამაც შექმნა მომზადება ადვილად მოსანელებელ საჭმლებისა. ამ ვითარებაში ყბების მუშაობა ფრიად შემცირდა, მით უმეტეს, რომ ადამიანს ყბები წინანდებურად აღარ ეჭირვებოდა, როგორც თავზე დაცემისა და მოგერების იარაღი. ამიტომაც ყბები ადამიანს ისე არ განუვითარდა, როგორც ადამიანისმსგავს მაიმუნებს.

ეს მოსაზრება ადვილი წარმოსადგენია და სრულებით ეთანხმება უკვე ცნობილ ფაქტებს. ჩვენთვის არ ახალია ის ამბავი, რომ ზოგჯერ გაჩნდებიან ისეთი ბავშვები, რომელნიც წინ უსწრებენ მშობლებს რომლისაგან ახალის ფრიად განვითარებულის ნიჭით.

ათის წლის წინად პარიზში დიდი მითქმა-მოიქმა გამოიწვია პემონტელმა ახალგაზრდამ იაკობ ინოდიმ [1]) ეს ყმაწვილი აღრიცხვის არაჩვეულებრივის ნიჭით იყო დაჯილდოებული. განსაკვიფრებელი მეხსიერება ჰქონდა ციფრების და მათემატიკურ გამოცანებს საოცარის სიჩქარით აკეთებდა. ორის წამის განმავლობაში ამრავლებდა ორ ციფრს 7 და 6 ციფრებისაგან შემდგარს. ასეთისავე სიმალით იღებდა ძირებს.

---

[1]) „Comptes rendues de l'Academie des Sciences". 1892 275, 1319, „Revue Scientifique" 1880 p. 1124.

ინოდის ხელის უწყობდა ციფირების არაჩვეულებრივი მეხსიერება, რომელიც დამყარებული ჰქონდა ბგერათა შთაბეჭდილების შეთვისებაზედ. მისი სჯენა იმახსოვრებდა დასახელებულს ციფირებს. **ინოდიმ** აუხსნა სამეცნიერო აკადემიის მიერ დანიშნულ კომისიას, რომ აღვადგენ ხოლმე ჩემს მეხსიერებაში რიცხვებს ისე, ითქოს ჩემივე ხმა ‚მიმეორებდესო. და ასეთი მოვლენა გრძელდება თითქმის მთელი დღეო. „ერთს ან ორ საათს შემდეგ რომ ვიფიქრო ამ რიცხვზე, მე შემიძლია ისეთის სისწორით გავიმეორო იგი მაშინაც, როგორც ახლა ვიმეორებ კომისიის წინაშეო“.

ეს საოცარი და იშვიათის სმენის მეხსიერება განვითარებულია სრულიად უეცრივ. **ინოდი** ჰაემონტელ ღარიბი გლეხის შკილია; ბავშვობაში ცხვარს ჰმწყსიდა და ულვე ექვსის წლისა რომ შეიქმნა, ეს საოცარი აღრიცხვის ნიჭი გამოაჩნდა. მაშინ არც წერა-კითხვა იცოდა. 11 წლისა იყო, რომ აკვირვებდა პარიზის ანთროპოლოგურ საზოგადოების წევრებს თავისის საოცარის მეხსიერებით და მხოლოდ გვიან, ოცის წლის რომ შეიქნა, ისწავლა წერა-კითხვა. პატარა ბიჭის არც ერთს მშობელთაგანს არ ჰქონდა აღრიცხვის არავითარი ნიჭი. მაშასადამე, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ეს ნიჭიც ისევე უეცრად განუვითარდა **ინოდის**, როგორც **ენოტერას** ყვავილების ახალი თვისებანი განვითარდა უეცრივ.

პირველი ადამიანები ალბათ აგრეთვე გენიოსი შვილები იყვნენ ადამიანისმსგავს ნშობლებისა. ამ ჰიპოტეზას ძალიან კარგად ცხადჰყოფს ის ფაქტი, რო ადამიანს, რომელიც მეტადა ჰგავს ადამიანისმსგავს მაიმუნის ჩანასახსა და ბავშს, ვიდრე მთავარ მაიმუნს, შეურჩენია მრავალ ორგანოთა სახულება, რომელნიც სხვა და სხვა გვარ მაიმუნებს უფრო განვითარებული აქვთ.

ფრიად სახელგანთქმული გერმანელი ანატომოსი **ვიდერსჰაიმი**[1]) ერთს ტომში მოგვითხრობს მთელს წყობას თანა-

[1]) „Der Bau des Menchen“. 192.

მედროვე ცოდნის შესახებ ადამიანის სხეულის ნაწილებისა თანახმად მისი შთამომავლობისა. მას ჩამოთვლილი აქვს 15 ორგანო, რომლებიც ადამიანს უფრო განვითარებული აქვს, ვიდრე ადამიანის მსგავს მაიმუნებს: ფეხები, რომლებიც მოხერხებულია დგომისათვის და სასიარულოდ; ფართო მენჯები და კუდუსუნი, აგრეთვე ქალების სამშობიარო გზათა სიგანიერე; ხერხემლის სვეტის ნაწილის ნადრეკი, უკანა ტანისა და წვივის კუნთების განვითარება; განკერძოება სახის რამდენისამე კუთხისა, ცხვირი; თავისა და ხერხემლის ტვინის მოწყობილობა; კეფის ტვინის ნაწილი; ტვინის ქერქის ძლიერი განვითარება და დაბოლოს ყრონტის კუნთების განკერძოება, რომელიც ადამიანს ლაპარაკის საშუალებას აძლევს.

ხოლო ამ პროგრესიულ ორგანოსთან **ვიდერსჰაიმი** აღნუსხავს 17 ისეთს ორგანოს, რომელიც დაკნინებულა და სისრულით არ შეუძლიათ თვის ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება (ამ რიცხვშია ფეხების კუნთების დაკნინება, 11 და 12 წეგოეები, ფეხის თითები, ბრმა ნაწლავი და სხვა).

ამას გარდა აღნუსხული აქვს 107 რუდიმენტული ორგანო, რომელიც ვერავითარ მოთხოვნილებას ვეღარ აკმაყოფილებს (კუდუსუნი, 13 წეგო მთავარ ადამიანისა; ყურების კუთები; ჭიისმსგავსი კოწოლი და სხვანი).

წინა თავში ჩვენ აღვნიშნეთ რუდიმენტულ ორგანოთა დიდი მნიშვნელობა, როგორც ისეთი საბუთებისა, რომელთა მეოხებით შეგვიძლია აღვადგინოთ ორგანიზმთა გენეალოგია. ეს უკვე თავისთავად უვარგი ორგანოები წაგავან მათ ჰირველ სახეს, რომელიც უფრო განვითარებული ჰქონდათ წინაპართ და სასარგებლოდ ემსახურებოდნენ. ადამიანის რუდიმენტულ ორგანოთა არაჩვეულებრივი სიმრავლე აშკარად ასაბუთებს მის ცხოველთაგან წარმოშობას და აძლევს მეცნიერებს საყურადღებო საბუთებს ადამიანის ბუნების ფილოსოფიურ შესწავლისათვის.

თ ა ვ ი IV

დისჰარმონია ადამიანის საჭმლის მომნელებელ ორგანოთა მოწყობილობისა.

ადამიანის სახის უაღრესობა.—კანზე ამოსული თმა—კბილები საზოგადოდ და სიბრძნის კბილები კერძოდ.—ბრმა ნაწლავის კოწოლი.—აპენდიციტი და მისი ნიშვნელობა,—ბრმა და მსხვილ ნაწლავთა უსარგებლობა.—მაგალითი ერთის ქალისა, რომელიც სკოცხლობს და მსხვილი ნაწლავი კი არ აქვს—ნაწლავების ეს ნაწილთა გენეალოგია.—მსხვილ ნაწლავთა მიკრობების მავნე გავლენა.—კუ ხშირად ჩნდება მსხვილს ნაწლავებსა და კუჭში.—კუჭის ზომიერი სარგებლობა.—საჭმლის ამორჩევის აღლო.—ეს აღლო ადამიანს ნაკლებადას აქვს.

თუმცა ადამიანი გვიან გაჩნდა დედამიწაზე, მაგრამ მაინც დიდი ნაბიჯი გადადგა წინ თვის ადამიანისმსგავს წინაპრებთან შედარებით. ადამიანთა მდაბალი რასებიც რომ ავიღოთ, მაგალითად ჰოტენტოტები ან ავსტრალიელები, და შევადაროთ უაღრეს ევროპიელსა ან ჩრდილო აფრიკის ხალხებს, შევაჩნევთ ფრიად წინმავალ განვითარებას.

ზოგ შემთხვევაში ადამიანის ხელოვნებამ გაუსწრო ბუნებას. ვერც ერთი ბუნებრივი მელოდია ვერ შეედრება საუკეთესო მუსიკას. პლასტიურს ხელოვნებაშიაც კი ადამიანი ბუნებას აჭარბებს. ყვავილთა და ფრინველთა მოყვარულნი ესწრაფვიან ახალ გვართა გაშენებას. ამის მისაღწევად თითქმის შეთანხმებით ისახავენ სასურველ იდიალებს და შემუშავებულის გეგმით ჰლამობენ მის მიღწევას. ხელმძღვანელობენ დახატულის სახით სასურველ ახალ გვართა შემუშავებისათვის.

მკვეთრად ასრულებენ რა ხელოვნურ არჩევანს, მათ ხშირად ძალუძთ მიაღწიონ სასურველ შედეგს. და გაამდიდრონ თვისი კოლექცია ახალის ფრიად ღირსშენიშვნავი სხვაგვაროვნით. მებალეებმა და მეჩიტეებმა შეჰქმნეს ამ გზით ბევრად

ულამაზესი ჯიშები, ვიდრე ველურად აღმოცენილ—გაშენებულნი არიან.

ადამიანის სხეულის შესახებაც ჭლამობდნენ წინ გაესწროთ ბუნებისათვის და ჰხატავდნენ იმას თანახმათ თვის ხელოვნურ იდიალისა. ადამიანისაზე უაღრეს სილამაზის მისაღწევად ჰხატავდნენ ჩიტებსავით ფრთიანს ან სხვა რამ ცხოველთა ატრიბუტებით აღჭურვილ ადამიანს. ხოლო ამ ცდამ დაარწმუნა, რომ ადამიანის ბუნებრივ სახის მეტი უაღრესობა შეუძლებელია.

მასაშადამე, ანტიური შეხედულობა ადამიანის სხეულზე, როგორც სილამაზის იდეალზე, სრულიად მართლდება. პირიქით, ჩვენ უნდა ზოგიერთ რელიგიათა ფანატიკოსების აზრი უარჰყოთ, რომელთაც სძულდათ სხეული და, ცოტად თუ ბევრად, არაბუნებრივის სახით ჰხატავდნენ.

ხოლო ამ შედეგის განსაზოგადოვება შეუძლებელია რამდენადაც იგი შეეხება ადამიანის ბუნებაზე შეხედულობას. სხეულის მშვენიერი ფორმები მხოლოდ სიყმაწვილისა და სიჭაბუკის ხანებშია. მოხუცებული ქალი და კაცი სილამაზეს ჰკარგავენ ცოტად თუ ბევრად; თვით ულამაზესნი სიბერეში ჰკარგავენ სილამაზეს.

ხოლო, რაც ითქმის ადამიანის ტანის ფორმისა და სახის მოხაზულობისათვის, იგივე არ ითქმის საზოგადოდ ადამიანის სხეულისათვის. ამის ცხადსაყოფად გადავხედოთ ადამიანის ზოგიერთ ორგანოთა მოწყობილობას.

ადამიანის ტანი მოფენილია ბუსუსებით, რომლის ევოლიუციია ფრიად შესანიშნავია. უკვე ადამიანის ჩანასახის თითქმის მთელი ტანია ბუსუსებით მოფენილი. ეს არის **ლანუგო**, რომელიც აფენია მთელ ტანს, გარდა ცხვირისა და ხელ-ფეხისა. უეჭველია, ეს ბუსუსები არავითარ სასარგებლო ფუნქციას არ ასრულებენ და წარმოადგენენ მხოლოდ ადამიანისმსგავს წინაპართა მემკვიდრეობის ნაშთს.

შემდეგ ეს ბუსუსები სცვივა და მის ალაგას ამოდის ხელმეორედ და სამუდამოდ ბალანი. ეს ბალანი ჭაბუკობასა და სიბერეში ხშირდება და ერთგვარ ულაზათოსა და ურგებ სამოსელს წარმოადგენს. აი, მაშასადამე, ადამიანის ბუნების და დისჰარმონიის პირველი მაგალითი. ბალანი, რომელსაც არ შეუძლია დაიცვას სიცივისაგან ადამიანის სხეული, რჩება მის ტანზე, როგორც წინაპართა სამოსლის რუდიმენტი და ხშირად მავნებელიცაა ადამიანის ტანმრთელობისათვის.

ადამიანის კანს მუდამ ეკვრის მიკრობები, რომელთაც შეიცავს მტვერი. თმის ძირი მოთავსებულია კანის მილებში და ეს მილები კარგი ნიადაგია მიკრობთა საცხოვრებლად. ზოგიერთი მიკრობი და უმეტესად სტაფილოკოკი ბლომად ჰბუდობს ამ მილებში და აჩენს მუწუკებსა და სხდომს, რის მიზეზითაც ხანდახან ჩნდება ხანგრძლივი კანის სენი. ხშირად ეს მილები დაჩიქრდება ხოლმე კიდეცა.

ადამიანის გვარს აქვს გონიერება, ესე იგი ტვინის ფუნქცია, რომელიც ეჰსახურება მრავალ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ამიტომ უკეთ იცავს თავს გარეშე გავლენათაგან, ვიდრე მისი ფრიად განვითარებულ ბეწკოთა ნაბადით შემოსილნი წინაპარნი. ამისთვის მოიგონა ტანთსაცმელი, რომელსაც იცვლის ჰავის შესაფერად. ხოლო მემკვიდრეობის აუცილებელი კანონი აიძულებს ტვირთად ატაროს ბუსუსების ჩანასახი და ითმინოს მისგან წარმომდგარი უსიამოვნება.

თუმცა უკიდურეს შემთხვევაში ადამიანს შეუძლიან უკბილოთაც იცხოვროს, ხოლო არა გვაქს უფლება კბილები ისევე ურგებად და მავნეთ ჩავთვალოთ, როგორც ბალანი. მაინც და მაინც ადამიანის კბილების შესწავლა საკმაოდ გვარწმუნებს, რომ მათი მოწყობილობა წარმოადგენს დისჰარმონიას ძირითად ჩვენ მოთხოვნილებათა შესახებ.

თუმცა მკვეთრი პირუტყვობა ემჩნევათ ძველის ქვეყნის მაიმუნებს (ვიწროცხვირიანებს), მაინც აქვთ მიდრეკილება კბილების რიცხვის შემცირებისადმი. 36 კბილის მაგიერ,

როგორც მათ ამერიკელ მეგვარეებს (განიერცხვირიანებს) აქვთ, ორსავე ყბაში სულ 32 კბილი უსხედთ.

ისიც მართალია, რომ გორილლებსა და ორანგუტანგებ შორის ხშირად ისეთებიც არიან, რომელთაც ზედმეტი ძირის კბილები აქვთ 36-მდე (მე-4 რწყვილი).

ზელენკაᲗ [1]) გამოიკვლია ჰასაკოვან ორანგუტანგების 194 თავის ქალა და 20%-ს აღმოაჩნდა ასეთი ძირის კბილები. მეორე მხრივ, შიმპანზესა და გიბბონს ძირის კბილთა მე-3 რწყვილი პატარეები აქვთ, ხოლო ხან-და ხან სულაც არა აქვთ. ეს არის ყბების დამოკლების შედეგი, ზემოხსენებულ ადამიანისმსგავს მაიმუნთა უეჭველად ღეჭვის ნაკლებ ნიჭზე დამოკიდებული.

ადამიანს ზედმეტი ძირის კბილები იშვიათადა აქვს. ისეთი მაგალითები, როცა ადამიანის კბილთა რიცხვი უდრის მაიმუნების კბილთა რიცხვს, მოიპოვება განსაკუთრებით მდაბალ რასათა შორის: ასეთნი არიან ზანგები, ავსტრალიელები და ახალ კალედონიის მკვიდრნი. [2]) პირიქით, მეტად ხშირად არა აქვთ ძირის მე-3 რწყვილი (სიბრძნის კბილები) განსაკუთრებით თეთრ რასას. ევროპელთა დაახლოვებით 10%-ს მთელის სისოცოცხლის განმავლობაში 28 კბილზე მეტი არ ამოსდის; მაშასადამე, აკლიათ 4 სიბრძნის კბილი. უმეტესად ეს ძირის კბილთა მესამე წყვილი არ ამოდის (18—19%). [3]) ამ კბილთა არ ქონვა ღირსებაა. მართლაც, ფიზიოლოგური მხრივ მცირე მნიშვნელობა აქვთ. ღეჭვას არას ჰშველიან და უიმათობაც არად ემჩნევათ ღეჭვის დროს.

გამოცდილია, რომ ყველა 4 სიბრძნის კბილის უქონლობა არასა ჰკნებს ღეჭვას. ამიტომაც ეს კბილები გვიან ამოდის, ხშირად 30 წლის ჰასაკში და ზოგჯერ ღრმა სიბერეში, 60 და 70 წლის შემდეგ, (Schmid, l. c., p. 147).

---

[1]) „Studien über Entwicklungsgeseh. d. Thiere". p. 89.

[2]) „Dictionnaire Encyclopédique des sciensces medicales". Article Dent, de Magitot 1882, p. 194.

[3]) Scmid: „Vierteljahrsschrift für Zahnheilkunde", p. 141.

სიბრძნის კბილები რომ მხოლოდ ურგებნი იყვნენ, მაშინაც ადამიანის სხეულის დისჰარმონიას წარმოადგენდნენ. ხოლო ხშირად ავადმყოფობასაც და ზოგჯერ საშიშ ავადმყოფობას დაჰმართებენ ხოლმე ადამიანს.

ყველა კბილ შორის სახელდობრ სიბრძნის კბილი იწვევს ხშირად ავადმყოფობას. ეს იმის ბრალია, რომ ნელა ვითარდებიან და ძნელად ამოდიან. [4]) ეს კბილები. უფრო ხშირად ფუჭდება ვიდრე სხვა ძირის კბილები. ლორწოიანი გარსი, რომელიც ჰფარავს სიბრძნის კბილებს, წვრილმანად სხვადასხვაგვარ ზიანდება და მით ედება სენი მახლობელ ნაწილებს. ამიტომაც მათმა ტკივილმა ყბის სიმსივნე იცის. სიბრძნის კბილების ტკივილს ხშირად ერთვის ფლეგმონა (ანთება), ყბების დაჩირქება და გავრცელებული, მომაკვდინებელი სისხლის მოწამვაც კი. მალიპმა [5]) დაწვრილებით აღნუსხა ერთი შემთხვევა, როცა წესიერ განვითარების ხელის შეშლის გამო სიბრძნის კბილი ლოყაში გამოიჭრა. ამას შედეგად მოჰყვა ლოყის დაჩირქება და ღეჭვის კუთის ანთება, რაც უშლიდა პირის გაღებას. კბილი ამოჰგლიჯეს, მაგრამ ავადმყოფი გადიცვალა ტვინის ანთებით, რაიცა გამოიწვია ამ კბილის დაჩირქებამ.

სხვა შემთხვევებიცაა აღნუსხული, როცა კბილის საძნელო ამოსვლის გამო ყბაში ჩირქი ჩამდგარა და მომაკვდინებელი ტვინის ანთება გამოუწვევია.

სიბრძნის კბილის დაავადების მიზეზით კუც შეიძლება გაჩნდეს. „ყბის ხორცმეტების შესახებ უეჭველად შეიძლება ვთქვათო, — ამბობს მაჟიტო, — რომ მრავალი მათგანი სიბრძნის კბილების ფოლიკულებში ჩნდება“-ო. (l. c., p. 204).

ამ ზიანს სიბრძნის კბილები არავითარ სასარგებლო დანიშნულებით არ ანაზღაურებენ. მაგ კბილებს მოჰქონდათ

[4]) Redier: „Revue mensuelle de Stomatologie“, 1895, p. 164.
[5]) „Comptes rendus de la Société de Stomatologie de Paris“. I. 1900 p. 98.

სარგებლობა მხოლოდ ჩვენს შორეულ წინაპართათვის, როცა ყველა ძირის კბილი ემსახურებოდა მაგარ საჭმლის დაღეჭვით.

ძირის კბილები ადამიანს შერჩენია პირველყოფილი სახით. და აი მაგალითიც მის ბუნების ახალის დისჰარმონიისა.

ჩვენს ყურადღებას იპყრობს აგრეთვე მეორე ჩანასახი ორგანო—ბრმა ნაწლევის კოწოლი ანუ ჭიისმსგავსი ნაწლევი. წინა თავში გვქონდა მრჯელობა მის მნიშვნელობისათვის იმ მხრივ, თუ რა მაჩვენებელია იგი ადამიანის ცხოველთაგან წარმოშობისა ადამიანის მსგავს მაიმუნთა თანაბარ ორგანოსთან შესანიშნავის თვისის მსგავსების გამო. ამ ორგანოს აქვს სქელი გარემონი, რომლებშიაც მოთავსებულია ჯირკვლები, კუთები და ლიმფატური ძარღვები. არავითარ სასარგებლო ფუნქციას არ უსრულებს ადამიანს. ამის საბუთად ისიც საკმაოა, რომ ბევრს ამოუჭრეს კიდეც ეს ორგანო და მით არა დაშავებიათ რა. დოსტაქრების ხელოვნება იმოდენად განვითარდა, რომ ამ კოწოლს ამოსჭრიან ხოლმე მაშინაც კი, როცა დაავადების ნიშანიც არა აქვს რა. ამის ამოჭრა ადვილიცაა და უვნებელიც სხეულისათვის, არც საჭმელის მონელებასა და არც ნაწლევებს არა უშავდებათ რა.

მეორე მხრივ ადამიანს ეს ჭიისმსგავსი კოწოლი ხშირად შეეხორცება ხოლმე ისე, რომ იმის მილი აღარ უერთდება ნაწლევებისას. **რიბერტის**[1]) გამოანგარიშებით იგი უხორცდება ადამიანის მეოთხედ ნაწილს, განსაკუთრებით ხანშესულებს, 50—80 წლოვანებს. ბავშვებსა და ყმაწვილ კაცებს უცვლელი აქვთ. ხოლო, როცა კოწოლი შეხორცდება და ნაწლევთა მილს ჩამოშორდება, არავითარი ვნება არ აღგება საჭმლის მონელებას. მაშასადამე, უნდა დავასკვნათ, რომ ადამიანის კოწოლის არსებობა უმნიშვნელო და ურგებია.

ჰოლონდელმა ექიმმა **კოლბრუგგემ** გამოსთქვა ისეთი

---

[1]) „Virchow's Archiv f. Patologische Anatomie" 1893, t. CXXXII, p. 76.

[2]) „Centralbl. f. Bakteriol". 1901, t. XXIX, p. 573.

აზრი, რომ შეიძლება ჭიისმსგავს ქოწოლში ვითარდებოდეს ნაწლავის ბაქტერიუში (Bacillus coli) და მისი სარგებლობა მით გამოიხატებოდეს, რომ ეს ბაქტერიუმი სპობდეს ნაწლავების სხვა და სხვა გვარ სენს და მათ შორის ხოლერასაცო. ეს წამოსროლილი აზრი ავქსონს არაფრით არ დაუსაბუთებია. უტყუარ საბუთების თვალსიზრისით კი ეს ჰიპოტეზა სრულიად შეშცდარია. ჯერ ერთი რომ ნაწლავის ბაქტერიუმი არ ეწინააღმდეგება სოლერისას, როგორც უკვე დავამტკიცე პირდაპირის გამოცდით, არ ეწინააღმდეგება ნაწლავების არც სხვა ავადმყოფობას, მუცლის სახადსა, დიზენტერიასა და სხვ. მეორეც ისა, რომ ნაწლავის ბაქტერიუში არა მარტო კოწოლში, არამედ მთელს ნაწლავთა მილში ხეირობს და ფრიად ხშირია ცხოველთა ნაწლავებშიაც, რომელთაც კოწოლი სრულიად არა აქვთ. კოწოლის უსარგებლობა და მავნებლობა იმდენად დამტკიცებულია აუარებელი საბუთებით, რომელიც ჩვენ გაკვრით ჩამოვთვალეთ ზემორე, რომ ზედმეტი დასაბუთება საჭიროდ აღარ მიგვაჩნია.

ადამიანისმსგავს მაიმუნებსაც კი ჭიისმსგავსი კოწოლი ჩანასახ ორგანოთ აქვთ და მისი დანიშნულება არ აღემატება უბრალო ლიმფურ ჯირკვლისას.

ძველ ქვეყნის მდაბალ მაიმუნებსაც კოწოლი არა აქვთ და იშვიათ შემთხვევაში მხოლოდ (დედალ ცერკოპიტეკუს საბეუს) აქვთ, როგორც ჩანასახი კორძი.

მაშასადამე, ცხოველთა კიბის ქვედა საფეხურზე უნდა შევჩერდეთ, თუ გვსურს გავიგოთ ამ კოწოლის სარგებლობა. ზოგიერთ ბალახჭამეთა ბრმა ნაწლავი ფრიად განვითარებული აქვთ, მას ბოლოში აკრავს ლიმფური ქსელი, რომელიც წააგავს კოწოლს, მაგალითად ბაჭიასა და ტომსიკიან ცხოველებს. უეჭველია, რომ ამ ცხოველების კოწოლის მაგიერი ორგანო აწარმოებს მცენარეთა საჭელის მონელების საქმეს. ამ ორგანოს ფართოდ გაუდგამს ფესვები ცხოველთა სხეულში და უსარგებლოდ შერჩენილა. ამიტომაც ის შეადგენს ადამიანის ნაწლავების ნაწილს.

საზოგადოთ რუდიმენტული ორგანოები დაბადებიდანვე სუსტობენ. ამიტომაც ისინი ადვილად ავადდებიან. ეს უკვე დარვინმაც შეამჩნია. ამ კანონს ასაბუთებს ადამიანის ჭიისმსგავსი კოწოლი. როცა დარვინი სწერდა თავის წიგნს ადამიანის წარმოშობისას ნახევარ საუკუნის წინად, მაშინ ჯერ კიდევ არ იცოდნენ კოწოლის მომაკვდინებელ ანთების ამბავი. დარვინს მოჰყავს მხოლოდ ორი ასეთი მაგალითი.

მას შემდეგ აპენდიციტი (ასეთი სახელი დაარქვეს პირველად ამერიკელმა დოსტაქრებმა კოწოლის მკვეთრსა და ქრონიკულ ანთებას) ევროპაშიც ისევე გახშირდა, როგორც ამერიკაში; მან დაიჭირა მეტად თვალსაჩინო ადგილი ნაწლავთა პატოლოგიაში.

აპენდიციტის გავრცელების ცხადსაყოფად საკმაოა ის ცნობაც, რომ მხოლოდ პარიზის ერთს საავადმყოფოში (ტრუსო) ხუთის წლის განმავლობაში (1895—1899) უექიმნიათ 443 ამ სენით ავადმყოფისათვის [1]) აქ უნდა დაუმატოთ, რომ ამ რიცხვში უმეტესი ნაწილი ბავშვებია, რომელთაც მეტად სჭიდებს ხელს ეს სენი, ვიდრე მოზრდილებს. ინგლისის გამოჩენილ დოსტაქრის ტრევსის [2]) აზრით, 20 წლამდე ამ სენით ავად ხდება 36%. მოხუცნი ამ სენით იშვიათად ხდებიან ავად. ეს იმაზეა ალბად დამოკიდებული, რომ ხნიერებს ქოწოლი ხშირად უხორცდებათ ხოლმე; ხოლო, რაც უფრო ადვილია მისი მილის ნაწლევთა მილთან ერთობა, მით მეტი შემთხვევაცაა მისი დაავადებისა. კუთის შემწეობით კოწოლს შეუძლია ისე დაიკუმშოს, რომ გამოაგდოს თვის მილში მყოფი რამ საგანი. შოტლანდიის დოსტაქარს პარკერ სიმსს [3]) უნახავს, რომ ამოჭრილი კოწოლი რამდენსამე ხნის განმავლობაში ისე იკუმშებოდა, როგორც ჭიაყელა. ამ მოძრაობის მეოხებით იმის მილიდან გამოვიდა განავალის სითხე.

[1]) Lannelongue: „Bulletin medical". 1902, p. 621.

[2]) „The surgical treatment of Perityplitis" London, 1895.

[3]) „Edinburgh medical journal" 1893. August.

ხოლო კოწოლის მოძრაობა საზოგადოდ სუსტია და მასში მომწყვდეული საგნები ადვილად შიგვე რჩება. ამიტომაც ზოგიერთ შემთხვევაში აპენდიციტის დროს კოწოლში ჰპოულობენ ხილისა და სხვა თესლებს, მაგალითად პსილიუმს და სხვ. თმებს, პურის თაველის წვერს და იშვიათად ქინქისთავსა და მცირე ლურსმნებს. ამ საგნებს შეუძლიათ გაკაწრონ გარემო და აუცრან ნაწლეევში მყოფი მიკრობები. ეს იწვევს ინფექციას და კოწოლის ანთებას. ხშირად კოწოლში შედიან მუცლის ჭრები და უკრიან მიკრობებს. ესეც აავადებს მას.

აპენდიციტი უმეტეს შემთხვევაში მძიმე სენია და 8-10% მომაკვდინებელიც [1]) ამაზე უფრო მკვეთრი მაგალითი ბუნებრივის დისჰარმონიისა ძნელი მოსანახი-ლაა ადამიანის სხეულში. მართლაც ეს ის ორგანოა, რომლის არყოფნა სხეულისათვის უმნიშვნელოა, შეხორცება ანუ ატროფია უვნებელი და ნორმალური განვითარება კი-საშიში. ხოლო კოწოლი არ არის ჩვენის საჭმლის მომნელებელ აპარატის ერთად ერთი ნაწილი, რომელიც ასე სახიფათოა საცოცხლისა და ტანმართელობისათვის. ადამიანის თვით ბრმა ნაწლევიც კი, რომლის ზედმეტსაც შეადგენს ჭიისმსგავსი კოწოლი, უკეთესმართ განვითარებას განიცდის, როგორც ეს წინად მოვიხსენიეთ. მართლაც, ადამიანის ბრმა ნაწლევი მრავალ ბალახმჭამელ ცხოველებთან შედარებით ფრიად მცირედ არის განვითარებული. მათი ბრმა ნაწლევი ნამდვილი საჭმლის მომნელებელი ორგანოა. ადამიანის ჩანასახსაც უფრო განვითარებული აქვს ბრმა ნაწლევი და კოწოლი, ვიდრე მოზრდილ ადამიანს.

ხოლო არა მარტო ჩვენის საჭმლის მომნელებელ აპარატის რუდიმენტული ორგანოები, როგორც სიბრძნის კბილები, ჭიისმსგავსი კოწოლი ან ასეთი რეგრესული ნაწილები, როგორც ბრმა ნაწლევი, გვიჩვენებენ ჩვენის შინაგანის ორ-

---

[1]) Ewald. „Klinik der Verdaungskrankheiten", t. III, 1902, p. 224, 225.

განიზაციის დისჰარმონიას. ჩვენის ნაწლევთა არხის ზოგიერთი თვით რიგზე განვითარებული ნაწილებიც კი ურგებ მემკვიდრეობას წარმოადგენენ, რომელიც უანდერძებიათ ჩვენთვის პირუტყვ წინაპართ.

ამ ხანად უკვე კანონიერებად აღარ ჩამოგვერთმევა იმის მტკიცება, რომ არათუ ბრმა ნაწლევი თვისის კოწოლით, არამედ ადაპიანის მთელი მსხვილი ნაწლევებიც მეტია ჩვენს სხეულში და მათი თავიდამ მოცილება ფრიად სასურველიც იქნებოდა. საქმლის მონელების თვალსაზრისით, ნაწლეკთა ამ ნაწილს არავითარი ცოტად თუ ბევრად საკმაო მნიშვნელობა არა აქვს საქმლის მონელების პროცესში. თვით მონელებულ პროდუქტთა შეთვისებაშიაც კი არა ღირსშესანიშნავი მნიშვნელობა აქვს. ამიტომაც არ არის გასაკვირველი, რომ მსხვილ ნაწლევის ამოჭრას ადაპიანი უვნებლად იტანს.

მას აქეთ, რაც სადოსტაქრო ხელოვნება ასე შესანიშნავად განვითარდა, დოსტაქრები ხშირად გაბედულად ამოსჭრიან ხოლმე ნაწლავთა ზოგიერთს ნაწილებს და განსაკუთრებით მსხვილ ნაწლევს. მაგალითად, ერთს შემთხვევაში **კერტემ**[2]) წვრილ ნაწლავთა ერთს ნაწილთან ამოსჭრა მსხვილი ნაწლევის მეტი ნაწილიც და მხოლოდღა ბოლო ნაჭერი დაუტოვა. ამ ავადმყოფმა ზედიზედ გადიტანა 8 ოპერაცია და სრულიად განიკურნა. მეორე ავადმყოფს, რომელსაც ოპერაცია გაუკეთა **ვიზინგერმა**[3]) მსხვილ ნაწლევთა დამუწუკებული **ორი** მესამედი (გარდიგარდმო და ქვემავალი) სულ მოაცილეს დანარჩენ ნაწლევებს და განაკერძოვეს და იმ დროსვე მსხვილ ნაწლევთა ზედა ნაწილი (ბრმა და ზემავალი) შეუერთეს სწორ ნაწლევს. ამ მძიმე ოპერაციის შემდეგ ნაწლევებმა რიგზე დაიწყეს მუშაობა და ავადმყოფი დიდად მოგებული დარჩა თვის მსხვილ ნაწლევის თავიდან მოცილებით

[2]) „Archiv f. kliniche Chirurgie", t. XLVIII, 1894, p. 615.

[3]) „Münchener med. Wochenschrift". 898.

[4]) „Archiv f. Klinische Chirurgie", t. XLVIII, p. 137.

მრავალთაგან მე ეხოლოდ ორ მაგალითს ვკმარობ. ხოლო, თვით სადოსტაქრო მაგალითების გარეშეც, ბევრია ადამიანისთვის მსხვილ ნაწლევთა უსარგებლობის დამტკიცებელი საბუთები. ამის საუცხოო საბუთად იმ მოხუც დედაკაცის მაგალითიც საკმაოა, რომელსაც 37 წლის განმავლობაში ჰქონდა ნაწლევის წყლულის სანდუნი, საიდამაც განავალი გამოსდიოდა. ეს სანდუნი უეცრად გაუჩნდა სტომაქის მარჯვენა მხრის წყლულისაგან და მას ხელი არ შეუშლია ამ ქალისათვის გათხოვებულიყო, სამი შვილიც მისცემოდა და მძიმე შრომითაც საზრდო მოეპოვებინა. სანდუნის გაჩენის 35 წლის შემდეგ ეს ვარშაველი მუშა-ქალი გასინჯა დოსტაქარ **ცეხომსკიმ** და ტანმრთელობის გაუმჯობესებისათვის ოპერაცია ურჩია. ქალი დასთანხმდა. ხოლო სტომაქის გაჭრის შემდეგ აღმოჩნდა, რომ მსხვილი ნაწლევი მთლად დაკნინებულიყო, ბრმა ნაწილიდან დაწყებული ბოლომდე; სანდუნი იწყებოდა ბრმა ნაწლევის ზემოდან და მიდიოდა პირდაპირ წვრილ ნაწლევში. ამ გარემოებაში შეუძლებელი იყო სანდუნის მოსპობა და დოსტაქარი იძულებული იყო სტომაქი შეეკერა და ძველ მდგომარეობაში დაეტოვებინა ავმდმყოფი. ქალი ჩქარა კარგად შეიქნა და წინანდებურად ცხოვრობდა. ის ფაქტი, რომ ადამიანმა 30 წელიწადზე მეტი შესძლო წესიერად ეცხოვრა მსხვილ ნაწლევის უქონლობით, სრულიად ცხადჰყოფს ადამიანისათვის ამ ორგანოს უსარგებლობას, თუნდა ის არ გამხდარა რუდიმენტულ ორგანოდ. ამ შემთხვევაშიაც ამ ორგანოს სარგებლობას უნდა ვეძიებდეთ ჩვენს ცოტად თუ ბევრად შორეულს წინაპრებში.

მსხვილი ნაწლევი ძუძუმწოვარ ბალახისმძოვართ უფრო განვითარებული აქვთ, ვიდრე ონავართ. ხორცის მოსანელებლად უვარგისია, მცენარეულობის მოსანელებლად კი სასარგებლო. ბალახისმძოვართ მსხვილი ნაწლევი დიდი სიფართისა აქვთ და მასთანავე მრავალ მიკრობებს შეიცავს და

მათ შორის ისეთებსაც, რომელთაც—ბადურის მონელება შეუძლიათ. რადგან ეს ნივთეურება ძნელი მოსანელებელია, აშკარაა მსხვილ ნაწლევში მყოფ ამ მიკრობების სარგებლობა. ამიტომაც ფრიად ადვილი წარმოსადგენია, რომ მრავალ ძუძუმწოვარ ცხოველთა და მათ შორის ცხენსა და ბაჭიასათვის, რომელთა საზრდოს შეადგენს ბალახი და მარცვლები, მსხვილი ნაწლევი აუცილებლად საჭირო არის.

მეორე მხრივ, მსხვილი ნაწლევი ისეთსავე სამსახურს ეწევა, როგორც საშარდე ბუშტი. შარდი გამოდის თირკმელებს (ჭაჭებს) და გროვდება ისეთს დიდის სიფართის ჭურჭელში, როგორიც არის საშარდე ბუშტი. სწორედ ასევე მონელებულ საჭმელის ნაშთენი იკრიბება მსხვილ ნაწლევში და რჩება შიგ ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივ.

მსხვილ ნაწლევთა ბუნებრივ ისტორიის შესწავლის დროს ჩვენ გვანცვიფრებს ის გარემოება, რომ ეს ორგანო სრულიად განვითარებული აქვთ მხოლოდ ძუძუმწოვართ, რომელნიც უმეტესად დედამიწის ზედა პირზე სცხოვრობენ და ფრიად მოძრავნი არიან. საზრდოს მოსატაცებლად (ონავარნი) ან მტერთაგან თავის დასახსნელად მათი უმეტესობა იძულებულია სიმალით ირბინოს. ამ გარემოებაში შეჩერება ნაწლევთა დასაცარიელებლად უხერხულია. პირიქით, განავალთა ვრცელს ჭურჭელში შეჩერება უეჭველად ხელსაყრელია არსებობის ბრძოლისათვის [1]).

ამიტომაც განვითარებიათ მსხვილი ნაწლევი ძუძუმწოვართ. ფრინველნი, რომელთაც, ასე ვთქვათ, ჰაერში სცხოვრობენ, არაფრად, ესაჭიროებათ შეჩერება განავალთა გამოსაგდებათ და არცა აქვთ მსხვილი ნაწლევი. ქვემძრომთა და ამფიბიებთ, რომელნიც თუნდაც ხშირად დედამიწის ზედა პირზე სცხოვრობენ, აგრეთვე არ სჭირდებათ მსხვილი ნა-

[1]) ეს დებულება უფრო განვითარებულია ჩემს სიტყვაში, რომელიც „Memoirs and Proceedings of the Manchester litterary and philosophical Society"-შია დასტამბული 1901 წ. vol. XLV, № 5 და გადათარგმნილი 1901 წ. „Вестник Воспитания"-ში.

წლევი. ამიტომაც სრულიად უიმისოდ არიან. ამ ცხოველთ არა აქვთ თვისი საკუთარი სითბო, ისინი ეგრედ წოდებულ „ცივსისხლიანნი“ არიან და ამიტომაც ძლიერ ცოტასა სჭამენ. უმეტეს ნაწილად ნაკლებ მოძრაობენ და მუდმივ არ იცვლიან ადგილს, როგორც ძუძუმწოვართა უმეტესობა.

მაშასადამე, ცხოველთაგან ადამიანისთვის ნაანდერძევ მემკვიდრეობას შეადგენენ არამარტო უსარგებლო და მავნე რუდიმენტული ორგანოები, არამედ კარგად განვითარებულნიც და აგრედვე უსარგებლონი.

ის კი არა და მსხვილი ნაწლევი ადამიანის ტანმრთელობისთვისა და სიცოცხლისთვის მავნე ორგანოთა შორის უნდა ჩავთვალოთ. მასშია მოთავსებული ჩვენის მონელებულ საჭმლის ნამეტნავი, რომელიც დიდ ხანს რჩება იქ და იხრწნება. ამ გახრწნის ნაყოფი კი ხშირად ფრიად მავნეა ადამიანის ტანმრთელობისთვის. როცა ნაშთენი დიდის ხნით რჩება მსხვილ ნაწლევებში (ასე გავრცელებულ ყაბზობის დროს) ზოგიერთ მის შემადგენელ ნივთიერებას შეუძლია შევიდეს სისხლში და მოსწამლოს. ყველამ იცის, რომ მუცელში შეკრულობა (ყაბზობა) მშობიარე დედაკაცთა და ახლად ოპერაცია მოხდილთ უჩენს სიცხეს და ცხელების სხვა სიმპტომებს. ამის მიზეზია იმ მავნე ნივთიერებათა შესრუტვა, რომელთაც ამზადებენ მიკრობები მსხვილ ნაწლევებში. ამავე პროდუქტებს შეუძლია მსხდომისა და სხვა კანის სენთა გაჩენაც. ერთის სიტყვით, მსხვილი ნაწლევები ადამიანს ბევრ უსიამოვნებას აყენებენ, რომელთაც შეუძლიათ გახდნენ ფრიად საშიშარ სენთა ბუდეთ და რომელთა შორის პირველი ადგილი უჭირავს მუცელას (Dysenteria), ზოგიერთ ცხელ ქვეყნებში გავრცელებულ დამღუპველ სენს. „მუცელაო,— ამბობს რეი [2]),—წარმოადგენს ერთს ფრიად დიდ საშიშროებას, რომელიც მოელის ევროპიელს ტონკინში. 30% შინაგან ავადმყოფთაგან ამ სენით ესალმება წუთი-სოფელსა“-ო.

[2]) Rhey. „Archives de médecine navale“. 1887.

საფრანგეთისა და ინგლისის ახალშენების ევროპული ჯარის-კაცობაც ყოველწლიურად დიდს ხარკს უძღვნის ამ სენს.

ბოროტთვისებიან (malignum) ხორცმეტთა გასაჩენადაც მსხვილი ნაწლევები კარგი ნიადაგია, ასე, რომ ნაწლევების კუ პრუსიის საავადმყოფოებში 1895-სა და 1896 წლებში 1148 შემთხვევიდამ 1022 შემთხვევა, ესე იგი 89%, იყო აღმოჩენილი ბრმასა და სწორ ნაწლევებში [1]).

ერთად ერთი ჩვენის ცხოვრებისათვის აუცილებლად საჭირო წვრილი ნაწლევი ბევრად ნაკლებად დაავადებულა კუს ავადმყოფობით, სულ 11%. ეს გარემოება ალბად აიხსნება მით, რომ განავალი წვრილ ნაწლევებში უფრო ცოტა ხნით რჩება, ვიდრე მსხვილში. ხოლო ასეთი შეჩერება საზოგადოდ ხელს უწყობს ნაწლევების ყოველგვარ დაავადებას და უთუოდ კუს დაავადებულ 10,537 შემთხვევიში ერთსა დი იმავე დროის განმავლობაში 4.288 ანუ 4% კუჭის კუ არის აღნუსხული პრუსიის საავადმყოფოებში. კუჭი ერთი ისეთი ორგანოთაგანია, ურომლისოთაც ადამიანს შეეძლო ეცხოვრა, მაინც მეტად მარგებელია, ვიდრე მსხვილი ნაწლევი, რადგანაც ცილის ნივთიერებათა მომნელებელია, ხოლო მის მაგიერობა შეეძლო გაეწია წვრილ ნაწლევებს. მართლაც, იყო ისეთი შემთხვევები, როცა დოსტაქრებმა ამოსჭრეს კუთ დაავადებული კუჭი და ეს ოპერაცია კარგად გადაიტანეს ავადმყოფებმა, იკვებებოდნენ კიდეც რიგიანად, მხოლოდ უფრო ხშირად უნდა მიეღოთ საჭმელი. საჭმელს ინელებდნენ ასეთი ავადმყოფები წვრილ ნაწლევებისა და კუჭქვეშა ჯირკვლის მეოხებით. გასაკვირველიც არ არის, რომ საჭმლის მოსანელებელი ორგანოები ამოდენ უსარგებლოსა და მავნე მაგალითებს წარმოადგენენ ჩვენის შინაგანის ორგანიზაციისათვის. ჩვენნი წინაპარნი, პირუტყვნი, იკვებებოდნენ უმი ხორცით, ან ტლანქი, ველად აღმოცენებული მცენარეებით. ადამიანი

[1]) Ewald: „Klinik der Verdaungskrankheiten" т. III, 1902. стр. 267.

კი შეეჩვია ადვილად მოსანელებელ მცენარეთა მოყვანას და საჭმლის ისეთს დამზადებას, რომ სხეულს ადვილად შეეთვისებია ამიტომაც ის ორგანოები, რომლებიც შეგუებული ჰქონდათ პირუტყვებს ცხოვრების ვითარებისათვის, ადამიანისთვის ზედმეტი აღმოჩნდა. მრავალ ცხოველთა ისეთმა გვარებმა, რომელთაც შესძლეს ადვილად მოსანელებელ საკვების მოპოვება, დაბოლოს, ბევრად თუ ცოტად, სრულიად დაჰკარგეს მოსანელებელი ორგანოები, მაგალითად პარაზიტულმა ცხოველებმა. ზოგიერთი მათგანი, მაგალითად მუცლის პრტყელი ჭია, დასცურავს სრულიად მზამზარეულ საკვებ ადამიანის ნაწლევების სითხეში, რის გამო სრულებით მოესპო საკუთარი ნაწლევთა არხი.

ადამიანს არ განუცდია ეს ევოლიუცია და მას შერჩა მავნე მსხვილი ნაწლევები, რაიც უშლის თვის საკვების, რამდენადაც შესაძლო იყო, გაუმჯობესობას. ადამიანი არ უნდა იკვებებოდეს ფრიად ადვილად და უნაკლულოდ მოსანელებელ საჭმლით, რადგანაც ამ შემთხვევაში მსხვილი ნაწლევები გვიან ცარიელდება და ამიტომ შესაძლოა მძიმედ დაავადმყოფდეს. მაშასადამე, გონიერი ჰიგიენა მოითხოვს ყურადღება მიექცეს ჩვენის ნაწლევების არხის მოწყობილობას და საკვებავ მასალათ იქონიოს მცენარეულობაც, რომელსაც მონელების შემდეგ რჩება საკმაოდ მოუნელებელი ნაწილიც.

ჩვენ აქ ვეხებით საკმაოდ საზოგადო ინტერესის საკითხს. საჭმლის არჩევაში თავისათვის და თვისის შთამომავლობისათვის ცხოველები განსაკუთრებით ხელმძღვანელობენ ბრმა და თანდაყოლილი ალღოთი.

მეორე თავში დავინახეთ, რომ მთხრელი კრაზანა ნადირობს მწერთა განკერძოებულს გვარსა და ობობაზე. ალღო უჩვენებს საჭმლის ისეთს გვარს, რომელიც იოლად მოსანელებელია მათის ჭიებისათვის. ყვავილების ტკბილი წვენია ფუტკრის სანუკვარი; აბრეშუმის ჭია ალღოს მეოხებით ღრღნის თუთის ფოთლებს და არ ეკარება სხვა მცენარეთა უმ-

რავლესობის ფოთოლს. მაღალ ცხოველთა ალღოსაც საჭმლის არჩევაში დიდი მნიშვნელობა აქვს. ყველამ იცის, თუ რა ძნელია მოწამლულის ხაჭმელით ვირთხების გაწყობა. ალღო იმწამსვე აგრძნობინებს მოწამლულ საჭმლის საშიშროებას. აგრედვე ძაღლებმაც ძალიან კარგად იციან ისეთი საჭმლის ბვერდის ავლა, რომელშიც არეულია საწამლავი.

ყველამ იცის, როგორ გულდადებით სინჯავენ მაიმუნები საჭმელს, ვიდრე პირში ჩაიდებდნენ. ჯერ დასუნავენ, ყოველ მხრივ დაათვალიერებენ, გაართმევენ კანსა და სჭამენ მხოლოდ ასეთის სასტიკის გამოცდის შემდეგ. ხშირად არც კი მიიკარებენ და უკუაგდებენ. და მაინცა და მაინც, თუმცა ასე განვითარებული ალღო აქვთ, მაიმუნები ხშირად იწამლებიან ისეთ შხამიან ნივთიერებითაც-კი, რომელთაც მკვეთრი სუნი სდის. მე ვიცი ისეთი შემთხვევები, როცა მაიმუნებმა მოიტაცეს ფოსფორის წუმწუმა და იოდოფორმი, და მოიწამლნენ.

ალღოს გადაკვარება საჭმლის არჩევაში განსაკუთრებით ემჩნევა ადამიანს. აიდგამენ თუ არა ფეხს, ბავშვები იღებენ იატაკიდან სხვა და სხვა საგანს და იდებენ პირში. ქაღალდის ნაგლეჯი, ლაქას ნაჭერი, ნაფურთხი,—სულ საჭმელი ჰგონიათ. ძნელია ხოლმე კაცმა თვალი მიადევნოს და დაუშალოს ამ ხშირად მავნე საგანთა გადაყლაპვა. სხვა და სხვა ხილი ხომ მუდამ აცდენს ბავშვებს და მათგან წყენაც ხომ ხშირია. რადგან ასეთ მაგალითების გათვალისწინება ყველას შეუძლია, მე აქ მხოლოდ ერთ მაგალითს მოვიტან. „ბიდლის ხის ზეთის ქარხანაში, ბოსტონში, გადაეყარათ ქარხნის კარებთან აბუსალთინის გაფუჭებული და უვარგისი მარცვლები. ქუჩაში მოთამაშე ბავშვებს ფსტა-ნუში ჰგონებიათ, აუკრეფიათ, გაუნაწილებიათ ერთმანეთ შორის და უჭამიათ. ამის გამო 70 ბავშვი მოწამლულა“ [1]).

[1]) Stillmarek. „Arbeiten des pharmacologishen Institutes zu Dorpät“, ტ. III, 1889, გვ. 110.

ჭვავისა და სიმიდის ღვარძლი ხშირად სწამლავს ხალხს და ალღო არ ჰშველის ხოლმე ამ შემთხვევაში ადამიანს. იმ დროს, როცა ერთის მხრივ მიკრობებისათვის სახეირო მსხვილი ნაწლევები წარმოადგენენ ადამიანის სხეულის შინაგან საწამლავს; მეორე მხრივ გადაგვარებულ ალღოს მეოხებით ადამიანი იწამლავს თავს სპირტით, ეთერით, აფიონითა და მორფიუმით. უშველებელი და ესოდენ დამღუპველი მნიშვნელობა ლოთობისა წარმოგვიდგენს ფრიად საგულისხმიერო და მუდმივ მაგალითს საჭმელის არჩევისა და თვითდაცვის ალღოთა შორის დისჰარმონიისას.

მაშასადამე, საჭმლის მოსანელებელი აპარატი ერთი საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთთაგანია ჩვენის ბუნების ნაკლულევანებისა და დისჰარმონიისა.

ხოლო ეს მაგალითი სრულიადაც არ არის ერთად ერთი და ამის დამტკიცებას ქვემო ორ თავში შეეცდებით.

თ ა ვ ი V.

დისჰარმონია წარმომშობ ორგანოთა მოწყობილებისა და მოქმედებისა.—ოჯახურ და სოციალურ ალღოთა დისჰარმონია.

I.

რამოდენიმე სიტყვა ადამიანის გრძნობისა და შეგნების ორგანოთა დისჰარმონისათვის.—სქესობრივ აპარატის რუდიმენტული ორგანოები.—წარმოშობა და მნიშვნელობა ქალწულობის აპკისა.

ადამიანის სხეულის არა მარტო საჭმლის მომნელებელი ორგანოები წარმოადგენენ დიდსა და მცირე ბუნებრივ დისჰარმონიას შენობისა და მოქმედობის მხრივ. გერმანიის დიდებულმა ფიზიოლოგოსმა იოჰან მიულლერმა ნახევარი საუკუნეა მას აქეთ, რაც დაამტკიცა, რომ ჩვენი თვალის აბერაციის შესწორება დიაღაც არ არის სრულიო. იმ დროს, როცა ეს ორგანო უწარჩინებულესია სხვა ორგანოთა შორის. მეორე გერმანელ დიდებულ მეცნიერს, ჰელმჰოლცს, ჩვენის თვალის

ოპტიკურმა შესწავლამ ფრიად გაუტეხა გული. ბუნებას,—ამბობს იგი,—თითქოს განზრახ შეუკრებია წონაუკმობანი, რათა ძირეულად დაერღვია წინასწარვე დადგენილი ჰარმონია შინაგანსა და გარეგანს ბუნების შორის.

არათუ მარტო თვალი, არამედ ყველა დანარჩენი აპარატიც, რომლის მეოხებითაც ჩვენ ვეცნობით გარეგან ბუნებას, წარმოადგენენ დიდ ბუნებრივ დისჰარმონიას.

ეს არის მიზეზი, რომ ურწმუნოდ ვეკიდებით ჩვენს შეგნების წყაროს. მეხსიერება არის პსიქიურ პროცესთა კვალის დამცველობის ნიჭი და ეს ნიჭი დიდად გვიან ვითარდება ტვინის სხვა ნიჭთან შედარებით. ადამიანიც რომ ისეთის მაღალის განვითარებით იბადებოდეს, როგორც იბადება ზღვის გოჭი, მაშინ უთუოდ ბევრად უკედ მიხვდებოდა, როგორ იზრდება ბუნების შეგნების ნიჭი მის არსებაში.

აღარ შევჩერდებით ჩვენის შეგნების ნაკლულევანებასა და დისჰარმონიაზე და გადავალთ წარმომშობ ორგანოთა შესწავლაზე.

ჩვენ დავინახეთ, რომ ინდივიდუალ ცხოვრების უმთავრესი ორგანო—მომნელებელი არხი სრულიად არ ამტკიცებს ადამიანის ბუნების უაღრესობას. ეგებ უფრო საიმედო შედეგებს წავაწყდეთ წარმომშობ ორგანოთა შესწავლის დროს. იმის წარმოსადგენად, თუ რა ბუნებრივ ჰარმონიის უაღრესობას წარმოადგენს ყვავილთა განაყოფიერების მექანიზმი, ჩვენ ზევით მოვიტანეთ მაგალითები. მცენარეთა სიცოცხლე მუდამ უზრუნველყოფილია თვისის უაღრესის აპარატისა და მოქმედების მხრივ.

ვხედავთ თუ არა ამასვე ადამიანის გვარში? კაცისა და ქალის წარმომშობ ორგანოთა შესწავლა გვიჩვენებს მრავალგვარ არევას იმ ელემეეტებისას, რომელნიც განირჩევიან თვისის გაჩენით. შორეულ დროიდან გადმოცემული ნაწილები არსებობს შედარებით ახალ შეძენილ ნაწილთა გვერდით. შინაგან სქესობრივ ორგანოების მოწყობილობა ცოტად თუ

ბევრად გვიჩვენებს ორსავე სქესის მიმდინარეობას. მამაკაცებს შერჩენიათ დედაკაცთა სქესობრივ ორგანოების ნასახები საშოსა და ფალოპის მილებისა. პირიქით, დედაკაცთ სქესობრივ ორგანოთა შორის იმყოფებიან მამაკაცთა სქესობრივ ორგანოების ნასახები. რადგან ასეთი მოვლენა ემჩნევა ხერხემლიან ცხოველთა უმრავლესობას, საფიქრებელია, რომ ეს მოვლენა ფრიად შორის დროიდან მომდინარეობს. ეს იმის მაჩვენებელია, რომ შორეულს დროში ეს ცხოველები უნდა აკუმები ყოფილიყვნენ. შემ ღეგში სქესები საბოლოოდ დაიყვნენ, ხოლო მათ შერჩათ ცოტად თუ ბევრად მათის ევოლიუციის ნიშნები. ეს ნიშნები რუდიმენტულ ორგანოთა სახით (ეგრედ წოდებულ ვებერის, როზენმიულლერის და სხვ. ორგანოები) ახლაც ხშირად აქვს მოზრდილ ადიმიანს. ისინი სრულიად ურგებნი არიან და, როგორც საზოგადოდ დაკნინებულ ორგანოთა შესახებ შემჩნეულია, ან ამახინჯებენ ადამიანის სხეულს, ან რაიმე ტანმრთელობისათვის საშიშარ ხორცმეტს (სიმსივნეს) ჰბსდებენ. პროსტატის ბუშტის ანუ ვებერის ორგანოს ძლიერი განვითარება მამალს უჩენს მამობრივ საშოს და არაჩვეულებრივ სიაკუმეს. ზოგიერთი ჰიდატური ცისტები მამობრივ ორგანოთა ჩანასახზე ჩნდება. ქალებსაც ზოგიერთი ცისტები, მაგალითად პაროვარიუმისა, დამოკიდებული აქვთ იმავე სისტემის ორგანოთა პატოლოგურ განვითარებაზე. ჩვეულებრივ ეს ცისტები კეთილთვისებიანი არიან, თუმცა ხანდისხან შესაძლოა ფრიად ბოროტთვისებიანიც გახდნენ. შესანიშნავი ინგლისის დოსტაქარი ლაუსონ—ტეტი მოგვითხრობს ერთს შემთხვევას, როცა მან ერთს ყმაწვილ გასათხოვარს ამოსჭრა გარეგნობით ფრიად კეთილთვისებიანი ცისტა, ხოლო ექვსი კვირის შემდეგ ავადმყოფს გამოაჩნდა სქესობრივ ორგანოთა კუ და სამ თვეში კიდეც თან გადიტანა.

ადამიანისა და პირუტყვის რუდიმენტულ სქესობრივ ორგანოთა ნასახების შედარება ცხადჰყოფს, რომ ადამიანს

ზოგი მათგანი გაჰქრობია მეტად, ვიდრე დაბლა მდგომ ძუძუმწოვართ. მაგალითად, ნასახ თირკმელის არხი (ეგრედ-წოდებული **ვოლფის სხეული**) მხოლოდ ფრიად იშვიათად აქვს მოზრდილ ადამიანს, ხოლო ზოგ ბალახმჭამთ მთელს სიცოცხლეში აქვთ (ეგრედ-წოდებულ **გერტნერის** არხის სახით). ხოლო, თუმცა ეს ასეა, ადამიანის შინაგან სქესობრივ აპარატს თან ახლავს სხვა და სხვა ნასახი ორგანოები, მუდამ ურგებნი და ხანდისხან კი ცოტად თუ ბევრად მავნებელნი მის ტანმრთელობისა და სიცოცხლისათვის.

ამ ორგანოთა ნასახებთან, რომელნიც დიდი ხანია მას აქეთ, რაც ურგებნი შეიქმნენ, ადამიანის სქესობრივ სისტემას თან ახლავს ისეთი ნაწილებიც, რომელიც ბოლო დროს შეუძენია. ეს ნაწილები ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა, რადგან საფიქრებელია, რომ შეგუებული უნდა იყოს სქესობრივ მოქმედებისათვის.

მკითხველს უთუოდ ახსოვს ის კამათი, რომელიც იყო გამოწვეული ადამიანის მაიმუნისაგან წარმოშობის შესახებ, რაზედაც მე-III თავში გვქონდა ლაპარაკი.

სულ ტყუილად ჩაიარა იმ ცდამ, რომელიც ჰლამობდა ადამიანის ტვინში აღმოეჩინა ისეთი ნაწილები, რომლებიც ვითომ არა აქვთ მაიმუნებს. იმავე დროს აღმოჩნდა, რომ ადამიანი მეტად განსხვავდება მაიმუნისაგან თვისთა სქესობრივ ორგანოთა ანატომიურის ორგანიზაციით, ვიდრე ტვინით. მართლაც, ადამიანს არა აქვს პენისის ძვალი. ეს ძვალი აადვილებს მამობრივ სქესის ორგანოს შეყვანას დედობრივ ორგანოში და მრავალ ხერხემლიან ცხოველთ აქვთ. ის არა თუ ადამიანზე დიდად დაშორებულ ცხოველთ, როგორც მღრღინავთ და ონავართ, არამედ ზოგიერთ მაიმუნთაც და მათ შორის განსაკუთრებით ადამიანის მსგავს მაიმუნებს აქვთ [1]). ჩვენ სრულიად არ ვიცით, რა მიზეზის გამო დაჰკარგა ადა-

[1]) Grisp: „Proceedings of the Soolog. Society“. London 1865, p. 48.

ზიანმა პენისის ძვალი. ალბად, ძვლის ნასახი, რომელიც ხანდისხან იშვიათად ჩნდება ზოგიერთ ადამიანის ასოში, ერთგვარი ატავისტური ნაშთია წინაპართა პენისის ძვლისა [2]).

მამობრივ სქესში ადამიანის და ადამიანის მსგავს მაიმუნთა შორის განსხვავება გამოიხატება ერთის ორგანოს უქონლობით; დედობრივ სქესში კი ჩვენ გვაოცებს წინააღმდეგის ხასიათის მოვლენა. ქალწულობის აპკი, ანუ ჰიმენი, შეადგენს მხოლოდ ადამიანის გვარის შენაძენ თვისებას. უფრო მეტის უფლებით შეეძლოთ საქალწულო აპკის არგუმენტათ გამოყენება, ვიდრე „მცირე ჰიპოკამპისა.“, უკანა ნაწილი და უკანა რქა დიდის ტვინისა, იმ მეცნიერთ, რომელნიც, გინდათუ არა, ჭლამობენ ისეთ ორგანოს გამოძებნას, რომელიც ჰქონდეს მხოლოდ ადამიანს და არა ჰქონდეს ყველა პირუტყვს და მათ შორის ადამიანისმსგავს მაიმუნებსაც. ბიშოფმა აღმოაჩინა, რომ ამ მაიმუნებს სიქალწულის აპკი არა აქვთო და ეს მოვლენა სხვა მკვლევართაც დაადასტურეს. დენიკერმა ვერ უნახა „ვერც ჩანასახს და ვერც ახალგაზდა გორილლას“ სიქალწულის აპკი, გიბბონის ჩანასახს მან უპოვა შთასადებელის შესავალში მცირე არშია, „რომელიც შეიძლება საქალწულო აპკად ჩაირიცხოს“, მხოლოდ ეს არ არის იგივე ორგანო. დენიკერი იმ დასკვნას ადგა, რომ „სიქალწულის აპკი ადამიანის მსგავს მაიმუნთა არც ერთ ჰასაკის წარმომადგენელს არა აქვსო“. ვიდერსჰეიმი თვის ადამიანის სხეულის შენაწევრების მიმოხილვაში იხსენიებს იმ ფაქტსაც, რომ „მაიმუნებს სიქალწულის აპკი არა აქვთო“.

რომ ეს სიქალწულის აპკი ახალის დროის შენაძენია, მტკიცდება იმითიც, რომ დედობრივ ჩანასახს ეს ორგანო უვითარდება გვიან. რამდენთამე მკვლევართა შეთანხმებულის დაკვირვებით ეს აპკი ჩნდება ორსულობის მე-19 კვირაზე და ზოგჯერ უფრო გვიანაც.

---

[2]) Lenhossek: „Virchows Archiv für Pathologischen Anatomie 1874. XI p. 1.

თუ ფრიად ძველის შთამომავლობის ორგანოები, რომელიც რუდიმენტებად გადაიქცენ, უსარგებლოა, უნდა გვეფიქრა, რომ ახლად გაჩენილი ორგანო, რომელიც, ასე ვთქვათ, პროგრესულ ფაზაში იმყოფება, როგორმე ფრიად სასარგებლო იქნებოდა თვისის ფუნქციის თვალსაზრისით. მაშ, რა სარგებლობა მოაქვს ქალისათვის ამ სიქალწულის აპკს? ვიდერსჰეიმი გამოტეხით აშბობს, რომ „შთასადებლის შესავალთან მყოფ აპკის, ეგრედ წოდებულ ჰიმენის ძირითადი მნიშვნელობა სრულიად არ არის გამორკვეულიო“.

ჰიმენის მნშვნელობა ოჯახურ და სოციალურ ურთიერთობაში ზოგჯერ ფრიად დიდია. მას დიდ მნიშვნელობას აკუთვნებენ ზნეობრივის თვალსაზრისით, რადგანაც სთვლიან სიქალწულის განსაკუთრებულ თვისებათ. გამოძიების დროს მკურნალი გულდადებით ათვალიერებს ჰეიმენს, როცა იკვლევს ძალადობით ან სხვას კაცსა და ქალშუა ურთიერთობის საქმეს. ორსავე სქესის ბევრს ადამიანს თავიც კი წაუგია სიქალწულის აპკის გაფუქებისათვის.

ხოლო აქ ჩვენი საუბარი შეეხება ჰიმენის ფიზიოლოგურ მნიშვნელობას. ადვილი გასაგებია, რომ იგი არავითარ სამსახურს არ უწევს ადამიანს. ჰიმენის დაკნინება მის გაფუქების შემდეგ არაფრით არ უშლის ხელს სქესობრივ ურთიერთობას. პირიქით, მისი მთლიანობა უხერხულ და უსიამოვნო დაბრკოლებას წარმოადგენს. ამიტომაც მრავალნი ტომნი სცდილობენ, რაც შეიძლება ადრე, მოუსპონ იგი პატარა ქალებს. ჩინეთის ზოგს ოლქში ისე სასტიკად იცავენ პატარა ქალების სისუფთავეს, რომ მოკლე ხნის განმავლობაში სრულიად ესპობათ ჰეიმენი. ამიტომაც მრავალმა ჩინელმა, მათ შორის მკურნალებმაც კი, არც კი იციან ამ ორგანოს არსებობა.

იგივე ფაქტია შემჩნეული ბრიტანიის ინდოეთში. ბრაზილიის ზოგ ინდოელთა შორის (მაკაკურასების თემში) სრულიადაც არ მოიძებნება სიქალწულის აპკი, რადგანაც დაბადებისთანავე დედა უსპობს თვის ქალებს ჰიმენს.

კამჩატკის მკვიდრთ-იტელმენებს—უზრდელობათ მიაჩნიათ მთლიანის ჰიმენით ქალის გათხოვება. და ამ უზრდელობის თავიდან ასაცილებლად დედები უსპობენ თვის ქალებს ჰიმენს.

მეორე მხრივ იმ უხერხულობის თავიდამ ასაცდენად, რომელსაც ჰიმენი წარმოადგენს, მიჰმართავენ ხოლმე მის გაფუჭებისათვის სპეციალისტებს. ძველად ფილიპეს კუნძულთა მკვიდრთ—ბიზერებს—ჰყავდათ კარგის ჯამაგირით დაქირავებულნი მსახურნი, რომელთაც უნდა მოესპოთ ჰიმენი, როგორც ქმართა განცხრომის ხელის შემშლელი.

ასეთივე ჩვეულება ჰქონდათ ახალ კალედონიის მკვიდრთ, რომელთაც, მონსეონის სიტყვით, სიქალწულე არაფრად ეპრიანებათ.

ამ მაგალითებიდან, რომელთა სია შეიძლებოდა განგვეგრძო, სჩანს, რომ ეს მხოლოდ ადამიანის გვარის მიერ მოპოვებული სიქალწულის ბაკი არავითარ სარგებლობას არ წარმოადგენს ფიზიოლოგურად.

მართალია, მრავალ ხალხთა შორის და უპირველესად ქრისტეანთა და მაჰმადინთა შორის ჰიმენის მთლიანობას დიდი მნიშვნელობა აქვს, ასე ვთქვათ, შუამავლობითი.

პირველად ებრაელებმა მიაქციეს განსაკუთრებული ყურადღება სიქალწულეს. მოსეს კანონის ძალით, თუ ქორწინების დროს ქალი არ არის ქალწული, უნდა გაიყვანონ მამის სახლიდან და ჩაჰქოლონ ქვით, ვიდრე არ მოკვდება, რადგან მრუშობა გაუბედნია მამის სახლშიო. მრავალნი ქრისტეანე ერნი აიძულებენ ახლად გათხოვილ ქალებს დაამტკიცონ თვისი ქალწულობა ჰიმენის სისხლით გასვრილ საცვლის გამოფენით. აღმოსავლეთის მაჰმადიან უმრავლესობა ნათესავთა და ნაცნობთ გამოუფენენ ახლად გათხოვილის საცვალს მის სიქალწულის დასამტკიცებლად. ხოლო ქალწულობის მოსპობას ისინი ხშირად არა სქესობრივის გზით ეწევიან. არაბები, კოპტები და აგრეთვე მეგვიპტელნი ჰიმენის გახვრეტისათვის საგანგებოდ იწვევენ ხნიერ დედაკაცებს. [1])

[1]) პლოსს-ბარტელსი: „Das Weib“.

ყველა მოყვანილ საბუთიდან აშკარაა, რომ სქესობრივს აქტში ჰიმენს არვითარი მნიშვნელობა არა აქვს. ხშირად კი ეს აპკი, ცოტად თუ ბევრად, საყურადღებო უხერხულობის წყაროდ ჰხდება. მაგალითად, როცა ჰიმენი სქელია, მკვრივი, შეიძლება საშუალი ადგილი გასკდეს და ამით ვნება მიაყენოს სხეულს. თუ ჰიმენი ბევრ სისხლის მილებიანია, შესაძლოა მისმა გახვრეტამ გამოიწვიოს მომაკვდინებელი სისხლის დენა. [1]) ზოგჯერ ამ აპკზე ჩნდება ყვავილის, ვენერული და სხვა მუწუკები, წყლულები.

წინად მოვიხსენიეთ, რომ ზოგიერთ თემთა მეტის მეტი შოვლა და სისუფთავე სქესობრივ ორგანოებისა სრულიად სპობს ჰიმენს. ცხადია, ეს აპკი უშლის შთასადებელის დაცალიერებას, რაიც განსაკუთრებით უხერხულია თვიურის დროს. აპკი უექველად აკავებს სისხლს, ჰხდის მას მიკრობების საზრდოთ და იწვევს მთელ სხეულის საშიშარ ავადმყოფობას. შესაძლოა, რომ ყმაწვილ ქალთა სისხლნაკლებობას, ანემიას, იწვევდეს ამ მიკრობთა გამრავლება. მაშინ ადვილი გასაგებია, რომ გათხოვება ამ შემთხვევაში ფუბარ საშუალებათ უნდა ჩაითვალოს ასეთი ანომიის წინააღმდეგ, რადგან ჰიმენის გახვრეტა ათავისუფლებს შთასადებელს. [2])

მაშ რისღა მაქნისია ეს სქესობრივ ურთიერთობისათვის სრულიად უსარგებლო და ზოგჯერ ტანმრთელობისათვის მავნე ორგანო, რომელიც არ წარმოადგენს ცხოველ წინაპართა მემკვიდრეობას და რომელიც სქესობრივ ურთიერთობისათვის უნდა მოსპობილ იქმნას ხოლმე? ოდესღაც, როცა მეცნიერები ჰფიქრობდნენ, რომ შეძენილი თვისებები ადვილად გადადიან შთამომავლობითო, ეკითხებოდნენ თავიანთ თავს, რის მიზეზია, რომ ჰიმენი, ამოტოლა შთამომავლობის

[1]) პოცი: „Gynécologie" 1890. p. 1067.

[2]) საინტერესოა ვიცოდეთ, ხდებიან თუ არა ანემიით ავად ჩინეთისა და ინდოეთის ქალები, რომელთაც ჰიმენი მოსპობილი აქვთ. ამის შესახებ დღემდე ცნობები არ მოგვეპოვება. ავტ.

ბიერ მოსასპობად გამეტებული, არავითარ ნიშანს არ იძლევა გაქრობა—მოსპობისასო? ეს მაგალითი საუკეთესო მაჩვენებელია მისი, თუ რაფრად შეირყა თეორია შთამომავლობისათვის იმ თვისებათა გადაცემის, რომელნიც შეძენილნი არიან ცხოვრების განმავლობაში.

თუმცა ჰიმენი უსარგებლოა დღევანდელ კაცობრიობისათვის, მაგრამ მის არსებობას მაინცა და მაინც, ცხადია, აქვს თვისი მიზეზიც. როგორც ზემოდ მოვიხსენიეთ, მეცნიერებას ეს საკითხი ჯერ არ გადუწყვეტია. ამიტომაც მის ასახსნელად უნდა ჰიპოტეზას მივმართოთ და აი, ჩვენ როგორ ვფიქრობთ: თვის არსებობის პირველს ხანებში სქესობრივ ურთიერთობას ადამიანი ეწეოდა ძალიან ადრე, ისეთს პერიოდში, როცა მამობრივი სქესობრივი ორგანო არ იყო საბოლოოდ დამთავრებული. ამ პირობათა შორის ჰიმენი არ უშლიხ ხელს სქესობრივის გრძნობით გამოწვეულს სიამოვნებას. თანდათან გაგანიერებული და არ გამსკდარი, იგი დაბოლოს არც გაზრდილ სქესობრივ ორგანოსათვის წარმოადგენს დაბრკოლებას.

მაშასადამე, ჩვენ ვფიქრობთ, რომ შორეულს დროში ჰიმენი კი არ სკდებოდა, არამედ თანდათან განიერდებოდა და მისი გახეთქა მხოლოდ ბოლო დროის საქმეა.

ამ ჰიპოტეზის დასადასტურებლათ ჩვენ შეგვიძლია დავიმოწმოთ ის ფაქტი, რომ ზოგ ველურსა ან ცოტად განვითარებულს თემებში სქესობრივი ურთიერთობა დდესაც ფრიად ადრე იწყება. კუნძულ ცეილონზე „აქორწინებენ 7—8 წლის ვაჟებსა და 4—5 წლის ქალებს როერის ცნობებით და 8 წლისას ვეჰერლეინის ცნობებით. დაქორწინების შემდეგ პატარძალი ბრუნდება დედმამის სახლში და მხოლოდ რამდენსამე წლის შემდეგ, როცა თვიური გაუჩნდება, უერთდება ყრმა ქმარს“ (ბარტელს-ბლოსსი).

როერი გვარწმუნებს, ისეთი მამა-შვილი მინახავს, რომელნიც ერთს სკოლაში დადიოდნენო.

ვედების (მონათა კასტაა სამხრეთ ინდოეთში) ვაჟები ცოლს ირთავენ 15—16 წლისანი, ესე იგი იმ ხანაში, როცა სქესობრივი ორგანო არაა ჯერ კიდევ სრულიად დამთავრებული. მისიონერი ეტერნი გაოცებული იყო კერადიფის (აბაშეთშია) მკვიდრთა აღელვებით, რომელთაც ბრძანება მიეღოთ ორის კვირის განმავლობაში დაექორწინებიათ 14 წლის ზევით ყველა ვაჟები და 9 წლის ზევით ქალები. XVII საუკუნის დამდეგს მადაგასკარზე 12 წლის ვაჟები ცოლებს ირთავდენ. ახალი გვინეის გერმანელ ახალშენის მკვიდრნი 14—15 წლის ვაჟებს აქორწინებენ. ინგლისშიაც კი არის ისეთი კანონი, რომელიც 14 წლის ვაჟებს დაქორწინების ნებას აძლევს. თუმცა ეს კანონი ამ ხანად ფუჭი სიტყვაა არის, მაგრამ, უეჭველია, შეესაბამებოდა ძველს ჩვეულებას.

როგორც ვიცით, ჩვენს დროშიაც სქესობრივ აქტის შემდეგ ჰიმენი მუდამ არა სკდება.

გიუდენმა გამოიანგარიშა, რომ დაახლოვებით 17% პირველ მშობიარე დედაკაცებს ჰიმენი მთელი ჰქონდათ. მანვე გამოიკვლია, რომ პირველ მშობიარე 75 ქალთა შორის 13-ს მთელი ჰიმენი ჰქონდა.

მას შემდეგ, რაც შვილების შენახვა მამის მოვალეობათ შეიქმნა, ვაჟი ცოლს ირთავს ბევრად გვიან, ვიდრე მაშინ, როცა შვილების შენახვა დედის მოვალეობა იყო. ამიტომაც ჩვენს დროში ახლად ულვაშებ-ამწვანებულ ყრმის დაქორწინება მეტად იშვიათია, ვიდრე წასულ დროს იყო.

მაშინ გაუხრწნელის ჰიმენით ფეხმძიმე ქალთა პროპორცია, რასაკვირველია, მეტი იყო. ადვილი წარმოსადგენია ის ხანა, როცა ქალებს ჰიმენი საზოგადოდ არ უსკდებოდათ მისი გახეთქა არ იყო სასარგებლო და ეს მაგალითია ქალის, სქესობრივ აპარატის უგვიანეს დისჰარმონიისა.

ყველამ იცის, რომ ქალთა სქესობრივ ორგანოების სხვა და სხვა ნაწილებს შეესაბამება მამობრივ სქესობრივ აპარატის ზოგი ნაწილები.

ამრიგად სიქალწულის აპკი შეესაბამება (ანალოგურია ან უკედა ვთქვათ ჰომოლოგურია, როგორც მიღებულია შედარებით ანატომიაში) პატარა ნაოჭს, რომელიც ხელს უშლის თესლის შარდთან არევას მიდგომის (coitus) დროს და რომელსაც ანატომიაში ეწოდება მამლის თავი (Caput gallinagineum, ანუ Colliculus seminalis). ეს ორგანო ჰიმენზე ბევრად მცირეა. ამიტომაც შეუძლებელია ჩავრიცხოთ ჰიმენი, ეს უსარგებლო ორგანო, ამ უკანასკნელის ნაშთად, რადგან ამას თვისი სასარგებლო დანიშნულება აქვს. ხოლო ბევრ სემიტის ნათესაობის ხალხს, ებრაელებს, არაბებს და სხვა მაჰომედის რჯულის ხალხებს (სპარსელებს, ზანგებს, ინდუსებს, თათრებსა და სხვ.) ჩვეულებადა აქვთ წინადაცვეთა, რომელიც არავითარ უხერხულებას არ ჰგვრის კაცს. მაშასადამე, უეჭველია, რომ ეს მოცვეთილი ორგანო (ჩუჩუ) არის ერთი ორსავე სქესის გასამრავლებელ ორგანოთა შორის მრავალ ნაწილთაგანი, რომელნიც სრულიად უსარგებლონი არიან.

II.

თვიურის განვითარება და მისი მნიშვნელობა.—ნაადრევი ქორწინება ზოგ პირველყოფილსა და მცირეკულტურულ ხალხთა შორის.—სქესობრივ სიმწიფისა და სხეულის საზოგადო სიმწიფის დისჰარმონია.—ქორწინების ჰასაკი,—გასამრავლებელ ფუნქციათა განვითარების დისჰარმონიის მაგალითები.

თუმცა ადამიანის სქესობრივ ორგანოთა ნაკლი ცხადია, მაგრამ ისინი მაინც ასრულებენ თავის მთავარ გასამრავლებელ დანიშნულებას.

მხოლოდ დაახლოვებით შესწავლა ცხადჰყოფს მათ აშკარა დისჰარმონიის თვისებასა და უხერხულ შეგუებას.

როცა რომელსამე ორგანოში სისხლი ჩაიქცევა, ასეთი ორგანო აუცილებლად დაავადებულათ უნდა ჩაითვალოს.

ცხვირისაგან, ფილტვებისაგან სისხლის დენა ანუ სისხლნა-
რევი შარდი არის ცოტად თუ ბევრად საშიშ ავადმყოფობის
მომასწავებელი. ქალების სქესობრივ ორგანოთაგან სისხლის
დენა (ტაბასტა) ხშირად იმასავე მოასწავებს, როგორც
მაგალითად საშოს სიმსივნის დროს. ერთად ერთი გამონაკ-
ლი ამ კანონისა არის ქალების შეუძლებლობა, რომელსაც
იწვევს ხოლმე თვიური და რომლის მეოხებითაც ის ჰკარგავს
თვის ძვირფას სისხლს 100—600 გრამმამდე. წმინდა ფიზიო-
ლოგურ მოვლენისათვის ეს ფაქტი პარადოქსალურია.
ამიტომ საინტერესოა ვიცოდეთ მისი ძირითადი მნიშვნელობა.

როგორც ქალწულების აპკი, აგრეედვე თვიური როდი
შეადგენს ადამიანის განკერძოებულს თვისებას. ძუ ცხოველ-
თა მძუნაობა, რასაკვირველია, შეეხამება თვიურს.

ხოლო ჩვენ აქ ვხედავთ სქესობრივ ორგანოთა წამო-
სივებას და ლორწოიან სითხის დენას, რომელსაც ცოტა
სისხლიც ურევია. ეს ჰხდება ხოლმე სქესობრივ გრძნობის
გაღვიძებისას და წინ მიუძღვის დაგრილებას, მიდგომას.[1]) მა-
იმუნს შეამჩნიეს ისეთი დენა, რომელიც უფრო ჰგვანდა ქა-
ლის თვიურს. უკვე დიდი ხანია შემჩნეულია ზოოლოგურ
ბაღებში, რომ ზოგ ძუ-მაიმუნს დროდან-დრომდე პერიოდ-
ულად უჩნდებათ უეჭველად ქალის თვიურის მსგავსი დენა.
ისიც დამტკიცებულია, რომ წვრილ მაიმუნთა და ცერკო-
პიტეკების ძუთ ყოველ თვიურად უჩნდებათ ხოლმე ასეთი დენა.

ინდოეთის ინგლისის ახალშენებში ყოფნის დროს ჰიპს[2])
ჰქონია ხშირი შემთხვევა ასეთის დაკვირვებისათვის. მან გა-
მოიწერა 230 ძუ მაიმუნი (Macacus rhesus), რომელთ უმ-
რავლესობა ან მაკე, ან ახლად სიმძიმისაგან განთავისუფლე-
ბული იყო. ამ დიდ რიცხვიდან 17 ძუს ჰქონდა თვიური,

---

[1]) Saint Sur: „Trété d' obstétrique vétérinaire. 2 ed. 1883, p. 52.

[2]) Heape: „Philosophcial Transactions of the R. Society of London.

რომელიც გამოიხატებოდა სქესობრივ ორგანოთა წამოსიებითა და ლორწოიან თეთრ შლისაგან. ამ შლას ჰქონდა ოდნავ მოწითანო ფერი სისხლის წითელ (სრსოლთა) ბირთვების მეოხებით. მხოლოდ იშვიათად შლას მუქი წითელი ფერი ჰქონდა.

თუმცა თვიურსა და მძუნაობას შორის ანალოგია უეჭველია, მაიმუნთა მძუნაობას ახასიათებს უმთავრესად სქესობრივ ორგანოთა გარეგნული სიმსივნე, ლორწოიანი შლა და მცირეოდენი სისხლის წითელი სრსოლები. მაიმუნის მძუნაობას უჭირავს საშუალო ადგილი მდაბალ ძუძუმწოვარ ცხოველთა მძუნაობასა და ქალთა თვიურს შორის.

ადამიანის მსგავს მაიმუნებსაც სჩვევიათ თვიურის მსგავსი შლა, როგორცა სჩანს ბოლო, ელეს და ჰერმესის დაკვირვებიდან[1]). „ამ ხანაში, — ამბობს ჰარტმანი, — ემჩნევათ სიმსივნე და სიწითლე გარეგან სქესობრივ ორგანოთა. ჩვეულებრივ მცირე ტუჩები და კლიტორი (ციკი) ფრიად დიდდება“.

ქალებს გარეგან სქესობრივ ორგანოთა სიმსივნე მცირედ ემჩნევათ და თვიურს ახასიათებს სისხლის შლა. მაშასადამე, ისინი ახლად შეძენილ თვისებას იჩენენ.

დღევანდელ შემადგენლობის მიხედვით, თვიური სითხე ალბად დამოკიდებულია იმ ცვლილებაზე, რომელიც მიუღია ადამიანის განვითარებას შედარებით ბოლო ხანებში. პირველ ყოფილ ადამიანთა სქესობრივი ურთიერთობა ადრე იწყებოდა და ქალები ორსულდებოდნენ თვიურის გაჩენამდე. მაშინ ქალს თვიური არა ჰქონდა არც ორსულებისა და არც ძუძუს წოვების დროს. და ერთის ფეხმძიმობის შემდეგ ხელმეორედ ორსულდებოდნენ. მაშასადამე, თვიური არ იყო. მთელის წლის განმავლობაში ადამიანი იჩენდა განაყოფიერების ნიჭს და მრავლდებოდა. და უთუოდ ამ ნაყოფიერების მეოხებით გავრცელდა ადამიანის გვარი მთელ დედამიწის პირზე

[1]) „Verhandlungen der Berliner geselschaft für Anthropologie“. 1876, გვ. 88.

და დამკვიდრდა ზედ ფრიად დიდის სიკვდილიანობისა და მრავალ დაბრკოლებათა მიუხედავად.

ამ ბოლო ხანებშიაც ბევრი დაკვირვება გამოქვეყნდა ყმაწვილ ქალთა თვიურის გაჩენამდე დაორსულების შესახებ. **როდი** გვარწმუნებს, რომ ინდოელ **გაუტოსებთ** შორის, საცა **რიო-საო-ლორენცო** **რიო-პარაგვაის** ერთვის, შეხვდებით ხუთი — რვა წლის გათხოვილ ქალებს, რომელნიც გათხოვილან, მაშასადამე, ვიდრე თვიურს ჰნახავდნენ. **ვედებთა** შორის, სამხრეთ ინდოეთში, „ქალები თხოვდებიან 7—8 წლისანი და იწყებენ ქმრებთან სქესობრივ ურთიერთობას ჰასაკში მოსვლამდე". **შირასში**, სპარსეთშია, „გოგონებიᲗთხოვდებიან აგრედვე თვიურის ნახვამდე, როცა შეთქვირებულები არ არიან და ძუძუები არ აკოკრებიათ". **რობსონი** გვარწმუნებს, რომ სირიაში „ქალები თხოვდებიან ჰასაკში მოსვლამდე, ესე იგი ოთი წლიდანო". **დჲუ-შალლჲუ** მოგვითხრობს, რომ დასავლეთ **აფრიკის** **აშირები** ჰქორწინდებიან ჰასაკში **მოსვლამდეო**. ნუბიაში მოგზაურობის დროს **აბბადის** გაუგია, რომ იქაურ კაცებს ჩვეულებად ჰქონიათ „ქალების ყიდვა და მათთან დაუღლება სანამ მათ ჯერ თვიური არ უნახავთ". სუმატრაში **აჯეკები** ისე ადრე თხოვდებიან, როცა თვიურზე წარმოდგენა კი არა, როცა კბილებს **იცვლიან** ხოლმე. მათი ქმრებიც ცოტათი უფროსები არიან და ცოლქმრულ ურთიერთობისა არა გეეგებათ რა. ხოლო ისინი შეუღლებული არიან მანამდე, ვიდრე ჰასაკში მოვიდოდნენ. კუნძულზე მცხოვრებნი **ვიტი** აგრეთვე ქორწინდებიან ვიდრე თვიურს ჰნახავდნენ.

ძველი ინდუსები აგრედვე ადრე ქორწინდებოდნენ. **ბიტლინგს** მოჰყავს სანსკრიტული ლექსები, საცა მოთხრობილია, რომ იმ მამებს, რომელთაც ქალები თვიურის ნახვამდე არ გაუთხოვებიათ, ჯოჯოხეთი მოელისო, სხვა ლექსებში კი მოთხრობილია, ამ შემთხვევაში ჯოჯოხეთი განმზადებულია არა მარტო მამების, არამედ დედებისა და უფროს ძმებისთვისაც, ხოლო თვით ქალი **სუდრის** უმდაბლეს ხარისხამდე მცირდება და ვერასოდეს გათხოვდებაო.

უეჭველია, რომ ქალს თვიურის ნახვამდე შეიძლება გაუჩნდეს შვილი! პოლაკს მოჰყავს სპარსეთში ნანახი ამის მაგალითები. განაყოფიერება შესაძლებელია თვიურის ნახვამდისაც. ასეთი მაგალითები არა თუ თბილს ქვეყნებში, არამედ ჩვენშიაც არის.

დიდი ხანი არაა, რაც **რახმანოვი**[1]) მიუწვევიათ რუსეთში 14 წლის ქალის მშობიარობაზე, რომლის შეხედულობა არ აღემატებოდა ამ წლოვანობას და ისეთი გამხდარი და განუვითარებელი ყოფილა, რომ ბავშვს ჰგვანებია. ქალს წესიერად უშობნია.

მაშასადამე, ჩვენ გვაქვს სრული უფლება ვიფიქროთ, რომ მას ჟამსა შინა დაუმწიფებელ ქალთა დაქორწინება უფრო გავრცელებული და უფრო მუდმივი იყო. ამ ვითარებაში თვიურს ან სრულიად არ ჰხედავდნენ, ან თუ ჰხედავდნენ, ძრიელ იშვიათად.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ მაიმუნებს მძუნაობა ცხოვრების ხელოვნურ ვითარებაშიც კი, როცა ძუ განცალკევებულია ზოოლოგიურს ბაღში და დამწყვდეული გალიაში, მაშინაც უჩნდებათ. მაშ საფიქრელია, იმ სახით, როგორადაც დღეს ვხედავთ, ესე იგი მრავალ სისხლის შლა არის ადამიანთა გვარის ახალი შეძენილი თვისება.

როცა ადამიანმა პირველყოფილ მდგომარეობას თავი დაახწია, ის იძულებული შეიქნა თვისი ნაყოფიერება შეემცირებინა და ქორწინების ვადაც გიედიდებინა. ველურ და კულტურულ ხალხთა მთელი ისტორია გვარწმუნებს, რომ კულტურის პროგრესს ბევრად თუ ნაკლებად ასეთი შედეგი მოსდევს. სახელდობრ ასეთ გარემოებათა შორის შეიძლებოდა თვიურის განვითარება იმ სახით, როგორიც დღესა აქვს.

ამასთანავე ადვილი გასაგებია თვიურის უცნაური, ანორმალური და პატოლოგიურიც კი თვისებანი. უხვ სისხლის დენას, რომელსაც წინ მიუძღვის ხოლმე და თან ახლავს

[1]) „Врач", 1901. გვ. 1456.

ტკივილები და ხშირად ეშკარა ნერვული და ფსიქიური მდგომარეობა, სრულიადაც არა აქვს ანალოგია არავითარ წესიერ ფიზიოლოგურ მოვლენასთან ცხოვრებაში.

ამიტომაც ცხადია, რომ ხალხთა უმრავლესობა თვიურს უცქერის, როგორც არაჩვეულებრივ მოვლენას. „დედამიწის თითქმის ყველა თემები თვიურის დროს დედაკაცს ბინძურ ქმნილებათ სთვლიან". (ჰლოსს—ბარტელსი). ეს მოვლენა ისე დაკანონებულია, რომ მისი მაგალითებით დასაბუთება საჭიროც კი არაა. ჩვენ განვიხილავთ ზოგ მხოლოდ საინტერესო შემთხვევას. ინდუსები თვიურის პირველ დღის განმავლობაში უმაღლესი კასტის დედაკაცს პარიებად რაცხვენ და მეორე დღეს კი თითქოს ბრამინი მოეკლას. მრავალ ხალხთა წარმოდგენით თვიურის დროს დედაკაცს არ შეუძლია მიუახლოვდეს მამაკაცს ან ხელი ახლოს რომელსამე ნივთს, რადგან ეს გამოიწვევს ავადმყოფობასა და ნივთის გაფუჭებას. გერმანელები 18 საუკუნეში ჰფიქრობდნენ, რომ თვიურის დროს დედაკაცის მიწაში ჩაფლულ თმებისაგან გველები ჩნდებიანო.

ამ გარემოებაში რა გასაკვირალია, როცა ზოგი თემები ჰფიქრობდნენ, თვიური ბინძურ ძალთაგან წარმოსდგებაო. ირანელებს ჰგონიათ, რომ თვიური პირველად დშაის, გარყვნილობის დემონს, გაუჩნდაო. ეს წარმოდგენები შეესაბამება იმ გაუგებარ ცნებას, რომ თვიური წარმოადგენს რაღაც არანორმალურ მოვლენას. თვიურის განვითარება სრულიად ცხადჰყოფს ასეთს წარმოდგენას.

ამ განვითარების ისტორიის მეოხებითვე შეიძლება აიხსნას მეორე უცნაური და არანორმალური სქესობრივი მოვლენა. მშობიარე ქალის ტკივილებს მოგახსენებთ. მართლაც ვასაკვირია და ფრიად უცნაური, რომ ასეთი ნამდვილ-ფიზიოლოგური მოვლენა იწვევს ასეთ მწვავე ტკივილებს.

თუმცა ზოგ ცხოველთაგანსაც მოსდის მშობიაობის ტკივილები, ხოლო ძუძუმწოვართა შორის დედაკაცს უაღრესად სტანჯავს.

რამდენისამე ევროპელ ქალთა დაკვირვებამ, რომელთაც ადრე ჰშობეს, მოულოდნელად დაგვანახა, რომ ამ გარემოებაში მშობიარობა ფრიად ადვილია და მშობიარობის შემდეგი ხანაც წესიერი (რახმანინოვი). აგრედვე მკურნალ **დიონისმა** წარმოსთქვა აზრი, არჩევანზე რომ მივაგდოთ, მირჩევნია 15 წლის პირველ-მშობიარე ქალს მოუარო, ვიდრე 40 წლისასაო.

ძველად ანტილელ კოლონისტთა ქალები ძალიან ადრე თხოვდებოდნენ. 1667 წ. **დიუ-ტერტრს** ენახა ყმაწვილი $12^1/_2$ წ. ქალი, რომელიც ირწმუნებოდა, რომ პირველ მშობიარობას 15 წამში მოვრჩი და სრულიად უმტკივნეულოდაო. მადრასში ძალიან ადრე ქორწინდებიან. იქ დიდ ხანს უმსახურნია მისიონერ **ბეიერლეინს**, რომელიც მოგვითხრობს, რომ იქ მშობიარობა მეტად ადვილად ჩაივლის ხოლმე, ვიდრე ევროპაშიო.

მეორე მხრით კი ზოგი საბუთი თითქო გვიჩვენებს, რომ ფრიად ადრინდელ დაქორწინებულთა შორის ხშირია სიკვდილი მშობიარობის დროს და მის შემდეგაც. მეტად საოცარი მაგალითი ამ შემთხვევაში დაგვანახვა **გასსენშტეინმა**. იგი ადასტურებს, რომ აბაშეთში მშობიარობისაგან იღუპება $30^0/_0$, რადგან ქალები თხოვდებიან იმ დროს, როცა სხეული არ არის ჯერ მომწიფებულიო. ინდოეთის ინგლისურ ახალშენებში ხშირად გაისმოდა საჩივარი უდროო ქორწინების შესახებ. მკურნალი **მანსელი** ჩივის, 12 წლის ქალის მშობიაროაბამ ისე ძნელად ჩაიარა სხეულის მოუმწიფებლობის გამო, რომ ბავშვი უნდა დანით დამეჭრა და ისე გამეთავისუფლებინა მშობიარეო.

ინგლისის მკურნალი **დუნკანის** ცდილობდა გაეგო მშობიარეთა სიკვდილის მიზეზი და გამოეკვლია ისეთი ხანა, რომლის დროსაც ქორწინება ნაკლებად ავნებდა ქალს. ის დაასკვნის, **რომ** მშობიარობა უადვილესია 20—24 წლის ქალებისთვისაო. ამ ხანაში ნაკლებია სიკვდილი მშობიარობისა და მის შემდე ხანშიო. იგივე ადასტურებს, რომ ამ ხანაში

ქალები მეტად ნაყოფიერნიც არიან და მათი სხეულიც მომწიფებულია. 20 წლის ნაკლები და მეტის ხნისანი მშობიარობის გამო კვდებიან უფრო ხშირადო.

ამის მიხედვით უნდა დაახლოვებით შევისწავლოთ სქესობრივ აპარატის განვითარების დისჰარმონიის ერთი მეტად საოცარი მაგალითი. ქალის ჰასაკში ჩადგომას ცხადჰყოფს თვიურის გაჩენა იმ დროს, როცა ქალი ჯერ კიდევ ბავშვია და მის მვნჯების ძვლები არაა დასრულებული. მაშასადამე, აქაც ჩვენს თვალ წინ წამოყენებულია უთანხმოება სქესობრივ სიმწიფესა და სხეულის დამთავრებას შორის.

ეს დისჰარმონია უფრო მკაცრად წარმოგვიდგება სქესობრივ ნაწილთა განვითარების სხვა და სხვა ხანის შესწავლის დროსა და მათ ფუნქციათა გათვალისწინებით.

ადამიანთა გვარის გამრავლება უზრუნველყოფილია სქესთა შეუღლებით, რომელიც გამოწვეულია ურთიერთ სიმპატიითა ანუ სიყვარულით. ეს ქსესობრივი კავშირი აძლევს საშუალებას მამობრივ ელემენტებს—სპერმატოზოიდებს ან თესლის სხეულებს—შეჰყონ თავი ქალის კვერცხში და გაანაყოფიერონ იგი. საფიქრებელია, რომ ყველა ეს მოქმედება უნდა ხელის-ხელ ჩაკიდებული მიმდინარეობდეს ერთის ზოგადის საქმის შესასრულებლად.

ნამდვილად კი ეს ასე არ არის. სქესობრივ აპარატის სხვა და სხვა ნაწილები სრულიად დისჰარმონიულად ვითარდება.

ყველაზე ადრე ადამიანს უვითარდება სიყვარული და სქესობრივი გრძნობა. რამდენმა უკვე 18 საუკუნეში განმარტა, რომ პატარა ვაჟებს შეუძლიათ ქალების სიყვარული[1]. ამავე დროს იჭვიანობენ კიდეც და ლაშობენ საყვარელ ქალის დასაკუთრებას. ეს ფაქტი საკმაოდ ხშირია საზიგადოდ და შესანიშნავ ადამიანთა შორისაც არის შენახული. მაგალითად დანტემ 9 წლისამ შეიყვარა ბეატრიჩე; 5 წლის კანო-

1) „Venus Urania“ Leipzig. 1798.

ვა უკვე შეყვარებული იყო და ბაირონს 7 წლისას უყვარდა მერი დოფი[1].

სქესობრივი გრძნობიერობაც ფრიად ადრე იჩენს თავს, როცა განაყოფიერების ელემენტთა დამწიფების შესახებ ლაპარაკიც არ შეიძლება. ზოგიერთ ბავშვებს ჯერ კიდევ აკვანში ეღვიძებათ გრძნობიერობა. გამოჩენილი ექიმები კურშმანი და ფიურბრინგერი ადასტურებენ სქესობრივ გრძნობის არსებობას 5 წლის ადრეც. შემდეგ თანდათან ვითარდება იგი და საერთოდ ვაჟებს ბევრად ადრე უჩნდებათ, ვიდრე ჩაესახებოდეს მათ თესლი დამწიფებული და სრულიად მოძრავი სპერმატოზოიდებით.

ესაა ჩუკნაობის მიზეზი, რომელიც ასე გავრცელებულია ვაჟთა შორის. მათი დამახასიათებელი და ავხორცი სქესობრივი გრძნობა იღვიძებს ჯერ ისევ მაშინ, როცა ფიქრიც-კი შეუძლებელია ქალთან წოლისა; ინსტიკტურად ეძებენ საშუალებას ამ გრძნობის დასაკმაყოფილებლად.

ამბობენ, რომ ჩუკნაობა არის „სქესობრივ გრძნობის დაკმაყოფილება ბუნების წინააღმდეგის საშუალებით“ (ფიურბრინგერი).

ხოლო ბრალი ადამიანის ბუნებისაა, რადგან გრძნობიერება უფრო ადრე ვითარდება, ვიდრე სქესობრივ ელემენტთა დამწიფება, მაშასადამე, უნდა დავეთანხმოთ ლეტურნოს, რომელიც ამბობს: „სქესობრივი მიდრეკა არაა ნორმალური, ხოლო კაცმა რომ მართალი სთქვას, არც ბუნების წინააღმდეგი, რადგან იგი ხშირია ცხოველთა შორისაც“.

ეს მიდრეკაც ისე ხშირია ვაჟთა შორის, რომ ხრისტიანის[2]) აზრით „მხოლოდ მცირედ ნაწილს შეუძლია დაიკვეხოს აშორებული ვიყავ მაგ სენსაო“. ამავე ავტორმა ჩამოაგდო ასეთი ლაპარაკი: „როცა ჰფიქრობ, თუ როგორ ჩვეულებათ გადაექცათ ზოგ ტომთა შორის ჩუკნაობა, უნებლიედ

1) Moll: „Untersuch. üb. die Libido sexualis“.

2) „Dictionnaire encyclopédique des sciences médicales“.

ეკითხები შენს თავს, თვით ადამიანის ბუნებაშიაც ხომ არ არის დაბუდებული ღრმად ეს მანკიერება, რომელიც ასე ადვილად იჩენს ხოლმე თავს?“ პასუხი უეჭველია. ამ მანკიერების ანუ, როგორც ტისსო და მრავალნი სხვანი უწოდიბენ, დანაშაულობისა,—ჩუკნაობის მიზეზი უეჭველად დამოკიდებულია ადამიანის ბუნების დისჰარმონიაზე, მის ქსესობრივ გრძნობის უდროოდ განვითარებაზე.

ამგვარი დაკმაყოფილება სქესობრივ გრძნობისა ფრიად გავრცელებულია, როგორც განათლებულ, აგრედვე პირველყოფილ ხალხთა შორისაც.

ზოგ ტომთა შორის ისეთ ჩვეულებათ შეჰქმნიათ ჩუკნაობა, რომ არც კი ჰმალავენ. ჰოტენტოტები ჩუკნაობის შესახებ ხმა მაღლა ბაასობენ და ლეგენდებში დაუფარავად იხსენიებენ. ასეთი მაგალითები მრავალია [1]). ამ დროსვე ტომთა უმრავლესობას ჩუკნაობა უდიდეს ცოდვათ მიაჩნია და ფარულად ეტანება.

როგორც სჩანს, ჩუკნაობა საზოგადოდ უფრო გავრცელებულია ვაჟთა შორის და მათში უფრო ადრე ჩნდება, ვიდრე ქალთა შორის.

ეს ალბად იმითი აიხსნება, რომ გრძნობიერება ქალებს უფრო გვიან უვითარდებათ [2]). თითქმის კანონათ უნდა ჩაითვალოს ის მოვლენა, რომ ჰასაკში მოსულ ქალებს არ უღვივის სქესობრივი გრძნობა. მრავალ მათგანს ეს გრძნობა თანდათან უვითარდება გათხოვების შემდეგ. ხშირად ეს გრძნობა იღვიძებს ხოლმე პირველ მშობიარობის შემდეგ. პირიქით, გასათხოვარ ყმაწვილ ქალს ძალიან ადრე უვითარდება გრძნობა სიყვარულისა, ხოლო ამ გრძნობას წმინდა პლატონური ხასიათი აქვს დიდის ხნის განმავლობაში და მხოლოდ შემდეგ უკავშირდება სქესობრივ გრძნობას.

---

1) Fritsch: „Die Eingelorenen Süd Afrikas“. Breslau, 1873.

2) ანტვერპენის ზოოლოგურ ბაღში მე დამარწმუნეს, რომ ძუ მაიმუნები მხოლოდ იშვიათად ჩუკნაობენ იმ დროს, როცა მამლები ხშირადო.

განმანაყოფიერებულ ელემენტთა დამწიფება გრძნობიერებისა და სიყვარულის გაჩენის უგვიანეს სწარმოებს, ხოლო თვით თესლი თავის თავად უფრო ადრე მწიფდება, ვიდრე მამაკაცის სხეული. ამის მეოხებით ქორწინება და წესიერი სქესობრივი ურთიერთობა ამ ხანაში შეუძლებელია ხოლმე, განსაკუთრებით განათლებულ ხილხთათვის. ვიდრე დაქორწინდებოდეს, ყმაწვილი კაცი ვალდებულია მიიღოს განათლება, დაადგეს ცხოვრების გზას და შეიძინოს შვილების აღზრდისათვის შეძლება. მართლაც, ცივილიზაციის პროგრესთან ერთად ვხედავთ, რომ ქორწინების საშუალო ჰასაკი თანდათან მატულობს. იმ დროს, როცას ევროპელ ხალხთა შორის ვაჟთა სქესობრივი გრძნობა ჩნდება 12 და 14 წლებში, პირველ ქორწინების ჰასაკი საშუალო რიცხვით ასეთია:

	ვაჟთათვის	ქალთათვის
ინგლისში	25,94.	24,69.
საფრაგენთში . . .	28,41.	25,32.
ნორვეგიაში . . .	28,51.	26,98.
ჰოლლანდიაში . .	29,15.	27,78.
ბელგიაში	29,94.	28,19. [2])

ამ ციფირთა შედარება ცხადჰყოფს სქესობრივ გრძნობისა და ქორწინების ვადის განსხვავებას.

წარმოშობის ნიჭის დაცხრომაც არა ნაკლებ საოცარ დისჰარმონიას განიცდის, ვიდრე სქესობრივ ფუნქციათა დასაწყისი. ადამიანის თესლის სხეულნი ვითარდებიან მრავალ წელთა განმავლობაში და ისინი ღრმა მოხუცთაც კი ემჩნევათ. მაგალითად ჰეგლოვს[3])უნახავს მრავალი თესლის სხეულნი ერთს 94 წლის მო-

[2]) Wappaeus: „Allgemeine Bevölkerungsstatistik". 1861, t. II, p. 285.

[4]) Патолого-анитолическія изменения сѣменых желез в старости. СПБ. 1994 г. რამდენისამე წლის წინად ლიონში გასჭრეი ერთი 103 წლის მოხუცის ნეშტი და მის თესლის ჯირკვლებშიპოვეს მრავალი მთელი და წესიერა განვითარებული თესლის სხეულები. „Annales d'hygiènc publique" 1900.

ხუცში და ეს მაგალითი არაა ერთადერთი. ხოლო განაყოფიერების ელემენტების სიმრავლე თავის თავად არ ადასტურებს სქესობრივ აქტის შესაძლებლობას.

მოხუცის თესლის ჯირკვლებში დამზადებულ თესლს ძალიან ხშირად არ ძალუძს გზა გაიკვლიოს, როგორც რიგია, ქალის სქესობრივი აპარატისაკენ.

ამის გამო ხნიერი კაცები სხვა და სხვა უხერხულობას განიცდიან სქესობრივ მოთხოვნილებათა შესახებ. ეს არ უშლის მათ ხელს შეირჩინონ სქესობრივი და სიყვარულის გრძნობა თვით ღრმა მოხუცებულობამდე. მოხუცებულთათვის დაწესებულ თავშესაფრების ექიმები გვარწმუნებენ, რომ მათი პაციენტები მუდამ სიყვარულის საქმით არიან გატაცებულნი. ხოლო უკვე ძველნი მწერალნი აღნიშნავენ, რომ შეყვარების გრძნობა მოხუცებულობაში თავს იჩენს ბიჭებთან მიდრეკილ უკუღმართობით.

გრძნობიერება და სიყვარული ჩნდება ბევრად ადრე სქესობრივ და საზოგადოდ სხეულის მომწიფებამდე და გვიანობამდე გრძელდება. რა დიდი განსხვავებაა ადამიანის წარმომშობ ფუნქციათა დისჰარმონიასა და მცენარეთა სქესობრივ ორგანოთა ფუნქციის სრულიადობას შორის! და მასთანვე, როგორც II თავში განვიხილეთ, მრავალ ყვავილთა განაყოფიერებისათვის საჭიროა მწერთა მონაწილეობა. და მაინც რა დიდი ჰარმონიაა მცენარეთა ორგანიზაციისა და მის ფუნქციათა შორის! სწორედ იმ დროს, როცა მომწიფდება სქესობრივი პროდუქტები, ყვავილი ჰშლის ფოთლებს და აჩენს ტკბილს წვენს. მრავალი ყვავილი ამ დროს ავრცელებს მწერთათვის სასიამოვნო სურნელებას. სურნელობითა და ყვავილის ფერადებით სულწაძლეული მწერი უახლოვდება მის სქესობრივ ორგანოთ: ტკბილის წვენის ძებნის დროს მწერი იტვირთება ყვავილის მტვრით, რომელიც გადააქვს იმავე გვარის მეორე ყვავილზე. განაყოფიერების შემდეგ ყვავილის

ფოთლები მსწრაფლ სჭკნება, ჰკარგავს სურნელებას და მწერიც შორდება ყვავილს.

რა გასაკვირველია, რომ ადამიანის სქესობრივ აპარატის ფუნქციათა დისჰარმონიული ვითარება ხშირად ჰგვრის სხვა და სხვა უხერხულებას. ბავშვები, რომელთაც გრძნობიერობა ადრე უვითარდებათ, ეჩვევიან თვითდაკმაყოფილებას „ბუნების წინააღმდეგის“ გზით. ამის გამო დიდათ ზარალდებიან. „ბავშვსო,—ამბობს d-r ხრისტიანი,—არა აქვს თესლი და მით უმეტეს დამღუპველია მისთვის ჩუკნაობა, რაც უფრო მცირეწლოვანია. სწორედ მცირეწლოვანთათვისაა ჩუკნაობა დასაწყევლი, სწორედ ამ ხანში იღუპება ტანმთელობა, ნიჭიერება და თვით სიცოცხლეც-კი. ამ ცუდ სენს შეჩვეული ბალღები ჰხდებიან, ყვითლდებიან, ჩლუნგდებიან გონებით, სულელდებიან. შიში იმ მხრივ მოელის ბავშვს უმთავრესად, რომ მისი სხეული არ მომწიფებულა ჯერ სქესობრივი ფუნქციისათვის“. საბედნიეროდ ასეთი შედეგები იშვიათია.

18 საუკუნეში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია შვეიცარელ ექიმ ტისოს წერილმა ჩუკნაობის საშიშროების შესახებ. ამ წერილში ბევრია გადამეტებული და შემცდარი, ხოლო მაინც შეიცავს საინტერესო მასალას იმათ შესახებ, რომელთაც ჰქონიათ ეს ჩვეულება. ერთი მათგანი სწერს ტისსოს: „რომ სარწმუნება არ მაკავებდეს, აქამდე ათას მოვიკლავდი, მით უმეტეს, რომ სიცოცხლე ესოდენ მწარეა. ამისავე მიზეზით ჩუკნაობის მიმდევარნი ხშირად მელანქოლიით ხდებიან ავად.

ფრიად უხერხულია ისიც, რომ სქესობრივი სიმწიფე უსწრობს საზოგადოდ სხეულისა და ხასიათის მომწიფებას. ქორწინების შეუძლებლობა იმ ხანში, როცა ადამიანი ჯერ კიდევ მთლად არ მომწიფებულა, იწვევს უწესო და ხშირად საშიშარ სქესობრივ მიდრეკილებას.

სქესობრივ გრძნობიარების დიდის ხნით შერჩენაც დიდი უბედურობაა. მოხუცნი, რომელთაც არ ძალუძთ არც გამოწვევა და არც დაკმაყოფილება სიყვარულისა, ხშირად მახეში

ებმიან თვისი სიყვარულისა და დაუკმაყოფილებელ სქესობრივ გრძნობის გამო. დამტკიცებულია, რომ სქესობრივი გძნობა უცვლელი რჩება თვით სქესობრივ ჯირკვალთა მოსპობის შემდეგაც, იმ ორგანოთა მოსპობის შემდეგაც, რომელნიც აუცილებლად საჭირონი არიან სქესობრივ გრძნობის დასაკმაყოფილებლად. ამგვარად ქალებს, რომელთაც ამოჭრილი აქვთ ორივე საკვერცხე, მაინც შერჩენილი აქვთ სქესობრივი გრძნობიერება.

სქესობრივ მოთხოვნილებათა დისჰარმონია შემჩნეულია აგრედვე სხვა და სხვა სქესის წარმომადგენელთა შორისაც. ის მოვლენა, რომ ვაჟის გრძნობიერება უფრო ადრე იღვიძებს, ვიდრე ქალისა, ხშირად ჰბადებს უთანხმოებას ცოლქმართა შორის. იმ დროს, როცა ქალის სპეციფიური გრძნობიერება უაღრესობამდე ვითარდება, მამაკაცის სქესობრივი მოთხოვნილება სცხრება. ამას მოსდევს ცოლქმართა შორის უმანკოების მოსპობა და თავს იჩენს სქესობრივ ფუნქციის გაუკულმართებაც, რაიცა გამოიხატვის ერთსა და იმავე სქესის წარმომადგენელთა შორის სიყვარულითა.

ამის შესახებ **შოპენჰაუერს** შემდეგი მოსაზრება მოჰყავს: „ის ფაქტი, რომ ასეთი ძირითადი მოვლენა წინააღმდეგია ბუნებისა, მისგანვე წარმოდინდება და ეწინააღმდეგება კიდეც მის მთავარ დანიშნულებას (გამრავლებას)—საოცარი პარადოქსია, რომლის ახსნაც შეადგენს ერთს ძნელ ამოცანას“. ხოლო თუ სქესობრივ აპარატის ფუნქციათა და განვითარების დისჰარმონიის თვალსაზრისით შევხედავთ საქმეს, მაშინ ადვილი გასაგებია ეს სქესობრივის ალღოს გაუკულმართებაც, ერთის შეხედვით საოცარი და პარადოქსალური.

ეს დისჰარმონია იმოდენ უბედურებათა წყაროა ბავშვობიდან დაწყებილი ღრმა სიბერემდე, რომ სქესობრივ დანიშნულებას ყოველი სარწმუნოება ცოტად თუ ბევრად სიმკაცრით ეპყრობოდა. **დ-რ ხრისტიანს** აკვირვებს ის, რომ თითქმის ყოველს სარწმუნოებას ღვთაების პატივისცემად მია-

ჩნია სქესობრივ მოთხოვნილებათაგან თავის განკრძალვა. საეხელდობ სქესობრივ დისჰარმონიის არანორმალურ შედეგის ბრალია, რომ სარწმუნოებამ ასე სასტიკად დაასკვნა და აღიარა ადამიანის ბუნების ბიწიერების იდეა (რომელიც გარჩეულია I თავში).

III

ოჯახურ ალღოს დისჰარმონია.—ხელოვნურად მუცლის მოწყვეტა.

ბავშვების მიტოვება და მათი დახოცვა.—სოციალურ ალღოს დისჰარმონია.

თუ რომ წარმომშობი ფუნქცია, ასე ღრმად ფესვგამჯდარი ორგანულ მსოფლიოში, ესოდენ დისჰარმონიას წარმოადგენს ადამიანის გვართა შორის, რაღა საკვირველია ის უთანხმოების მოვლენა, რომელიც თავს იჩენს ადამიანის ოჯახურ ალღოს მოქმედებაში: ეს ალღო უფრო ახალის დროის წარმონაშობია და ნაკლებადაც არის გავრცელებული ცხოველთა შორის, ვიდრე სქესობრივი ალღო.

ჩვენ დავინახეთ, რა ღრმა უკუღმართობას წარმოადგენს ცხოველთა შორის სქესობრივი ალღო და რა ხშირია ჩუკნაობისა და მამალთა შორის შეუღლების მაგალითები. პირიქით, ცხოველთა სამეფოში არ მოიპოვება ისეთი შემთხვევა, რომ განაყოფიერებას, ორსულობასა და მშობიარობას რაიმე დაბრკოლება ხვდებოდეს რომლისამე გაუკუღმართებულ ალღოს მეოხებით.

ადამიანის გვარსა აქვს მხოლოდ პრივილეგია განაყოფიერების მოსპობისა სქესობრივ ურთიერთობის დროს. ამ საქმეში ხელი შეუწყო ადამიანს os penis დაკარგვამ, რაიც მე-3 თავში მოვიხსენიეთ. ეს ძვალი არ იძლევა საშუალებას სქესობრივ აქტის შეწყვეტისას. მრავალი საშუალებაა არ მიუშვას კაცმა თესლის სხეულები კვერცხებამდე და ისე ჩვეულებრივია და გავრცელებული მათი ხმარება, რომ არ

ლირს აქ აღნუსხვა. ამ საშუალებებით უმთავრესად ზღუდავენ განათლებულ ქვეყნებში ბავშვების გაჩენას. დასაბამით ადამიანის გვარი უთუოდ ფრიად ნაყოფიერი იყო, ხოლო კულტურის განვითარებასთან დაუყონებლივ გამოსძებნეს ღონისძიებანი ნაყოფიერების შესაზღუდველად. ველური და მცირედ განათლებული ტომები უმეტესად მუცლის მოწყვეტას ეტანებიან, ვიდრე განაყოფიერების ხელის შეშლას.

პლოსს-ბარტელსის წიგნის „ქალისათვის“, რომელიც ჩვენ ზემოდ ვახსენეთ, მთელი 35 თავი მიძღვნილი არის ამ საკითხისადმი: ხელოვნური მუცლის მოწყვეტა ბავშვთა გაჩენის შესამცირებლად ფრიად გავრცელებულია მთელს დედამიწის პირზე. პირველყოფილ და მცირედ განათლებულ ტომთა უმრავლესობა დაუბრკოლებლად, ცხადლივ და კანონიერად ჰხმარობს ამ საშუალებას. მრავალ ხალხს ჩვეულებად აქვს ორის ბავშვის ყოლა; თუ ზედმეტად დაორსულდა ქალი, დაუყონებლივ აცუდებს მუცელს.

კაიზარისა და **კუნძულთ ვატუბელას** მკვიდრნი სასტიკად მისდევენ ამ კანონს. **კუნძულთ აარუს** მკვიდრთა შორის იშვიათია ისეთი ოჯახი, სადაც სამ ბავშვზე მეტი იყოს, რადგან დანარჩენებს არ აჩენენ ზემოაღწერილ საშუალებით, რომელიც უკვე ჩვეულებათ გადუქცევიათ.

ხელოვნურად მუცლის მოწყვეტა განსაკუთრებით მიღებულია ინდოეთში. ეს ჩვეულება **ინგლისის** ხელქვეით მყოფ ინდოელთა შორისაც ისე მიღებულია, როგორც დამოუკიდებულთა შორის. **კუტჩის** კუნძულზე ქალები ძალიან ხშირად ზღუდავენ თვის ორსულობას ხელოვნური ზომებით. ერთს დედას ცხადლივ დაუკვეხნია **მაკმურდუსათვის**, რომ ხუთჯერ უხმარია ეს საშუალება. აფრიკის თემთა შორის და აგრეედვე მკვიდრ ამერიკელთა ანუ თეთრ რასის ამერიკელთა შორის ხელოვნურად მუცლის მოწყვეტა ფრიად ხშირია.

თვით **ევროპაშიაც** კი ზოგ ტომთა შორისაც, ცოტად თუ ბევრად, ამ საშუალებას ხმარობენ. **თურქების** აზრით

ჩანასახი 5 თვემდე რეალურად არ არსებობსო, ამ ხნამდე მუცლის მოწყვეტა ცოდვათ არ მიიაჩნიათ. ხოლო ამას სჩადიან იმ ხანაშიც, როცა იგი დანაშაულათ უნდა ჩაითვალოს. 1872 წ. ათის თვის განმავლობაში სტამბოლში გაირჩა 3.000 საქმე მუცლის მოწყვეტისა. ამიტომაც გასაკვირი არაა, რომ აღმოსავლეთში ასე ცოტაა უკანონო ბავშვები.

ხელოვნურად მუცლის მოწყვეტა როდია ახლად მოგონილი, არამედ ძველთა ძველ დროიდან მომდინარეობს. ძველი ბერძნები აშკარად სწყვეტდნენ მუცელს და არც კანონი სდევნიდა ასეთს საქციელს. ბებია ქალებს პლატონი აძლევდა ამის ნებას. **არისტოტელი** სავალდებულოდ ხდიდა მუცლის მოწყვეტას „თუ ქმარს ცოლი დაუორსულდებოდა მისდა მოულოდნელად“.

შტელლერი მოგვითხრობს 18 საუკუნის კამჩატკის იტელმენებზე, რომ ისინი ქორწინდებიან უფრო გრძნობათა დასატკბობად, ვიდრე გამრავლებისათვის, რადგან „იცუდებენ მუცელს სხვა და სხვა წამლებისა და ტლანქ საშუალების მეოხებით“.

მუცლის მოწყვეტის ტექნიკა სხვა და სხვა ხანებში ძრიელ ფერადი იყო. უმეტესად მცენარე წამალთა გარდა ჰხმარობდნენ სხვა და სხვა ნაირ მექანიკურ საშუალებებსაც. გრენლანდიის მკვიდრნი ჰხმარობდნენ ზღვის ღორის ან ლომთევზის წვეტიან წიბოს ძვალს და სანდვიჩის კუნძულთა გავაელები განსაკუთრებულ ხის იარაღს, ღვთაების სახით გამოჭრილს.

ზოგიერთნი ტომნი ძველადვე ეწინააღმდეგებოდნენ მუცლის მოწყვეტას, მაგალითად მიდიელები, ბაქტრიელები, სპარსნი და ებრაელები. ძველად ინკები მუცლის მოწყვეტისათვის სიკვდილით სჯიდნენ. ქრისტეს სჯულის მიმდევარნი მცოლოდ გვიან დაადგნენ ამ დასაგმობ გზას. ხოლო ამის მაგალითებს იპოვით კაცობრიობის მცირედ ნაწილში და მათ შორისაც ხშირად იცუდებენ მუცელს ფარულად.

ცხოველებს თუმცა არ შეუძლიათ მუცლის მოწყვეტა, მაგრამ მაინც სპობენ თვის შთამოებას, როგორც მოვიხსენიეთ მე-2 თავში. ახლადშობილის კვლას ხშირად მიჰმართავს ადამიანი. ბერძენთა და რომაელთ არ სწამდათ, რომ ახლადშობილს ცხოვრების უფლება აქვსო. ძველ გერმანელებს ნება ეძლეოდათ ბავშვები უმწეოდ დაეგდოთ. ვიდრე ისლამის რჯულს დაადგებოდნენ, არაბებს ჩვეულებათ ჰქონდათ ახლადშობილ ქალთა ცოცხლად დამარხვა. ასეთი ჩვეულება ინდოეთშიაც ძალიან გავრცელებულია. ყველამ უწყის ჩინელთა ბავშვების გადაგდების ჩვეულება. **ეიტელის** მიერ შეკრებილ ცნობათაგან ვიცით, რომ **კანტონის** პროვინციის ჩინილები ხშირად დაბადებისათანავე ჰხოცვენ ბავშვებს. [1]) „შეგვიძლია, ვთქვათ,—ამბობს ეს ავტორი,—რომ ახლად დაბადებულ ქალების დახოცვა ჩვეულებადა აქვთ გადაქცეული **ხაკ-ლო** და განსაკუთრებით **ხაკ-კა** მხვნელ-მთესველ კლასებს. „საშუალო რიცხვით დაბადებისთანავე დახოცილ ქალთა რიცხვი, თვით **ხაკ-კას** სიტყვით, ახალდაბადებულთა თითქმის ერთი მესამედია.

ერთს პატარა სოფელში, საცა ავტორმა დაჰყო რამდენიმე წელიწადი, ოსტატურმა გამოძიებამ აღმოაჩინა ქრისტეან ქალთა ჩვენების მეოხებით, რომ ამ სოფლის ყოველ ქალს, რომელსაც ჰყოლია ორ შვილზედ მეტი, ერთი მაინც მოუკლავს.“

ტატში ახლადშობილთა ორი მესამედი დაუხოციათ, უმეტესად ქალები. ჰხოცავდნენ პირველ სამ შვილს და აგრეთვე ტყუპებსაც და არასოდეს არ ზრდიდნენ ორზედ მეტს და იშვიათად სამს [2]). ნელანეზიის ხალხთა შორის ფრიად გავრცელებულია ბავშვების კვლა. „თითქმის წარმოუდგენელიაო,—ამბობს **რატცელი**, [3])—სოლომონის ჯგუფის კუნძულ

[1]) L'Anthropologie· T, IV. 1803 p. 120.

[2]) Gerland y Waitz. Anthropologie der Naturvölker, T. VI. 1873 p. 139.

[3]) „Völkerkunde“. 1885. t. I, p. 274.

უფიზე ჰხოცავენ თითქმის ყველა ბავშვს, რათა მათ მაგიერ **ბოროსები** იყოლიონ.“

გასაკვირველიც არ არის, რომ მუცლის მოწყვეტის ამგვარ გავრცელებისა და ახლადშობილ ბავშვთა დიდის რიცხვის მოსპობის გამო ეგრედწოდებული პირველყოფილი ტომები თანდათან სწყდებიან და სრულიად გადაშენების გზაზე დგანან.

ასეთია სამხრეთ **ახალ-გალლის** მიწის და კუნძულ **აარუს** მკვიდრთა, ახალ გვინეის დორეზების და სხვათა მდგომარეობა. ადამიანის ოჯახურ ალღოს სისუსტის მეტად თვალსაჩინო დახასიათება ძნელი წარმოსადგენია. მეტად განათლებულ ტომთა შორის პირველყოფილ თემთა ტლანქ საშუალებათა ადგილი დაიკავა უაღრესად განვითარებულმა საშუალებამ, რომლის მეოხებითაც ხელს უშლიან ჩასახვას. ამიტომაც ახალადშობილთა კვლა ფრიად იშვიათია. მუცლის შოწყვეტას ფრიად ხელოვნურად ახერხებენ მეცნიერების დახმარებით. მის მაგიერ რომ ჩანასახის აპკი ზღვის ღორის წიბოთი ანუ ჩხირით გახვრიტონ, ახლა სტერილი რკინის ჩხირებით ჰხვრეტენ, რათა სრული ანტისეპსისი დაიცვან. იცილებენ რა თავიდან სიყვარულის ნაყოფს, სცდილობენ, რაც შეიძლება ნაკლები ზიანი მოაყენონ ქალის ტანმრთელობას.

უეჭველია, რომ არა ერთი ერი გადაშენებულია ოჯახურ ალღოს სუსტის განვითარების მეოხებით. ხოლო ეს არ გვაძლევს ნებას ვიფიქროთ, რომ ოდესმე კაცობრიობაც უნდა მოისპოს შთამომავლობის შემცირებით. ხოლო სამართლიანია ისიც, რომ მშობიარობის დამაბრკოლებელ საშუალებათა სიადვილე ადასტურებს ოჯახურ ალღოს უძლურებას და გვიყენებს თვალწინ მსწავლულთა და კანონმდებელთათვის საყურადღებო საგანს გადასაწყეტად.

ოჯახურ ალღოს ღრმადა აქვს ფესვები გამჯდარი, რადგან წარმოსდგება მეტად ძველ ცხოველთაგან, ვიდრე ადამიანი.

ხოლო ადამიანის გვარში ისეთს მრავალ ცვლილებას იღებს, რომელთა მეოხებითაც შეიძლება აღიგავონ პირისაგან მიწისა ზოგიერთნი მოდგმანი ანუ რასები. მაგრამ იგი ალლო იმდენად საკმაო კია, რომ უზრუნველ ჰყოს ადამიანის არსებობა ქვეყნად.

ადამიანი უეჭველად საზოგადოებრივი ცხოველია, ხოლო ის ალლო, რომლის მეოხებითაც მან ჯგუფობრივი ცხოვრება დაიწყო, არ არის ძველი. პირუტყვთა შეჯგუფება საზოგადოებად, რაც ასე გავრცელებულია მწერთა შორის, თითქმის არავითარ ანალოგიას არ წარმოადგენს ადამიანთა საზოგადოების მიმართ. ძუძუმწოვართა, ამ კაცობრიობის ახლობელ წინაპირთა, საზოგადოებრივი ცხოვრება მეტად პირველყოფილია. თვით ადამიანისმსგავს მაიმუნებსაც კი არ ემჩნევათ ამ მხრივ დიდი პროგრესი. მრავალი მათგანი, დატყვევებულნი, ადამიანისა და ზოგ ცხოველთა შესახებ იჩენენ კეთილგანწყობილებას, რაიც იმის მიმასწავებელია, რომ მათ აქვთ საზოგადოებრივის ცხოვრების ნიჭი.

ხოლო ბუნებრივ პირობათა შორის ადამიანისსგავსი მაიმუნები სცხოვრობენ მხოლოდ ოჯახებით და ადგენენ მცირერიცხოვან საზოგადოებას. აი, რას მოგვითხრობს დ-რ სევაჯი[1]) შიმპანზეს საზოგადოებრივ ცხოვრების შესახებ: „ამისდა მიხედვით, რასაც აქ ვხედავთ, არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი ჯოგებად სცხოვრობდნენ: იშვიათად ჯგუფდებიან, მათ შორის ერთად ხუთნი, ძალიან იშვიათად—ათნი. ამბობენ კი დარბაისელ კაცთა დამოწმებით, რომ თამაშობის დროს უფრო მეტნი გროვდებიან ერთადაო. ერთმა მიამბო, რომ 50 ერთად შეკრებილი შიმპანზე უნახავთო, რომელნიც თამაშობდნენ თურმე, ჰყვიროდნენ, ყმუოდნენ და დოლს უკრავდნენ მით, რომ ოთხისავე ხელ-ფეხით სცემდნენ ჯოხებს ხის მორსა“.

---

[1]) გეკსლი.

ჩვენ ნაკლებად ვიცით ადამიანისმსგავს მაიმუნთა საზოგადოებრივი ცხოვრება, მაგრამ, რაც კი ვიცით, უეჭველი ნიშანია მათ პირველყოფილ საზოგადოებრივობისა. ადამიანი, რასაკვირველია, ბევრად წინაა ამ შემთხვევაში. თვით უმდაბლესი რასები და აწ მყოფი პირველყოფილნი ტომნი, როგორც ბუშმენები და ავსტრალიის მკვიდრნი, ცხმდჰყოფენ მკვეთრად გამოსახულ სოციალურ ალღოს [1]).

მთლად ადამიანის გვარის საზოგადოებრივ ალღოს მუდმივობის მეოხებით განვითარდა ის აზრი, თითქოს ეს ბუნებრივი თვისება საკმარისი იყოს მისთვის, რათა ადამიანთა საზოგადოებას მიენიჭოს ბეჯნიერ ცხოვრების საფუძველი. ესოდენ მრავალ ცდაში ზნეობრივობის დამყარებისათვის წმინდა რაციონალურ პრინციპზე ზებუნებრივ ძალთა გარეშე მუდამ თვალწინ გვიყენებდნენ ადამიანის ინსტიქტურ მოთხოვნილებას საზოგადოებრივ ცხოვრებისას. ამ აზრთა მიმდევარნი სცდილობდნენ ადამიანის ყოფაქცევის კანონების დამყარებას მის ბუნების თვისებაზე და საბუთად მოჰყავდათ თანდაყოლილი ხასიათი ადამიანთა ურთიერთის სიმპატიისა. ეს ფორმულა ისე გავრცელებული და მიღებულია, რომ არ ღირს ამაზედ შეჩერება. მოვიყვანთ მხოლოდ ცოტაოდენ ციტატებს.

XIX საუკუნის ნახევარში გერმანელმა მკურნლმა ბიუხნერმა დასწერა მატერიალისტურ კოდექსის მსგავსი თხზულება, რომელსაც იმ დროს დიდი სახელი ჰქონდა. აი, რას ამბობს იქ ამ ხანად ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესახებ: „ის, რასაც ჩვენ ზნეობრივ გრძნობას უწოდებთ, ჩნდება საზოგადოებრივ ალღოსაგან ანუ ჩვეულებათაგან, რომელთაც ავითარებს ყოველივე ადამიანთა (ანუ ცხოველთა) საზოგადოება და რომელიც დიაღაც უნდა განავითაროს, რათა არ ალიგავოს პირისაგან მიწისა შეგუების უკუგდების გამო". ზნეო-

[1]) Сутерланд: „Происхождение и развитие нравственного инстинкта". 1900 г.

ბრივობა წარმოდინდება საზოგადოებრივობისაგან და ფერს იცვლის თანახმად იდეათა და მოთხოვნილებათა, რომელნიც სჭარბობენ ამა თუ იმ საზოგადოებაში: „ბოლოსა და ბოლოს ადამიანი საზოგადოებრივი არსებაა, რომელიც გარეშე საზოგადოებისა წარმოუდგენელია, თუ არ პირუტყვის სახით; ამიტომაც ცხადია, რომ ცხოვრება ერთად ავალებს ურთიერთობას, რომელიც ბოლოს იღებს ზნეობრივ პრინციპების სახეს".

ორმოცდა ათის წლის განმავლობაში იმეორებენ დაახლოვებით ამ აზრს სხვებიც.

რამდენისამე წლის წინად გამოცემულ წიგნში ფრიად შესანიშნავი გერმანელი პუნებისმეტყველი ჰეკკელი [2]) ამბობს: „პუნების დღევანდელი ცოდნა გვიჩვენებს, რომ ადამიანის მოვალეობის გრძნობა კატეგორიულ იმპერატივზე კი არაა დამყარებული, არამედ საზოგადოებრივ ალღოთა რეალურ საფუძველზე, რომელიც აქვს ყველა საზოგადოებრივ ცხოვრების მიმყოლ მაღალ ცხოველსა და ზნეობრივობის საბოლოო აზრად მიაჩნია ეგოიზმსა და ალტრუიზმს შორის, თავის თავსა და თვისს მოყვასს შორის სიყვარულის საღის ჰარმონიის დამყარება. ადამიანი, რომელსაც სურს კეთილადმოწყობილს საზოგადოებაში ცხოვრება და ბედნიერება, უნდა სცდილობდეს არათუ თვის თავის ბედნიერებას, არამედ აგრედვე იმ საზოგადოების ბედნიერებასაც, რომელშიაც თვით იმყოფება და იმათ ბედნიერებასაც, რომელნიც ამ საზოგადოებას შეადგენენ. მან უნდა მათი კეთილდღეობა მიიჩნიოს თავის ბედნიერებად ისევე, როგორც მათი ტანჯვა თავის ტანჯვად. ეს ძირითადი საზოგადოებრივი კანონი ისე მარტივი და ბუნებრივია, რომ ძნელი გასაგებია, როგორ შეიძლება მისი წინააღმდეგობა ან თეორულად და ან პრაქტიკულად; მაინც-კი ვხედავთ ამ წინააღმდეგობას ახლაც ისე, როგორც ათასის წლის წინადაც ჰხედავდნენ ჩვენი წინაპარნი.

[2]) „Die Welträthsel". 1901, p. 403—404.

სქესობრივ და ოჯახურ ალღოს დაკმაყოფილება ათას სხვა და სხვა ღონისძიებით სწარმოებს. იგივე ითქმის საზოგადოებრივ ალღოს შესახებაც. ჩუკნაობას და ცალ-მხრივ სქესობრივ სიყვარულს შეუძლია დააკმაყოფილოს სქესობრივი გრძნობა; მოთმინებას, მუცლის მოწყვეტასა და ახლადშობილთა კვლას ვხედავთ ყოველს ნაბიჯზე ქალისადმი სიყვარულთანა და რამდენსამე გადარჩენილ ბავშვებთან ერთად. სწორედ აგრედვე გამოუსწორებელი კაცის მკვლელის საზოგადოებრივი ალღო შეიძლება სრულიად დაკმაყოფილებულ იქმნას ერთის ან რამდენისამე ავაზაკის მიმართ სიყვარულის გამოჩენით. როგორც ვიცით, უსასტიკეს ავაზაკებსაც თვისი პირადი ზნეობრივობა აქვთ: არასოდეს არ უმტყუნებენ თავიანთ ამხანაგებს და საშინლად სძულთ მთელი დანარჩენი კაცობრიობა.

მაშასადამე, საქმე მხოლოდ ის კი არაა, რომ გქონდეს და გამოიჩინო ყოველ ადამიანისათვის მინიქებული საზოგადოებრივი ალღო, არამედ ის, თუ რაგვარად და ჩვენთა მოყვასთა შორის ვისდამი უნდა გამოვიჩინოთ. და სწორედ აქ არის ამ საგნის გადაწყვეტის სიძნელეც. ვერც რაციონალისტურ თეორიებსა და ვერც სარწმუნოებრივ დოქტრინებს ვერ გადუწყვეტიათ ეს საგანი წესიერად. ჩვენს ახლობელსა და შორეულ ნათესავებს უნდა შეეხებოდეს ჩვენი საზოგადოებრივი ინსტინქტები, თუ მთლად მოქალაქეებს ანუ თანამემამულეთ, ანუ ყველა თეთრებსა და შავებს, კეთილთა და ბოროტთ? ანუ ეს ალღო უნდა მიმართულ იქნას უმეტესად ერთმორწმუნე ანუ ერთმოაზრე ხალხის მიმართ? ინსტიქტური გრძნობა თავის თავად სდუმს ამ საგნის შესახებ მაშინ, როდესაც თვით გრძნობაშია მოთავსებული ჩვენთვის ძნელად გადასაჭრელი გამოცანა. ამ საგანზე, როგორც ვიცით, სხვა და სხვა დროსა და სხვა და სხვა გარემოებაში სრულიად სხვა და სხვა პასუხს იძლეოდნენ. მაშინ, როცა სარწმუნოებრივი გრძნობა სჭარბობდა, სარწმუნოება მეტად

ძლიერად აკავშირებდა ადამიანთ, ვიდრე მამულის სიყვარული. უფრო გვიან უპირატესობა მიეცა მამულის სიყვარულს. ამ ბოლო ხანებში უფრო ხშირად მიჰმართავენ ხოლმე საერთაშორისო ურთიერთობისა და სოლიდარობის გრძნობას. მაგალითად, რამდენიმე ტომი შეკავშირდა ჩინელების წინააღმდეგ განურჩევლად ეროვნებისა. ზოგნი ინდო-ევროპულნი ტომნი შეუერთდნენ არა თუ ერთმანერთს, არამედ მონგოლთა რასის ტომსაც კი საერთო მტრის დასასჯელად. რამ შეკავშირა ესოდენ სხვა და სხვა გვარნი ტომნი? არა სარწმუნოებამ, რადგან მოკავშირეთა შორის იყვნენ კათოლიკენი, პროტესტანტები, მართლმადიდებელნი და ბუდდის მიმდევარნი. ამ კავშირის საფუძველი იყო უფრო მეტად ინტერესთა იგივეობა, რომელიც ემყარებოდა კულტურის, სამხედრო და საპოლიტიკო ორგანიზაციის ანალოგიაზე.

ხშირად ჰფიქრობენ, რომ საზოგადოებრივი ალღო, ანუ რაც იგივეა ხალხთა შორის მიმზიდველობა გავრცელდება თანდათან და ისე საზოგადო შეიქნება, რომ მთელი კაცობრიობა იგრძნობს სოლიდარობას და იმოქმედებს საყოველთაო საკეთილდღეოდაო. ხოლო სინამდვილე გვიკარნახებს, რომ ეს საკითხი მეტად რთულია. ზედმეტ სიმპატიას შეუძლია ვნების მოტანა. როგორც ცნობილია, ზოგნი სიმპატიით ვამჭვალულნი ტომნი იღებდნენ დიდ მონაწილეობას ისეთს ომებში, რომლის შედეგებიც არ იყვნენ საკეთილდღეონი. ცუდსა და საშიშ იდამინთა მიმართ სიმპატიასაც შეუძლიან ვნების მოტანა. მაშასადამე, ხშირად საჭიროა საზოგადოებრივ ალღოს შეკავება თვით ხალხის ჯგუფთა ინტერესების დასაცველად, რომელნიც შეუერთებია საერთო იდეას.

საჭიროა თუ არა გავავრცელოთ სიმპატია მთელს კაცობრიობაზე, თუ უნდა მივმართოთ მხოლოდ ადამიანთა ჯგუფისაკენ?

თეორიულად ხშირად გაისმის ხმა მთელის კაცობრიობის სოლიდარობის შესახებ; ჰფიქრობენ, რომ შესაძლოა ერთ-

გვარის სიმპატიით ყველა რასათა მოპყრობა, თუნდა ეს მასები ბევრად დაშორებულნიც იყვნენ განათლებულ კაცზედ. ეს თეორიული აზრი ხშირად წაიფორხილებს ხოლმე იმ ქვეყნებში, საცა მკვიდრობენ სხვა და სხვა რასები.

მაგალითად, ამერიკასა და ზოგ სხვა ქვეყნებშიაც მიღებული იყო ჩინელებისათვის შემზღუდველი კანონები; მათ უარი უთხრეს იმ სიმპატიაზედ, რომლითაც დააჯილდოვეს სხვა ტომები. ზანგების საკითხიც ძლიერ გართულებულია იმ ქვეყნებში, საცა შავკანიანები თეთრკანიანთა შორის მკვიდრობენ. ევროპაში საზოგადოდ ჰკიცხავენ თეთრის რასის ადამიანებს იმისთვის, რომ ისინი ეუფლებიან პირველყოფილ ხალხთა ქვეყნებს.

სუტერლანდი, — გამოჩენილ თხზულების ავტორი „წარმოშობა და განვითარება ზნეობრივის ალღოსი, — ამართლებს ამ ძალმომრეობას. „კარგად თუ ავად მოიქცნენ თეთრები, როცა შავების კუთვნილება — ავსტრალიის ტყეები დაისაკუთრენო“, — შეეკითხნენ იმას და ასე უპასუხა: კარგად მოიქცენო. — „თუნდა ზნეობრივი ალღო, — ამბობს იგივე ავტორი — ჰგმობს ამგვარ პოლიტიკას, ხოლო იგი უეჭველად სწორია-ო.“ ავტორი თავს უყრის ერთად თავის გამოკვლევათა აზრებს და დაასკვნის, რომ „ზნეობრივი ყოფაქცევა ის არის, როცა ხშირად ერთმანეთის წინააღმდეგ ამხედრებულ ინდივიდუალურ და სოციალურ ალღოთა შორის, რაციონალური კომპრომისი სწარმოებსო, ხოლო ვერ გვიშლის თვალწინ ამ რაციონალურ საფუძველს, ისე, როგორც ვერ გვიშლიდნენ ამ საფუძველს მისნი წინამორბედნი მწერალნი.

საზოგადოებრივი ალღო ფრიად გვიან აქვს შეძენილი კაცობრიობას და ფრიად სუსტადაა განვითარებული იმისათვის, რომ სწორი და საკმაო ხელმძღვანელობა გაუწიოს ადამიანთა ყოფაქცევას. ამ უხერხულობის შესავსებლად თვით ძველის დროიდან მიჰმართავდნენ ხოლმე ღვთიურ სანქციას, რომელიც აწესებს ადამიანთა ურთიერთობას. ამ აზრითვე შეუკავშირეს ამას კანონ-მდებლობაცა.

ყველა ამ საშუალებათა მეოხებით შესაძლო შეიქმნა საზოგადო ცხოვრების მოწესრიგება. ნამდვილი მათი ძალა მეტად ცხადლივ გამოაშკარავდება ხოლმე იმ განსაკუთრებულ შემთხვევაში, როცა კატასტროფის დროს კანონი უძლურია და სდუმს. მაგალითად 1812 წელს ფრანგების მოსკოვში შესვლის წინად ანუ ამ უკანასკნელ დროში კუნძულ მარტინიკაზე მოხდენილ ვულკანის აღმოტევების შემდეგ, როცა მთავრობა იძულებული იყო უმოქმედოთ გაჩერებულიყო, მკვიდრთა საზოგადოების საწინააღმდეგო ალღომ ისეთი სახე მიიღო, რომელიც ცუდად ახასიათებდა საზოგადოებრივ ღლოს ძალას.

ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ ალღო საქმლის არჩევისა, სქესობრივი და ოჯახური, იმდენად ვერ არის სრული, რომ მაზედ დამყარება შეიძლებოდეს სხვა რამ გრძნობის უხელმძღვანელოდ. ამიტომაც საჭიროა გადაჭრით ვიცოდეთ, თუ რა საქმელი უფრო მარგებელია სხვა და სხვა გარემოებაში და რა საშუალებაა უკეთესი ამა თუ იმ ვითარების დროს გამრავლებისა და ოჯახურ ალღოთა დასაკმაყოფილებად. სწორედ აგრედვე საჭიროა სასტიკი განსაზღვრა საზოგადოებრივის ალღოს აზრისა. მოყვასთადმი სიყვარულით უნდა ყოველმხრივ ვეცადნეთ, რაც შეიძლება, ბედნიერად ჰგრძნობდნენ თავს ადამიანები.

ხოლო ისიც საკითხია, თუ რა არის ბედნიერება? არის იგი კეთილდღეობის გრძნობა, რომელსაც განიცდის თვით ადამიანი, თუ სხვების აზრი ამ გრძნობის შესახებ? როგორც ვიცით, ხშირად ძნელია ხოლმე გადაწყვეტით ითქვას, ბედნიერია ეს თუ ის ადამიანი, თუ არა. როცა იგი ტანმრთელია, დაცოლშვილებული და შეძლებული, ჩვენ ის ბედნიერად მიგვაჩნია ხოლმე, რაიც ხშირად სრულიადაც არ ეთანხმება მის საკუთარ აზრს. ამიტომაც ყოველთვის არ შეიძლება დავემყაროთ სხვის აზრს. მეორე მხრივ შესაძლოა ადამიანის აზრი თვისი ბედნიერების შესახებ იყოს უსაფუძვლო.

თვის ბედნიერების გრძნობა ხშირად არის მომასწავებელი იმ სულიერ ავადმყოფობისა, რომელსაც ტვინის პროგრესულ დამბლას უწოდებენ. აი, მაგალითად, რას მოგვითხრობენ: „ავადმყოფი კმაყოფილია; აღტაცებაში თვისის ტანადობითა და მდგომარეობით, მუდამ ტრაბახობს თვის ტანმრთელობით, ძალ-ღონით, პირისახის ფერით, დაუღალავობით და სხვა. საუცხოოდაა ჩაცმულ-დახურული, მისი სახლ-კარი რა მშვენიერია. შემდეგში გადამეტება უფრო მატულობს: ჰგონია, რომ ერთი სულის შებერვით დაანგრევს კედლებს, ამტკიცებს, რომ შეუძლია ასწიოს ასი კილოგრამის სიმძიმე (62 ფუთი), შეუძლია შესვას მთელი კასრი ღვინო. შემდეგ იწყება განდიდების მანია და ავადმყოფები სთვლიან თავიანთ თავებს დიდკაცებათ, მმართველებათ და მდიდრებათ. ჰგონიათ, რომ არიან დეპუტატები, გრაფები, თავადები, მეფეები, იმპერატორები, პაპები და თვით ღმერთიც კი“. [1]).

რადგანაც ტვინის პროგრესული დამბლა არის სიფილისის ერთერთი შედეგთაგანი, ამიტომ ხალხის უმეტეს ნაწილისათვის უმეტეს ბედნიერების მისანიჭებლად საკმაო იქნებოდა ამ სენის გავრცელება....

ხოლო ასეთი აზრი რომ ყოვლად შეუწყნარებელია, ეს თავის თავად აშკარაა. მაგრამ ისიც ნამდვილია, რომ ეს ბედნიერების საკითხი, რომელიც ასე მჭიდროდაა შეკავშირებული საზოგადოებრივ ცხოვრებასთან, არის ერთი უძნელესი ამოცანა.

საზოგადოებრივი ალღო აგრედვე უძლურია იმ საკითხის გადაწყვეტაში, რომელიც შეეხება იმას, თუ რამდენათ სამართლიან ადამიანთა არსებობა დაექვემდებაროს საზოგადო მისწრაფებას. რასაკვირველია, დღევანდელ ცოდნათა მდგომარეობის მიხედვით ადამიანი აუცილებლად უმართებულობას სჩადის და თვითონაც მრავალგვარ უსამართლობას განიცდის და

[1]) Ballet et Blocq: „Paralysie générale progressive. T. VI, 1894, p. 1632.“

ეს უბედურება არის აგრეთვე ადამიანის ბუნების დისჰარმონიის ერთი შედეგთაგანი. ყოველ წინანათქვამიდან აშკარავდება, რომ საზოგადოებრივი ალღოს წესიერის ხელმძღვანელობის აღმოსაჩენად პირველ ყოვლისა საჭიროა განისაზღვროს ის, თუ რა არის ნამდვილი ბედნიერება და რაა ნამდვილი მართებულობა და მხოლოდ მაშინ გავიგებთ, თუ რა უნდა ვიღონოთ ხალხის ბედნიერად არსებობის უზრუნველ საყოფნელად.

თავი VI.

თვითდაცვის ალღოს დისჰარმონია.

თვითდაცვის ალღო ცხოველთა შორის.—სიცოცხლის ალღო ადამიანთა შორის.—მისი სუსტი განვითარება ყმაწვილობაში.—ბუდდას ლეგენდა თვითდაცვის ალღოსა და სიკვდილის წინაშე შიშისათვის.—ლიტერატურა სიკვდილის წინაშე შიშისათვის.—ტოლსტოის აღსარება სიკვდილის წინაშე შიშისათვის.—ტოლსტოის თეორია ამ საგნისათვის.—სხვათა აზრი ამ საგნისათვისვე.—სიკვდილის წინაშე შიში არის ინსტინქტური თვისება.—სიცოცხლის ალღოს განვითარება ადამიანის სიცოცხლის განმავლობაში.—მოქცევა მოხუცებულთა მიმართ.—მათი მკვლელობა.—მოხუცთა თვითმკვლელობა.—სიცოცხლის ალღოს დისჰარმონია ცხოვრების ვითარების მიმართ.—შიში სიკვდილის წინაშე სარწმუნოებასა და ფილოსოფურ სისტემებში.

ადამიანს საზოგადოებრივი ალღო შეძენილი აქვს სულ ბოლო ხანებში და ჯერ-ჯერობით არ ასულა საკმაო დონემდე; ამიტომაც არ არის გასაკვირველი, რომ ეს ალღო იჩენს ასეთს დისჰარმონიასა და ნაკლულევანებას. პირიქით, თვითდაცვა, სიცოცხლის ალღო უნდა წარმოადგენდეს ჰარმონიულ განვითარების უაღრეს ხარისხს და მართლაც ორივე გრძნობა ვითარდება ქმნილებათა მთელს წყობაში ადამიანამდე, ხოლო ადამიანში უფრო სავსებით იჩენს თავს.

ყველა ორგანიზმს, უმდაბლესიდამ დაწყებული, ვამჩნევთ მრავალგვარ ხერხიანობას, რომლის შემწეობითაც უნდა უზრუნველყოფილ იქმნას მისი სიცოცხლე. ზოგიერთნი არსებანი ცოცხალ ნივთიერების (პროტოპლაზმის) მხოლოდ მიკროსკოპულს ერთს წვეთს წარმოადგენენ და ამასთანავე გარს აკრავთ ისეთი მკვიდრი სადაფი, რომელიც იცავს მათ სიცოცხლეს ყოველგვარ მავნე გავლენისაგან.

მცენარეთა არსებობა უზრუნველყოფილია ხან ტკლებით, რომელიც უშლის მათ შეჭმას, ხან მწვავე ნივთიერებისა და ხან ნამდვილ შხამის გამოღებით. ცხოველებს თავის დაცვის ღონისძიებანი უფრო მრავალრიცხოვანი აქვთ. ფარები და სადაფები, თხელი განავალი, რომელიც ხან სიმყრალის გამო, ხან კვალის აღრევის გამო ჰშველის ზოგ ცხოველებს, ეშვები, მაგარი კბილები და მრავალი სხვა თვისება განსაკუთრებით არის მოწყობილი ინდუვიდუალურ სიცოცხლის დასაცავად. ჩვენ რომ ამ საგანზე შევჩერებულიყავით, ცხოველთა და მცენარეთა შედარებითის ანატომიის მთელ სახელმძღვანელოს დაწერა დაგვჭირდებოდა.

დაბალ არსთა თავ-დაცვა სწარმოებდა შეგნებულ და შეუგნებელ ფსიქიურ აქტთა გარეშე. ხოლო შემდეგ შეიძინეს მრავალრიცხოვანი ალღონი, რომელთაც უზრუნველჰყვეს თავის დაცვა. ზოგნი არსებანი გაურბიან სულ უბრალო ხიფათს, ზოგი ემალება მტერს მით, რომ გარშემო უშვებს თვისის სხეულის ლორწოს ან თვის განავალს ან სხვა რამ სხეულს ეფარება. ყველა ეს მოვლენა ცხადჰყოფს სიცოცხლის და თვითდაცვის ღრმა მოთხოვნილებას მთელს ორგანულ არსთა მსოფლიოში.

ხოლო ყველა ეს ღონისძიება ხიფათისა და სიკვდილის ასაცდენად შეიძლება ხმარებულ იყოს თვინიერ იმისა, ჰქონდათ თუ არა ცხოველებს რამდენადმე გარკვეული გაგება თვით სიკვდილისა. ზოგიერთი ცხოველები უეჭველად არჩევენ ცოცხალ ნანადირევს მკვდრისაგან. ზოგი ცხოველი

ზგრძნობს მკვდრის სუნს. ცოცხალ საკვებს მიჩვეულნი არ ეკარებიან მკვდრებს: ჰხელმძღვანელობენ ნანადირევის უმოძრაობით. ამ შემთხვევაში, როცა სიკვდილის სრული გაგება არ არის, ცხოველი ადვილად სცდება: თუ ხელოვნურად გაანძრევთ მკვდარ ნანადირევს ან და, პირიქით, ცოცხალს უმოძრაოდ გახდით. მრავალი ,,მწერი, ასეთ მცირედ-განვითარებულ მტერთაგან შეშინებული, ერთბაშად შეჩერდება და თავს მოიმკვდარუნებს. ეს საქციელიც თავდაცვის ესოდენ მრავალფეროვან ბუნებრივ ღონისძიებათა კატეგორიას ეკუთვნის.

ცხოველთა უმაღლესი კლასი — ძუძუმწოვარნი, — სიკვდილის სრულ გაუგებრობას იჩენენ: მრავალი მათგანი სრულიად გულგრილად უცქერიან თავიანთ მოგვარეთა ლეშს ან და სჭამენ ამ ლეშს და არ ეკრძალვიან მათგან მოწამლვას. ასეთ საქციელს ეტანებიან ვირთხები, რომელნიც სჭამენ შავი ჭირით ღახოცილ ვირთხების ლეშს. შიმშილის გრძნობის დაკმაყოფილება აიძულებს ამ საშინელ სენით ავად გახდნენ და შეჰყარონ სხვა გვარებს, განსაკუთრებით ადამიანს. ისეთ ძუძუმწოვართა გვერდით, რომელნიც არაფრად აგდებენ თავისიანების სიკვდილს, არიან ისეთნიც, რომელნიც ჰგრძნობენ ინსტინქტურ შიშს თავისიანთა მკვდრების დანახვაზედ. ცხენებს ეშინიათ თავისიანთ ლეშის დანახვისა, ჰღელავენ და გარბიან. აგრეედვე ხარებიც სასაკლაოზე, დაინახვენ თუ არა სისხლს, ძრწიან საშინელის შიშითა.

ხოლო, თვინიერ ასეთის მაგალითებისა, უეჭველია, რომ არსთა თვით უმაღლეს საფეხურზე მდგომ ცხოველთ არა აქვთ არავითარი წარმოდგენა აუცილებელ სიკვდილისა, რომელიც მოელის ყოველსავე, ვისაც კი ცხოვრების ნიშანწყალი აბადია. ეს წარმოდგენა შეძენილი აქვს ადამიანთა გვარს.

ადამიანს თვითდაცვის ალღო უეჭველად განვითარებული აქვს. თუმცა ეს გრძნობა მცირედ ეჩნევა ახლად დაბადებულს, გარნა პატარა ბალღებს უკვე თვალსაჩინოდ უვითარ-

დებათ. მკვდრის დანახვა ისევე თავზარსა სცემს, როგორც დანახვა გველისა ან სხვა რამ საშიშ ცხოველისა.

ყმაწვილ კაცებს ეს თვითდაცვის ალღო, რომელიც მჭიდროდ არის შეკავშირებული სიკვდილის წინაშე შიშთან, არა აქვთ ჯერ კიდევ ძლიერ განვითარებული. ხშირად ეს გრძნობა იჩენს ხოლმე თავს მხოლოდ განსაკუთრებულ გარემოებაში, როგორიც არის რაიმე ხიფათი, ავადმყოფობა, უბედურება ანუ ომიანობა. ტანმრთელი ყმაწვილები, რომელნიც ჭგონებენ, სიკვდილი არაფრად მიგვაჩნიაო, ხშირად დიდს შიშს ჭგრძნობენ ავადმყოფობაში. გაითვალიწინებს რა თვის შთაბეჭდილებას სევასტოპოლის ომის დროს, **გრაფი ლ. ტოლსტოი**, რომელიც მაშინ სულ 26 წლისა იყო, მოგვითხრობს შემდეგ: „თუმცა გართული ვიყავით სხვა და სხვა გვარ წვრილმალ საფუსფუსო საქმით, თვითდაცვის გრძნობა და სურვილი, რაც შეიძლებოდა ჩქარა გავშორებოდით ამ საშიშ სიკვდილის ადგილს, ყველას გვიღვივოდა გულში. ამ გრძნობით იყო გამსჭვალული სასიკვდილოდ დაჭრილი ჯარის კაციც, რომელიც იწვა ხეთას დაჭრილსავე კაცთა შორის პავლეს ქუჩის ქვის იატაკზე და რომელიც ღმერთს სიკვდილსა სთხოვდა, ის მოლაშქრეც, რომელიც უკანასკნელ ლონეს ხმარობდა შეეყო თავი მჭიდროდ შეჯგუფულს ხალხში და გზა მიეცა ცხენოსან გენერლისათვის, ის გენერალიც, რომელიც მკაცრად ბრძანებასა სცემდა ჯარის გადაყვანის შესახებ და თავს უჭერდა აჩქარებულ ჯარისკაცთ, ის მეზღვაურიც, რომელიც ჩავარდნილიყო მოძრავ ბატალიონში და იჭყლიტებოდა მღელვარე ბრბოსაგან, ის დაჭრილი ოფიცერიც, რომელიც ოთხ ჯარისკაცს საკაცით მიჰქონდათ და შეჯგუფულ ხალხის მიერ შეჩერებულთ დაედვათ მიწაზე. ნიკოლოზის ბატარეის წინ, ის არტილერისტიც, რომელიც 16 წელიწადი ემსახურებოდა თვის ზარბაზანს“ და სხვა [1]).

ხოლო ცხოვრების წესიერ გარემოებათა შორის თვით-

[1]) „Севастополь“ Собр. соч. Т. II. 1897 г.

დაცვის ალღო ყმაწვილობაში ჯერ კიდევ ვერ იჩენს საკმაოდ თავს. ამიტომაც ბაბუკნი ხშირად თავს გამოიდებენ ხოლმე სრულიად უმნიშვნელო მიზეზით; არ უფიქრდებიან, თუ რა შედეგი მოჰყვება მათ საქციელს და ჰკისრულობენ ისეთ საქმეს, რომელსაც შეუძლიან ავნოს მის ტანმრთელობასა და სიცოცხლეს. ხშირად მათს ამგვარ საქციელს საფუძვლად უდევს უმაღლესი მისწრაფება, ხოლო უმეტეს ნაწილად ისინი ალევენ ძალ-ღონეს რომელსამე მდაბალის ხარისხის ალღოს დაკმაყოფილებას. სიჭაბუკე არის ხანა უაღრესის უანგარო თავდადებისა და ამასთანავე მრავალფეროვან გადამეტებულ მისწრაფებისა ალკოჰოლისადმი, სქესობრივ ურთიერთობისადმი და სხვა. ჰფიქრობენ, რომ თვითდაცვის გრძნობა მუდამ ერთნაირიაო, რომ სიკვდილი 30 და 60 წლის ადამიანისა განსხვავდება მხოლოდ ხარისხით, რომელიც შეესაბამება წლოვანობის განსხვავებასაო.

ხოლო ახალგაზდანი თვისის ჯერ კიდევ ნაკლებად განვითარებულის სიცოცხლის ალღოთი ხშირად ზედმეტ მოთხოვნილებისანი არიან. მათ მიერ განცდილნი განცხრომანი სუსტია იმ დროს, როცა რომელიმე უსიამოვნებით გამოწვეული ტანჯვა არის ფრიად მკვეთრი. ასეთ გარემობათა შორის ადვილად გადიქცევიან ხოლმე ან უაღრეს ეპიკურიელებად ანდა უკიდურეს პესიმისტებად.

„Edite, bibite, post mortem nulla voluptas“ [2]) — ასეთი იყო ანდაზა გერმანელ სტუდენტთა, რომელნიც ესწრაფებოდნენ განცხრომას; მათ არა გაეგებოდათ რა ადამიანის სიცოცხლის ალღოს განვითარებისა სხვა და სხვა ჰასაკის დროს.

მეორე მხრივ, გაითვალისწინებს თუ არა ყმაწვილკაცობა ბედნიერებისა და უბედურობის განცდას, თვისის ბუნების თანახმად, ამცირებს პირველის ღირებულობას და ზედმეტად

[2]) სჭამეთ და სვით, თორემ სიკვდილთან ერთად სურვილიც იკარგებაო.

ჰგრძნობს სამძიმო რამ ასატანს. ამგვარად ემხრობა პესიმისტურ სოფლმხედველობას და ადამიანის სიცოცხლეს ბოროტად სთვლის. უნდა შევნიშნოთ, რომ **შოპენჰაუერმა** 31 წლისამ დასტამბა თვისი პესიმისტური თეორია. მისმა მიმდევარმა **ჰარტმანმა**, ჯერ მხოლოდ 26 წლისამ, აღიარა არსებობა ადამიანისა ბოროტებათ, რომელსაც კაცმა ყოველის ღონისძიებით უნდა თავი დაახწიოს.

პირიქით, სიცოცხლის ოპტიმისტური თეორიები აღსარებულია ანუ ხანშესულ ადამიანებისაგან ანუ ისეთების მიერ, რომელთაც განსაკუთრებულ გაბრაზებით არსებობის ხიამე განუცდიათ.

გერმანელ ფილოსოფოსების პესიმისტურ თეორიათა წინაღმდეგ **დიურინგმა** თვის თხზულებაში „Der Werth des Lebens“ ჩამოაყალიბა თვისი ოპტიმისტური შეხედულება. იმ დროს კი **დიურინგი** თვალის ჩინს იყო მოკლებული, თვალთახედვა არა ჰქონდა. ინგლისის სახელოვანმა მეცნიერმა **სერ ჯონ ლებოკმა** ამ რამდენისამე წლის წინად დასტამბა თხუზულება „არსებობის ბედნიერება“, რომელიც ასეთის წინადადებით იწყება: „სიცოცხლე დიდი სიკეთეა“. მისი სოფლმხედველობა სავსებით განსხვავდება პესიმისტურისაგან; ლებოკი მაშინ 53 წლისა იყო.

არ ახალია, ძველია ის ამბავი, რომ მოხუცნი მეტ ფასს სდებენ სიცოცხლეს, ვიდრე ჭაბუკნი. **რუსსო** ამბობს: „რაც უფრო ჰკარგავს სიცოცხლე თვის ღირებულობას, მით უფრო ეაფასებთ. მოხუცთ უფრო ენანება სიცოცხლე, ვიდრე ჭაბუკთ“. (ემილი).

ეს მოსაზრება სრულიად სამართლიანია და მრავალი ფაქტიც ადასტურებს.

ძალიან დაახლოვებით ვიცნობ ერთ მეცნიერს, რომელიც ჭაბუკობაში ფრიად უბედურად ჰგრძნობდა თავის თავს. ხელმეტის გრძნობიერობით დაჯილილდოებული და მწვავედ განმცდელი ტანჯვისა, ყოველისავე ძალღონით სცდილობდა

მის დაწყნარებას. რაიმე უსიამოვნება ისეთს დაღვრემილებაში ჩააგდებდა ხოლმე, რომ იძულებული იყო ბანგის მეოხებით თავი დაევიწყებინა. ზნეობრივ ტანჯვათაგან თავის დასაღწევად ავადმყოფობის გამჩენ მიკრობებსაც კი იცრიდა. შემდეგ, როცა ხანში შევიდა, მისმა ზედმეტმა გრძნობიერობამ უფრო ნაკლებად მკვეთრ გრძნობებს დაუთმო ადგილი. ბოროტს ეხლა ისე მკაცრად აღარ განიცდის, როგორც ჭაბუკობისას. პირიქით, უკვე მეტად აფასებს სიცოცხლეს და აზრადაც არ მოსდის რაიმე დარდის გულისათვის დღე შეიმოკლოს. ჭაბუკობისას იყო პესიმისტი და ეგონა ცხოვრებაში ბოროტი მეტად სჭარბობს კეთილსაო. ხან შესულობისას სრულიად შეეცვალა აზრი და სხვაფრივ შეაფასა სიცოცხლე.

უეჭველია, სრულიადაც არაა საჭირო მოხუცებული იყო, რათა დასთანხმდე იმ აზრს, რომ სიკვდილი დიდი ბოროტებაა. „სტყუის, ვინც გვარწმუნებს, სიკვდილისა არ მეშინიანო,— სთქვა **ჟანჟაკ რუსსომ**. სიკვდილისა ყველას ეშინიან; ეს არის გრძნობიერ არსებათა დიდი კანონი, ურომლისოდაც ყოველი მომაკვდავი მოსპობილი იქნებოდა. ეს შიში არის ბუნების უბრალო მოვლინება, არათუ განურჩეველი, არამედ არსებითად კარგი და ბუნების წესთა შესატყვისი“.

ხშირად ამბობენ, გულგრილად უყურებ სიკვდილსაო; ხოლო, თუ კარგად ჩაუკვირდებით, მიხვდებით ამის მთქმელის გულის-ნადებს. ერთი ხნიერი ქალი გავიცანი, რომელსაც არა თუ არ ეშინოდა სიკვდილისა, არამედ ნატრობდა კიდეც. გულდასმით ჩაუკვირდი თუ არა ამ შემთხვევას, დავრწმუნდი, რომ ეს ადამიანი ძნელის სენით იყო შეპყრობილი და ჰფიქრობდა, მარტო სიკვდილს შეუძლია ტანჯვათაგან ჩემი განთავისუფლებაო. გაიგო თუ არა, რომ მისი სენის განკურნება შესაძლოა, სიხარულით აივსო, შემეძლება უტანჯველად ცხოვრებაო.

თვითდაცვის ალღოსა და სიკვდილის წინაშე შიშს, რომელიც არის პირველის ერთ-ერთი გამომვჟღავნება, აქვს არ-

სებითი მნიშვნელობა ადამიანის ბუნების შესწავლაში. ამიტომაც საჭიროა შევჩერდეთ რამდენსამე მაგლითზე ამ საგნის ასახსნელად.

ძველადვე ეს ამოცანა ბევრს მოსაზრებას იწვევდა. ამის შესახებ აუცილებლად საუკეთესოდ უნდა ჩავრიცხოთ ბუდდას მიმდევართა ლეგენდა[1]). ახალგაზდა ბატონიშვილი **საკია. მუნი**, ბუდდიზმის დამფუძნებელი, არსებობის შეგნებით აღჭურვილი, ლამობდა ქვეყნისაგან განდგომასა და ბერად აღკვეცას. ამ სურვილის ხელის შესაშლელად მამამ გასცა ბრძანება, აღეზარდათ იგი საუცხოო დარბაზში, სადაც ყმაწვილი უნდა განცხრომა-ფუფუნებით უნდა ყოფილიყო გარემოცული, ყოველსაგე მძიმე შთაბეჭდილებას მოშორებული. ამ ყოფაში ბატონიშვილს არასოდეს უნახავს არც მოხუცნი, არც ავადმყოფნი და არც მკვდარნი. თუმცა აღკრძალული ჰქონდა, მაინც ბატონიშვილმა რამდენჯერმე მალულად ეტლით ისეირნა. პირველ სეირნობის დროს შეხვდა გზაში „დაფექვილს, მიხრწნილს, დაპიქვინებულის ძარღვებით სხეულზე, დაძრულ კბილებით; სახე დამჭკნარს, გათეთრებულს, წელში მოხრილ-მოკაკულს, დაღვრემილს, ყავარჯენზე დაყრდნობილს, მთელის თვისის სხეულითა მოცახცახე მოხუცს". გაიგო მეეტლესაგან, რომ ეს იყო მოხუცი, რომ „ყველა ქმნილებას სიბერე ართმევს სიყმაწვილეს", რომ ყველას სიბერე მოელის და „ქმნილებას სხვა გზა არა აქვს",—ბატონიშვილი ისე გაოცდა, რომ უბრძანა თვის მეეტლეს: „ვაი უვიცსა და სუსტ ქმნილებას, ვისი გონებაც მთვრალია სიჭაბუკის სიამაყით და ვერ ჰხედავს სიბერეს! საჩქაროდ მოაბრუნე ეტლი, მინდა შინ დავბრუნდე. რას მიქვიან გართობა და სიამოვნება, როცა მე ვყოფილვარ მომავალში სიბერის საბუდარი!"

მეორეჯელ **საკია.მუნი** შეხვდა გზაში ციებ-ცხელებით დასნეულებულს, დასუსტებულს, ძლივას მოსიარულე კაცს. გაიგო თუ არა ჭაბუკმა ბატონიშვილმა, რომ ეს კაცი ავად-

[1]) „Lalita Vistara", p. 166—170.

მყოფია, წამოიძახა: „მაშ, ტანმრთელობა სიზმარი ყოფილა! და რა საშიშია ავადმყოფობის მოლოდინი! მერე ვინაა ისეთი ბრძენი, რომელიც უყურებს არსებობის ასეთს ვითარებას და შეუძლია იფიქროს სიხარულისა და სიამოვნებისათვის?“ რამდენისამე ხნის შემდეგ **საკია-მუნი** მესამეჯერ სეირნობდა და ჰხედავს თეთრებში გახვეულსა და საკაცეზე მდებარე მცხედარს, რომელსაც გარს ეხვევნენ მტირალნი, მკვნესარნი და ბედის მომჩივარნი ჭირისუფალნი ნათესავ-მოკეთენი უკან მისდევდნენ ცხედარს. თმაგაწეწილნი, თავზე მტვერს იყრიდნენ და გულში ხელებს იცემდნენ. მკვდრის დანახვით აღელვებულმა ბატონიშვილმა წარმოსთქვა შემდეგი სიტყვები: „ვაი სიჭაბუკეს, რომელსაც ძირს უთხრის სიბერე! ვაი იმ ტანმრთელობას, რომელსაც ბოლოს უღებს ავადმყოფობა! ვაი ადამიანის ხანმოკლე ცხოვრებას! ვაი განცხრომის სიამეს, რომელიცაა მაცდური ბრძენთა გულისა!“

ეს მოსაზრებანი **საკია-მუნისა** დაედვენ საფუძველად ბუდდიზმს, რომელიც განსჭვალულია პესიმისტურ შეხედულობით ადამიანის ბუნებისათვის. თანამედროვე პესიმისტებიც ამ გზას დაადგნენ. რაგორც ვიცით, შოპენჰაუერი სიყმაწვილიდანვე გატაცებული იყო ადიმიანის არსებობის ძნელად გადასაჭრელ საგნებით. თვის წერილებში დედა[1]) უსაყვედურებს „რად უჩივი აუცილებლობასაო“, რაიც ადასტურებს იმას, რომ 27 წლის **შოპენჰაუერს** აშფოთებდა სიკვდილის აუცილებლობა. ეს საკითხი ყველაზე მეტად აინტერესებდა. ისე ეშინოდა ავადმყოფობისა და სიკვდილისა, რომ 1831 წ. პირველ ხოლერობის დროს ბერლინიდან გაიქცა (სადაც ხოლერით გადაიცვალა **ჰეგელი**) და დასახლდა ფრანკფურტში, საცა ხოლერა არ იყო. და მართლაც **შოპენჰაუერი** ამტკიცებს, რომ[2]) „უაღრესი უბედურება და უაღრესი სიბოროტ-

[1]) Эдуард Род: „Современныя нравственныя идеи“. Париж. 1892, Стр. 48.

[2]) „Die Welt als Wilie und Vorstellung“ t. II, p. 529.

ტე, რაც ადამიანს შეიძლება შეემთხვესო—არის სიკვდილი და უაღრესი შიში არის შიში სიკვდილის წინაშეო". სიკვდილის აუცილებლობამ შთაგონა პესიმისტური ფილოსოფია.

ყოველს დროში ლიტერატურა, როგორც ფილოსოფიაც, ფრიად დაინტერესებული იყო სიკვდილის საკითხის გარკვევით. თვის დღიურში **ედმონდ გონკური** მოგვითხრობს, რომ ამხანაგებთან შეხვედრის დროს ეს საკითხი იყო სულ უმთავრესი საგანი მათის საუბრისა. აი, ერთ მათგანის[1]) შინაარსიც: „დღეს განვაახლეთ ჩვენი ხუთთა სადილები; გვაკლია **ფლობერი**, ვართ **ტურგენევი**, **ზოლა**, **დოდე** და მე. ერთის ზნეობრივი უსიამოვნებანი, მეორის ტანის ტკივილები გვაიძულებენ ვიბაასოთ სიკვდილის შესახებ... და ბაასი გრძელდება 11 საათამდე, ხანდახან ვლამობთ გვერდი აუაროთ ამ საგანს, მაგრამ კვლავ ამ შავ-ბნელ საკითხს უბრუნდებით".

დოდე მოგვითხრობს, რომ ეს იყო მისი აჩემებული იდეა, სიცოცხლის საწამლავი, რომ არასოდეს არ გამომიცვლია სადგური ისე, რომ ახალ სადგურზე არ გამეთვალისწინებინოს ჩემი საკუთარი კუბო და ის კუთხე, საცა ის უნდა დაედგათ.

ზოლა მოგვითხრობს, რომ „როცა დედა ჩემი გადაიცვალა **მედანში**, კიბე ისეთი ვიწრო გამოდგა, რომ იძულებულნი შეიქმნენ ფანჯარიდან ჩამოეშვათ. არასოდეს არ შევხედავ ამ ფანჯარას ისე, რომ ჩემს თავს არ დავკითხო, ვის ჩაუშვებენ იქიდამ პირველად, მე, თუ ჩემს მეუღლეს? დიალ, იმ დღიდან სიკვდილი ჰბუდობს ჩვენთა აზრთა სილრმეში და ხშირად... ღამე უცქერი ჩემ ცოლს, რომელსაც არ სძინავს, და ვგრძნობ, რომ იმასაც ეს ფიქრი უტრიალებს თავში და ორივენი ჩუმადა ვართ, არ უმეღავნებთ ერთმანეთს, რასაც ვფიქრობთ... სირცხვილის მიზეზით, დიალ, ერთგვარ სირცხვილის მიზეზით. ოჰ, რა თავზარდამცემია და საშიში ეს ფიქრი. ზოგჯერ ღამე უეცრად წამოვხტები ლოგინიდან და

[1]) Дневник Гонкура, т. VI, 1878—1884, 1892. Стр. 186.

ერთის წამის განმავლობაში გამოუთქმელ შიშსა ვგრძნობ ხოლმე“.

ედმოდ გონკური გამოუტყდებოდა ხოლმე **ჟან ფინოს**, „ჩემი სიცოცხლე ბევრად გაადვილებული იქნებოდა, რომ შემეძლოს ჩემის გონებიდან სიკვდილის ფიქრის ამოშლა. ამას ფინო დასძენს, რომ „ღირსსახსოვარ კრებაზე **ვიკტორ ჰიუგოსთან** თითქმის ყველა სახელოვანი სტუმრები თვის აზრს სიკვდილის შესახებ ახასიათებდნენ შიშითა და მწუხარებით.“

მწერალთა შორის ყველაწე მეტად სიკვდილის შესახებ უწერია გრაფ **ლევ ტოლსტოის**. მრავალს თხზულებაში მან უძღვნა სიკვდილის საკითხს დაუვიწყარი ფურცლები, ხოლო ყოველ იმათ შორის, რაც მე წამიკითხავს, უფრო საოცარი და ღრმა სურათია დახატული მის „აღსარებაში“.

მკითხველი დამიმადლებს ამ საკითხის შესახებ უმთავრეს ადგილების მოყვანისათვის. ჯერ მოგაგონებთ ზემოხსენებულ მოთხრობას სევასტოპოლის ალყის შემორტყმის შესახებ, განსაცდელის წინაშე ყველანი ჰგრძნობდნენ სიკვდილის შიშს, ხოლო ამ გრძნობას სავსებით ვერ შეეპყრო განსაკუთრებით 26 წლის ყმაწვილი კაცი.

ტოლსტოის მხოლოდ 50 წლის შესრულებისას წარმოუდგა მთელის თვისის სიმკაცრით სიკვდილის საკითხი. აი, როგორ აგვიწერს კრიზისის დასაწყისს: „რაღაც გაუგებრობის, სიცოცხლის შეჩერების წამები მევლინებოდა ხოლმე, თითქოს არ ვიცოდი, როგორ მეცხოვრა, რა გამეკეთებინა, აზრი მერეოდა და სასოწარკვეთილებაში ვვარდებოდი. ხოლო გაივლიდა ეს წამი და კვლავინდებურ ცხოვრებას ვიწყებდი. შემდეგში ეს გაუგებრობის წამები უფრო და უფრო გამიხშირდა სულ ერთისა და იმავე სახით. ეს სიცოცხლის შეჩერება მუდამ მეხატებოდა ერთგვარის საკითხის სახით: რისთვის? კარგი და მერე?“

რამდენისამე ხნის განმავლობაში ტოლსტოი არ აძლევდა კარგად თავის თავს ანგარიშს თვისს მდგომარეობისას, ხოლო თანდათან დაუწყო ჩაკვირვება და ასეთს დასკვნას მიადგა: „ჭეშმარიტი ის არის, რომ სიცოცხლე უაზრობაა. თითქოს ვცოცხლობდი, მივდიოდი და მივადექი უფსკრულს და ჩემ წინ არა იყო რა გაქრობის მეტი. არც შეჩერება შეიძლება, არც უკან დახევა, არც თვალის დახუჭვა, რომ არ დაინახო, რომ წინ არა არის რა, გარდა ტანჯვისა და ნამდვილის სიკვდილისა—სრულის გაქარწყლებისა.“

„და ამ მდგომარეობაში იქამდე მივედი, რომ სიცოცხლე აღარ შემეძლო და სიკვდილის შიშით უნდა მეთვალთმაქცა ჩემის თავის წინაშე, რათა თავი არ მოშეკლა.“ ვერავითარის გონიერის აზრით ვერ გავაშუქე ვერც ერთი ჩემი საქციელი მთელის სიცოცხლის განმავლობაში, მხოლოდ ის მაკვირვებდა, რომ ეს დღემდე ვერ შევიგნე. ეს ხომ ყველასათვის იმთავითვე ცნობილია და თუ დღეს არა, ხვალ გვესტუმრება ავადმყოფობა, სიკვდილი (და გვესტუმრებოდნენ კიდეც) მეც, ჩემ ძვირფას მახლობლებს, და არა დარჩება რა ჩვენგან, გარდა სიმყრალისა და მატლებისა. ჩემი საქმენი, როგორიც უნდა იყოს, ადრე თუ ვვიან, დავიწყებული იქნება, და მეც ხომ აღარ ვიქნები. მაშ, რისათვის უნდა ვიტეხო თავი? როგორ შეიძლება, რომ კაცი ამას ვერ ჰხედავდეს და ისე სცოცხლობდეს—აი, რა არის საკვირველი. შეიძლება იცხოვრო, ვიდრე სიცოცხლით მთვრალი ხარ, გამოფხიზლდები თუ არა, შეუძლებელია არ დაინახო, რომ ყოველივე მაცთურობაა, სულელი მაცთურობა! სწორი მხოლოდ ისაა, რომ ეს არც სასაცილოა და არც გონებამოსწრებული, არამედ—სიმკაცრე და სასულელე.“

ტოლსტოიმ არ იცოდა, როგორ გამოსულიყო ამ სიცოცხლის უკუღმართობიდან და გადასწყვიტა დამყარებულიყო ოჯახისადმი სიყვარულის გრძნობაზე. „აი ოჯახი,—ეფუბნებოდი ჩემს თავს,—ხოლო ოჯახშია ცოლი და შვილები, და

ისინიც ხომ ისეთს გარემოებაში სცხოვრობენ, როგორც მე: იმათაც უნდა მაცთურობაში გაატარონ თვისი წუთისოფელი, ან არა და დაინახონ საოცარი ჭეშმარიტება. რისთვის უნდა იცოცხლონ? ან და რად უნდა მიყვარდნენ ისინი, რად უნდა ვევლებოდე თავს, ვზრდიდე, უვლიდე? იმავე სასოწარკვეთილებისათვის, როგორშიაც მე ვარ, თუ გაუგრობისათვის? მათდამი სიყვარული მაიძულებს აუხსნა სიმართლე,—ყოველ ნაბიჯს შემეცნებისას მიჰყავს ისინი სიმართლისაკენ.—და სიმართლე, ჭეშმარიტება კი არის სიკვდილი.“

ყოველსავე ამას, რომელსაც უნდა ცხადეყო მკითხველისათვის სიცოცხლისადმი სიყვარული და სიკვდილის წინაშეშიში, მინდა დაუმატო არა ლიტერატურიდან, არამედ ყოველდღიურ სიწამდვილიდან ამოღებული მაგალითი [1] ჩემი სიტყვა შეეხება ერთს ქრისტიან მრევლის მღვდელთ მსახურის სიკვდილს „ის იყო მორწმუნე, ვით ფრანცისკ ასსიზელი. უმანკო ვით ქალწული, მკაცრი განდეგილი; სათნოება აშუქებდა მთელს მის ცხოვრებას“ „ლოგიური აუცილებლობა მოითხოვდა, რომ მისი სიკვდილი ყოფილიყო აუშფოთელი, წყნარი. ის რომ რომანის გმირად გამოეყვანათ, სხვაგვარ სიკვდილს ვერ მოუგონებდნენ.“ და თუ მომაკვდავის ახლობელ მეგობრის დღიურს წავიკითხავთ, აი, როგორ ყოფილა საქმე ნამდვილად: „ჩვენი საბრალო მეგობარი მკერდით ებრძვის სიკვდილს. მშვიდი, წყნარი, სწორზომიერი, ზარდაცემულია სიკვდილის მოახლოვებით. ეს გულშემზარავი სანახაობა ცრემლებსა გვგვრის. ჩვენ უძლურნი ვართ, არა თუ შეუმსუბუქოთ ტანჯვა, არამედ დავამწყნაროთ საზარელი ზნეობრივი მწუხარება ამ დამჯდარ ჭკუისა, რომელსაც სწყურია სიცოცხლე და რომელიც ცოცხლად ეწაფება სიკვდილს.“ „მე კიდევ შემეძლო,—იძახოდა საცოდავი,—წამეკითხა თეოლოგიის ან პოლიტიკურ ეკონომიის კურსი, მაგრამ აგერ სიკვდილი თავს მადგია... საშინელებაა სრულ გონებაზედ ყოფნა....

[1]) „Union pour l'action morale № 6, 15 janv. 1902 p. 258.

სჯობდა გონება დამკარგოდა... მერე რას ვსთხოვდით ღმერთს! საუკუნო ნეტარებას! ეს იგივეა, რომ ვინმე დღიურმა მუშამ მოგთხოვოთ ერთის დღის მუშაობისათვის ათასი ფრანკი! თქვენ უპასუხებდით: „ხომ არ ხუმრობთ? უგუნური ყოფილხართ, ჩემო კეთილო, რომ ასეთს მდგომერეობაში კაცი იცვლის თვის სარწმუნოებას, თვის ფილოსოფიას. ღვთის მადლი არაა ისეთი, როგორც ჩვენ ვფიქრობთ. **ჩვენს ზევით რაღაც საიდუმლოებაა.** ნუ თუ სიკვდილი საშიშროების წყაროა მისთვის, ვისაც მთელი თვისი სიცოცხლე მხოლოდ სიკეთე უთესია?“

რა არის ეს სიცოცხლისადმი სიყვარული, რომელიც ასე საშიშრად ჰხდის სიკვდილს? ეს საკითხი ბევრს აინტერესებდა, და თვით **ტოლსტოიმ** დასტამბა წერილი „სიკვდილის წინაშე შიშისათვის“ [1]). ტოლსტოი სცდილობს დაგვიტკიცოს, რომ ეს გრძნობა არის სიცოცხლის შესახებ შემცდარ აზრის შედეგი. „სიკვდილისა იმიტომ ეშინიანთ, რომ წარმოდგენილი აქვთ, როგორც არარაობა და წყვდიადი, ხოლო არარაობასა და წყვდიადს იმიტომ ჰხედვენ, რომ ვერა ჰხედვენ სიცოცხლეს“.

ტოლსტოის აზრით ადამიანს სიკვდილისა მეტად არ უნდა ეშინოდეს, ვიდრე თვის ცხოვრების ამა თუ იმ ცვლილებისა, რომელსაც შუდამ განიცდის სიცოცხლეში. „ხომ არავის ეშინიან დაძინების,—ამბობს ტოლსტოი,—თუმცა დაძინების დროს სრულიად ისვე ჰხდება, რაც სიკვდილის დროს, ესე იგი ისპობა დრო-ჟამის შეგნება. ადამიანს არ ეშინია, რომ იძინებს, თუმცა გონება სწორედ ისევე ეკარგება, როგორც სიკვდილის დროს“...

ტოლსტოის აზრით, სიკვდილის წინაშე შიში არის ერთგვარი ცრუმორწმუნოება, რომელიც უნდა გაჰქრეს იმწამსვე, როგორც კი შევიგნებთ სიცოცხლის ნამდვილ მნიშვნელობას.

---

[1]) „Полное собрание сочинений Толстого“, т. XII, 1897, стр. 512.

მეორე რუსის მწერალმა **ტოკარსკიმ**[2]) რამდენისამე წლის წინ დასტამბა თვისი გამოკვლევა სიკვდილის წინაშე შიშისათვის, სადაც აგრედვე ჰლამობდა ამ შიშის უნიადაგობის დამტკიცებას. ტოკარსკი ფსიქიატრი იყო და იცოდა, რომ მომაკვდინებელ, უკურნებელ სენით იყო შეპყრობილი. ამიტომ მის გამოკვლევას სიკვდილის წინაშე შიშისათვის უნდა პირადი ხასიათი ჰქონოდა. მწერალს მოჰყავს მრავალ ისეთთა ნოწმობანი, რომელთაც მომაკვდინებელ ხიფათის დროს განუცდიათ ეს გრძნობა და გვიმტკიცებს, რომ საშიში აქ არა არის რაო.

უფრო გვიან იგივე აზრი გამოსთქვა **ფინომ**[3]): ისიც იმავე წყაროების მეოხებით ადასტურებს თვის აზრს, როგორც ტოკარსკი. იმას ჰგონია, რომ ადამიანს თვით შეუქმნია ეს შიში და რომ ამის უძთავრესი მიზეზია მომავლის უცნაურობა. „ხილულის იქით ჩვენთვის დაფარულია რაღაც უხილავი და სწორედ ეს გვაშინებს". ფინოს ფიქრით, შემცდარია ის აზრი, თითქო სიკვდილს თან ახლდეს მუდამ ტანჯვა; ის იმ დასკვნას ადგია, რომ „უმეცრებამა და ცრუმორწმუნოებამ წარმოშვა ასეთი წინასწარი აზრი, რომელიც გვაშინებს და რომელიც ეწინააღმდეგება სინამდვილეს"-ო. მართლაც, ზოგიერთ ადამიანთა მაგალითები, რომელნიც სიკვდილს პირისპირ უდგნენ და გადურჩნენ, ადასტურებენ ფინოს შეხედულობას, თითქოს სიკვდილი არა თუ ტანჯვით იყოს გარემოცული, არამედ სასიამოვნო გრძნობას უფრო—ჰბადავსო. მაგალითად, შვეიცარის მეცნიერის გეიმის სიტყვით, მოგზაურებს, რომელთაც განუცდიათ მთებში საშიშარი სიარული, გადაჩეხილან ხევ-ხუვში და სიკვდილს მიახლოვებიან, უმთავრესად სიამოვნება უგვრძვნიათ.

უეჭველია, ზოგჯერ სიკვდილს მიუძღვის წყნარი და სასიამოვნო განცდა, ხოლო ისიც უეჭველია, რომ მრავალს შემ-

[2]) „Вопросы философии и психологии" 1897, № 40, стр. 931.

[3]) „La philosophie de la longévité". Paris. 1900.

თხვევაში, რაცა უფრო ხშირია, სიკვდილის მოახლოვება პირიქით, ფრიად სამძიმოა. ხოლო ეს საკითხი სრულიადაც არ არის დამოკიდებული იმ შიშზე, რომელთაც ჯერ სიკვდილი არ მიახლოვებიათ და სწორედ ეს შიშია ყველაზე მეტად საყურადღებო ადამიანის ცხოვრებაში. შიმშილით მომაკვდავნი არ განიცდიან სამძიმო გრძნობას სიკვდილის დროს. შიმშილისაგან გამოწვეული ტანჯვა სულ ცოტა ხანს გასტანს ხოლმე. ადამიანი ამ ტანჯვას ჰგრძნობს მხოლოდ 20 საათის განმავლობაში და შემდეგ დაღლილობასა და სისუსტეს სრულიადაც არ ახლავს თან სიმშილის გრძნობა. მაშასადამე, აქ ვხედავთ სიკვდილის შიშთან ანალოგიას, იმ შიშთან, რომელიც არ მიჰყვება ადამიანს სიცოცხლის აღსრულებამდე.

ფინო ეკითხება თავის თავს: არის თუ არა ინსტინქტური შიში სიკვდილის წინაშე? „ეს საკითხი, — ამბობს იგი, — დიდის მნიშვნელობისაა, რადგან „ინსტინქტური“ უნდა ჰნიშნავდეს ჯერ ერთი ჩვენის ნებისაგან დამოუკიდებლობას, გრძნობას, რომელიც არ ექვემდებარება აღრზდას. მეორეს-ეს ალლო უნდა ცხადიყვეს ყველგან და ყოველთვის სიკვდილის მოახლოვების დროს. ნამდვილად-კი რაც მრავალ რიცხოვან შემთხვევათა შესწავლა სიკვდილის წინა მდგომარეობისა და იმ ადამიანთა მოთხრობანი, რომელთაც თავი დაუხწევიათ მომაკვდინებელ საფრთხისაგან, სრულიად წინააღმდეგ დასკვნას გვიდასტურებენ.“ შიმშილი უთუოდ ინსტინქტური განცდაა, მაგრამ მუდამ როდი ჰგრძნობენ, მაგალითებრ, როცა სხეული უძლურდება საჭმელ.—სასმლის მიუღებლობით, ანუ როცა შიმშილით სიკვდილი მოელის კაცს.

ფაქტების უფრო ღრმად შესწავლა უეჭველად ცხადჰყოფს იმ აზრს, რომ სიკვდილის წინაშე შიში არის ინსტიქტური გრძნობა. ეს ემჩნევა უმაღლეს სხვა და სხვა გვარ ცხოველს და გამოიხატვის სხვა ინსტინქტურ მოვლინებათა ერთსა და იმავე სახით.

ის ახლო მეგობარი, რომელიც ზევით მოვიხსენე, მთე-

ლის წლების განმავლობაში ელოდებოდა სიკვდილს და სრულის სიმშვიდით შეჰყურებდა. დარწმუნებული იყო, რომ შეძლებისა დაგვარად შეასრულა თვისი მოვალეობა და არა თუ ბუნებრივად სთვლიდა თავისის სიცოცხლის აღსრულებას. არამედ საზიზღრადაც კი მიაჩნდა მომავალი სიბერე, ალბად ტკივილ—ვაებით სავსე და ყოველს შემთხვევაში ფრიად სამძიმო, მაშასადამე, მსჯელობისა და ნებაყოფლობის თვალსაზრისით კრინტიც არ დაუძრავს სიკვდილის წინაშე შიშის შესახებ. ხოლო, როცა გრძნობდა თვის სხეულში ზოგ ტკივილების ნიშნებს, რომელიც შესაძლოა, მომაკვდინებელი გამხდარიყო, მაშინ განიცდიდა სრულიად განსაზღვრულ გრძნობას, ეს გრძნობა იყო თვით სიკვდილის წინაშე ინსტიქტური შიში.

ტოლსტოის მოთხრობა რომ გავარჩიოთ, „აღსარებაში“ მოთავსებული, დავინახავთ, რომ თვის არყოფნის ან მატლებისაგან შეხრულ თვის ნეშტის წინასწარ დანახვა არის იგივე სიკვდილის წინაშე შიში, რომლის გაქარწყლებაც მსჯელობას არ ძალუძს. ვისმე რომ რწმუნება დავუწყო, როგორაც ტოლსტოი იქცევა თვის ნაწერებში, სიკვდილის წინაშე შიში ცრუმორწმუნოებაა, რომელსაც უნდა მსჯელობით გაუმკლავდეო,—ეს დაახლოვებით იგივე იქნებოდა, რომ ვისმე დაკოდილ ქალის (რომელსაც კვერცხები ამოჭრილი აქვს) რწმუნება დაეწყო, რადგან საშვილოსნო მოშლილი გაქვს, ამიტომ არასგზით არ შეგიძლია განიცადო სქესობრივი გრძნობაო იმ დროს, როცა ნამდვილად განიცდის ამ გრძნობას, რადგანაც ეს არ არის დამოკიდებული რამელსამე მსჯელობაზედ, არამედ ინსტიქტურია.

უკვე დიდი ხანია, რაც სიკვდილის წინაშე შიშს მიკუთვნილი აქვს ინსტიქტური ხასიათი. შოპენჰაუერიც ამ აზრისა იყო. იგი ამბობს: „ცნობიერების თვალსაზრისით, სიკვდილის წინაშე შიში სრულიად უსაბუთოა. ცნობიერება, რომელიც შეიცავს ცოდნას, არასგზით არ უნდა სცნობდეს

სიკვდილს ბოროტებათ. ამიტომაც შეუგნებელ ნაწილს ჩვენის „მე“-ისა ეშინიან სიკვდილისა; ეს fuga mortis, რომლითაც სავსენი არიან ყველა არსებანი, გამომდინარეობს განსაკუთრებით ჩვენის ბრმა ნებაყოფლობისაგან“ [1]). ეს „ბრმა ნებაყოფლობა“ არის პირდაპირ ინსტიქტური გრძნობა, რომელსაც არა აქვს რა საერთო ცნობიერ ნებაყოფლობასთან.

ბაირონი დიდი ხანია მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სიკვდილის წინაშე შიში არის ინსტინქტური—სულიერი მოვლინება. თვის პოემა „კაინში“ [2]) იგი ამბობს:

„მე ვცხოვრობ მხოლოდ მისთვის, რომ მოვკვდე,
თუნდა არა მაიძულებს რა
სიკვდილი მეზიზღებოდეს, ხოლო სიცოცხლის ალ-
ღოთი,
აუცილებელის, საზიზღარის ალღოს მეოხებათ
მესმის ამ სიკვდილის საშიშროება
და ჩემი თავი, ჩემდა უნებურად,
მევე მძაგს. და ეს არის სიცოცხლე! ნეტა
არასოდეს მცოდნოდა ამგვარი სიცოცხლე!“

ამავე პოემის მეორე ადგილას ბაირონი კაენის პირით ამბობს:

ჯერ არ გაეგო მას (კაენის მამას)
სიკეთე და ბოროტება, სიკვდილისა არა გაეგებოდა რა.
მეც არ ვიცი, რა არის სიკვდილი, ხოლო მეშინიან
იმ სიკვდილისა მიზეზ შეუგნებელად“.

მაშასადამე, უეჭველია, ალღოთა შორის, რომელთაგანაც დაჯილდოებულია ადამიანის ბუნება, არის ერთი ალღო და ეს ალღო ფასსა სდებს სიცოცხლეს, ეკრძალება სიკვდილისა. ეს ალღო ნელა ვითარდება და იზრდება წლოვანებასთან ერთად. ამ მხრივ ეს ალღო საოცრად განსხვავდება დანარჩენ ალღოებრივ მოძრაობათაგან. როდესაც შიმშილი,

[1]) „Die Welt als Wille und Vorstellung“, t. II, p. 533.
[2]) Байрон: „Каин“. 1883 г., стр. 27, т. 2.

წყურვილი, სქესობრივი გრძნობა დაკმაყოფილებულია, ისეთი კმაყოფილება დაებადება ადამიანს, რომელსაც შეუძლია მიაღწიოს მოყირჭებამდე და თვით დაქანცვამდე. ასეთი მდგომარეობა გასტანს რამდენისამე ხნის განმავლობაში და შემდეგ კვლავ იღვიძებენ იგივე ალღოებრივი მოთხოვნილებანი,

სიცოცხლის ალღოს მიმდინარეობა სულ სხვაგვარია. ეს ალღო, რომელიც უმეტეს ნაწილად გვიან ვითარდება, მატულობს და მწვავდება ცხოვრების განმავლობაში. ბავშვებსა და ჭაბუკთ მუდამ ჰსურთ დამთავრება. ხოლო დამთავრდებიან თუ არა, არასოდეს არ უნდათ დაბერება. ადამიანი დიდის მწუხარებით ეგებება სახის დაჭკნობასა და ჭაღარას გაჩენას. მის მაგიერ, რომ კმაყოფილების გრძნობა განიცადოს სიცოცხლის გზის მეტის ნაწილის გავლის გამო, პირიქით, განიცდის დიდს წუხილს, თვისის სიკვდილის მოახლოვების შემხედვარე. სიბერეს მუდამ თან სდევს სილამაზის დაკარგვა და რაღაც საზიზღარი, საშიში გრძნობა. პატარა ბალღებს აშკარად ეშინიათ მოხუცებულებისა და ამიტომაც ხშირად აშინებენ მოხუცებით.

ყველამ იცის, როგორ გახშირებულია პირველყოფილ ერთა შორის მოხუცთა კვლა. ფიჯის მკვიდრნი ცოცხლად ჰმარხვენ თავიანთ მოხუცებს და თავს მით მართლულობენ, რომ უკვე სრულიად ურგებნი არიანო. ეს ჩვეულება გავრცელებულია მთელს მელანეზიაში; ასეთსავე ჩვეულებას შეხვდებით ახალს კალედონიაში და იმ კუნძულთა უმეტეს ნაწილში, რომელნიც პოლინეზიას მეზობლობენ. დედა მიწის ამ ნაწილში საზოგადოდ ზიზღით უყურებენ სიბერეს. ავსტრალიელები პატივსა სცემენ ხანშიშესულებს, ვიდრე მუშაობა შეუძლიანთ, ხოლო როგორც კი დაუძლურდებიან, სტოვებენ. ხშირად ჰკლავენ და სჭამენ, — ეს შეესაბამება ადგილობრივ სარწმუნოებრივ შემეცნებას [1]).

1) Waiz—Gerland: „Anthropologie der Naturvölker“, t. VI.

გრიმმის გამოკვლევით გერმანელები ძველად „ჰხოცავდენ მოხუცებსა და დავადებულებს და ხშირად ცოცხლადაც კი ჰმარხავდენ მიწაში“.

თანამედროვე განათლებული ტომნი, უეჭველია, ამ შემთხვევაში დაწინაურებულნი არიან, უკვე აღარ ჰხოცვენ მოხუცებს, მოთმინებით ეპყრობიან, ხოლო მართალია, რომ თავისმოკვლის უფლებას ფართოდ აძლევენ. მრავალს ქვეყანაში მოხუცებს არ იღებენ სამუშაოდ, უძლურნი ხართო, და იმ დროსვე არც თავშესაფარში იღებენ, ჯერ ისე არ დაბერებულხართო. პოლ ბერი [1]) არჩევს საშუალო და წესიერ ცხოვრების საკითხს და მოხუცთა შესახებ ასეთი დასკვნა გამოჰყავს: „მოხუცებს უნდა სიამით მოვეპყრათ, ყურადღებით, და თან მოუაროთ, ხოლო მათი ხანგრძლივი სიცოცხლე არ უნდა შეადგენდეს საზოგადოებრივ მზრუნველობის საგანს“.

თუმცა სიბერეს ისეთი თვისებანი აქვს, რომელთა მეოხებითაც იგი საზიზღარია, უსარგებლო და მხოლოდ ღა ძლივს მოსათმენი, მაგრამ მაინც სიცოცხლის ალღო მოხუცთაც მთელის თვისის ძალ-ღონით უღვივის. ამ საკითხის გასათვალისწინებლად ხშირად ვყოფილვარ ხოლმე მოხუცთა თავშესაფრებში და დავრწმუნდი, რომ ყოველ მოხუცს სწყურიან დიდის ხნის სიცოცხლე. უმაღლესის კულტურის მოხუცთა თავშესაფრებში დავრწმუნდი მათისავე სიტყვით, რომ მოხუცს მუდამ ისე აწუხებს სიკვდილის მოლოდინი, თითქო სიკვდილით დასჯა მოელის.

სალპეტრიერში ბევრი ღრმად მოხუცი დედაკაცია. 70 წლისას იქ ისე უყურებენ, როგორც ყმაწვილებს. 90 წლისა და მეტის ხნის მოხუც ქალების უმთავრესი სურვილია 100 წლამდე სიცოცხლე. ეს სურვილი საყოველთაოა.

ეს ფაქტი პირველის შეხედვით თითქო ეწინააღმდეგება იმ, სტატისტიკის შეხედვით, კარგად დადასტურებულს ფაქტს,

---

[1]) ებშტეინი: „Die Kunst das menschliche Leben zu verlängern“, 1891. p. 51.

რომ თავის მოკვლის სიხშირე მატულობს ხნიერობასთან ერთად. მართლაც, მოხუცნი უფრო ხშირად იკლავენ თავს, ვიდრე ახალგაზდანი. ეს უეჭველია. ხოლო დაახლოვებით შევისწავლით თუ არა ამ სტატისტიკურ ცნობებს, ვრწმუნდებით, რომ თავის მოკვლის უმთავრესი მიზეზი სიცოცხლის ალღოს გაქრობა როდია, არამედ უმთავრესად მოხუცთათვის საზრდოს მოპოვების შეუძლებლობა და ხშირი ავადმყოფობა. უსაზრდოო, უსახლკარო მოხუცს რაღა რჩება თავისმოკვლის მეტი. თავისმოკვლა გახშირებულია უმეტესად ღარიბ მოხუცთა შორის, ხოლო შეძლებულ მოხუცთა თავისმოკვლა უმთავრესად გამოწვეულია ხოლმე განუკურნელის სენის მეოხებით, თუმცა ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრია გამოსარკვევი; მაგალითად, ფრიად საინტერესოა ვიცოდეთ უფრო დაწვრილებით ამ მოვლენის შინაგანი მიზეზები. ამ ბოლოს დროს დიდი ყურადღება მიიქცია გერმანეთის სახელგანთქმულ ჰიგიენისტს **მაქს ფონ პეტტენქოფერის** თავისმოკვლამ. ბრწყინვალე მეცნიერულ მოღვაწეობის დასრულების შემდეგ 76 წლის მოხუცმა ხელი აიღო მიუნჰენის უნივერსიტეტის პროფესორობაზე, გადასახლდა თვის მამულში მიუნჰენის მახლობლად და მეგაღეობა და მეურნეობა დაიწყო. თუმცა ჭყურტით იყო შეპრყობილი, მაგრამ სრულ ჭკუაზედ იმყოფებოდა და მხოლოდ ახლობელთა სიკვდილმა დაალონა ფრიად. ამასთანავე სულ ბოლო ხანებში კისერზე მუწუკი გაუჩნდა. თუმცა ეს სენი მომაკვდინებელი არ იყო, მაგრამ საბაბად გაუხდა **პეტტენკოფერის** სიკვდილს და 83 მხცოვანმა რევოლვერით თავი მოიკლა. მისის ნეშტის გაჭრით [1]) აღმოაჩინეს, რომ სხეული ჯერ კიდევ საკმარისად მაგარი ჰქონდა, გარდა ტვინის გარსთა ხანგრძლივი ანთებისა და ტვინის სისხლის მილების ატეროსკლეროზისა. ამ თავისმოკვლის ვითარება ჩვენთვის ბევრად აშკარაა, ვიდრე მრავალ სხვისა, ზოლო აქაც ბევრი რამ ფრიად საყურადღებო გაუგებარი გვრჩება. ასეა,

[1]) „Münchener Medicinische Wochenschrift", 1891, p. 324.

თუ ისე, მოხუც მეცნიერის ხანგრძლივი ტვინის გარსთა ანთება საეჭვოდ ხდის იმ აზრს, ვითომ მისი თავისმოკვლა დამოკიდებული ყოფილიყოს მხოლოდ წესიერ ცხოვრების მიმდინარეობაზედ. მეორეს მხრივ ბევრია მაღალისა და ფაქიზის კულტურის მოხუცი, რომელიც პეტტენკოფერზე უხნიერესნი არიან და დიდად ებღაუქებიან სიცოცხლეს.

სიცოცხლის ალღოს შესახებ შემჩნეულია იგივე მოვლენა, რაიცა ხნიერ ქალთა უმეტესობას ემჩნევა სქესობრივ ალღოს შესახებ. როგორც სიცოცხლის სიყვარული მეტად მძლავრია მაშინ, როდესაც მისი საუკეთესო ნაწილი განვლილია, აგრეედვე ხშირად სქესობრივ განცხრომას ქალები ჰგრძნობენ მხოლოდ მაშინ, როცა მათი სილამაზე უკვე დამჭკნარია.

კიდევ საერთო მოვლენა სიცოცხლისა და სქესობრივ ალღოთა შორის ისაა, რომ ორივე ღრმა მოხუცებაშიაც ულვივის ადამიანს, ესე იგი მაშინ, როცა მათი დაკმაყოფილება უკვე შეუძლებელია.

ედმონდ გონკური თვის დღიურში მოგვითხრობს, რომ გამოჩენილ ლიტერატორთა (ზოლა, დოდე, ტურგენიევი) კრებაზედ მეგობრული ბაასი ყველაზე მეტად ეხებოდა სიცოცხლესა და ქალის სიყვარულსაო. „საკვირველია,—მოგვითხრობს გონკური,—სიკვდილი ან სიყვარულია საგანი ჩვენის ნასადილევს წარმოებულ საუბრისა.“ ზემოხსენებულნი მწერალნი იმ ხანაში იყვნენ, რომ ჰგრძნობდნენ სიბერის მოახლოვებას და სრულიად ბუნებრივია, თუ ყველაზე მეტად ეხალისებოდათ ეს ორი ალღო, რომელთა დაუცხრომლობა ესოდენ უცნაურად და პარადოქსალურად გვეჩვენება.

წინა თავიდან გავიგეთ, თუ რაოდენად დისჰარმონიულია სქესობრივი ალღო, რომელიც ხშირად ვითარდება და თითქმის მუდამ არსებობს სიცოცხლის ისეთ ხანაში, როდესაც მისი სწორი და წესიერი მოქმედება შეუძლებელია. დავინახეთ აგრეედვე ის უბედურება, რომელსაც იწვევს წარმომშობ აპა-

რატის ასეთი დისჰარმონია. ხოლო იქ ჩვენ შევეხეთ. თუმცა საყურადღებო, მაგრამ შესაწყნარებელ უხერხულობას.

უფრო საყურადღებოა სიცოცხლის ალღოს დისჰარმონია, რომელიც იჩენს ხოლმე თავს მაშინ, როცა ადამიანი სიკვდილს უახლოვდება. ამ გარემოებათა შორის ეს უთანხმოება უცნაურიცაა და საშიშარიც. ამიტომაც კაცობრიობა ეძებდა ამ ტრაღიულ გამოცანის გასაღებს იმ თავითვე და ყოველის ღონისძიებით ლამობდა მის ახსნას.

სარწმუნოება მუდამ ჰფიქრობდა ამ ამოცანის გამოცნობას. „სარწმუნოება,—გიუიო, [1]),—უფრო სიკვდილის შესახები ფიქრი და მსჯელობაა. ჩვენ რომ უკვდავნი ვყოფილიყავით, უეჭველად გვექნებოდა ცრუმორწმუნოებანი, ხოლო არა ისე სისტემით დალაგებულები, როგორც რელიგიაში და არც თვით სარწმუნოება იქნებოდა.“

ფილოსოფიაც აგრეთვე ლამობდა სიკვდილის დიდის საკითხის გადაჭრას. უკვე ძველად ზოგიერთმა ბრძენმა გამოსთქვა ის აზრი, რომ ფილოსოფია არის სიკვდილის შესახები მსჯელობაო. **სოკრატი** და **ციცერონი** ამბობენ: [2]) „....ფილოსოფოსის სიცოცხლე არის მუდმივი მსჯელობა სიკვდილის შესახებ“-ო. იმავე აზრს ავითარებდა ჩვენს დროში **შოპენჰაუერიც**. [3]) „სიკვდილი არის ფილოსოფიის სულის ჩამდგმელი და მუზა.... წარმოუდგენელია ფილოსოფიის არსებობა უსიკვდილოთ. ამიტომაც სრულიად ბუნებრივად მიმაჩნია, რომ სპეციალურად სიკვდილის შესწავლას ჩემს უკანასკნელს, ფრიად საყურადღებო და დიდ თხუზულებაში პირველი ადგილი აქვს დათმობილი.“

ყველა სამ უკანასკნელს თავში შეკრებილი ფაქტები ეჭვგარეშე ჰყოფს იმ აზრს, რომ მრავალ შემთხვევაში სრული და მაღალი ბუნება ადამიანისა საკსეა რიცხვმრავალ და

[1]) „L'irréligion de l'avenir“, 6-me édit. Paris, 1895, p. 449.

[2]) „Tusculan“.

[3]) „Die Welt als Wille“. II, стр. 527.

თვალსაჩინო დისჰარმონიებით, რომელიც მრავალს უბედურების წყაროდ გადაგქცევია. ადამიანი არ არის შეგუებული ცხოვრების ვითარებასთან ისე, მაგალითად, როგორც ორქიდეები მწერების შეწევნით განაყოფიერებას ანუ მთხრელი კრაზანები თვის შთამოების დაცვას. ადამიანის ბუნება უფრო მოგვაგონებს იმ მწერებს, რომლებიც ალლოთი ეტანებიან სინათლეს და ითუთქავენ თავიანთ ფრთებს.

იმ დროსაც კი, როცა ადამიანს არავითარი მტკიცე წარმოდგენა არა ჰქონდა თვისის ბუნებისა, მაინც ბუნდოვანად ჰგრძნობდა ამ დისჰარმონიას და სცდილობდა ამ დიდის უბედურების თავიდან აცდენას.

ქვემოდ ვეცდებით გავაცნოთ მკითხველი ამ საგულისხმიერო საგანს და აღვნიშნავთ იმ სხვა და სხვა ღონისძიებას, რომლის შემწეობითაც იბრძოდა თვის ბუნების დისჰარმონიის წინააღმდეგ.

ნაწილი II

როგორ სცდილობდა ადამიანი თვისის ბუნების დისჰარმონიისაგან წარმოშობილ ბოროტების შემცირებას.

(სარწმუნოება და ფილოსოფური სისტემები.)

თ ა ვ ი VII

სარწმუნოების ცდა ადამიანის ბუნების დისჰარმონიასთან ბრძოლისა.

ანიმიზმი, როგორც პირველყოფილ სარწმუნოებათა საფუძველი.—ებრაელთა სარწმუნოების შეხედულობა სულის უკვდავებაზე.—ჩინეთის სარწმუნოებანი.—წინაპართა თაყვანისცემა კონფუცის სარწმუნოებაში.—უკვდავების წარმოდგენა ლაო-ტზეს მიმდეკართა სარწმუნოებისა.—სულის უკვდავება ბუდდის სარწმუნოების წარმოდგენით.—ჩინელ ბუდდელების სამოთხე.—ღმერთებთან ერთად წინაპართა თაყვანისცემა.—სარწმუნოებრივ რწმენათა სიკვდილის წინაშე შიშზე გავლე-

ნა.—ბუდდას მოძღვრების პესიმიზმი.—ნირვანას მნიშვნელობა.—ბუდდას მიერ ქადაგება მორჩილებისა.—სულის უკვდავების შესახებ აზრთა შეცილება.—ჩვენის სხეულის უჯრედთა გრძნობიერობა.—სარწმუნოებრივი ჰიგიენა.—სარწმუნოების ლონისძიებანი წარმომშობ ფუნქციათა და ტანმრთელობის დაცვის მოწესრიგებისათვის.—სარწმუნოების ბრძოლის უნაყოფობა ადამიანის ბუნების დისჰარმონიასთან.

ადამიანი ბევრად ადრე შეებრძოლა თვის ბუნების დისჰარმონიას, ვიდრე მეცნიერულად გამოიკვლევდა ამ საგანს. სიცოცხლისა, ტანმრთელობის დაცვისა, ალღოთა დაკმაყოფილებისა და მათ შეთანხმების სურვილმა ადამიანი აიძულა თავის შეგუებულ ცხოვრების პირველ საფეხურიდამვე ეღონა ყოველგვარი ღონე თვისის ბუნების უბადრუკობის თავიდამ ასაცილებლად,

ჩვენ დავინახეთ, რომ საკვების არჩევის ალღოს ცხოველებშიაც კი არ ძალუძს გააფრთხილოს ისინი მავნე ნივთიერებათა ხმარებისაგან. იმ თჳვითვე ადამიანი უნდა დარწმუნებულიყო, რომ ამ შემთხვევაში ალღო არ იყო საკმარო ხელმძღვანელი და იძულებული შეიქნა ვამოეძებნა უფრო სანდო მაჩვენებელი სასარგებლო საჭმელის გარჩევისა ისეთისაგან, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს დაავადება და სიკვდილი. ჰიგიენის ცნობილ კანონთა შესამუშავებლად პირველყოფილ ადამიანის მთელი გამჭრიახობა უნდა მიმართულიყო საზრდოობის ნივთიერებათა ზედმოქმედების დაკვირვებად.

წარმომშობი მოქმედება თვისის რიცხვ-მრავალ ნაკლულევანებით აგრედვე იმ თავითვე იქცევდა ადამიანის ყურადღებას, როცა ადამიანი მრავალ შეცდომებში ვარდებოდა ალღოთა წინაშე ბრმა მორჩილების მეოხებით.

სიცოცხლის ალღო და სიკეთილის წინაშე შიში საფუძვლად დაედო პირველყოფილ ადამიანის მისწრაფებათა იმ ძნელ მდგომარეობიდან გამოსვლისათვის, რომელიც შეექმნა

მის ბუნების დისჰარმონიას. ტანჯრთელობისა და სიცოცხლის უზრუნველსაყოფად ადამიანი იძულებული იყო გამოეძებნა მარგებელი საჭმელი და მოეწესრიგებინა სქესობრივი მოთხოვნილება.

გონიერების პირველ გაღვიძების დროს ადამიანი უცნობს არკვევდა იმის ანალოგიით, რაც უფრო ნაცნობი იყო მისთვის, ესე იგი თავის თავს ადარებდა. ამიტომაც ყოველსავე მის გარეშემო მყოფ საგანს აკუთვნებდა ისეთ თვისებას, რომელიც თვით ჰქონდა მინიჭებული. მისი აზრით, არათუ მარტო ცოცხალნი არსებანი იყვნენ დაჯილდოებულნი ნებისყოფითა და ჭკუით, არამედ უსულო საგნებსაც კი შეეძლოთ მოძრაობა ადამიანის მსგავსად.

ამ პირველყოფილ შემეცნებიდან წარმოსდგა ის, რასაც ტეილორმა [1]) უწოდა ანიმიზმი, „ეს ველურ ტომების და განათლებულ ერების სარწმუნოებათა ფილოსოფიის საფუძველი". სიკვდილს შემდეგ ადამიანი არ ჰქრება, არამედ გადაიცვლება, გადადის ახალს მდგომარეობაში. მკვდარიც სცხოვრობს, თუმცა ისე არა, როგორც ჩვენ, არამედ თავისებურად, ჩვენსავით განაგრძობს სიცოცხლეს. ასეთი წარმოდგენა აკმაყოფილებდა სიცოცხლის დაცვისა და სიკვდილის წინაშე შიშის, ესე იგი სრულის გაქრობის უარყოფის მოთხოვნილებას, ეს იგივე უკვდავებისა ანუ საიქიო ცხოვრების რწმენაა.

ანიმიზმი ფრიად გავრცელებული ცნებაა მთელს დედამიწის ზურგზე. უეჭველია, როცა ადამიანი წარმოიდგენდა სიკვდილის აუცილებლობას სიცოცხლის უმაღლეს სურვილთან ერთად, ანიმიზმი ნამდვილ მანუგეშებლად ევლინებოდა. „ეს სიკვდილის უარყოფის ბალღური სურვილი და თვისის თავის დარწმუნება მით, რომ მკვდრებს შეუძლიათ კვლავინდებურად ცხოვრების განგრძობაო,—ამბობს ტეილორი,—ბუნებრივ საფუძვლად დაედვა ველურთა ჩვეულებას თვისის ნათესავების შეიარაღებისა, ტანსაცმელთა და იმ სამკაულე-

[1]) „Первобытная культура". 1878.

ბით დამარხვისა, რომელსაკ ისინი სიცოცხლეში ატარებ-
დნენ. ამ ჩვეულების მიხედვითვე დამარხვის წინ მკვდრებს
თან ატანდნენ საჭმელ-სასმელს, უდებდნენ პირში ციგარას
და ბავშვებს კუბოში ატანდნენ სათამაშოებს და სხვა.

განვითარების რამდენადმე უმაღლეს საფეხურზე პირ-
ველყოფილი ადამიანი იძულებული იყო ეს ბრმა ფანტაზია
შეეცვალა ლოგიკურ მსჯელობით. როცა ადამიანი ჰკვდება
და მისი სული ჰშორდება ხორცს, ამ სულისთვის საჭირო
სასმელ-საჭმელს, ტანსაცმელსა და იარაღს ჰმარხავენ მკვდარ-
თან ერთად ან და სწვავენ".

აქ ზედმეტია პირველყოფილ ველურთა ანიმიზმის მოვ-
ლინებათა აღწერა. მისი აშკარა კვალი ემჩნევა უმეტესად გა-
ნათლებულ ხალხთა უმეტესობას მაინც, თუ არ ყველას. ამ
საგნის შესახებ მრავალი ფაქტია შეკრებილი ტეილორის,
ლებბოკისა[1]) და ვაიც — გერლანდის ცნობილ ნაწერებში.
ჩვენ აქ მოვიტანთ ზოგს მეტად დამახასიათებელს მათ შო-
რის.

აღმოსავლეთ აზიის ტურანელი ტომნი მკვდრებთან ერ-
თად ჰმარხავენ სხვა და სხვა გვარ იარაღს: ნაჯახს, კაჟს, საჭ-
მელს, ხორცს, ერბოს. მათის რწმენით, ყველა ეს საგანი
ესაჭიროება მიცვალებულს საიქიოსაკენ ხანგრძლივ მოგზაუ-
რობის დროს.

ტასმანელს რომ შეეკითხნენ, რისთვისა ატანთ მიცვა-
ლებულს შუბს სამარეშიო, ასეთი პასუხი მისცა: „ცხადია
რისთვისაც: იმიტომ რომ მიცვალებულს შეეძლოს მოიხმა-
როს ომებში"-ო.

გრენლანდელები ატანენ სამარეში კაცებს მშვილდებსა
და სხვა იარაღებს და ქალებს კი დანებს, ნემსებსა და სხვა
საკერავ იარაღს იმ რწმენით, რომ ეს ნივთები ძალიან გა-
მოადგებათ საიქიოს.

კონგოს მხარეში ჩვეულებად აქვთ დაატანონ ჭუჭრუ-

[1]) „Происхождение цивилизации".

ტანა სამარეს მკვდრის თავის პირდაპირ და თვე და თვე მიაწოდონ აქედან სასმელ-საჭმელი.

მრავალი ტომი არ ჰკმარობს სამარეში მარტო უსულო საგნების ჩატანებას. ყარაიბები ჰფიქრობენ, რომ მკვდრის სული გადადის მიცვალებულთა სამეფოში და წინამძღოლთა სამარეზე ჰხოცვენ მონებს მათდა სამსახურისათვის საიქიოს. ამავე აზრით მარხავენ ძაღლებსა და იარაღს. გვინეის ზღვის პირის ზანგები გამოჩენილ ადამიანთა დასაფლავების დროს ჰხოცავდნენ რამდენსამე ქალსა და ყმას მათდა სამსახურისათვის საიქიოს. ამასთანავე ჰმარხავდენ მათს საუკეთესო ტანსაცმელსა, მოოქროვილ ფეტიშებსა, მარჯანსა და მარგალიტს, რათა მკვდარს შეესძლებოდა თვისი დაშვენება.

ტეილორი ირწმუნება, რომ ანიმისტური შემეცნება გავრცელებულია საყოველთაოდ „ყველა ველურთა შორის გამოუკლებლადაო“.

ჰერბერტ სპენსერის [1]) აზრით, თითქოს ყოველს ერში, თემსაკ და საზოგადოებაში ვხედავთ მრავალს საბუთს გაურკვეველის ან გარკვეულის რწმენისას მკვდრეთით აღდგომის შესახებ. ის აზრი, რომ ასეთ გავრცელებულ რწმენის წყაროა მკვდართა სიზმარში ნახვა, სრულიად საფუძვლიანია. ეს სიზმრები მიცვალებულთა სულებათ მიაჩნიათ, რომელნიც უკვდავად რჩებიან და მოდიან ხოლმე მათ სანახავად.

ყველა განათლებულ ხალხს მოეპოვება ისეთი ჩვეულებანი, რომელთა დასაწყისი შორეულ წარსულს უნდა ეკუთვნოდეს.

ესპანელები, წლის თავი რომ დადგება, თავიანთ მიცვალებულთა საფლავებზე სდებენ პურსა და ღვინოს.

ბოლგარელები იხსენიებენ თავიანთ მიცვალებულთ ბზობასა. უხვად სჭამენ, ჰსმენ და სტოვებენ საფლავებზე ალაპის ნარჩენებს, რომელსაც მკვდრები უნდა შეექცნენ ღამით.

---

[1]) Говардъ Коллинсъ: „Сводъ философіи Герберта Спенсера“ (франц. пер. 1891. р. 370).

სენ-ფუა [2]) მოგვითხრობს, რომ ბერტრან დიუგეკლენის დასაფლავების დროს სენ-დენიში მსხვერპლათ შესწირეს რამდენიმე ცხენიო. ოქსერის ეპისკოპოსმა აკურთხა ცხენები მათ თავებზე ხელის დადებით და შემდეგ ცხენები დაჰხოცეს.

1871 წ. გენერალ ფრედერიკ კაზიმირის დასაფლავების დროს ტრირში მისი ცხენი მიჰყავდათ კუბოს უკან ტევტონთა ორდენის ჩვეულებისამებრ. როცა გენერლის კუბო ჩაუშვეს სამარეში, ცხენიც დაჰკლეს და იმავე სამარეში დამარხეს.

ამხანად განათლებულნი ერნი აღარ სწირავენ არც ადამიანსა და არც პირუტყვს. ხოლო მრავალი სხვა ჩვეულება, რომელიც თავს იჩენს ხოლმე დასაფლავების დროს, გარკვევით გვიდასტურებს მათს ანიმისტურ წარმოშობას, მაგალითად: კოლიო, რომელსაც უხარშვენ ხოლმე მკვდრებს რუსეთში, მცენარეთა შტოები, რომელებითაც ჰფენენ სამგლოვიარო გზას, ყვავილთაგან შეკონილი გვირგვინები, რომელიც ასე გავრცელებულია ჩვენს დროში და რომელიცაა ძველთა-ძველი ჩვეულებათაგანი. ეს ჩვეულება ჰქონდათ რომაელებს და ალბათ სიმბოლიურად წარმოადგენდა საიქიოს, ყვავილებითა და საუცხოო მცენარეებით შემკულს ქვეყანას.

მთელს დედამიწაზე ესოდენ გავრცელებული საიმქვეყნო რწმენა, როგორცა სჩანს, ყველა სარწმუნოებას დაედო საფუძვლად. ჩვენ არ შეგვიძლია აქ შეჩერება ამ საგნის დაწვრილებით გასახილველად. მისი შესწავლა ბევრად აღემატება ჩვენს გეგმას და დიდად მეტს ცნობებს მოითხოვს, ვიდრე ჩვენ ხელთაა. საკმაოა ფრიად საგულისხმიერო ფაქტის აღნიშვნა, რომ ჩვენის დედამიწის სხვა და სხვა კუთხეში მცხოვრებ ტომებს, ფრიად განსხვავებულს გარეშე გავლენისა და კულტურის ვითარებაში მყოფთ, აქვთ რწმენა, ვითომ სიკვდილი არაა ნამდვილი დასასრული არსებობისა, არამედ გადასვლაა სააქაოდან საიქიო ცხოვრებაში. ხოლო საგნის სიდიდე მოითხოვს არ ვიკმაროთ ამ ფაქტის მარტოოდენ

[2]) Тэйлоръ: „Первобытная культура", гл. XI.

აღნიშვნა, არამედ საჭიროა განვიხილოთ იმათი აზრიც, ვინც ამტკიცებს, ეგ საყოველთაო რწმენა საიქიოს, არც საყოველთაოა და შემცდარი რწმენაცაო.

ბევრნი ამბობენ, ებრაელთა სარწმუნოების ბიბლიურ გადმოცემაში არ არის საიქიო ცხოვრების წარმოდგენაო. დიდი ხანი არაა მას აქეთ, რაც ჰეკკელმა [1]) გაიმეორა ესოდენ გავრცელებული აზრი, თითქო ებრაელთა ძველსა და მეტად სუფთა სარწმუნოებას არა ჰქონდეს „რწმენა სულის უკვდავებისა; არც მოსეს ხუთ წიგნში, არც ბაბილონის დატყვევებამდე დაწერილ ძველის აღთქმის წიგნებში, არსად ვხედავთ ინდივიდუალურ ცხოვრების სიკვდილს შემდეგ განგრძობის წარმოდგენას“-ო.

ამ ცნობებში როდია სრული სიმართლე. მართლაც მოსეს წიგნებში არაა ნახსენები არც მომავალი ცხოვრება და არც სამოთხე და ჯოჯოხეთი ჩვეულებრივის აზრით; ხოლო მრავალ სხვა ტომებთან ერთად ებრაელებიც იზიარებდნენ ცნობილ წარმოდგენას სიკვდილის შემდეგ განცდის შესახებ. „როგორც თითქმის ყველა პირველყოფილ ტომს გამოუკლებლივ,—ამბობს **რენანი**, [2])—აგრეედვე ებრაელებსაც სწამდათ პიროვნების ერთგვარი ორბუნებოვანება, აჩრდილის არსებობა, რომელიც წარმოდგენილი ჰქონდათ ფერმკრთალ და უსხეულო სახედ, რომელიც სიკვდილს შემდეგ ჩადის ქვესკნელს და იქ ატარებს ბნელს სამყოფელოში დაღვრემილსა და მოწყენილს სიცოცხლეს“. „მკვდრები სცხოვრობდენ იქ გონებისა, წარმოდგენათა და მეხსიერების გარეშე, უსინათლოდ ღვთის ანაბარად მივიწყებულნი“. „უმრავლესობა... ჰლამობდა შეეძინა კარგი თავშესაფარი, სახეირო საწოლი რეფაიმებთან ყოფნის დროს. აჩრილთა სიცოცხლე წარმოდგენილი ჰქონდათ წინაპრებთან ერთობასა, მუსაიფსა და მოსვენებაში“.

---

[1]) „Die Welträtsel“ Bonn, 1901. p. 226.

[2]) „Histoire du peuple d'Israël“, t. I, p. 128—129.

მოსეს ხუთის წიგნის ზოგი ადგილი ადასტურებს წინაპართ თაყვანისცემას, რომელიც მჭიდროდაა შეკავშირებული საიქიო ცხოვრების წარმოდგენასთან. მაგალითად, სიკვდილის მოახლოვებისას იაკობმა მოიხმო თვისი ვაჟები და უბრძანა დაემარხათ იგი არა ეგვიპტეში, არამედ მამათა თვისთა თანა ეფრონ ხეტტელის აკლდამაში. **შანტეპი დე ლა სოსეს** [1]) ფიქრით: „ანიმიზმი და სახელდობრ წინაპართ თაყვანისცემა, როგორც სხვა ხალხთა უმრავლესობაში, ებრაელთა შორისაც მეტად დიდ პატივში იყო, ვიდრე წინად ჰფიქრობდენ“-ო.

ფრიად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ძველ-ებრაულ სარწმუნოების პუნდოვანი წარმოდგენა მომავალ ცხოვრებისა დროთა მსვლელობაში თანდათან ირკვეოდა. მაგალითად იეზეკიილი (ქრ. წ. VI საუკ.) მომავალ მოვლენათა ასეთს სურათს გვიხატავს: „მიცვალებულთა გაბნეულ ძვლებს იეგოვა შთაბერავს სიცოცხლეს“-ო. (**შანტეპი** დელა სოსე, I, 300.)

ეს აზრი უფრო გამორკვეულია დანიელის (ქრ. წ. II ს.) წიგნის იმ სტრიქონებში, საცა იგი მოგვითხრობს: „ზოგნი მიწაში მყოფი მიძინებულთაგანი გაიღვიძებენ საუკუნო ცხოვრებისათვის და ზოგნიც სირცხვილისა და საუკუნო უპატიურობისთვის“-ო ამ ბოლო სიტყვების შესახებ **რენანი** [2]) ამბობს: აშკარაა, ისრაელმა მიაღწია უკიდურეს საზღვარს თვისის მისწრაფებისას—სამოთხეს, რაიცა სინონიმია მომავლისა და აღდგომისა. თავის თავად სულისა, რომელიც სტოვებს ხორცს, ისრაელს არა გაეგებოდა რა და არც შეეძლო წარმოედგინა მომავალი ცხოვრება უმისოდ, თუ მთლად არ აღედგინა ადამიანი.“ შემდეგ თალმუდში მომავალ ცხოვრების აზრი უფრო დაწვრილებითაა განვითარებული. სამოთხე წარმოდგენილია ვითა საუცხოვო სურნელოვანებით სავსე ადგილი, ხოლო ჯოჯოხეთი ვით ბინძური, ტალახითა და ნაგვით

---

1) „Lehrbuch der Religionsgeschichte“. 1897, t. I, p. 253.

2) „Histoire du peuple d'Jsraël“, t. IV, p. 327.

აღვსილი სადგური. თალმუდის წარმოდგენის თანახმად „საიქიო ცხოვრებაში არაა არც საჭმელი და არც სასმელი. მართალნი განისვენებენ გვირგვინებით თავშემკობილნი და აღტაცებით შესცქერიან ღმერთს“.

კაბბალისტურ ფილოსოფიიდან ებრაელებმა შეითვისეს სწავლა სულთა გადასახლებისა „გილგულ“ და ფიქრობდენ, რომ ადამის სული გადავიდა დავითასაშიო და შემდეგ მესსიისაში გიდავაო. ზოგ ადამიანთა სული გადადის ცხოველთა, ხეთა, ფოთოლთა და თვით ქვების სულშიო [1]).

მაშ:სადმე, დიდის შეზღუდვით შეგვიძლია აღვიაროთ, რომ ვითომ ებრაელთა სარწმუნოებას არა აქვს საიმქვეყნო ცხოვრების წარმოდგენაო.

ჩინელების მიერ აღსარებული სარწმუნოებაც მოჰყავდათ იმის მაგალითად, რომ უკვდავების წარმოდგენა არც იმათ აქვთო.

მაგალითად **ბიუხნერი**, [2]) თვის თხზულებაში „ძალა და მატერია,“ რომელიც ითვლებოდა 19 საუკ. მეორე ნახევრის მატერიალისტურ კოდექსად, ამტკიცებს, რომ „ბუდდიზმი, ეს თვალსაჩინო, მეტად გავრცელებული და ერთი უძველესთაგანი სარწმუნოება, რომელსაც აღიარებს მთელი დედამიწის მცხოვრებთა $1/_3$ ნაწილი, სრულიად გვერდს უვლის სულის უკვდავების საკითხსა“-ო.

ესევე აზრია **ჰეკკელის** წიგნში „მსოფლიოს გამოცანები,“ რომელიც შეადგენს 19 საუკუნის მიწურულში მატერიალისტურ თეორიათა კრებულს. „სულის უკვდავების რწმენაო,—ამბობს **ჰეკკელი** [3]),—სრულიადაც არ მოიპოვება აღმოსმვლეთის მეტად განვითარებულ სარწმუნოებანში. არ მოიპოება იგი ბუდდიზმში, რომელსაც დღემდე აღიარებს მთელ ქვეყნის მკვიდრთა 30% და აგრეთვე ძველ ხალხურ

1) Тхйлоръ: „Первобытная культура“ II, p. 92.

2) „Силя и Матерія“ фр. изд. 1884. p. 439.

3) „Die Weltrahsel“, p. 226.

ჩინელთა სერწმუნოებაში და კონფუცის სარწმუნოებაშიც, რომელმაც დაიჭირა უკანასკნელის ადგილი.“

ეს საგანი უფრო საფუძვლიანადაა გასარჩევი. სრულიად დადასტურებულია, რომ ჩინელთა ძველ სარწმუნოების საფუძველია ფრიად განვითარებული წინაპირთა თაყვანისცემა. ოჯახის ყოველი საყურადღებო საქმე კეთდება „წინაპირთა თანადასწრებით.“ წინაპარი კავშირია ცოცხალ ნათესავთა შორის. როგორც სხვა მოყვანილ მაგალითებში ანიმიზმისა და წინაპირთა თაყვანისცემისა, მკვდრებს უმზადებენ სიჭმელებს და არ აშორებენ მათთვის სასარგებლო ავეჯს.

რევილლის [3]) აზრით, „ჩინელები აღიარებენ პირად უკვდავების პრინციპს. სრულიად გაუგებარი იქნებოდა ვისმე მოსვლოდა ფიქრად საჭმლის მიწოდება ისეთს არსებისათვის, რომელიც უკვე გაჰქრა.

ჩინელები აწვდენენ მიცვალებულებს საჭმელს, ტანსაცმელს, სამკაულს იმ მოსაზრებით, რომ საიქიოს ცხოვრება მცირედ განსხვავდება იმ ცხოვრებისაგან, რომელსაც ისინი ამქვეყნად ატარებენ. მიცვალებულებს ესიამოვნებათ იგივე ავეჯი და ადამიანები, მოსწონთ იგივე საჭმელი.“

საიქიო ცხოვრების იდეის განვითარებასთან ერთად ფერი იცვალა აგრეთვე სხვა და სხვა ჩვეულებამ იმის მაგიერ, რომ მკვდრებს არ მოაკლონ ნივთიერი საგნები, რასაც ესოდენ მრავალი ხალხი კვლავ მისდევს, ჩინელები აწვდიან მხოლოდ გამოსახულებას: „ქაღალდის სახლებს, ქსოვილებს, სანოვაგეს, დედოფალებს, რომელნიც ჰნიშნავენ მონებს; ხოლო ყოველსავე ამას ქაღალდისა ანუ ჩალისას უკიდებენ ცეცხლს, რათა უსხეულო სახით მიუვიდეს პატივსაცემ სულს.“ (რევილლი, l. c.)

წინაპართ თაყვანისცემის უმთავრესი მიზეზია შიში, რომ „დავიწყების გამო უკმაყოფილო მკვდრებმა არ გამოუცხა-

[3]) ,,Histore des religions'', III. La réligion chinoise. და Chantepie dela Saussaye, l. c.

დონ ცოცხლებს თავიანთი გულისწყროვა ავადმყოფობისა და აკლება-აოხრების მიყენებით“ (რევილლი).

შიცვალებულთ თაყვანისცემა ისე ღრმად ფესვებ-გამჯდარი ჩვეულებაა ჩინელთა შორის, რომ თვით კონფუცი, თვინიერ თვისის განვითარებისა და სკეპტიციზმისა, იძულებული იყო უხვი შესაწირი ეძღვნა ამ ჩვეულებისათვის. „ბრძენით კონფუციო,—ამბობს რევილლი,—თვის მოვალეობათ რაცხდა წინაპართათვის მსხვერპლად შეეწირა ის ხორცი, რომელსაც უგზავნიდნენ მისნი პატივისმცემელნი მთავარნი“ (l. c.).

კონფუცი და მისნი მიმდევარნი დიდის თავდაჭერითა და ორჭოფობით ლაპარაკობდნენ საიქიოს შესახებ, რაიცა არ უშლიდა ხელს, „მტკიცედ შეესრულებინათ ის რიგი და ჩვეულებანი, რომელიც ჰგულისხმობდა ადამიანისათვის საიქიო ცხოვრების არსებობას“.

თუმცა ლაო-ტზეს არა სწამდა არც სამოთხე და არც ჯოჯოხეთი და აღიარებდა ფრიად რაციონალისტურ იდეებს, მაგრამ მის მიმდევართ სწამდათ სულის უკვდავება და დაბოლოს დარწმუნდნენ, რომ სიკვდილს შემდეგ არის ჯილდო და დასჯა დამსახურებისდა მიხედვითო.

ლაო-ტზეს მიმდევართ, ტაოისტებს, სრულიად განსაკუთრებულის წესით ეინტერესებოდათ უკვდავების წყარო, რომლის მეოხებითაც უნდა დაუსრულებლივ განგრძობილიყო საადამო ცხოვრება. „ტაოისტების უმთავრესი პრეტენზია ის იყოვო,—ამბობს რევილლი,—რომ ვითომ უკვდავების საიდუმლო ეპყრათ ხელთ. მართალია, ძნელია მისი მიღება, მეტად უფრო ძნელია მისი გამოყენება. ეს მაინც შესაძლო იყო, რომ ვინც კი გულმოდგინედ შეასრულებდა საჭირო დარიგებას, მიიღებდა ხანგრძლივ სიცოცხლის პატენტს. ხოლო სრული ტაოსისტები აღწევენ იმ ზნეობრივ სიმაღლეს, რომელიც უხსნის იმ ქვეყნად გადასვლის კარებს უავადმყოფოდ და უსიკვდილოდ“-ო (l. c.).

ამგვარად ტაოიზმის ზოგნი მოძღვარნი ცოცხლად

ამაღლდნენ ზეცად: შანგ-ტაოლინგი „ავიდა მთის მაღალ მწვერვალზე და გაჰქრა“ (ibidem).

ახლანდელმა ტაოისტებმა სავსებით შეიწყნარეს სულის უკვდავების იდეა. „მათ სწამთ, რომ არსებობს ყოვლად მოწყობილი სულთა განსაწმენდელი, რომლის სახესაც ლაოტზემ მიაღწია მით, რომ გააფართოვა და განავითარა საყოველთაოდ თვის მიერ შევსებული იდეა ერთისა და იმავე სულის თანდათანობით გადასახლებისა გვამთა მთელს რიგში. ეს განსაწმენდელი გადასვლა ჰბადავს უკვდავებას, რომელიც მინიჭებული აქვთ გენიოსებსა და ნეტარებს, თუ ადრევე არ დაუმსახურებიათ იგი სააქაო ცხოვრების სიწმინდით“ (ibid.).

დიდხანს ჰფიქრობდნენ, რომ ტაოისტებს, თვისის მოძღვრის მაგალითისამებრ, არა სწამთ ჯოჯოხეთიო, ხოლო იძულებული შეიქმნენ გამოეცვალათ ეს აზრი მით უმეტეს, რომ „ტაოისტების სამღვდელოებამ თავიანთ სამლოცველოებში, რომელნიც იყვნენ სხვა და სხვა ქალაქების დამცველ ღვთაებათა სახელობაზე აშენებული, ცოდვილთათვის განწესებული ტანჯვანი გამოხატეს ათის სამსჯავროს სახით; დაფარულნი იყვნენ ეს სამსჯავრონი ოკეანეთა ძირში, შიგ ქვესკნელში (ibid).

მაშასადამე, მრავალნი ჩინელნი—კონფუციისა და ლაოძეს მიმდევარნი—აღიარებენ საიქიოს. ბუდდას მიმდევართათვის კი ჰფიქრობენ, რომ არა სწამთ სულის უკვდავებაო.

ბუდდა აღიარებდა ბრამინების რწმენას სულთა გადასახლების შესახებ. ამას ადასტურებს მრავალი კრიტიკის ჭარცეცხლში გატარებული საბუთი. მართლმადიდებელი ბუდდიზმი სულის უკვდავებას ცხადად და აშკარად აღიარებს. თვით ბუდდა გვერდს უვლის ამ საგნის საბოლოოდ გადაწყვეტას. ამ გარემოებათა შორის „ისინი, ვინც კრძალვით უყურებდა არყოფნას და ვისაც არ შეეძლო უარყოფა საუკუნო ნეტარების მოლოდინისა, უნდა ცდილიყვნენ თავისებურად აეხსნათ

ბუდდას დუმილი და უნდა დაესკვნათ, რომ მათთვის არ იყო აღკრძალული სასოება“ [1]).

აი, რაგვარად ლამობდნენ ბუდდიზმის მოძღვარნი ამ ძნელ საგნის პირდაპირ და აშკარად გამომზეურებას. ერთხელ მეფე პოსენადი შეჰხვდა თვისის სიბრძნით ცნობილს ბუდდის მიმდევარ მონაზონს კემის. მეფე შეეკითხა:

— არსებობს თუ არა სიკვდილს შემდეგ უსრულესი (ვითომ ბუდდა)?

— ღვთაებრივს არა უთქვამს რა, დიდებულო მეფევ, არსებობს თუ არა სიკვდილს შემდეგ უსრულესი.

— მაშასადამე, ღირსეულო დედავ, უსრულესნი არ არსებობენ სიკვდილს შემდეგ?

— არც ეს აგვიხსნა ღვთაებრივმა, დიდებულო მეფევ!

— მაშასადამე, ღირსეულო დედავ, უსრულესი სიკვდილს შემდეგ არსებობს და თან არ არსებობს განა? მაშასადამე, ღირსეულო დედავ, უსრულესი სიკვდილს შემდეგ არც არსებობს და არც არ არსებობს განა“? (Oldenburg. l. c., p. 281).

აი, რა რიგად სუმერმიტი, „ძე ღვთისა, გარემოცული და წინგაძღოლილი ღმერთებით“, ქებას ასხამდა ბუდდას (ტატაგატას): „შენ ხარ დახელოვნებული მკურნალი, უკვდავების ბედნიერების მომნიჭებელი“ [1]).

ადვილი გასაგებია, რომ მკვეთრად ჩამოსხმულ წარმოდგენათა უქონლობის გამო ბუდდას სჯულის მიმდევრებმა თვის მისწრაფების თანახმად პრინციპიალურად აღიარეს საიქიო ცხოვრება.

მაშასადამე, როგორც დღესდღეობით ზოგიერთნი დაუფიქრებლად ამტკიცებენ, „ბუდდას მოძღვრება სრულიადაც არ გვიქადაგებს სიკვდილის შემდეგ სულის გაჭრობას, პირიქით, მას ისე სწამს სულის ბუნებრივი სიცოცხლის გაგრძო-

---

[1]) Oldenberg: „Le Bouddha“ Trad. par Foucher. 1894, p. 281.

[1]) „Lalita Vistara“, K. c., p. 303.

ბა, რომ მხოლოდ ზოგიერთ რჩეულთათვის მიაჩნია შესაძლებლად სიცოცხლის განუწყვეტლის ძაფის გაწყვეტა". (ა. რევილლი, l. c., p. 575).

თვისის ძველი რჯულის ძირითად დებულებათა მიმდევარნი, ჩინელი ბუდდელები თაყვანსა სცემდნენ თავიანთ წინაპრებს და ეძიებდნენ საუკეთესო გზას სულის უკვდავების მისაღწევად. ამიტომაც ნირვანა აღიარეს სამოთხეთ და ჩინელ ხალხში გაავრცელეს აზრი ცხონება-წაწყმედის შესახებ. „ჩინეთის ბუდდელთა მონასტრებში მრავალი პატარ-პატარა სენაკებია, რომელთა კედლებზედ ნათლად გამოხატულია ფერადებით 18 ჯოჯოხეთის კვნესა-ვაებანი. რადგან ქვესკნელში 8 ჯოჯოხეთია აუტანელის სიცხით გარემოცული და ათიც აუტანელის სიცივით". (ა. რევილლი, l. c., p. 556).

ჩინეთის ბუდდელთა სამოთხე ნი-პანი (სიწმინდის ქვეყანა) არის სალარო ოქრო-ვერცხლისა და ძვირფასი თვალმარგალიტის. ოქროს სილაზე მიმდინარე წყლები გარსევლებიან სასეირნო საუკეთო ადგილებს, რომელთაც აშვენებენ ლოტოსის საკვირველი ყვავილები. აქ მუდამ საუკეთო მუსიკის ხმა გაისმის. დღეში სამჯერ ყვავილების წვიმა მოდის. ყოველს ოთხს საათში საუკეთო ფრინველები, ხოხბები და სხვები, ერთხმად უგალობენ სარწმუნოების სიმშვენიერეს და მსმენელთ მოაგონებენ ბუდდას, დარმუსა და სანგუს... ასეთი საკვირველება მოელის სიკვდილის შემდეგ განიხლებულთ. იქ არაა შეცოდება ან სხვა რამ სიბილწე" (ibid., p. 525).

არაა დიდად თავსატეხი იმის უარისყოფა, თითქოს კაცობრიობის მესამედი აღიარებდეს მატერიალისტურ სოფლმხედველობას, რომელშიაც ადგილი არააქვს საიქიო ცხოვრების იდეას. პირიქით, სრულიად ცხადია, რომ უმეტესობას სწამს, რომ სიკვდილით არ ისპობა სრული არსებობა, არამედ ნამდვილი სიცოცხლე არის მხოლოდ საფეხური მომავალის ცხოვრებისა. ხოლო მაშინ, როცა მრავალი პირველყო-

ფილი ტომნი საიქიო ცხოვრებას სთვლიან საქაო სიცოცხლის უბრალო გაგრძელებად, მეტად გაწვრთნილის იდეებით აღ-ჭურვილი კი საიქიოს წარმოიდგენენ სანეტაროდ უცოდველთათვის და სავაგლახოდ ცოდვილთათვის.

მთელს დედამიწაზე ესოდენ გავრცელებული იდეა საიქიო ცხოვრებისა ალბად დაედვა დედაბოძად სარწმუნოებებს. მასვე უნდა მიეცა დასაწყისი მაღალ არსებათა, ღვთაებათა წარმოდგენას. მართლაც, მრავალი მოსაზრება ცხადჰყოფს, რომ პირველად ღმერთებათ მიაჩნდათ ხოლმე მიცვალებულნი ნათესავნი და წინაპარნი, საიქიოს მცხოვრებნი და იქიდან ქვეყნის გამგენი. ავი წინაპრები ხდებიან ავსულებათ და კეთილნი კი კეთილისმსურველ და კეთილმყოფელ ღმერთებათ.

ფრიად მრავალი ერი ეთაყვანება წინაპრებს და ცოტად თუ ბევრად ღმერთებათ მიიჩნევს. კაფრები ეთაყვანებიან თავიანთ მიცვალებულ ნათესავებს და საკურთხს უკეთებენ. იმათის აზრით, მკვდრები დადიან თვის ოჯახებში და მათის ხასიათის მიხედვით ან ეწევიან, ან არა და ავნებენ ხოლმე ცოცხლებს. სიკვდილის შემდეგ კეთილისა და ბოროტის ჩამდენი მიცვალებული ნათესავები არ შეიძლება ჩავრიცხოთ ღვთაებათა შორის, ხოლო, როგორც მოგვითხრობს **ლებბოკი**, [1]), არ უნდა ვივიწყებდეთ, რომ ველურის ღმერთი თვისის ბუნებით ცოტათი განსხვავდება თვით ველური ადამიანისაგან, რამდენადმე მაზედ მეტად ძლიერია"-ო: ჩვენ დავინახავთ, რომ მიცვალებულ ნათესავთა შორის, რომელთა მავნებლობის ეშინიათ ანუ რომელთა მოწყალებას გამოითხოვენ, და სხვა და სხვა ღვთაებათა შორის არსებობს მთელი საშუალო ხარისხთა გამმა.

ჩრდილო ამერიკის ინდოელები ავედრებენ თავიანთ მიცვალებულთა სულებს კარგ ამინდს, ანუ ნაყოფიერ ნადირობას. თუ ვინმე ინდოელი ცეცხლში დაიწვის, მათის ფიქრით,

---

[1]) „Origine de la civilisation" გ. 261.

ეს იმიტომ ხდება, რომ წინაპართა სულები სჯიან მას ჩვეულებისა და საკუთრების შეუსრულებლობის გამო.

ლუიზიანის ნაჩესები უფრო შორს მიდიან: თავიანთ მიცვალებულებს ტაძრებს უგებენ (ტეილორი, l. c., II. გ. 182). ტანნაში (პოლინეზიაშია) „მიცვალებულთა სულებს აღმერთებენ; ხალხის ხნიერი წინამძღოლნი სიკვდილის შემდეგ ღმერთებად ხდებიან და ხელს უწყობენ მკასა და ხილის მოსავალს. აქაური მკვიდრნი თაყვანს სცემენ მათ და ახლად შემოსულ ხილს საკურთხად უძღვნიან". (ibid., გვ. 182.)

მალაის არქიპელაგის კუნძულების მკვიდრნი ევედრებიან თავიანთ მიცვალებულთა სულებს ბედნიერებისა და გაჭირვებაში შემწეობის მინიჭებაზედ.

აფრიკაში ფრიად გავრცელებულია მიცვალებულთა თაყვანისცემის ჩვეულება. ზულუსები „ამატონგების," ანუ წინაპართა სულების მეოხებით იმარჯვებენ ხოლმე ომებში. „თვით მცირეწლოვანნი და მოხუცი დედაკაცები, რომელთაც სიცოცხლეში არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ, სიკვდილის შემდეგ მძლავრ სულებათ ხდებიან. ბავშვები ხდებიან კეთილ სულებათ; დედაბრები კი მხოლოდ ავად. ოჯახი განსაკუთრებულს თაყვანსა სცემს მიცვალებულის მამას. „(ibid., გ. 185). ზულუსი აღმერთებს თვის მამას და ლოცვის დაწყებისას და დასრულებისას მას შეევედრება ხოლმე. მის ალერსისა და სიყვარულის მომგონი, ზულუსი ჰფიქრობს, რომ მკვდარი მამაც არ დავიწყებს მას. ეს წინაპირთა გაღმერთებული იდეა ზულუსებს მიჰყავთ ადამიანის გვარის პირველ მამაზე და ქვეყნის შემქმნელამდე, პირველ უნკულუნკულამდე".

შეუძლებელია ყველა მაგალითების ჩამოთვლა, — იმდენად მრავალია ეს მაგალითები. არსებითად ერთგვარნი არიან და განირჩევიან მხოლოდ მცირემნიშვნელოვანის, ფერადის დაწვრილებით.

უკვდავების ან სხვა მცნებათა სახით წარმოდგენა მომავალის ცხოვრებისა, რომელიც დაკავშირებულია ერთის ან

მრავალ ღმერთების იდეასთან, წარმოიშვა სიცოცხლის წყურვილისა და სიკვდილის წინააღმდეგობის მეოხებით, ესე იგი ადამიანის უკუღმართ ბუნების მიმართ უმაღლესის ბრძოლის მეოხებით.

მაშასადამე, ჩვენ უნდა განვიხილოთ, თუ რამდენად მიაღწია ამ ვითარებას სხვა და სხვა სარწმუნოებამ.

მრავალ პირველყოფილ ტომებს სარწმუნოებრივი სწავლა სულის უკვდავებისა სიტყვა-სიტყვითა სწამთ და საიქიო ცხოვრების დაპირება მიაჩნიათ აუცილებელ ქეშმარიტებათ. კუნძულ ფიჯის მკვიდრნი დარწმუნებულნი არიან, რომ იმ ქვეყნად განახლდებიან იმ სახით, რა სახითაც დასტოვეს აქაურობა და ამიტომაც მოწადინებულნი არიან ეღირსნონ სიკვდილს რაიმე ავადმყოფობამდე და, რადგან ფრიად საძნელოა ადამიანშა მოხუცებულობას მიაღწიოს უავადმყოფოდა და უსენოდ, როგორც კი იგრძნობენ სიკვდილის მოახლოვებას, აფრთხილებენ თავიანთ შვილებს, რომ სიკვდილის დრო დადგაო. და, თუ თვით არ იტყვის ამას, მაშინ შვილები აფრთხილებენ. მოახდენენ შინაურ თათბირს, ნიშნავენ დღეს და სთხრიან სამირეს. მოხუცს ნება ეძლევა აირჩიოს ორში ერთი: დაღრჩობა ანუ ცოცხლად დასამარება.

აი, მაგალითი, თუ რა რწმენა შეუძლია ადამიანს იქონიოს საიქიოს შესახებ: ერთხელ ინგლისელს მოგზაურს **გენტს** ესტუმრა ახალგაზდა ფიჯიელი და **დაჰპატიჟა** დედის დასაფლავებაზე დასასწრებლად. **გენტი** დასთანხმდა და მივიდა ვალის მოსახდელად.

ხოლო გაკვირვებულმა, რომ მკვდარი არსაით სჩანდა, მიმართა იმ ახალგაზდა კაცს, რომელმაც „მიუთითა თვის დედაზედ, რომელიც ისევე მხიარულად და წყნარად მიდიოდა, როგორც დანარჩენნი. **გენტმა** გაიკვირვა და უსაყვედურა ახალგაზრდა კაცს, რისთვის მატყუილებდი დედაჩემი მოკვდაო, როცა დედა თქვენი სრულიად მრთელი და უვნებელიაო. მან უპასუხა, რომ ეს არი ქელეხი გავათავეთ და მოკლე ხანში

დავმარხავთ კიდეცაო, რადგან ის უკვე მოხუცდა და მისი სიცოცხლის მოსპობის საქმე მე და ჩემმა ძმამ უკვე გადავწყვიტეთ და დედაც სიამოვნებით დაგვეთანხმაო". (Lubbock, l. c. p. 372, 374).

ასეთი მაგალითი როდია იშვიათი, მრავალ ქალაქებში რამდენისამე ასეულ მცხოვრებთა შორის არ მოიძებნებოდა 40 წლის ზევით არც ერთი, რადგან ყველა ხნიერნი უკვე დაემარხათ. ადვილი წარმოსადგენია ასეთ მორწმუნე ხალხისაგან სიკვდილის უშიშრად შეხვედრა.

სკულკრაფთის მოწმობით, ჩრდილო ამერიკის ინდოელები არ ეკრძალვიან სიკვდილს. „მათ არ ეშინიათ გადასვლა იმ განუწყვეტელ განცხრომათა ქვეყანაში, სადაც, როგორც მუდამ სმენიათ, არ არის არც დარდი და არც მწუხარება".

მე თვით მინახავს ერთი მართლმადიდებელი მცირეწლოვანი ქალი, რომელსაც ისე სწამდა სამოთხის ნეტარება, რომ მძიმე ავადმყოფობის დროს მოუთმენლად მოელოდა სიკვდილს. სიკვდილის წინ გვარწმუნებდა, უკვე ვხედავ საუცხოვო ყვავილებს და მესმის სამოთხის სირთ გალობაო.

ხოლო ასეთი უსაზღვრო რწმენა იშვიათია. უმეტეს ნაწილად ეს რწმენა არ კმარა სიკვდილის შიშის გასაქარწყლებად. ამას გვიმტკიცებს მრავალი მაგალითი.

მხოლოდ ფანატიკოსებსა და გულუბრყვილო პირველყოფილ ბუნების შვილთ შეუძლიათ თვისის ბრმა რწმენის მეოხებით დასთრგუნონ სიკვდილის შიშის გრძნობა. ამიტომაც უძველეს დროიდან სარწმუნოება სცდილობს სამოთხის საოცნებო ცხოვრების გარეშე მოიპოვოს სხვა რამ საშუალება ადამიანის ბუნების უთანხმოების შესამცირებლად. ამ მხრივ, ჩვენის თვალსაზრისით, მეტად საგულისხმიეროა ბუდდას სწავლა. აქ მე სახეში როდი მაქვს ის შეცვლილი და გადაკეთებული ბუდდიზმი, რომელზედაც ზემოთ გვქონდა მსჯელობა და რომელიც დაუბრუნდა საიქიო ცხოვრების წარმოდგენას, საშიშარ ჯოჯოხეთსა და განცხრომით სავსე სამოთხეს.

ბუდდა სრულებითაც არ ოცნებობდა ადამიანის არსებობის უდიდეს უბადრუკობაზედ. მისი მოძღვრება დასაბამითგანვე ფრიად პესიმისტური იყო. აი, რას ამბობდა ამის შესახებ: „უეჭველად უბედურია შექმნილი, გაჩენილი, მოხუცებულობით შეპყრობილი, მომაკვდავი, გასაქრობად გამზადებული და კვლავ გასაჩენი ქვეყნიერება. ხოლო ჩვენ არ ვუწყით ის საშუალება, რომლის მეოხებითაც შეიძლებოდეს გაცლა ამ ქვეყნიერებისაგან, რომელიც წარმოადგენს აუარებელ ტანჯვათა წყაროს. საუბედუროდ ჩვენ არ ვუწყით, რას შეუძლიან მოუღოს ბოლო სიბერეს, სენს, სიკვდილსა და იმ აუარებელ ტანჯვათა წყაროს, რომელსაც ქვეყნიერება ჰქვიან! რამ მოუღოს ბოლო ყოველივეს, რასაც წარმოშობს ხოლმე სიბერე, სენი, სიკვდილი და სხვა!“ [1]).

იმ შეხვედრამ, რომელზედაც ადრე გვქონდა საუბარი, ბუდდას ასეთი აზრები მოგვარა: „ვაი სიკვდილით გამოხრულ სიჭაბუკეს! ვაი სენით დაღუპულ ტანმრთელობას! ვაი ადამიანის დღემოკლე სიცოცხლეს! ვაი ბრძენთა გულის მაცდურ განცხრომათა მიმზიდველ ძალებს! ნეტამც არ იყოს სიბერე, სენი, სიკვდილი იმ უშველებელის ტანჯვებით, რომელთაც წარმოშობს არსებობის ხუთი ელემენტი (სკანდას)! ნეტამც არ იყოს ერთი მეორეზე გადაბმული სიბერე, სენი და სიკვდილი! მაშ კარგი! შინ დაბრუნებისას უნდა ვიფიქრო განთავისუფლებაზე!“

ამ საგნების შესახებ დიდის ფიქრის შემდეგ ბუდდამ წარმოიდგინა, რომ ამოცანას გადაწყვეტა შეიძლება სრულის სიმდაბლის ქადაგების მეოხებითაო. სიყმაწვილეში ეველრებოდა მამა მისს: „მსურს, მეუფეო, რომ სიბერე არასოდეს მომეკაროს, რომ არ დავკარგო სიყმაწვილის ნათელი ფერადები; ვიყო მუდამ ტანმრთელი, რომ არავითარი სენი არ შემეხოს; რომ სიცოცხლე ჩემი იყოს განუწყვეტელი, რომ სიკვდილი

[1]) Lalita Vistara, p. 289.

არ მომეკაროს". [1]) შემდეგ იძულებული გახდა უარი ეთქვა ამ მოთხოვნილებებზედ.

თვის შესანიშნავ ბენარესის ქადაგებაში ბუდდამ ამ რიგად დაასკვნა უმთავრესი აზრები თვისი მოძღვრებისა: „აი, ბერებო, წმიდა ჭეშმარიტება მწუხარების წარმოშობის შესახებ:—ესაა არსებობის წყურვილი, რომელსაც მიჰყავს ადამიანი გადაგვარებიდამ გადაგვარებამდე, რომელსაც თან ახლავს განცხრომა და სურვილები, რაიც აქ თუ იქ ჰპოულობს თვის დაკმაყოფილებას: განცხრომის წყურვილი, არსებობის წყურვილი, ძლიერების წყურვილი".

„აი, ბერებო, მწუხარების დათრგუნვის წმიდა ჭეშმარიტება: ამ წყურვილის გაქარწყლება სურვილების სრულის უარყოფით, სურვილების მოსპობით, მათგან განთავისუფლებით, მათი უკუგდებით". [2])

ამგვარი სულის სიმდაბლის გავლენის გამოჭ ბუდდა ბერად აღიკვეცა და სცხოვრობდა წინდახატულ უბიწობის კანონთა თანახმად („უბიწო სარწმუნოება, უბიწო ნებათმყოფლობა, უბიწო სიტყვა, უბიწო მოქმედება, უბიწო არსებობის საშუალებანი, უბიწო ხელისყოფა, უბიწო გულისყური, უბიწო აზროვნობა").

ხოლო ასე მაღალის რწმენის და ასეთის კანონების მიმდევარი ხალხი ცოტა აღმოჩნდა. ამიტომაც ბუდდიზმი ჩქარა ჩამოშორდა თვის ძირითად საფუძველს და ჩვეულებრივ სარწმუნოებრივ მოძღვრებათ გადაიქცა.

ბუდდიზმის იდეასთან აუცილებლად დაკავშირებულია ნირვანის წარმოდგენა, რადგან ჰფიქრობენ, რომ სწორედ ეს არის ის ნამდვილი ვითარება, რომლისკენაც უნდა მიიმართებოდეს ადამიანის ნამდვილი ცხოვრებაო. მრავალმა ფილოსოფოსმა და განსაკუთრებით პესსიმისტებმა **შოპენჰაუერის** მეთაურობით თვისის სოფლმხედველობის თვალ-

[1]) Lalita Vistara, p. 176.

[2]) Oldenburg, p. 214.

საზრისით ნირვანა აღიარეს არსებობის უმაღლეს ვითარებათ. ხოლო ნირვანას იდეას ჰხსნიდნენ ძალიან სხვა და სხვა ფერად. მით უმეტეს ცხადია ეს მდგომარეობა, რომ საუკეთესო სანსკრიტოლოგები დღემდე ვერ შეთანხმებულან ამ სიტყვის მნიშვნელობის შესახებ.

მე არა მსურს გავერიო ამ კამათში, რადგან მაკლია უმთავრესი იარაღი—სანსკრიტული ენის ცოდნა. ხოლო მეორე მხრივ არა მაქვს ნება მივჩქმალო ეს ძირითადი საგანი იმ მიზეზით, რომ ჯერ ის არაა სპეციალისტების მიერ გადაჭრილი,—მით უმეტეს რომ მრავალ ფილოსოფოსებს ნირვანა წარმოდგენილი აქვთ ადამიანის არსებობის ნამდვილ ვითარებათ.

დიდი ხნის განმავლობაში ნირვანა მიაჩნდათ არყოფნის ისეთ გვარად, როცა ფსიქიური წესის წარმოდგენა არ ჰსუფევს. შესანიშნავი ოქსფორდის სანსკრიტოლოგი მაქს მიულლერი წინააღუდგა ასეთ შეხედულობას. [1]) მან დაგვანახა, რომ ყველა იმ ბუდდელ წყაროებში, სადაც კი მოხსენებულია ნირვანა, არყოფნის აზრი არა აქვსო. ამ ადგილების უმეტესი ნაწილი სრულიად გაუგებარიც კი დაგვრჩებოდა, რომ „ნირვანას“ მაგიერ იყოს მოხსენებული სიტყვა არყოფნაო.

ამ აზრის არიან მრავალი სხვა სპეციალისტებიც, რომელთაც შეუძლებლად მიაჩნიათ სარწმუნოებრივის ცხოვრების ვითარებათ აღსარებული ყოფილიყოს სრული არყოფნა. რის დავიდსის [2]) აზრით, ნირვანა ეთანაბრება სულიერ სიმშვიდეს, რომლის მიღწევაც შესაძლოა ამ სოფლად, რომ ამ სიტყვის გადათარგმნა შეიძლება სიტყვით „სიწმიდე“. მისი აზრით, შეუძლებელია ამ სიტყვის არყოფნად, გაქრობად გაგება, არამედ ის ნიშნავს ისეთ ძლიერ ვნებათა უარყოფას, როგორიც არის შური, სიძულვილი და სხვა.

---

[1]) „Buddhagosas Parables“, p. XLI.

[2]) „Der Buddhismus“, p. 119 (გერმანული თარგმანი).

პფუნგსტი [1]) იზიარებს მაქს მიულლერის აზრს; იგიც აგრეთვე დარწმუნებულია, რომ „ბუდდის პირველ მიმდევართ არასგზით არ შეეძლოთ ნირვანა არყოფნად მიეღოთ“-ო. **დულმანი** [2]) კი ცდილობს დაამტკიცოს, რომ ბუდდელების ნირვანა შესაძლოა ნიშნავდეს არყოფნის, ანუ სრული გაქრობის სურვილსაო.

ხოლო უნდა ეღვნიშნოთ, რომ ნირვანას ბუდდიზმში არა აქვს ისეთი ძირითადი მნიშვნელობა, როგორც ეს ზოგიერთ მკვლევართ მიაჩნიათ. ზოგიერთ ბუდდელ წყაროებში ტყუილად კი არაა ნირვანა მხოლოდ გაკვრით მოხსენებული. „ლალიტა ვისტარაში“. ეს სიტყვა ხმარებულია ძალიან იშვიათად და ამასთანავე არც რამ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ხოლო ამავე წყაროში ჩვენ ვხედავთ ისეთ საბუთებს, რომელთ მეოხებითაც შუქი ეფინება იმ საკითხს, თუ რა არის ნირვანა.

როდესაც ყმაწვილი, ჯერ კიდევ სურვილებით სავსე ბუდდა ევედრება მამას მუდმივი სიყმაწვილის, ტანმრთელობის, განუწყვეტელი სიცოცხლისა და უკვდავების მინიჭებას, ასეთ სიტყვებს დასძენს: „თუ რომ არ მომანიჭებთ, მეუფეო, ამ ოთხ საჩუქარს, მაშ მომისმინეთ კიდევ რასა გთხოვთ: ნუ იქნება ჩემთვის სულის გადასახლება, როცა მოისპობა ჩემი სიცოცხლე“.

როგორც მოვიხსენიეთ, ბუდდიზმმა გაიზიარა ბრამინების მოძღვრება სულის გადასახლების შესახებ. გადმოცემით, ვიდრე მეუფეთ გახდებოდა, ბუდდას გაუვლია ასობით სხვა და სხვა მდგომარეობა. მის სულს გაუვლია არა თუ მარტო 58 ხელმწიფეში, არამედ 18 მაიმუნში, 4 ცხენში, 4 გველში, 3 ხვლიკში, 2 თევზში და სხვ. [3])

---

[1]) „Das freie Wort“. 5 იანვარი 1902 წ. № 19, გვ. 603—607.

[2]) „Nirvana“, 1896.

[3]) Spence Hardy: „A Manuel of Buddhisme“. London. 1853, p. 100.

სულების მუდმივი გადასახლება ესოდენ მრავალ გვამებში უთუოდ აღონებდა და აფიქრებდა მორწმუნე ხალხს. ამიტომაც სრულებით ბუნებრივია, რომ ისეთმა მოაზრემ, როგორც ბუდდა იყო, მოინდომა თვისი და სხვა მორწმუნეთა განთავისუფლება ამოდენ გადასახლებისაგან. მას მიაჩნდა ეს მუდმივი გადაგვარება დიდ უბედურებად, რომლისგან განთავისუფლება შესაძლოთ მიაჩნდა უბიწო ცხოვრების მეოხებით (რის დავიდსი).

ინდუსთა მხატვრული ენა სულის გადასახლებას ადარებდა ოკეანეს. ამ მეტაფორის ყოველწამ მღელვარე ტალღებს უნდა დაეხატა მუდმივი დაბადებანი; ტალღათა ფაფართ ქაფი შეესაბამებოდა ჩვენს გარდამავალ სხეულს და მეორე ნაპირი კი ისახებოდა ნირვანად. „ვინც ნირვანას მიაღწევს, ის ველარ დაუბრუნდება სანსარის დიდ ოკეანეს„. (l. c., გვ. 145). **კამა სუტტადამ** რის დავიდსის მიერ მოყვანილს ციტატაში გადაწყვეტითაა ნათქვამი, რომ „ზღვა წარმოადგენს სანსარას ანუ სულის გადასახლებას, ხოლო ნირვანა — კუნძულს. ვინც მის ნაპირს მიაღწევს, შეუძლია დარწმუნდეს, რომ აღარ ვარდება ოკეანეს ტალღებში მეტაპსიქოზის ხელახალ წარმოშობათათვის“. ესე იგი, ვისაცა ჰსურს აიცილოს თავიდამ არასასურველი მუდმივი ხელახალი წარმოშობანი, უნდა ატაროს უბიწო ცხოვრება და მხოლოდ მაშინ უზრუნველჰყოფს თავისთავის სასუფეველს ანუ ნირვანას, რომელიც, მაშასადამე, არ არის სრული უარისყოფა ყოველისავე ფსიქიურ მდგომარეობისა, არამედ არის უარყოფა მხოლოდ სულის გადასახლებისა. ამ თვალსაზრისით ადვილი გასაგებია ყველა ან თითქმის ყველა ის ადგილები, სადაც მოხსენებულია ნირვანა.

როცა მოხუცი და მძიმე, სატანჯველ ავადმყოფობით დაავადებული ბუდდა უახლოვდებოდა სიკვდილს, თვალწინ წარმოუდგა შაგირდები და უთხრა მათ: „მე არ მინდა შევიდე ნირვანაში, ვიდრე არ მოველაპარაკები ჩემზედ მზრუნველ ჩემ შაგირდთა კრებულს. ჩემის ნებაყოფლობის ძალით მინდა ვსძლიო ეს სენი და ვიყო ცოცხალი“.

რამდენის ხნის შემდეგ უკეთილსახურეს ამანდა მივიდა ბუდდასთან და სხვათა შორის უთხრა: „საოცარი ვერ მიაღწევს ნირკანას, ვიდრე არ წამოსთქვამს თვის სურვილს შაგირდთა კრებულის შესახებ.“

თანდათან მისუსტებული ბუდდას სული გადადიოდა ექსტიზიდან ექსატაზამდე, განუსაზღვრელ აღტაცების ყოველსავე საფეხურზედ; შემდეგ მან მიაღწია ნირვანას და მიწა შეინძრა; და ქუხილმა იგრიალა [1]).

ცხადია, რომ ნირვანა აქ მოხსენებულია თანახმად იმ მდგომარეობისა, რომელიც შეესაბამება სიკვდილს წმინდანისას, რომელსაც გაუტარებია უმწიკვლო სიცოცხლე. ის განთავისუფლებული იქმნება მეტაპსიქოზისაგან და დასტკბება სულიერის სიმშვიდით. უთუოდ შემდეგში იგივე სიტყვა ნირვანა შეესაბამებოდა ისეთის კაცის სულიერ მდგომარეობას, რომელიც თვისის უმწიკვლო არსებობის მეოხებით სიცოცხლეშივე დარწმუნებული იყო, რომ სიკვდილის შემდეგ მისი სული არ გადაესახლებოდა.

რადგანაც ნირვანას აზრი უმთავრესად ეპირდაპირება სულის გადასახლებას, ადვილი გასაგებია, თუ რატომ არ არის განმარტული ის სულის მდგომარეობა, რომელსაც იგი შეესაბამება.

ხოლო ყველა იმ საბუთის მიხედვით, რომელსაც ეხება ბუდდას სარწმუნოება, ყოვლად შეუძლებელია, რომ ნირვანა ნიშნავდეს სრულ მოსპობას, გაქრობას. ამ მხრივ მეტად საფუძვლიანია მაქს მიულლერის შეხედულობა.

მაშასადამე, ბუდდა ჰფიქრობდა, რომ ადამიანის ტანჯვათა ბოლოს მოღება შესაძლებელია ცხოვრების ყოველგვარ განცხრომათა უარყოფითა და სრულის სიმდაბლით. მარტო ის ფაქტი, რომ პირველყოფილი ბუდდიზმი ვერ დამყარდა და მყის გადაგვარდა ჩვეულებრივ. სხვა მრავალ სარწმუნოებათა მსგავს სარწმუნოებათ,—მარტო ეს ფაქტი გვიმტკიცებს, რომ

[1]) Oldenburg, l. c., გ. 200—206.

ბუდდამ ვერ მიაღწია სურვილს. მხოლოდ საუკუნო ცხოვრების დაპირებამ გაიტაცა მასსა და საფუძვლად დაედო ბუდდიზმის ესოდენ სივრცეზე გავრცელებას.

თვისის უმთავრეს აზრის გარდა, რომელიც ანუგეშებს ადამიანს სიკვდილის აუცილებლობის შესახებ, სარწმუნოებანი გულისხმობენ ზოგიერთ სხვა საგნებსაც, რომელნიც გამომდინარეობენ ადამიანის ბუნების უთანხმოებიდამ.

ყოველ დროთა განმავლობაში სარწმუნოებას სწადდა საქმლის მოსანელებელ და წარმომშობ ორგანოთა მოქმედების მოწესრიგება ისევე, როგორცა სხვა და სხვა სენის წამლობა და თავიდან აცთენა.

ყველამ იცის, თუ რა დიდი გავლენა ჰქონდა სარწმუნოებას ჭამა-სმის არჩევაში და საქმელის დამზადებაში. დღემდისაც მრავალ ერს შენახული აქვს ისეთი კულინარული ჩვეულებანი, რომელთაც უკარნახებს სარწმუნოება. მაგალითად, ებრაელთა საქმელ-სასმელი განსაზღვრულია მოსეს კანონით, რომელიც სამზარეულოს წვრიმალსაც კი შეეხება. ამ კანონით აკრძალულია ცხოველთა სისხლის საქმელად ხმარება. აი, რასა ბრძანებს მოსე: „შენ შეგიძლია, რამდენიც გინდა დაჭკლა და სქამო ცხოველთა ხორცი, შენის ღმერთის წყალობით, რომელ ქალაქშიაც უნდა იყო. როგორც ბიწიერს, ისე უბიწოს შეუძლიან მისი ჭამა, როგორც არჩევის, აგრეთვე ირმის. ხოლო სისხლსა ნუ სქამთ; გადაღვარეთ იგი მიწაზე, როგორც წყალი“. შემდეგ: „მხოლოდ ერიდე ამ ცხოველთა სისხლის ჭამას, რადგან სისხლი მათი სულია, რათა არ შეჭამო სული ხორცთან“. „ნუ სქამ მას, თუ გსურს იყვეთ ბედნიერი შენც და შენს შემდეგ შენი შვილებიც, თუ აღასრულებ ნებას უფლისა შენისას, როგორც ის გვავალებს“.

მოსეს წიგნებში მოთავსებულია აგრეთვე წესი ზოგიერთ საქმ ლის კეთებისა. „ნუ სქამ შეღმწვარსა ან წყალში მოხარშ ულს, არამედ შესწვი იგი (ბატკანი ან ციკანი) ცეცხლზე თავ-ფ ეხითა და შიგნეულობით“.

ჰფიქრობდნენ, რომ ეს წესები შეესაბამოდენ იმდროინ-
დელ მეცნიერების ჰიგიენურ შემეცნებასო.

მართლაც, ზოგიერთი წესთაგანი, მაგალითად უმი-
ხორცის ხმარება, სრულიად შეესაბამება თანამედროვე
შემეცნებას.

ხოლო უმრავლესობა მოსეს კანონებისა, როგორც მა-
გალითად სისხლის, კურდღლისა და ღორის ხორცის აკრძალვა
და მრავალი სხვა, სრულიად ეწინააღმდეგება რაციონალურ
ჰიგიენას.

ამიტომაც სარწმუნოების მიხედვით, საჭმლის დამზადებას
აქვს მხოლოდ ისტორიული ინტერესი.

სარწმუნოება აგრეთვე დიდ ყურადღებას აქცევდა ადა-
მიანის წარმომშობ მოქმედებას. სარწმუნოებათა დამფუძნებელთ
უმრავლესობა აშკარად ჰგრძნობდა ადამიანის ბუნების ამ მხრივ
უთანხმოებას. ამიტომაც მოთმინებას ემორჩილებოდნენ და
სხვებსაც ამ მოთმინებას უქადაგებდნენ. ახალგაზრდობის
შემდეგ, რომლის განმავლობაშიაც განიცადა ყოველგვარი
სიამოვნებანი, რომლებშიაც მან მაინც ვერ იპოვა დაკმა-
ყოფილება, ბუდდა დაადგა სრულ მოთმინების გზას. ისა და
მისი მიმდევრები, რომელნიც ბერებად აღიკვეცენ, იძულე-
ბულნი იყვნენ სრულებით უარეყოთ ქალი. სქესობრივი
დაახლოვება, ჩადენილი რომლისამე მათთაგან, ეთანაბრებოდა
ქურდობასა და მკვლელობას და საბოლოოდ ხელს აღე-
ბინებდა ბერობაზე.

ბუდდას კანონებში შესახებ ერის კაცებისა აღკრძალული
იყო ქორწინების გარეშე სქესობრივი ურთიერთობა, როგორც
რაიმე დამამცირებელი საქციელი. [1])

ყველამ იცის ქრისტეს სჯულის შეხედულობა წარმომშობ
მოქმედების შესახებ. ქრისტეს სჯულის მოძღვარნი თვით
ეძლეოდნენ და სხვებსაც უქადაგებდნენ მოთმინებას. პავლე
მოციქული ხშირად ადასტურებს მოთმინებას: „მე მსურსო, —

[1]) Rhis Davids: „Der Buddismus", p. 147.

ბრძანებს იგი, — რომ ყველანი ჩემს მაგალითს მისდევდნენო; ხოლო, რადგან ყველას ღვთისაგან მინიჭებული აქვს თვისი ნიჭი, ყოველი თავისებურად იქცეოდესო. ამიტომ ვეუბნები უცოლოთა და ქვრივთ, რომ ისინიც ჩემსავით დარჩნენ; ხოლო თუ არ ექნებათ მოთმინება, დაე დაქორწინდნენ, რადგან ეს სჯობია აღტყინებასა"-ო.

ველურ ხალხთა სარწმუნოებაც აგრეედვე ფრიად ერევა ადამიანის წარმომშობ მოქმედების საქმეში.

ამის შესახებ ჯერარს მოვიგონოთ ერთი ფრიად თავისებური რწმენა, რომელიც გავრცელებულია სანდვიჩის კუნძულების მკვიდრთა შორის: ესაა თაყვანისცემა მუცლის მოშლის ღვთაებისა. ეს ღვთაება ისახება გრძელი ხის იარაღის სახით, რომელსაც ეძახიან კაპო. მისი თავი წარმოადგენს ღვთაების საოცარ თავს და ბოლო გაგრძელებული და წამწვეტილია. ეს ბოლო შეჰყავთ საშობი ჩანასახის გარსთა გასახევად, რითაც ხდება მუცლის მოშლა. [1])

მრავალი სხვა კერპი ჰშველის ველურებს ავადმყოფობის ასაცდენად. **ბარტელსი** მოგვითხრობს თვის წიგნში ველურთა მედიცინის შესახებ მრავალს თილისმებზედ, რომლებსაც ხმარობენ ამავე საქმისათვის. ამ თილისმების მთავარი აზრი დამყარებულია იმ რწმენაზედ, რომ ავადმყოფობა არის ავ სულთა მოქმედება, რომელიც კაცმა უნდა აიცილოს თავიდამ.

ციმბირის გოლდები აკეთებენ ჩალისაგან და ხისაგან ცხოველების გამოსახულებებს, რომლებშიაც ათავსებენ ავ სულთა ავადმყოფობის გენიოსებს. გილიაკები აკეთებენ ხის დედოფალებს, რომელთაც გულზედ გამოსახული აქვთ გომბაშო. ეს თილისმა ჰშველის გულ-მუცლის ავადმყოფობას.

უფრო განვითარებულ სარწმუნოებებშიაც ეხვდებით პირველყოფილ იდეათა და ჩვეულებათა ნაშთებს. **ლუტერსაც** სწამდა ავადმყოფობის ზნეობრივი წარმოშობა. „აი, — მოგვითხრობს **ლუტერი**, — უეჭველია ის, რომ შავი ჭირი,

1) Ploss: „Das Weib", p. 859, I.

ციება და სხვა საშიში ავადმყოფობანი წარმოშობილნი არიან ეშმაკისაგან„-ო.

ამიტომაც ყოველ სენთა წინააღმდეგ საუკეთესო საშუალებათ მიაჩნდათ სხვა და სხვა სარწმუნოებრივი ცერემონიები.

შავ ჭირს მრავალი კვალი დაუჩენია კაცობრიობის ისტორიაში. ამ საოცარ სენს ბუნებრივადაც უნდა მიეპყრო განსაკუთრებული ყურადღება. ის მიაჩნდათ ღვთის რისხვათ და სცდილობდნენ ამ რისხვის აცდენას სასმელებისა და სამღვთოების მეოხებით. საკურთხეველზე ჰხოცავდნენ ადამიანებს ღვთის რისხვის ასაცდენადა და შავი ჭირისაგან სიკვდილის შესამცირებლად.

სარწმუნოებრივი წესები შესაჩნევად ლმობიერდებიან კულტურის განვითარების მეოხებით, ხოლო მათი კვალი დღესაც თვალსაჩინოდ ჰხდება ამა თუ იმ შემთხვევაში.

ეს წესები ყველას ძველ ჩვეულებათა ნაშთებათ მიაჩნია და დღეს კვლავინდებურ ყურადღებას აღარ აქცევენ. სმა-ჭამისა და ავადმყოფობის თავიდან აცდენის სარწმუნოებრივმა ჰიგიენამ ადგილი დაუთმო სამეცნიერო ჰიგიენას, რომელიც დაფუძნებულია მტკიცე და ცდის მეთოდით დამყარებულს საფუძველზედ.

ამიტომაც უსარგებლო იქნებოდა ამ მხრივ ამ საქმის გაშუქებაზე შეჩერება. მაშასადამე, სარწმუნოების სამფლობელოში გვრჩება კიდევ ერთი ამოცანა: სიკვდილისა,—ამოცანა, რომელიც თხოულობს პასუხს. როგორც დავამტკიცეთ, დღემდე ამ საკითხის გადაწყვეტა ვერავის დაკმაყოფილებს.

ცხადია, რომ ამ ვითარებაში მეაზროვნენი სცდილობდნენ სხვა გზით ეხსნათ თავი ამ უდიდეს დილემისაგან, ამიტომაც შეიქმნა მრავალგვარი ფილოსოფური თეორიები სიკვდილ-სიცოცხლის ამოცანის გადასაწყვეტად.

ამ საკითხს პირველხარისხოვანი ინტერესი აქვს და ამიტომაც მსურს განვიხილო იგი საკუთრად ერთს თავში.

თავი VIII

ფილოსოფურ სისტემათა ცდა ადამიანის ბუნების დისჰარმონიათა წინააღმდეგ ბრძოლისა.

ზოგი ფილოსოფური სისტემა ეკედლება სარწმუნოებებს.— ძველ ფილოსოფოსთა იდეები სულის უკვდავების შესახებ.—პლატონის მოძღვრება.—არისტოტელის სკეპტიციზმი.—სტოიკოსები: ციცერონი, სენეკა, მირკოზ ავრელიუსი.—ახლანდელ ფილოსოფოსთა სისტემები.—პესიმიზმი და მისი წარმოშობა.—ბაირონი.—შოპენჰაუერისა და ჰარტმანის მოძღვრებანი.—მაინლენდერის ფილოსოფია განთავისუფლებისა.—პესიმიზმის კრიტიკა.—მაქს ნორდაუ.—ახლანდელ მეაზროვნეთა იდეა სიკვდილის შესახებ.

ფილოსოფური სისტემები მჭიდროდ არის დაკავშირებული სარწმუნოებრივ მოძღვრებასთან. მაგალითად, ბუდდიზმი თავდაპირველად იყო ფილოსოფური თეორია და სარწმუნოებრივი ხასიათი კი მიიღო ბუდდას მიმდევართა ხელში. აგრეთვე მრავალი სხვა ფილოსოფური მოძღვრებაც იგივე სარწმუნოებრივი დოგმატები იყო, რომელთა დამყარებასაც სცდილობდნენ რაციონალურ საბუთზედ, აღთქმის გარეშე.

სხვა და სხვა ფილოსოფურ სისტემათა ერთს უმთავრეს საფუძველს დიდი ხნის განმავლობაში წარმოადგენდა საიქიო ცხოვრების იდეა, რომლის აზრიც იყო გადაეწყვეტა სიკვდილის ამოცანა.

ამგვარ ცდათა მრავალ საბუთს წარმოგვიდგენენ ძველი ფილოსოფოსები. **პლატონი**, მოგვითხრობს რა ტრაგიკულ ისტორიას თვისის ოსტატის **არისტოტელის** სიკვდილისას, სრულიად მკაფიოდ გამოსთქვამს თვისსა და თვისის ოსტატის შეხედულებას სიკვდილის შესახებ. **ფედონის** პირით ის მოგვითხრობს: „ჩემის მეგობრის სიკვდილს სრულიადაც არ დაუღონებივარ; პირიქით, მისი ხვედრი მიმაჩნდა სანეტაროდ, ისე ეგებებოდა სიკვდილსა და ისე გვიამბობდა. ის შერ-

რყევლობა, რომელიც მან გამოიჩინა სიკვდილის წინ, მარწმუნებდა, რომ ის სტოვებს აქაურ ცხოვრებას რაღაც ღვთაების შემწეობით, რომელმაც უნდა წაიყვანოს იგი სხვა ცხოვრებაში და მიანიჭოს ისეთი ნეტარება, რომელიც ოდესმე განუცდია ადამიანს.“

პლატონის სიტყვით, **სოკრატს** ჰქონდა სრულიად განსაზღვრული წარმოდგენა ცხოვრებასა და წაწყმედაზე. „უთუოდ დამნანდებოდა სიკვდილიო,—ამბობს **სოკრატი**,—რომ იმ ქვეყნად არ ველოდე კეთილსა და ბრძენ ღმერთებთა და ადამიანებსაც მეტად უკეთესთ, ვიდრე დედამიწაზე არიან. ხოლო უნდა იცოდეთ, რომ ვიმედოვნობ შევუერთდე სამართლიან ადამიანებს.“ „სიკვდილი დიდად როდი მაღონებს, რადგან იმედი მაქვს, რომ საიქიოს მოგველის რაღაც სხვა ცხოვრება და, თანახმად ძველის თქმულებისა, კეთილნი უკეთ იქმნებიან, ვიდრე ბოროტნი“ (გვ. 21).

რადგან აქ არ არის მსჯელობა ღვთიურის ავტორიტეტით გაშუქებულ ჭეშმარიტებაზე, აუცილებელი იყო მისი დამტკიცება რაციონალურ საბუთით. და მართლაც, პლატონი ყოველგვარი მოსაზრებით სცდილობს დაგვიმტკიცოს სულის უკვდავება. ის მიგვითითებს პითაგორელთა იდეაზე სულის გადასახლების შესახებ და ამტკიცებს, რომ „უსამართლობისა, ძალმომრეობისა და მტაცებლობის მოსიყვარულე სული გადავა მგლებისა, ძერებისა და ქორების სხეულშიო. მაშ საით უნდა გადვიდეს ასეთი სული?“ რაც შეეხება ისეთ სულს, „რომელიც მუდამ ატარებდა საზოგადოებრივსა და სამოქალაქო სიქველეს, რომელსაც უწოდებენ ზომიერებად და სამართლიანობად, ასეთი სული გადავა მშვიდობიანსა და წყნარ ცხოველთა სხეულში, როგორიც არიან ფუტკარი, კრაზანა და ჭიანქველა, ან არა და დაუბრუნდება ისევე ადამიანთა სხეულს, რათა შექმნას სათნო ადამიანი.“ (გვ. 58.)

---

[1]) პლატონის თხზულებათა კრებული. ფრანგული თარგმანი ტ. V. ფედონი. გვ. 12.

თვის შეხედულებათა სიმართლის დასამტკიცებლად პლატონი ემყარება კონტრასტების კანონს. „როგორც ულონიერესი წარმოდგება უუძლურესისაგან და უსწრაფესი უფრო წყნარისაგან,“ აგრეთვე სიცოცხლისაგან უნდა წარმოდინდეს სიკვდილი, ხოლო სიკვდილისაგან — სიცოცხლე. „ამიტომაცა, — ბრძანებს სოკრატი, — მკვდრიდან ჩნდება ყოველი ცხოველი და რასაც სიცოცხლის ნიშანწყალი სდევს. მაშასადამე, ჩვენი სულიც სიკვდილის შემდეგ იმყოფება ჯოჯოხეთშიო.“ ამგვარად, „ჩვენის რწმენით, ცოცხლები აგრეთვე წარმოსდგებიან მკვდრებისაგან, როგორც მკვდრები ცოცხალთაგან; ეს კი უეჭველად ადასტურებს მას, რომ მიცვალებულის სული სადღაც იმყოფება და იქიდამ ხელახლა უბრუნდება სიცოცხლეს.“ (გვ. 46).

ამგვარ საბუთით სცდილობს პლატონი სულის უკვდავების დამტკიცებას, რაიც შეადგენს მის ფილოსოფიის ძირითად დასაბამს. ყოველსავე ამას მოგვითხრობს თვისის მასწავლებელის სოკრატის პირით დღესამის გარდაცვალებისასა. თვის დიალოგებში ის სცდილობს უპასუხოს ყოველ წინააღმდეგობას, ხოლო, თუნდა რწმენით, ადასტურებს თვის მოძღვრებას, მხოლოდ შიგა და შიგ გამოსჭვივის რყევის კილო და სწორედ ეს გარემოება წარმოადგენს ფილოსოფიის სარწმუნოებისგან განსხვავებას.

ცხადია, რომ პლატონის მრთელი სისტემა შექმნილია სიკვდილის ამოცანის გადასაწყვეტად. ის მუდამ იმეორებს, რომ „ნამდვილი მოაზრენი მრთელი თვისის სიცოცხლის განმავლობაში ემზადებიან სიკვდილისათვისო; და შეუსაბამობა იქნებოდა, კაცი რომ განუწყვეტლივ ერთის აზრისკენ მიიხწრაფებოდეს და მასთანავე მას გაურბოდეს და ეკრძალვოდეს, როცა სიკვდილი კარს მოადგება.“ (გვ. 22),

უმთავრესად პლატონი სცდილობს დაჯეროს თავი თვისი საიქიოს არსებობით. „მე ვესწრაფებიო, — მოგვითხრობს იგი — დავაჯერო ჩემი ნათქვამით არა თუ ვინმე აქ მყოფთიგანიო,

თუნდაც ეს რომ მოხდეს, ჩემთვის ფრიად სასიამოვნო იქნებოდა, არამედ უმთავრესად მსურს თვით დავრწმუნდე. ამიტომაც, საამო მეგობარო, მე ამრიგად ვმსჯელობ და შენც დაინახავ, რომ ეს მსჯელობა პირადად მე მეხება; და თუ ჩემი ნათქვამი გამართლდება, უნდა ერწმუნოთ მას; თუ რომ არ შეგაწუხებთ ჩემის ჩივილებითა და წუწუნით იმ ხნის განმავლობაში, რომელიც მრჩება თქვენთან ყოფნის დროსა"-ო. (გვ. 74).

პლატონის გულში მხოლოდ ჩასახული ეჭვი ზოგიერთ ძველ ფილოსოფოსებს უფრო მკაფიოდ ესახებათ. ჯერ ეს ერთი **არისტოტელის**[1]) ფიქრით, სულის უკვდავ ნაწილთან ჰსუფევდა სულის მომაკვდავი ნაწილიც. ორივე ეს ნაწილი შეერთდებოდა ამ ქვეყნად ცხოვრების დასაბამით და განიყოფებოდა აღსასრულის ჟამს.

ხოლო არისტოტელმა ჩქარა უარჰყო პირადი შემეცნების უკვდავება. შემდეგ სრულიად მკაფიოდ წინააღუდგა პლატონის სულის უკვდავების თეორიას; თუნდა კი სწამდა მთლიანობა „მოძრავ გონებისა" და უკვდავ სულისა, რომელიც განაგრძობდა სიცოცხლეს სიკვდილის შემდეგ.

სტოიკოსებმა კიდევ მეტად განავითარეს ამგვარი ფილოსოფური აზრი, პირადის სულის გვერდით მათ სწამდათ საქვეყნო სული, საზოგადო, ყოვლადმყოფელი დასაბამი.

სიბერისა და სიკვდილის ამოცანის გადაწყვეტის დროს **ციცერონიც** სდილობდა შესაწყნარებლად ეცნო საიქიოზედ ფიქრი. „მე დარწმუნებული ვარო,—ეუბნება ის სციპიონსა და ლელიუსს,—რომ თქვენი სახელოვანნი მამები, ორივე ჩემის გულისათვის ძვირფასნი, ამ ხანად აღსავსენი არიან სიცოცხლითა, იმ სიცოცხლითა, რომელიც ერთად-ერთია ღირსი ამ სახელისა; რადგანაც სხეული ჩვენთვის არის ერთგვარი საპყრობილე, სადაც ჩვენ იძულებულნი ვართ შევა-

[1]) Zeller: „Die Philosophie der Griechen" ტ. 2, 1862, გვ 462, 465.

სრულოთ აუცილებლობის მიერ მოგზავნილი მძიმე ვალი“ (გვ. 269). „მივიღე თუ არა მხედველობაში ადამიანის გონების მოქმედება, ეს აუარებელი მეხსიერება, უშველებელი წინდახედულობა, მრავალი ხელოვნებანი, მეცნიერებანი, აღმოჩენანი, დავრწმუნდი და ღრმადა მრწამს, რომ ასეთ თვისებით დაჯილდოებული ბუნება არ შეიძლება იყოს მომაკვდავი. სული მუდამ მოძრაობს; ამ მოძრაობას ის არ იღებს რომლისამე გარეშე ძალისაგან; თვით სული არის მოძრაობის წყარო და მას არასოდეს არ ექნება დასასრული, რადგან მას არ ძალუძს უარჰყოს თავი თვისი. გარდა ამისა, როგორც უბრალო ნივთიერება, რომელსაც არა ურევია რა, სული არის განუყოფელი და, მაშასადამე, დაუშრეტელიც“ (გვ. 270).

ამგვარ მოსაზრებით ჰსურს ციცერონს სულის უკვდავების დამტკიცება. „და, აი, რატომ არის ჩემთვის სიბერე არა თუ სამწუხარო, არამედ სანეტაროო“, — ამბობს ციცერონი. ხოლო ბოლოს და ბოლოს თვითონ ჰგრძნობს, რომ მისი საბუთი ვერ არის საკმაოდ დასაჯერებელი და ეჭვის კილო უფრო უაშკარავდება, ვიდრე მის წინამოადგილეთ; ის იძულებულია სთქვას, „რომ, თუ შემცდარი ვარ სულის უკვდავების შესახებ, მაინცა და მაინც მიყვარს ეს ოცნება და, ვიდრე ცოცხალი ვარ, არ მინდა ვისმე დავუთმო იგი. თუ სიკვდილის შემდეგ ყოველივე გრძნობა უნდა გაჰქრეს ჩემში, როგორც ამტკიცებენ ზოგიერთნი ნახევრად მოაზრენი, მაშინ რიღასი უნდა მეშინოდეს, რომ დასცინებენ ჩემს შეცთომას“? (გვ. 279). თანდათანის ეჭვის შეპარვით, სულის უკვდავების იდეა, თვის გულუბრყვილო და მარტივის სახით, დაცულია მხოლოდ და მარტო სარწმუნოებრივს დოდმატებში. ფილოსოფური სისტემები ცოტად თუ ბევრად ჰშორდებიან მას და სამაგიეროდ იღებენ ფრიად გამოურკვეველ პანტეისტურ იდეებს. **სენეკა** კიდევ სკდილობს მხარი დაუჭიროს სულის უკვდავების აზრს, მაგრამ აშკარად ემჩნევა რყევა. ის

უფრო პოეტურის მოსაზრებით გამოდის, ვიდრე რაციონალურით. „ამ მომაკვდავ სიცოცხლის დაგვიანება არის უკეთესისა და მეტად მკვიდრის არსებობის პრელიუდია,—სწერს იგი ერთს თვის შესანიშნავ წერილთაგანში.—როგორც მუცელი, რომელშიაც ჩვენ ვატარებთ ცხრა თვეს, არ წარმოგვშობს მუდმივ იქ ყოფნისათვის, არამედ ქვეყნისათვის, საცა ჩვენ ვყოფთ თავს საკმარ ძალებით ჰაერის შესუნთქვისათვისა და გარეშე შთაბეჭდილებათა ასატანად, აგრეთვე იმ დროის განმავლობაში, რომელიც გარბის სიყრმიდამ სიბერემდე, ჩვენ ვმწიფდებით მეორეჯელ შობისათვის. ახალი დასაბამი, ახალი მსოფლიო მიგველის ჩვენ. მანამდე კი, მხოლოდ შორიდამ ძალგვიძს ავიტანოთ ზეციური დიდება. ჰოი, ადამიანო, უშიშრად იფიქრე შენის აღსრულების წამის შესახებ! ის წამი უკანასკნელია შენი სხეულისათვის და არა შენი სულისათვის. უცქირე შენს ირგვლივ მყოფ საგნებს, როგორც სასტუმროს ძოწყობილობას, შენ უფრო შორს მიხვალ". „ის წამი, რომლისაც გეშინიან, როგორც უკანასკნელის წამისა, ის წამი შენ განაგახლებს მარადისობისათვის" (გვ. 11!).

ხოლო ამ ბრწყინვალე პერსპექტივების გვერდით **სენეკას** თავში უტრიალებს შავბნელნი აზრები. „დიახ,—ამბობს იგი,—ყოველი აზრი უნდა გაჰქრეს; არყოფნა მოელის ყოველივეს, რაც სცოცხლობს." (გვ. 5). „ყოველი დღე, ყოველი საათი ცხადჰყოფს ადამიანისათვის არარაობას; ყოველივე გაკვეთილი, რომელსაც ცხოვრება იძლევა, მუდამ აგონებს ადამიანს მის მიერ ხშირად დავიწყებულს უძლურებას და მარადისობისაგან, საითაც მას მიაქანებს ოცნება ფრთამოტეხილი ეცემა სიკვდილის აზრთან." (გვ. 99).

ამ აზრთა აღტაცებასა და დაქვეითებას მიჰყავს **სენეკა** თანდათან გარკვეულ შეხედულებისაკენ. აი, როგორ აღნუსხავს ის თვის შეხედულებას ადამიანის არსებობის უდიდეს საკითხის შესახებ: ყოველ არსებას აქვს წინადვე დანიშნული ხანები; ისინი უნდა დაიბადნენ, გაიზარდნენ და დაიხოცნენ.

ჩვენს ზემოთ მოძრავნი მნათობნი, დედამიწა, რომელზედაც ჩვენა ვართ განფანტულნი და რომელიც ესოდენ მკვიდრად გვეჩვენება, ყველაფერს ჩუმად ძირი ეთხრება, ყოველსავე დასასრული ჰქვს. ისეთი არაფერია, რომ არ ბერდებოდეს; თუნდ სხვა და სხვა დროს, მაგრამ ყოველსავე ერთი ბოლო მოელის. ყოველივე არსი არარაობით გათავდება; ხოლო ქვეყანა ამისაგან არ დაიღუპება,—ის დადნება. გახრწნა ჩვენთვის დაშლაა. მართლაც, ჩვენ ვგულისხმობდით ჩვენთვის უახლოესს; ჩვენს ხეძლურ სულს, რომელსაც არ შეუძლია განშორდეს ჩვენს სხეულს, არ ძალუძს განსვრიტოს რამ მის გარეშე, იმ დროს, როცა ჩვენ გვექნებოდა შეძლება მეტის სიმხნით ეგვეტანა ჩვენი და ჩვენ ახლობელთა გარდაცვალება, თუ დარწმუნებულნი ვიქნებოდით, რომ ბუნება არის ცვალებადობა დაბადებათა და მიცვალებათა, რომ რთული ნივთიერებანი იხრწნებიან, რომ გახრწნილნი სხეულნი ხელახლად ერთდებიან და რომ სწორეთ ამ განუწყვეტელს მიმოცვლაში სახიერდება ღვთის ძლიერება, რომელიც ზომიერჰყოფს მსოფლიოს.“ [1])

ამ სოფლმხედველობის დასკვნათ ჩვენ წარმოგვიდგება ასეთი გამამხნევებელი იდეა: „დიდ სულს უნდა შეეძლოს ღვთის მორჩილობა და უცილობლად დაემორჩილოს მსოფლიო კანონს. თუ ის არა სტოვებს ამ სიცოცხლეს საუკეთესო ცხოვრებისათვის და მისთვის, რომ მოიპოვოს ზეცად მეტად ბრწყინვალე და მყუდრო ბინა, უტანჯველად მაინც დაუბრუნდება მის წარმომშობ დასაბამს და შეუერთდება საზოგადო მასას.“ (გვ. 254).

ესე იგი, რადგან არა ჰსუფევს საიქიო ცხოვრება, რომელიც პირველყოფილ სარწმუნოებათ წარმოდგენილი ჰქონდათ საკმაოდ აშკარად და სანუგეშოდ, ფილოსოფიამ სხვა ვერა ჰნახა რა გარდა ბუნების აუცილებელ კანონთა დამორ-

[1]) წერილი XX-ს, თხზულებათა I ტ. ფრანგ. თარგმ. გვ. 253

ჩილებისა და დაკმაყოფილდა რაღაც საზოგადო და დაუსრულებელ დასაბამისადმი დაბრუნების დაპირებით.

სტოიკოსების იდეები, განსაკუთრებით იმ სახით, რომელიც მათ მისცა სენაკამ, ჰპოულობენ მხურვალესა და მჭევრმეტყველ მომხრეთ მარკოზ ავრელიუსს, რომლის „მსჯელობანიც“ ესოდენ ცნობილნი და ფასდადებულნი არიან ყველასაგან.

ამ თხზულებაში ის ხშირად ეხება სიკვდილის ამოცანას აგრედვე, როგორც იმ მდგომარეობას, რომელიც უნდა მიიღოს ადამიანმა სიკვდილის შესახებ. ამიტომაც ამ თხზულებას ჩვენთვის განსაკუთრებული ინტერესი აქვს. „სიკვდილიო, — ამბობს ავრელიუსი, — როგორც დაბადება, — ბუნების საიდუმლოება არისო.“ ეს არის ერთი და იგივე ელემენტი, რომელიც ერთის მხრივ ერთდება და მეორეს მხრივ იხრწნება ერთსა და იმავე დასაწყისად. გონიერ არსებისა და ჩვენის აგებულობის გეგმისათვის სიკვდილში არა არის რა საზიზღარი“ (წიგნი IV, 5). სიკვდილის ამგვარ ცნებას ემჩნევა ურწმუნოება. „იქნება ის განფანტვა, თუ გახრწნა ატომებათ ანუ გაქრობა, ეს არის ჩაქრობა ანუ გადაცვლა.“ (VII, 32). „ალექსანდრე მაკედონელი და მისი მეჯინიბე სიკვდილის შემდეგ ერთ რამეს წარმოადგენდნენ: ან დაუბრუნდნენ ერთსა და იმავე საზოგადო მსოფლიო დასაბამს ან არა და ორივე განიფანტა ატომებათ.“ (VI, 24).

მიუხედავად თვისის მკაცრად გამოთქმულ დეიზმისა, მარკოზ ავრელიუსი ფრიად ყოყმანობს სულის უკვდავების საკითხში. „თუ სული არ ჰქრება, — ეკითხება ის თვის თავს, — როგორ იტევს მას დაუსაბამო დროიდამ ჰაერი?“ (IV, 20).

„გახსოვდესო, — მოგვითხრობს იგი მეორე ადგილას, — რომ შენი არსება, ეს სუსტი შემადგენლობა, უნდა როდესმე განიბნესო; ეს სუსტი სიცოცხლის დასაბამი უნდა გაჰქრეს, ან არა და გადვიდეს სხვა სფეროში და მიიღოს თვისი დანიშნულება სხვა ალაგას.“ (VIII, 25). ადვილი გასაგებია, რომ

ამგვარ ყოყმანში ძნელია კაცმა თავი ინუგეშოს შოპენჰაერ ცხოვრების პერსპექტივით. ამიტომაც უნდა სხვა რამ მოიძებნოს ამ რწმენის მაგიერ, რომელიც ესოდენ ხანგრძლივ აკმაყოფილებდა საბრალო კაცობრიობას.

მარკოზ ავრელიუსი სიკვდილობს შეებრძოლოს სიკვდილის შიშს ამ მოსაზრებით: „სიკვდილის შიში იგივეა, რაც გრძნობის შიში, ანუ სრული უგრძნობლობა, ანუ რაიმე სხვაგვარი გრძნობა. ხოლო, თუ მოკლებული ხარ გრძნობას, მაშინ ვერას ცუდს ვეღარ იგრძნობ; თუ სხვაფრივ იგრძნობ, მაშინ სხვა არსება იქნები და მუდამ იცხოვრებ“ (VIII, 58).

ხოლო ჰგრძნობს რა, რომ ასეთი არგუმენტაციით ვერავის დააჯერებ, მარკოზ ავრელიუსი ჰლამობს სიკვდილის ამოცანა დაუკავშიროს ადამიანის ყოფაქცევის საზოგადო დასაბამს.

როგორც მოხსენებული გვქონდა პირველს თავში, მარკოზ ავრელიუსი, როგორც მრავალი ძველ მოაზრეთაგანი, იმ აზრს ადგა, რომ ადამიანი უნდა სცხოვრობდეს თანახმად თვისის ბუნების კანონებისაო. ამ აზრს ავრელიუსი ანვითარებს თვის თხზულების მრავალს ნაწილში. „ლეღვის ხე უნდა მოიქცეს ისე, როგორც მას შეეფერება, ძაღლი, როგორც ძაღლს შეეფერება, ფუტკარი, როგორც ფუტკარსა და კაცი, როგორც კაცს“ (X, 8). უფრო გარკვევით ამ აზრს გამოსთქვამს შემდეგ ალაგას: „უნდა თანახმად შენის ბუნებისა იცხოვრო“ (VII, 56). „არავინ გიშლის იცხოვრო ბუნების კანონის თანახმად; შენ არა მოგივა რა ისეთი, რაც ეწინააღმდეგება საზოგადო მსოფლიო კანონს“. (VI, 58). „ვიდრე ხელი ხელობს და ფეხი ფეხობს, ეს არაა ბუნების წინააღმდეგი შრომა მათთვის. აგრეა ადამიანიც: მისი მოქმედება როდია ბუნების წინააღმდეგი, თუ ის მხოლოდ ადამიანურად მოქმედობს, და თუ ეს მოქმედება არაა ბუნების წინააღმდეგი, მაშასადამე, არც მავნებელია მისთვის“. (XII, 33).

ამ პრინციპით აღჭურვილი, მარკოზ ავრელიუსი აგრევე

მსჯელობს სიკვდილის შესახებაც. რადგანაც სიკვდილი ბუნებრივი მოვლენაა, მაშ აღარც უნდა ვჩივოდეთ. ბუნებამ შეჰქმნა და მანვე გასწყვიტა კავშირი. გასწყვიტა? მაშ გამოვეთხოვოთ, როგორც ვეთხოვებით მეგობრებს, ხოლო გულგაუხეთქავად, ვიდრე ძალად არ წაგვათრევენ. ესეც ერთი რამ ბუნების ვითარებათაგანია". (X, 36). მარკოზ ავრელიუსის აზრით, „ფილოსოფია ის არის, რომ უნდა წყნარად მოელოდე სიკვდილს და ჰხედვიდე მასში მხოლოდ ელემენტთა გახრწნას, რომელთაგანაც არის შემდგარი ყოველი სხეული. თუ თვით ელემენტები არა ჰპოვობენ არავითარ ბოროტებას თვის მუდამ ერთი მეორეში გადასვლაში, რად უნდა ვნაღვლობდეთ საყოველთაო ცვალებადობასა და გახრწნას? ეს ხომ ბუნებას ეთანახმება? რაც ბუნებას ეთანხმება, ის ცუდი არ არის" (II, 17).

რადგანაც სიკვდილი ბუნების თანახმა მოვლენაა, იძულებულნი ვართ ქედი მოვიხაროთ მის წინაშე. „ნუ გეზიზღება სიკვდილი, —ბრძანებს მარკოზ ავრელიუსი,—ხოლო შეხვდი თავდაბლად, როგორც ერთს მოვლენათაგანს, რომელიც შეესაბამება ბუნებას. რა არის გადასვლა სიყრმიდამ სიჭაბუკეში, და სიბერე, და ზრდა, და ადამიანის სიმწიფე? რა არის კბილების, წვერებისა და ჭალარა თმის ზრდა? რა არის ჩასახვა, ორსულობა, დაბადება და სხვა ყოველგვარი ბუნების მოქმედება, რომელიც სიცოცხლის სხვა და სხვა ხანებში თავს იჩენს ხოლმე? ძალა, რომელიც ჩვენა გვხრწის, არაფრით განსხვავდება ყველა ამგვართაგან. ამიტომაც ბრძენს არ უნდა ეშინოდეს სიკვდილის, არ უნდა სძაგდეს და არ სძულდეს სიკვდილი, არამედ მოელოდეს მას, როგორც ბუნების ერთერთ ფუნქციას". (IX, 3).

მაშასადამე, ამ ფილოსოფიიდამ ხელში გვრჩება მხოლოდ ერთი: ქედის მოხრა. ხოლო სიკვდილს უნდა ვურიგდებოდეთ, არა თუ მაშინ, როცა ის გვეწვევა ხანგრძლივ სიცოცხლის შემდეგ, არამედ რაჟამსაც უნდა გვეწვიოს.

„იმას, ვინაც ჰკვდება სიცოცხლის უკიდურეს საზღვრამდე მიღწეული, არავითარი უპირატესობა არ მიუძღვის უდროოდ გადაცვალებულთა წინაშეო“, —მოგვითხრობს ავრელიუსი, (IX, 33). „სულერთია, ასის თუ სამასი წლის განმავლობაში უცქერ შენს ირგვლივ მყოფს“. (X, 37).

მარკოზ ავრელიუსის ქედის მოხრის ფილოსოფიას **რენანი** [1]) ადარებს ბუდდელთა ნირვანას. „როგორც **იესომ, საკია-მუნიმ, სოკრატმა, ფრანცისკ ასიზელმა** და სამმა თუ ორმა სხვა ბრძენთაგანმა, **მარკოზ ავრელიუსმაც** დასთრგუნა სიკვდილი. მას შეეძლო მოღიმარის სახით ეცქირნა სიკვდილისათვის, რადგან სიკვდილის მნიშვნელობა გაქარწულებული იყო მისთვის.“

ხოლო, როგორც ბუდდას იდეები გადიქცნენ სარწმუნოებად, რომელიც ჰპირდებოდა სულის უკვდავებას და როგორც ნირვანნამ დაუთმო ადგილი „დასავლეთის სამოთხეს“ ყოველგვარის განცხრომით, აგრეთვე ძველი ფილოსოფიის ქედმოხრილ სკეპტიციზმსაც უნდა გზა დაეთმო ქრისტეანობისათვის თვისის სამოთხისა და უკვდავების დაპირებით,

ამიტომაც საუკუნეების განმავლობაში ფილოსოფია იღრჩობოდა სარწმუნოებრივ გრძნობათა და იდეათა ტალღებში და საჭირო შეიქნა სიზიფის მუშაობა ადამიანის გონების განსათავისუფლებლად. აქ არ არის საჭირო კვალ და კვალ მივდიოთ ამ აღორძინების ეტაპებს, მით უმეტეს, რომ ისინი უმნიშვნელონი არიან. ფილოსოფური სისტემები დიდი ხნის განმავლობაში ვარჯიშობდნენ სარწმუნოებრივ დოგმატების განყენებულის საბუთებით გამართლებისათვის გარეშე ღვთაებრივის აღთქმისა. ამ შემთხვევაში ღმერთების მაგიერ წამოაყენებდნენ ხოლმე „სუბსტანციას“ ანუ „სუბსტანციებს“ და სიკვდილის სახიფათო და საუკუნო საკითხის დასამტკიცებლად ჰლამობდნენ უკვდავების დამტკიცებას.

---

[1]) Origines du Christianisme. „ტ. VII, პარიზი 1879 წ.

ამ ხანის ფილოსოფოსნი ადამიანის გონების ისტორიაში უმთავრეს სარწმუნოებრივ დოღმატებს ღებულობდნენ, რომელნიც უეჭველ დებულებებს. **პლატონის** აზრით, სულის უკვდავება არის თავისთავად აშკარა ჭეშმარიტება, რომელსაც არავითარი დამტკიცება არ ესაჭიროება. ის წინააღუდგა სხეულის აღდგომის ცნებას, ხოლო აღიარებდა სულის გადასახლებას.

სპინოზას [2]), თუნდა აღარა სწამდა სულის უკვდავება ამ სიტყვის ჩვეულებრივი აზრით, მაგრამ აღიარებდა არისტოტელის იდეას, რომლის აზრითაც „ადამიანის ხორცთან ერთად გონების მოსპობა შეუძლებელია; მას გადარჩება რაღაც სამარადისო.“ სპინოზას აზრით, სიკვდილი არის ერთგვარი საპარადისო სიცოცხლე აბსოლიუტურ დასაბამთან დაკავშირებული, ერთადერთსა და უკვდავ ნივთიერებასთან დაბრუნება.

ფილოსოფოსები ყოველსავე ღონეს ჰღონობენ ადამიანის ცოდნის ძირითადის დასაბამის შესწავლის დროს, რათა გამოსძებნონ ისეთი დებულებანი, რომელთა მეოხებით შესაძლო იყო მთავარ სარწმუნოებრივ დოღმატთა დადასტურება. მიუხედავათ თვისის სკეპტიციზმისა, **კანტი** სცდილობს დაადასტუროს ადამიანის შემეცნების სინამდვილე და მაზედ დაამყაროს მომავალ ცხოვრებისა და ღმერთის არსებობის რწმენა.

ფიხტეც ამ გზით მიდის, ხოლო იძულებულია აღიაროს, რომ „ბუნებრივის ვითარებით უკვდავების აღსნა შეუძლებელიაო,“ რომ იგი „ზებუნებრივიაო.“ თუ „ჩვენ არ ძალვიძს შევიგნოთ შესაძლებლობა სამარადისო სიცოცხლისა, ეს ხელს არ უშლის მის არსებობას, რადგან ის იმყოფება ყოფლისავე ბუნებრივის ზევითო.“ **ჰეგელი** პანტეისტურ შეხედულებას ემხრობა და ჰფიქრობს, რომ სულს შთანთქავს „აბსოლიუტური არსი.“

ამ უკიდურესობამდე მიღწეულმა იდიალისტურმა სისტე-

---

[2]) „Этика,“ 23 положеніе.

მებმა გამოიწვიეს დიდი რეაქცია და ისეთ დებულებათა უარ-ყოფა, რომელნიც დაფუძნებულნი იყვნენ მხოლოდ მარტივის გონების დასკვნებზედ. მათი ადგილი დაიჭირა დოღმიტურმა მატერიალიზმმა, რომელმაც თავის მხრივ გზა დაუთმო სკეპტიკურ პოზიტივიზმს, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, ერთგვარ აგნოსტიციზმს.

ამ ვითარებაში, რადგან შეუძლებელი შეიქმნა სულის უკვდავებისა და მომავალის ცხოვრების იდეათა მხარის დაჭერა რომლისამე სახით, სიკვდილის ფილოსოფია სტოიკოსების შემეცნებას დაადგა, მიიღო მათი მიზანშეწონილობა და ჰარმონია თანახმად ბუნების კანონებისა და მათი სრული მორჩილებაც ალიარა. ამიტომაც ადამიანის სიბრძნის უკანასკნელ სიტყვათ შეიქმნა სრული და მთელი მორჩილობა.

ადვილი გასაგებია, რომ ზოგიერთ დამოუკიდებელის და თამამ ჭკუის პატრონთ არ შეეძლოთ ქედი მოეხარათ ასეთის გადაწყვეტილების წინაშე და სცდილობდნენ მოეძებნათ ამ მთელის კაცობრიობისათვის საგულისხმიერო ამოცანის გადაწყვეტა. აქედამ წარმომდინარეობს სკეპტიციზმი, ფილოსოფური მოძღვრება, რომელსაც ესოდენ მომხრენი ჰყავდა წარსულს საუკუნეში და რომელსაც შეპყრობილი ჰყავს დღესაც ბევრი თანამედროვე მოაზრე.

როგორც სულის უკვდავების რწმენა და ადამიანისათვის ყოველგვარ საშიშარ უბედურობის წინაშე მორჩილობის იდეა, აგრეთვე პესსიმისტური სოფლმხედველობაც ეკზოტიური წარმონაშობაი. მათი აკვანი უთუოდ ინდოეთია. უკვე ბრამინიზმსაც ემჩნევა პესსიმისტური შეხედულობა ადამიანის ცხოვრებაზედ; ხოლო ის აზრი, რომ ყოველივე ამ ქვეყნად ცუდია, უმთავრესად განავითარა ბუდდას მოძღვრებამ. „სიცოცხლე მუდმივი ტანჯვაა; ასეთია დაუშრეტელი თემა, რომელსაც განუწყვეტლივ გვაწვდიან ბუდდისტური თხზულებები ხან ფილოსოფურ მსჯელობათა და ხან პოეტურ წარმონათქვამთა სახით.“ (Oldenberg, l.c. გვ. 215).

პესიმისტური სოფლმხედველობა ესოდენ განვითარებულ გრძნობიერობის მეოხებით პოეტებმა შემოიღეს ევროპაში. მე-XIX საუკუნის თვით დასაწყისში ეს სევდიანი კილო ისმის **ბაირონის** შემოქმედებაში; ის ფრიად გარკვეულად ჰსახავს სიცოცხლის დაფასებას, როგორც სჩანს ამ სტრიქონებში [1]: ,,დაითვალეთ თქვენ მიერ განვლილნი ბედნიერების წამნი, დაითვალეთ უტანჯველად გატარებულნი დღენი და იცოდეთ, ვინც უნდა იყვნეთ, რომ მეტად უკეთესია—არყოფნა.'' ეს აზრი უფრო გამორკვეულია ზოგიერთ სხვა ლექსში, მაგალითად შემდეგში:

,,სიცოცხლე ჩვენი თვისის არსებით ცრუ არის. მსოფლიოსთან ის არაა ჰარმონიულად შეკავშირებული; მკაცრი კანონი—სიცოცხლე წაურეცხელად წამწყდარია ცოდვით. ეს უსაზღვრო უპასი, ხე, რომლისაგანაც ყოველივე სჭკნება! მიწაა მისი ძირი, ფოთოლი და შტოები ზეცა არის, რომელიც ცვარად აპკურებს ადამიანს სენს, სიკვდილს, მონობას—ყოველსავე ხილულს ავსა დი მით უარეს უხილავსაც, რომელიც განუკურნავ გულშია, რომელიც სტანჯავს გულს და მუდამ ანახლებს მის ტანჯვას.

მე-VI თავში დავინახეთ, რომ სიკვდილის შიში მოსვენებას არ აძლევდა **ბაირონს,** ამიტომაც კარგად ესმოდა ამ გრძნობის ინსტიქტური ხასიათი. ხოლო იმას, როგორც დანარჩენ პოეტ—პესსიმისტებს (ლეოპარდი), არ გამოუსახავს თვისი სოფლმხედველობა მრთელის სისტემის სახით. ეს ნაკლი შეავსეს ფილოსოფოსებმა.

მე-XIX საუკუნის პირველ ნახევრის დასაწყისში **შოპენჰაუერი** შეეცადა ინდოეთის სარწმუნოებანი და პოეტების პესსიმისტური იდეები წარმოედგინა რაციონალურ ფილოსოფიის სახით. ის ისეთს სოფლმხედველობას არკვევს, რომლის აზრითაც ,,სიცოცხლე არის ისეთი რამ, რომელიც უკეთესი იქნებოდა სულაც არ ყოფილიყო,'' როგორც ერთგვარი შე-

[1]) Байронъ Полное собраніе сочиненій, ,,Эутаназія.''

ცდომა, რომლისგანაც ,,უნდა დავიცვათ თავი მისი შემეცნების მეოხებით'' [1]) **შოპენჰაურის** აზრით, ჩვენი არსებობა არის შეცდომა და დანაშაულის სურვილის შედეგი; ,,რომ წარმოვიდგინოთ, რამდენადაც შესაძლებელია, აურაცხელი უბედურება, წვალება და ყოველგვარი ტანჯვანი, რომელთაც აშუქებს მზე დღის განმავლობაში, ცხადათ დავინახავთ, რომ უკეთესი იქნებოდა ისევ ნაკლებად წარმოეშვა დედამიწაზე სიცოცხლის მოვლინებანი, როგორც მთვარეზე, და უკეთესიც იქნებოდა, რომ დედამიწის სივრცეც ისე გაყინული ყოფილიყო, როგორც მთვარის სივრცე არის. სიცოცხლეს შეიძლება ისე ვუყუროთ, როგორც ეპიზოდს, რომელიც გვიფშოთებს არყოფნის წყნარ ნეტარებას და რომელსაც აქვს აუარებელ სიცრუის ხასიათი. (ib., გვ. 253).

არსებობის ეს სევდიანი სურათი არის კოსმიური პროცესის შედეგი, რომელმაც შექმნა ესოდენ უბედურებანი და რომელიც მიუახლოვდა კაცობრიობას, რათა საკმაოდ ეგრძნო და დაეფასებინა ყოველი სიავე ამ ქვეყნისა. დაბალი არსებანი უფრო ბედნიერნი არიან ადამიანზე, რადგან მათი გრძნობანი ნაკლებ განვითარებულნი არიან და ვერა ჰგრძნობენ თვის არსებობის ცუდ მხარეს. ადამიანი სიამოვნებას აფასებს, როგორც რამ უარყოფითს იმ დროს, როცა ტანჯვა—წვალება გვაგრძნობინებს სრულიად დადებითად. ადამიანს აქვს მინიჭებული განხილვის ნიჭი, რაიც ტანჯვა-ვაებას უფრო აუტანელად ჰხდის მისთვის. ,,ამის მეოხებით ტანჯვის განცდა მატულობს ადამიანისთვის უჩქარესად, ვადრე სიამოვნების განცდა და მატულობს სრულებით განკერძოებულის სახით სიკვდილის რეალურად წარმოდგენის გამო. ცხოველს მთლოდ ინსტინქტურად ეშინია სიკვდილის, არ ძალუძს რამდვილად წარმოიდგინოს, შეხედოს მას თვალით, როგორც იგი მუდამ თვალწინ უდგია ადამიანს.'' (ib. გვ. 251).

შოპენჰაუერი დარწმუნებულია, რომ შეუძლებელია ბედ-

[1]) Parerga und Paralipomena, ტ. II, გვ. 267.

ნიერება შეადგენდეს ადამიანის სიცოცხლის მიზანს. ,,არის მხოლოდ ერთი დამღუპველი შეცდომა, — მოგვითხრობს ის თვის მთავარს თხზულებაში [1])— ეს არის ის წარმოდგენა, თითქო ჩვენ აქა ვართ ბედნიერებისათვის''. ,,ვიდრე ამ შეცდომაში ვიმყოფებით, რომელსაც უფრო აზვიადებენ ოპტიმისტური მოძღვრებანი, მსოფლიო წარმოგვიდგება წინააღმდეგობათა წყაროთ". ,,უფრო მართებული იქნებოდა ჩვენი სიცოცხლის მიზნათ დაგვესახა ჩვენი ტანჯვანი და არა ბედნიერება''. ,,ადამიანის მთელი არსებობა ცხადჰყოფს, რომ ტანჯვაა მისი ნამდვილი ხვედრი. სიცოცხლე ჩაძირულია ტანჯვის მორევში და განთავისუფლების ხსნა არსით არის. ჩვენი ქვეყნად გაჩენა ტირილით იწყება; სიცოცხლის მიმდინარეობა არსებითად მუდამ ტრაღიკულია და დასასრული ზომ მით უმეტეს. შეუძლებელია ყოველსავე ამაში უარვჰყოთ ბედისწერის ბეჭედი''. ,,სიკვდილს უნდა ვგულისხმობდეთ, როგორც სიცოცხლის უმთავრეს მიზანს: ის მოვა თუ არა, გადასწყდება ყოველივე, რაც სიცოცხლის განმავლობაში მზადდებოდა".

სიკვდილის განჭვრეტა და მოლოდინი შესაძლებელია მხოლოდ ადამიანისთვის და არა ცხოველთათვის, რადგან ამისათვის საჭიროა გონება; ,,მხოლოდ და მარტო კაცობრიობის საფეხურზე შეუძლია ნებაყოფლობას უარჰყოს და ზურგი შეაქციოს სიკვდილს''. (id., გვ. 730).

და მერე სად არის ყველა ამ უთანხმოებათა გადასაწყვეტი საშუალება იმ კოსმიურ პროცესსის აღსნისა, რომელსაც ერთი მხრივ მიჰყავს კაცი სიკვდილისაკენ და მეორე მხრივ ანვითარებს ჭკუა-გონებას ამ აუცილებელ აღსასრულის წინაგანჭვრეტისათვის და მის წინაშე შიშისათვის? ნუ თუ იგი არის სულის უკვდავება, ესე იგი ის დასკვნა, რომელსაც მხარს უჭერენ, არა თუ თითქმის ყველა სარწმუნოებანი, არამედ აგრეთვე მრავალი ფილოსოფური სისტემებიც?

[1]) „Die Welt als Wille und Vorstelluug". ტ. II, გვ. 726.

შოპენჰაუერი დიდ ადგილს უთმობს ამ საგანს. ის არ ემხრობა არც ხორცის აღდგომის იდეას და არც გონიერის სულის უკვდავებას. ,,როგორც ადამიანს არა აქვს არავითარი მოგონება თვისის არსებობისა დაბადებამდე, აგრედვე სიკვდილის შემდეგაც შეუძლებელია იქონიოს მეხსიერება დღევანდელ სიცოცხლის შესახებ''-ო. (l. c., გვ. 559). ,,ვისაც ადამიანის დაბადება მიაჩნია მის არსებობის ნამდვილ დასაბამათ, ის იძულებულია სიკვდილი მიიჩნიოს მის დასაბოლოებელ საზღვრად, რადგან ორივე ეს მოვლენა ერთმნიშვნელოვანია. მაშასადამე, არვის შეუძლია ჩასთვალოს თავი თვისი უკვდავათ სხვაფრივ, თუ ის თავის თავს არ ჩასთვლის დაუბადებლად. თვისის არსებითა და მნიშვნელობით სიკვდილი იგივეა, რაც დაბადება. ეს იგივე სწორი ხაზია, რომელიც გაყვანილია ორის მიმართულებით. თუ მართლაც დაბადება წარმოსდგება არყოფნისაგან, სიკვდილიც უნდა იყოს ნამდვილი გაქრობა''. (id., გვ. 555).

მაშასადამე, პირადი უკვდავება არაა. ხოლო შოპენჰაუერის აზრით, არც კი უნდა ვისურვოთ უკვდავება, რადგანაც ეს იქნებოდა ,,შეცდომის გამარადისობა, რადგან არსებითად ყოველივე პიროვნება წარმოადგენს შეცდომას, შემცდარ ნაბიჯს, ისეთს რამეს, რომელიც უკეთესი იქნებოდა, რომ არ ყოფილიყო, ანუ ისეთს რამეს, რომლისაგან განთავისუფლებაც იქნებოდა სიცოცხლის ჭეშმარიტ მიზნად''. (id., გვ. 561).

ხოლო, თუ ადამიანი მომაკვდავი ,,ყოველს შემთხვევაში სიკვდილს ვერ ძალუძს წაიღოს იმაზე მეტი, რაც მოუცია დაბადებას, ესე იგი ის დასაბამი, რომლის მეოხებითაც დაბადება შესაძლო შეიქნა''. (გვ. 564). გონება ჰქრება სიკვდილისთანავე, ხოლო ამ გონების შემქნელი მიზეზი ,,სიცოცხლობს; სიცოცხლე ჰქრება და არა სიცოცხლის პრინციპი, რომელიც მასში გამოსჭვივის''. (გვ. 566).

რა არის ეს მარადისი პრინციპი? ეს არის სახის ან

გვარის იდეა. ადამიანები და ძაღლები, როგორც პიროვნებანი— ინდივიდუმნი,—აღრე კვდებიან, ხოლო ადამიანთა ანუ ძაღლთა გვარი, შემეცნება ადამიანზე ანუ ძაღლზე რჩება სამუდამოდ. აქ შოპენჰაუერი უბრუნდება სპინოზას წინააღმდეგობას, რომელიც აგრეთვე უარჰყოფდა სულის უკვდავებას, მაგრამ ამის მიუხედავად აღიარებდა სიცოცხლის დასაბამთა მარადისობას. შოპენჰაუერის ფიქრით, ეს მარადისი დასაბამი არის ნებაყოფლობა თვის ზოგად და მეტაფიზიკურის გაგებით; პირიქით, მომაკვდავი სული არის ჭკუა, ტვინის საქმიანობის ნაყოფი.

მარადისი სიცოცხლის დასაბამი არის ერთი რამ სრულიად გამოურკვეველი, რადგან ჩვენ არ ძალგვიძს გადავლახოთ გონების საზღვარნი. ამიტომაც იმ საკითხის გადაჭრა, თუ რას წარმოადგენს ეს დასაბამი... შეუძლებელია''. (გვ. 566).

თვით შოპენჰაუერი გამოტეხილია, რომ საკითხის ამგვარ გადაჭრას არ შეუძლია დაამშვიდოს ის, ვისაც ჰსურს იქონიოს რწმენა სულის უკვდავებისა. ,,ხოლო,—განაგრძობს ის, —ეს მაინც არის ერთი რაიმე, ასე რომ ვისაც სულის გაქრობის შიში აქვს, არ უნდა შეაქციოს ზურგი სრულს სინამდვილეს სიცოცხლის მეტად ფარულის პრინციპის მუდმივ არსებობისას'' (გვ. 537).

მეორეს მხრივ არ უნდა ვივიწყებდეთ, რომ ბუნება ენუკვება მხოლოდ სახის დაცვას; პიროვნება მას არ ეხალისება, ჩვენ კი ვართ ბუნების ნაწილაკი და, მაშასადამე, ვალდებულნი უნდა ვიყვნეთ გავიზიაროთ მისი მისწრაფება. ,,ჩვენ რომ უფრო ღრმა თვალსაზრისზე დადგომას მოვისურვებდეთ, უნდა შევთანხმებოდით ბუნებას და შეგვეხედნა სიკვდილ—სიცოცხლისათვის გულგრილად.'' (გვ. 540).

შოპენჰაუერი ჰგრძნობს თვის შეხედულობათა და დასკვნათა უკმარისობას. მიაღწევს რა მწვერვალს თვისის მოძღვრებისას, გამოტეხილად ამბობს, ,,რომ ამ მოძღვრებას აქვს უარყოფითი ხასიათი და მიჰყავს ადამიანი უარყოფობისაკენ. მას შეუძლია იბაასოს მხოლოდ იმის შესახებ, რაც უარჰყოფს

და რაც უნდა განდევნილიყოს; ხოლო ის იძულებულია აღიაროს არარად ყოველივე ის, რაც მის ზემორე ხდება. ამ მოძღვრებას შეუძლია გვანუგეშოს მით, რომ ის მსჯელობს შედარებითსა და არა აბსოლიუტურს არყოფნის შესახებ''. (გვ. 700).

საბოლოო მიზნად გვრჩება ,,სიცოცხლის ნებაყოფლობის უარყოფა, რადგან უბედურებანი და ტანჯვანი,— ეს ნამდვილი დანიშნულება ადამიანის სიცოცხლისა,—გვაიძულებენ მორჩილებას''. (გვ. 694).

რადგანაც ჩვენი არსებობა არის უბედურობათა წყობა და რადგან, შოპენჰაუერის ფიქრით, ნამდვილი ფილოსოფია სწორეთ ამ დასკვნას ადგია, ცხადია, რომ პიროვნების აღსასრული ანუ სიკვდილი უნდა მხოლოდ სასიამოვნო იყოს. ,,საზოგადოდ კეთილმყოფელ ადამიანის სიკვდილი ჩვეულებრივ წყნარი და ჩუმია. ხოლო თავისუფლად, სიამოვნებითა და სიხარულით სიკვდილი ისეთი ადამიანის პრივილეგია არის, რომელიც მორჩილობის გზას დასდგომია და სიცოცხლის ნებაყოფლობისთვის უარი უთქვამს, რადგან მას დიაღაც უნდა მოჰკვდეს და არა მოსაჩვენებლად, თვისი პიროვნების განცდის მოუსურვებლადა და მოუთხოვნელად. ასეთი ადამიანი სიამოვნებით ეთხოვება ამ სოფელს. ჩვენის აზრით, მისგან არა რა რჩება, რადგან ჩვენი სიცოცხლე მის სიცოცხლესთან შედარებით აგრედვე არა რა არის. ბუდდის სარწმუნოება ნირვანნად ანუ არყოფნად უწოდებს ისეთს შედეგს, რომელსაც აღწევს სიცოცხლის ნებაყოფლობის უარმყოფელი ადამიანი''. (გვ. 581).

მთელის **შოპენჰაუერის** ამ პესსიმისტურის მოძღვრების მიხედვით შეიძლებოდა ეფიქრნა კაცს, რომ საუკეთესო საშუალებად სიკვდილ-სიცოცხლის ამოცანის გადასაწყვეტად უნდა ჩაითვალოს ,,სიცოცხლის ნებაყოფლობის უარყოფა და თავის მოკვლა. ხოლო ფილოსოფოსი ასე არ ჰფიქრობს. არც იმათ ემხრობა, რომელთაც თავისმოკვლა დანაშაულად

მიაჩნიათ. (Parerga, ტ. II, გვ. 258). იმის აზრით, ეს არარის საკითხის ნამდვილი გადაჭრა.'' თავის მკვლელი უარჰყოფს პიროვნებას და არა სახეს. ,,თავისმკვლელობა არის კერძო მოვლენის თავისუფალი მოსპობა, ხოლო ეს სრულიადაც არ ეხება საქმის ვითარებას'' (,,Die Welt als Wille'', ტ. II, გვ. 472).

რადგანაც დარწმუნებული იყო, რომ თავისკვლა არ არის საკითხის რიგიანი გადამჭრელი საშუალება, **შოპენჰაუერი** ძლიერ აფასებდა სიცოცხლეს. სულის უკვდავება აღარა სწამდა, კმაყოფილდებოდა რაღაც საზოგადო, ხოლო სიცოცხლის შეუგნებელ პრინციპის მარადისობის იდეით და ჰფიქრობდა, რომ მორჩილობასა და არყოფნისაკენ მისწრაფებას შეუძლია ნამდვილად ანუგეშოს ადამიანი ყოველგვარ უბედურობის დროსაო.

შოპენჰაუერის იდეები დიდის ხნის განმავლობაში ვერ ჰპოულობდა მეაზროვნეთა საზოგადო აზრის თანაგრძნობას. ხოლო შემდეგ თანდათან გავრცელდა და ფილოსოფური პესსიმიზმი მოდათ შემოიღეს.

ვისაც შოპენჰაუერის ფილოსოფიის მეტაფიზიკური საბუთებისა არა სჯეროდა რა, ფრიად სამართლიანად მიაჩნდა მისი ადამიანის მდგომარეობის კრიტიკა და მისი აზრი ადამიანის ბედნიერების შეუძლებლობის შესახებ.

შოპენჰაუერის მთავარი შრომის („Die Welt"...) გამოქვეყნების სწორედ ნახევარის საუკუნის თავზედ მეორე გერმანელი ფილოსოფოსი **ედუარდ ჰარტმანი** შეეცადა ახალი ნაბიჯის იმ მიმართულებითვე გადადგმას. ის არ იზიარებს შოპენჰაუერის მთელს მეტაფიზიკას, ხოლო იზიარებს მის აზრს იმის შესახებ, რომ შეუძლებელია სიცოცხლის ნამდვილი მიზანი ბედნიერება იყოსო. ამის დასამტკიცებლად ის განიხილავს ილლუზიათა სამ ხანას, რომელნიც განვლო კაცობრიობამ.

პირველის განმავლობაში ჰფიქრობდნენ, რომ ბედნიერების მიღწევა შესაძლებელია ამქვეყნადვეო. ხოლო ყოველივე,

რაც კი მიჩნეული იყო ბედნიერების წყაროდ: სიყმაწვილე, ტანმრთელობა, შიმშილის დაკმაყოფილება, ცოლ-ქმური და ოჯახური სიყვარული, სახელის მოხვეჭის სურვილი და სხვა, სასოწარკვეთილებასა ჰგვრიდა. განსაკუთრებულის სისასტიკით ჰკიცხავს ჰარტმანი სიყვარულს ამ სიტყვის ვიწრო აზრით. მას უეჭველად მიაჩნია, რომ „სიყვარული ჰგვრის ადამიანს მეტს ტანჯვას, ვიდრე სიამოვნებას“ (გვ. 560). „ამიტომაც, გონება უეჭველად უნდა გვიკარნახებდეს სიყვარულისაგან თავის დაჭერას“ და როგორც ამ მიზნის მისაღწევ საშუალებას—„სქესობრივ მიმზიდველობის განქარვებას, ესე იგი საჭურისობას, თუ ეს უკანასკნელი საშუალება მართლაც სპობს სქესობრივ მიმზიდველობას“ (გვ. 565). პირადის ბედნიერების თვალსაზრისის მიხედვით, ჰარტმანის აზრით, „ეს არის ერთად ერთი შესაძლო შედეგი“. ხოლო თუ ამ ბედნიერებას გასწირავს, ადამიანს შეეძლება სიყვარული, რათა შესაძლო ჰქმნას კოსმიური პროცესსის ევოლიუცია.

როცა კაცობრიობა დარწმუნდა, რომ ამ ქვეყნად შეუძლებელია ასეთის ბედნიერების მიღწევა, წარმოიდგინა, რომ ამ მიზნის განხორციელებას შესძლებს სიკვდილის შემდეგ, საიქიოს. ხოლო ეს იყო მეორე ხანა ილლიუზიისა, მომავალ საუკუნო ცხოვრების რწმენაზე დაფუძნებული.

უეჭველია, რომ ორგანიულ სხეულის პიროვნება აგრეთვე, როგორც გონებისა,—არის მხოლოდ მოჩვენება, რომელიც ჰქრება სიკვდილის შემდეგ...“ (გვ. 603), და მაშასადამე, ადვილი წარმოსადგენიაო,—დააბოლოვებს ჰარტმანი,—რომ სულის პირადი უკვდავების იმედი იგივე ილლიუზია არისო. ამით ძირი ეთხრება სარწმუნოებათა უმთავრეს საძირკველს, რადგან ადამიანი აფასებს მხოლოდ თვის ძვირფას მე-ს და არაფრად ეჭაშნიკება მომავალი ბედი, თუ თვით ვერ განიცდის და მოიხმარს მას (გვ. 606).

გაუცრუვდა თუ არა ამ ქვეყნად ბედნიერების მიღწევის იმედი, კაცობრიობას ეგებება მესამე ილლიუზია.

ყოველს შემთხვევაში დარწმუნებული, რომ მისი მიზანი არის ჭეშმარიტი ბედნიერება, კაცობრიობამ წარმოიდგინა, რომ იგი ბედნიერებას ეღირსება კოსმიურ პროცესის მომავალ დროში. ეს ჰიპოტეზა ემყარება მსოფლიოს პროგრესიულ განვითარების რწმენას.

ხოლო ესეც შეცთომაა. „რაც უნდა წინ წაიწიოს კაცობრიობამაო,—მოგვითხრობს ჰარტმანი,—ის ვერასოდეს ვეო შესძლებს არა თუ თავიდამ აცილებას, არამედ, შემცირებასაც იმ უმთავრეს უბედურებათა, რომელნიც არიან: ავადმყოფობა, სიბერე, ნებაყოფლობისაგან და სხვათა ბრძანებლობისაგან დამოკიდებულება, მათხოვრობა და უკმაყოფილობა. რაც უნდა წამლები გამოიგონონ ავადმყოფობის წინააღმდეგ, ავადმყოფობათა და განსაკუთრებით კი სატანჯავ ხანგრძლივ სენთა რიცხვი იმატებს მეტად, ვიდრე სამკურნალო მეცნიერების წინსვლა. მხიარული სიჭაბუკე მუდამ მცირედ ნაწილს წარმოუდგენს კაცობრიობას, იმ დროს, როცა დანარჩენი მისი სიცოცხლე იქნება გარემოცული დაღვრემილის სიბერით“ (გვ. 615).

იმ იდეას, თითქო ბედნიერებას კაცობრიობა მიაღწევს თვის პროგრესსის წინსვლის თანახმად, ჰარტამანი ამ სიტყვებით წინააღუდგება: „ყველა ტომთა შორის მეტად კმაყოფილნი არიან—მეტად ტლანქი და პირველყოფილნიო; კულტურულ ტომთა შორის კი-ნაკლებად განათლებულნიო. მტკიცედ არის დადასტურებული, რომ ხალხის განათლების წინსვლის თანახმად მატულობს უკმაყოფილებაცო“ (გვ. 616).

„თეორიულის თვალსაზრისით, მეცნიერების წინსვლა მხოლოდ ცოტად ან სულაც არ უწყობს ხელს ბედნიერებას. პრაქტიკულის თვალსაზრისით კი მეცნიერება ემსახურება პოლიტიკას, სოციალურს ცხოვრებას, ზნეობრიობასა და ტექნიკას.“ „ქარხნებს, გემებს, რკინის გზებსა და ტელეგრაფებს არა მიუციათ რა ჯერ-ჯერობით არსებითი ადამიანის ბედნიერებისათვის“ (გვ. 621).

ჰარტმანი რამდენჯერმე უბრუნდება იმ დასკვნას, რომ პირველყოფილნი ხალხნი მეტად ბედნიერნი არიან, ვიდრე განათლებულნიო, „რომ—ღარიბ—ღატაკნი და ტლანქი კლასები უფრო ბედნიერნი, ვიდრე მდიდარნი, კეთილშობილნი და განათლებულნიო, რომ ბრიყვი უფრო ბედნიერია, ვიდრე ჭკუიანი და საზოგადოდ არსება მით უფრო ბედნიერიაო, რაც ნაკლებად მგძნობიარეა მისი ნერვული სისტემაო, რადგან ამ ვითარებაში გადაჭარბება მწუხარებისა სიამოვნებაზე ბევრად ნაკლებია და ილლჟუზიის დაცვა კი მეტიო. რაც უფრო პროგრესულად ვითარდება ადამიანი, არა თუ მით უმეტეს მატულობს სიმდიდრე და მოთხოვნილებანი, არამედ მატულობს ნერვულ სისტემის მგრძნობიერობა და გონებრივი კულტურაო. ამიტომაც ცხადი ჰხდება აგრეთვე ტანჯვათა ზედმეტი განცდა სიამოვნებასთან შედარებით და ილლჟუზიათა დარღვევა, ესე იგი ცხოვრების უკულმართობათა, უმთავრეს განცხრომათა ამაოებისა და ტანჯვის გრძნობის შეგნებაო. ცდა გვარწმუნებს, რომ ტანჯვა იზრდება მის შეგნებასთან ერთად. მაშასადამე, ესოდენ ხშირად აღსარებული საერთო სიკეთის ზრდა, დაკავშირებული მსოფლიოს პროგრესთან, დამყარებულია სრულიად ზერელე წარმოდგენაზედაო (გვ. 624).

დაადგება რა ასეთ პესსიმისტურ დასკვნას, ესე იგი კაცობრიობის მიერ ბედნიერების მიღწევის შეუძლებლობას, **ჰარტმანი** ეკითხება თვის თავს, მაშ რა არის ადამიანის ნამდვილი დანიშნულება?-ო.

ჰარტამანი ხომ ფილოსოფოსიც არ იქნებოდა, **რომ** არა სწამდეს ქვეყნის საზოგადო გეგმაზე აშენება, რომ ქვეყანა ეთანაბრება განვითარების სწორ პროცესს და მიემართება გამოსახულ მიზნისაკენ. „ჩვენ დავრწმუნდითო,—მოგვითხრობს ჰარტამანი,—რომ ქვეყანაზე ყოველივე მოწყობილია მეტად ბრძნულადა და საუკეთესოდაო და ეს ქვეყანა უნდა ჩავთვალოთ ყოველგვარ ქვეყანათაგან საუკეთესოდაო. თუმცა ეს ასეა, მაგრამ საქმის მდგომარეობა შეუდარებლად უფრო

გაჭირვებული და ცუდია, ვიდრე, რომ ქვეყანა სულაც არ ყოფილიყო-ო.''

დარწმუნებული ყოველ თვის იმედთა ამაოებაში, ,,კაცობრიობა უარჰყოფს ყოველგვარ დადებით ბედნიერებას და ნატრულობს მხოლოდ ტანჯვათა სრულ მოსპობას, არყოფნას, ნირვანნას. ხოლო აქ რომელიმე კერძო პიროვნების მისწრაფებაზე კი არა გვაქს საუბარი, არამედ მთელის კაცობრიობისაზე, რომელსაც სწყურიან გაქრობა, არყოფნა, ეს არის მესამის და უკანასკნელ ილლუზიის ერთად ერთი წარმოსადგენი ბოლო'' (626).

რა საშუალებით შეიძლებოდა ამ შედეგების მიღწევა? თავისკვლა არ მიაჩნია ჰარტმანს კაცობრიობის ტანჯვათა მომსპობ საუკეთესო საშუალებად. ამ შემთხვევაში ის ეთანხმება შოპენჰაუერს და ჰფიქრობს, რომ ამ გზით არ შეიძლებოდა კოსმიურ პროცესსის საერთო მსვლელობის შეცვლაო. აგრეთვე არც განცხრომათა უარყოფით, ასკეტიზმით, არის შესაძლო ამოცანის გადაჭრა. არც თვით თავის მსგავსთა წარმოშობისაგან თავის დაჭერას შეუძლიან რა. ,,რას მოასწავებდაო,—გვეკითხება ჰარტმანი,—კაცობრიობის გაქრობა სქესობრივ თავდაჭერის მეოხებითაო? ეს საბრალო ქვეყანა მაინც იარსებებდა და გაუგებრობა მყისვე პირველის შემთხვევით ისარგებლებდა ახალის ადამიანის ანუ მისი მსგავსი ტიპის გასაჩენადო.'' (გვ. 636).

მაშასადამე, კაცობრიობის გაქრობა კი არ შეადგენს მის მიზანს, არამედ „სრული დათმობა პიროვნებისა კოსმიურ პროცესისათვის, რათა ამ პროცესმა მიაღწიოს თვის მიზანს —საყოველთაო მსოფლიო განთავისუფლებას“ (გვ. 636).

ამ ვითარებაში სიცოცხლის ალღო იმოსება თვისის უფლებებით, ასე რომ დროებით მხოლოდ ერთადერთი ჭეშმარიტება უნდა აღვიაროთ „სიცოცხლის ნებაყოფლობის დამყარება; მხოლოდ სიცოცხლისა და მის ტანჯვათა შეწყნა-

რებით და არა ფრთხალის უარყოფითა და გზის შეცვლით შეიძლება კოსმიურ პროცესის ხელის „შეწყობა“-ო (გვ. 638).

ჰარტმანის ამგვარი განაჩენი ადამიანის არსებობის ამოცანის შესახებ სრულებით ეთანახმება იმ სისტემათა წყობას, რომელიც გვიქადაგებს მორჩილებას. მას არ ძალუძს აგვიხსნას, რა აზრის ეს კოსმიური პროცესი, რომელსაც კაცობრიობამ ყოველგზით უნდა ხელი შეუწყოს. ის გვირჩევს ვიცოცხლოთ და განვმრავლდეთ, თუნდა ბედნიერებას ვერასოდეს ვერ მივაღწევთო, მაგრამ მაინც უნდა უარვჰყოთ და დაკმორჩილდეთო. ჰარტმანის განაჩენი თითქო უფრო გარკვეულია და უფრო აშკარა გეგმას იძლევა ადამიანის ყოფა ქცევის შესახებ, ვიდრე შოპენჰაუერის მისწრაფება ნირვანის სასუფევლისადმი. ხოლო თუ კარგად ჩაუკვირდებით, დავინახავთ, რომ ეს გარკვეულობა მხოლოდ გარეგნულია.

ადვილი გასაგებია, რომ ამ ვითარებაში პესიმისტების მოძღვრებათა უარყოფითმა ანუ კრიტიკულმა ნაწილმა იპოვა ბევრი მომხრე. პირიქით, მხოლოდ ცოტა მომხრე იპოვა პესიმისტთა იდეამ სიცოცხლის დუხჭირებათა და წინააღმდეგობათა საკითხის გადაწყვეტის მხრივ.

გერმანეთის ფილოსოფოსი **მაიენლენდერი** [1]) სავსებით იზიარებს შოპენჰაურის აზრს ადამიანის არსებობის დუხჭირებათა შესახებ, მხოლოდ ეწინააღმდეგება მის აზრს მორჩილების და ნირვანის შესახებ და ეს აზრი არ მიაჩნია სიცოცხლის საზოგადო ამოცანის გადამწყვეტად. **მაიენლენდერიც** იზიარებს **ჰარტამანის** მიერ წამოყენებულ კაცობრიობის ილლუზიათა სამ ხანას, ხოლო სასტიკად ეწინააღმდეგება კოსმიურ პროცესის ხელის შესაწყობად სიცოცხლის ნებაყოფლობას. „როგორ!—ჰკითხულობს ის,—თქვენ გვირჩევთ მივენდოთ საერთო მსოფლიო მიმდინარეობას და იმავე დროს გვიქადაგებთ: „აირჩიე ცხოვრების რაიმე გზა, შეისწავლე რამე ხელობა, მოიპოვე ფული, სიმდიდრე, სახელი, ძლიე-

[1]) „Die Philosophie der Erlösung.“ ტ. II.

რება, პიტივი და სხვა; ცოლი შეირთე, ჰშობე ბავშვები! ესე იგი, თქვენ საკუთარის ხელით აქარწულებთ თქვენის შრომის ერთადერთ ძვირფას მხარეს: ილლჟუზიათა ანალიზს. თქვენ ანაზდეულად ურჩევთ მას, რომელსაც გაუქვრეტია ყოველ ილლჟუზიათა აზრი, დაემორჩილოს მათ, თითქო ისეთი ილლჟუზია, რომელსაც მოჰხადეს საბურველი, სულ კიდევ ილლჟუზია იყოს და რაიმე მოქმედება შეეძლოს!" (ტ. II., გვ. 647).

სულ სხვაფრივ აქვს ეს წარმოდგენილი **მაიენლენდერს**. როგორც მისი წინამორბედნი, მაიენლენდერიც დარწმუნებულია ბედნიერების ამაოებაში და სრულიად თავისებურად აქვს წარმოდგენილი კოსმიური პროცესი. მისი აზრით, მსოფლიოს გაჩენამდე იყო რაღაც გამოურკვეველი ღვთაებაო, რომელმაც თვის გაქრობამდე „მისცა მსოფლიოს დასაბამი"-ო. ეს მსოფლიო შეიქმნა სრულის არყოფნის მიღწევის საშუალებათაო. „მსოფლიო,—ამბობს მაიენლენდერი,—არის არყოფნის ერთადერთი საშუალება. ღმერთმა მოისაზრა, რომ მხოლოდ რეალურის ქვეყნის განვითარების საშუალებით შეუძლია გადავიდეს არსებობიდამ არყოფნისაკენ." ყოველს შემთხვევაში **მაიენლენდერს** სრულიად აშკარად მიაჩნია ის აზრი, რომ „მსოფლიო მიიმართება არყოფნისაკენ" (ტ. I, გვ. 325). ამ მოძრაობის დამახასიათებელი არის ძალთა ჯამის სისუსტე. ამ თვის ძალთა სისუსტის გამო ყოველივე ინდივიდუმი თვის განვითარებაში იმ საფეხურამდე მიაღწევს, როცა მისი არყოფნის სურვილი განხორციელდება (გვ. 327). ამ-ქვეყნიური სიცოცხლე სიკვდილის ერთი საფეხურთაგანია.

რათა კაცს რიგიანად შეეძლოს მთელი იმ ბედნიერების დაფასება, რომელსაც ანიჭებს სიკვდილი, აუცილებელია კაცმა საკმაოდ იგემოს სიცოცხლე და ამიტომაც აქვთ ცხოველებს ამრიგად განვითარებული თავისდაცვის გრძნობა. განვითარების დასაწყისში ადამიანი ისეთ საფეხურზე სდგას, რომელიც მას ამსგავსებს ყოველ სხვა ცხოველს: „და რო-

გორც ამგვარს არსებას, სიცოხლის ნებაყოფობა უსწრობს სიკვდილის ნებაყოფობას, მას ფრიად სწადიან სიცოცხლე და ამდენადვე სძულს სიკვდილი“.

„ჯერ ერთი მხრივ უზვიადდება შიში სიკვდილის წინაშე და მეორე მხრივ კი სიცოცხლის სიყვარული. სიკვდილის შიში იზრდება. ცხოველს სიკვდილის არა გაეგება რა და მხოლოდ ალღოს მეოხებით ჰგრძნობს შიშს, როცა რაიმე საფრთხეს ჰხედავს. ადამიანს კი კარგად ესმის, რა არის სიკვდილი და რა მნიშვნელობა აქვს მას. წარმოდგენილი აქვს თვისი წარსული ცხოვრება და ჰლამობს გაიგოს, რა მოელის მომავალში. ამგვარად ადამიანი შეუდარებლად უფრო მეტს საფრთხეს ამჩნევს, ვიდრე ცხოველი“.

ამ ხნის განმავლობაში ადამიანი ყოველგზით სცდილობს აიცდინოს სიკვდილი და თვისი სიცოცხლე კი ბედნიერჰყოს.

ხოლო ეს როდია მისი განვითარების უკანასკნელი ხანა. ფილოსოფოსი ჩქარა რწმუნდება, რომ სიცოცხლის წყურვილი არ არის მსოფლიოს ნამდვილი აზრი. ეს წყურვილი მხოლოდ საშუალებაა არსებობის ღრმა და საბოლოო შეგნებისა. ფილოსოფოსი ჩქარა ამჩნევს, რომ ნამდვილი ბედნიერება შეუძლებელია, რომ მხოლოდ სიკვდილია სასურველი.

მაშასადამე, მთელის კოსმიურ პროცესის დამახასიათებლად ჩვენ უნდა შემდეგი დავასკვნათ: „ყოველივე ამ ქვეყნად წარმოადგენს სიკვდილის ნებაყოფლობას; ეს მხოლოდ ცოტად თუ ბევრად დაფარულია, როცა ორგანიულს მსოფლიოში გამოსჭვივის სიცოცხლის ნებაყოფობის სახით“ (გვ. 334). დაბოლოს მაინცა და მაინც სიკვდილის ნებაყოფობა თანდათან აშკარავდება, ასე რომ ფილოსოფოსი „მთელს მსოფლიოში ჰხედავს ერთს უძლიერეს სურვილს სრულის გაქრობისას და ყურში ეწვეთება მთელის ცის სფეროებში გამსჭვალული ხმა: განთავისუფლება! განთავისუფლება! სიკვდილი ჩვენს ცხოვრებას! და მანუგეშებელი პასუხი: ყველანი მოიპოვებთ გაქრობასა და განთავისუფლებას (გვ. 335).

რომ უფრო ცხადად დაგვანახოს ამ ევოლუციის მიმდინარეობა, **მაიენლენდერი** გვიხატავს იმის სულიერ მდგომარეობას, რომელსაც სჭარბობს ხიკვდილის ნებაყოფობა და რომელიც თავს იკლავს. „პირველად ის აღელვებით უცქერის და შიშით გაურბის სიკვდილს. შემდეგ კანკალით გარს ევლება. ხოლო ყოველ დღე ეს რკალი ვიწროვდება და დაბოლოს დაღლილის ხელებით გულში ეკვრის სიკვდილს, პირდაპირ თვალს უსწორებს: მაშინ ჰპოვებს სასუფეველს, წყნარ სასუფეველს“ (გვ. 349).

უაზრო რწმენაა, თითქო სიკვდილის შემდეგ ჩვენ რაიმე შიგველოდეს გარდა სრული გაქრობისა. ჩვეულებრივ ადამიანს ეშინია ამ პერესპექტივის, „მხოლოდ თავი და თავი ისაა, რომ ადამიანმა დაიპყროს მსოფლიო მეცნიერების შემწეობით“, და, „ბრძენი პირდაპირ და სიხარულით უცქერის თვალში სრულს გაქრობას“ (გვ. 358),

„**შოპენჰაუერის** სიცოცხლის ნებაყოფლობიდამაო, — ამბობს **მაიენლენდერი**“—მივედი სიკვდილის ნებაყოფობასთან, როგორც საბოლოო დასკვნასთან. **შოპენჰაუერის** მხრებზე შევდექი და მხედველობის იმ წერტილს მივაღწიე, რომელსაც ჩემამდე ვერვის მიუღწევია‘‘. ,,დღეს მარტო ვარ; ხოლო ჩუმს უკანაა მთელი კაცობრიობა, რომელსაც განთავისუფლება სწყურია და მე მებღაუქება; და ვხედავ მომავალ დროთა ბრწყინვალესა და სხივოსან განთიადს. (გვ. 242, ტ. II).

მაიენლენდერის საბუთების სიმტკიცის გამო კი არ შევჩერებულვარ ამოდენ ხანს მის ნაწერებზე, არამედ და განსაკუთრებით იმიტომ, რომ ეს ფილოსოფოს-პესსიმისტი უფრო მიმდევარი გამოდგა თვისი შეხედულებისა, ვიდრე მისი წინამორბედნი. შოპენჰაუერი და ჰარტმანი თუნდა ღრმად დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ბედნიერება არ ჰსუფევს დედამიწაზედ და უმთავრესად ყოველს არსებობის ვითარებაში დიდად სჭარბობს ტანჯვა-ვაებაო, მაგრამ მაინც სიცოცხლეს

არჩევდნენ იმ დროს, როცა მაიენლენდერმა ჯერ კიდევ 34 წლისამ მისდია თვის თეორიას და თავი მოიკლა.

ეს მაგალითი ალბათ არ არის ერთადერთი. ზოგი ახალგაზრდა, განსაკუთრებით დაუმჯდარი ჭკუისა, პესიმისტური თეორიის გავლენის მეოხებით ადგა ესოდენ ტრაგიკულად მაიენლენდერის მიერ ნაჩვენებ გზას. ზოგნი თავს იკლავენ და ზოგნიც თავდაჭერით ეპყრობიან კაცობრიობის გამრავლებას, ზოგნიც, და ესენი ბევრად მეტნი არიან, იმოკლებენ თავიანთ დღეს უგუნურის ცხოვრებით, იმ მოსაზრებით, რომ სიცოცხლე ჭლირს ამადაო.

ფრიად ნიჭიერი (ჩვენის დროის) მწერალი **მეტერლინკი** არის თანამედროვე თაობის პესიმისტურ შეხედულებათა თანამოზიარე. „ცხადიაო [1]),—მოგვითხრობს იგი,—რომ განკერძოებული თვალსაზრით ადამიანი მუდამ უნდა უბედური იქნესო და მუდამ აუცილებელის უფსკრულისაკენ მიექანებაო; იმიტომ, რომ მუდამ თან ახლავს ავადმყოფობა, ნივთიერების უმუდმივობა, სიბერე და სიკვდილი''-ო. „დიალაც საზოგადოდ ადამიანის სიცოცხლე სამწუხაროა და უფრო ადვილი და სასიამოვნოც არის ლაპარაკი მწუხარებაზე, ვიდრე საიმედო მხარის გამოძებნა და მისი ქება. მწუხარება მრავალრიცხოვანია, ცხადი და განუშორებელი, იმედი კი, ანუ უფრო ბჭობა, რომლის მეოხებითაც ჩვენ იოლად ვიტანთ ცხოვრების ხვედრს, არის იშვიათი, ბუნდოვანი და უკმარისი'' (გვ. 163).

თუნდა მე-XIX საუკუნის განმავლობაში პესიმისტური იდეები ფრად განვითარდა და გავრცელდა, მაგრამ ასეთის უარყოფითის მსოფლმხედველობის წინააღმდეგ ამხედრდა დიდძალი ხალხი. მივათითებთ გერმანელ პოეტის **რობერტ გამმერლინგის** აზრზე, რომელიც უსაყვედურებს პესიმისტ-ფილოსოფოსებს მას, რომ ისინი არავითარ ყურადღებას არ აქცევენ კაცობრიობის უმრავლესობის სიცოცხლის დაფასებას, რომელსაც მხოლოდ ერთი უნდა: იცოცხლოს და იცოცხლოს,

[1]) „Le Temple enseveli“, 1902.

რაც უნდა გახდეს და ყოველს ვითარებაში. ყოველგვარი დოქტრინალური მსჯელობა უძლურია ამის წინააღმდეგ, რადგან **გამმერლინგის** აზრით, განცხრომა და მწუხარება არის გრძნობის და არა მსჯელობის საქმეო. იმ დროს, როცა საერთო გრძნობა უეჭველად ცხადად ოპტიმისტურიაო.

ამგვარსავე აზრს მხარს უჭერდა კარგად ცნობილი პუბლიცისტი **მაქს ნორდაუ.** [1]) იმის აზრით, ცოცხალ ბუნებაში, ყოველივე ადასტურებს, რომ ამ ბუნების საძირკველი ოპტიმისტურიაო. ,,კაცმა რომ სწორი სთქვასო,—მოგვითხრობს **მაქს ნორდაუ,**—უსაზღვრო და წარუხოცელი ოპტიმიზმი არის ადამიანის ძირითადი შეხედულობაო, ისეთი ინსტინქტური გრძნობა, რომელიც ადამიანს ახასიათებს ყოველს ვითარებაშიო''. სხვა ცოცხალი არსებანი ადასტურებენ ამ ჭეშმარიტებასაო. ,,ბუნებაო,—ამბობს **ნორდაუ,**—თვის ყვავილთა ყოველის თავითა და თვის ფრთოსანთა ყოველის ხმით ჰყვირის და გაიძახის ოპტიმიზმზედა''-ო. ,,არც ერთი ცხოველი არა ჰგრძნობს ქვეყნის მწუხარებას და ჩვენი წინაპარი, დღევანდელ მღვიმის დათვის თანამედროვე, რასაკვირველია, არ იყო დატვირთული კაცობრიობის დანიშნულების აზრით''-ო.

ამ მოსაზრებებში უყურადღებოდ არის მიტოვებული ის, რომ პესიმისზმი არც უნდა იგრძნობოდეს და არც უნდა იფასებოდეს ყველა ცოცხალ არსებათაგან. ფრთოსანთ და სხვა მხიარულ არსებათ, ესე იგი ოპტიმისტურ ცხოველთ როდი აქვთ რაიმე წარმოდგენა სიკვდილის აუცილებლობისა. ჩვენ მღვიმის ხანის წინაპართაც არა გაეგებოდათ რა მისი. და თუ მაინცა და მაინც დღევანდელ კაცობრიობის დიდი უმრავლესობა ოპტიმისტურია, ეს შეიძლება იმისაგან წარმოსდგებოდეს, რომ კაცობრიობა იმყოფება ილლაუზიათა ერთს იმ ხანათაგანში, რომლებზედაც მოგვითხრობდა **ჰარტმანი.** მხოლოდ ხანდისხან, როცა განვითარება აღწევს თვის უმაღლეს-

[1]) ,,Parodoxes psychologiques'', ფრანგ. თარგმანი, გვ. 71, 1900 წ.

ვალეს საფეხურს, ადამიანი რწმუნდება თვის იმედთა ამაოებაში და ემხრობა პესიმისტურ სოფლმხედველობას.

მაქს ნორდაუს არ ჰსურს ბრძენ **პანგლოსის** შაგირდობა, რომელიც ამტკიცებდა, რომ ჩვენი ქვეყანა საუკეთესო ქვეყანათა შორისო.. ხოლო მისი საბუთები ემხრობა უკიდურეს ოპტიმიზმს. იმის ფიქრით, ტანჯვა საჭიროა არსებობის განსამტკიცებლადაო. „უტანჯველადაო,—მოგვითხრობს იგი,—წარმოუდგენელია, რომ ჩვენი სიცოცხლე გაგრძელებულიყოს ერთის წამის მეტად, რადგან ჩვენ ვერ შევძლებდით გაგვეგო მავნე მოვლინებანი და თავი დაგვეცვა მათგან“ (გვ. 92). ტკივილის უგრძნობლობა ისეთი ცუდი თვისება არის, რომ ავადმყოფნი დიდ სიამოვნებას განიცდიან, როცა ხელახლა გაიგებენ ხოლმე ნემსის ჩხვლეტასაო.

ეს მართალია; ხოლო ტკივილის ფუნქცია, რასაკვირველია, ცუდად აქვს მოწყობილი ცხოველებსა და ადამიანსაც. ხშირად მცირედი რამ მიზეზი და ავადმყოფობა, ისეთი ფიზიოლოგური მოვლინება, როგორც მშობიარობა, უმეტეს ნიწილად ფრიად დიდ ტკივილებს აღძრავს ხოლმე, რომელთაც არავითარი სარგებლობა არ მოაქვთ ხოლმე, როგორც „საფრთხის მაჩვენებელთ“.

მეორე მხრივ ისეთი ფრიად მნიშვნელოვანი ავადმყოფობანი, როგორც კუ და თირკმლების ანთება (ნეფრიტი), დიდის ხნის განმავლობაში ვითარდებიან და არავითარ ტკივილს არ აღრძრავენ ხოლმე. ამის გამო ავადმყოფის ყურადღება იღვიძებს მაშინ, როცა განკურნების დრო უკვე სრულიად დაკარგულია.

იმ მნიშვნელობის გასამართლებლად, რომელსაც მას მიანიჭებს **ნორდაუ**, ტკივილი უნდა თავს იჩენდეს საფრთხის ყოველს შემთხვევაში ადრე, ვიდრე ესოდენ აუტანელ ხარისხამდე გაძლიერდებოდეს.

ხოლო იმ ტანჯვათაგან, რომელთაც ილლაუზიათა ყველა სამ ხანაში გავლილი ადამიანი განიცდის, მეტად მწვავე

ის კი არაა, რომელთაც ფიზიკური ტკივილები იწვევენ. როგორც ზემოთ რამდენჯერმე მოვიხსენეთ, უმთავრეს ტანჯვას იწვევს ხოლმე სიცოცხლის ინსტიქტისა და სრულის გაქრობის აუცილობლობის წინააღმდეგობა. თვით **მაქს ნორდაუ** გვეთანხმება, რომ „ჩვენი შეგნების გაქრობისა და ჩვენი „მე“-ს გაქარწყლების აზრი საშინელი არის“-ო (გვ. 100). და ამის მიუხედავად, იმის აზრით, „ჩვენ ისე ბედნიერადა ვართ მოწყობილნი, რომ სულ ადვილად ვიტანთ ყოველსავე მართლაც და აუცილებელს და ეს ჩვენ არ გვტანჯავს“-ო (გვ. 102). ხოლო ასეთი მტკიცება არ ეთანხმება იმ საფუძვლიანად დამყარებულ ფაქტებს, რომელნიც განვიხილეთ მე-6 თავში. ის კი არა და ცოტა გამონაკლისის გარდა, ადამიანი ვერაფრად უგულადდება სიკვდილის პერსპექტივას. ეს მაშინაც კი ხშირად ხდება, როცა ადამიანი იმყოფება ჯერკიდევ ილლუზიათა რომელსამე საფეხურზე, ვისაც სიცოცხლე ჰსურს, არათუ სძაგს სიკვდილი, არამედ წარმოდგენილი აქვს იგი რაიმე უწესო მოვლენად

საკმარისი არ იქნება ვთქვათ, რომ ვინც ასეთ გრძნობას განიცდის, სულით ავადმყოფი არ ისო, ანუ სისულელე იქნებოდა გვეფიქრნა, რომ მსოფლიო პროცესში ადამიანის ბედნიერებას რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს. და სრულიად ბუნებრივია, რომ ადამიანი მიესწრაფებოდეს თვის ბედნიერებისაკენ და სცდილობდეს მასში და მის ირგვლივ მყოფ მოვლენათა მექანიზმის გარკვევას ამ იდეალის თვალსაზრისით. აი, რატომ არის უმართებული ვთქვათ, რომ „პესსიმისტურ ფილოსოფიის ყურადღებით დაფასება შეუძლებელია“ (ib., გვ. 84). ადამიანის ბუნებისადმი პირველი ნამდვილი საბრალმდებლო ოქმი მან წამოაყენა. და თუ ფიზიკური ტკივილი შეიძლება ჩაითვალოს საფრთხის ფრიად სასარგებლო მაჩვენებლად, იმდენადვე ვალდებულნი ვართ მივიჩნიოთ პესიმისტური მსოფლმხედველობა კაცობრიობის განვითარების ერთის ნაბიჯის წინ წაწევათ. უიმისოთ ადვილი შესაძლო იყო კაცი

მისცემოდა თვითდამაკმაყოფილებელ ბედისწერას (ფატალიზმს) და ყოფილიყო ისეთს განსვენებაში (კვიეტიზმში), რომელსაც გვიქადაგებს ზოგიერთი სარწმუნოება.

ხოლო მეორე მხრივ გასაგებია, რომ კაცობრიობას პესიმიზმი არ მიაჩნია ადამიანის სიბრძნის უკანასკნელ სიტყვათ. და რომ სხვა და სხვა მიმართულების ფილოსოფოსები ჭლამობენ გამოსძებნონ რაიმე შესაწყნარებელი გადაჭრა სიკვდილ-სიცოცხლის ამოცანისა, ყველა ფილოსოფურ სისტემამ მიატოვა საიქიოსა და პირადი უკვდავების რწმენა. ხოლო აღიარა პანტეისტური იდეა და მიიღო რაღაც საყოველთაო დასაბამი, რომელმაც უნდა შთანთქას პირადი შემეცნება. ამ დასაბამის თვისებათა შესახებ ვერ შეთანხმდნენ. ზოგი მას იდეათ აღიარებს და ზოგი ნებაყოფლობათ, ძალათ ანუ მრუდმიერ ძალათ (**ჰერბერტ სპენსერი**). სახელწოდებას აქ დიდი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ეს დასაბამი სრულიად ბუნდოვანია და არსებითად მის შესახებ არავითარი გარკვეული წარმოდგენა არა გვაქს. ამიტომაც ფილოსოფურ მოძღვრებათა ეს ნაწილი უფრო ლირიკული ხასიათისაა და პოეზიასთან არის მჭიდროდ დაკავშირებული.

გერმანული პოეტები ძალიან უწყობდნენ ხელს პანტეისტურ იდეათა პოპულიარიზაციას. **გიოტეზე** რომ არა ვთქვათ რა, რომელიც მსჯელობდა არსებითად სპინოზიზმის თანახმად, **შილლერი** [1]) გამოსთქვამს თვის აზრს სიცოცხლის აზრის ამ ხშირად ხელწამოსაკრავ ლექსში:

„შენ ჰკანკალებ სიკვდილის წინაშე? გსურს უკვდავება? იცხოვრე მთლიანად! როცა შენი ძვლები უკვე არ იქნება, უკვდავება დარჩება“.

რუკერტი ამავე აზრს იმეორებს აგრეთვე ფრიად ცნობილს ლექსში:

„არყოფნა შენ გაშინებს, ვიდრე მარტო ხარ. ო, წარმოიდგინე, რომ დაკავშირებული ხარ დაურღვეველ ერთეულთან!“

---

[1]) „Sämmtliche Werke“. ტ. I, გვ. 329.

შეიძლებოდა მთელი ტომის გავსება ყველა ქვეყნის იმ ფილოსოფოსთა მეცადინეობათა აღწერითა, რომელნიც ჰლამობდნენ ამ ლირიკულ აზრების ფილოსოფურ ან ნაკლებად ბუნდოვან გარსში გახვევას. მოვიყვანოთ მხოლოდ ზოგი უგვიანესი ავტორები.

რენანის იდეები ამ საგნის შესახებ შეიძლება ჩავთვალოთ პოეზიისა და ფილოსოფიის დამაკავშირებელ მძივად. უკვდავების შესახებ ის ჰფიქრობს, რომ ჩვენ განვახლდებით იმ კვალში, რომელსაც ყოველი ჩვენგანი სტოვებს „განუსაზღვრელის წიაღში“-ო (გვ. 138).

გეუეოს [1]) მიერ გამოთქმულ აზრსაც ფრიად პოეტური ხასიათი აქვს; როგორც მრავალნი სხვანიც, ესეც არაუწინაღმდეგოდ ეპყრობა სიკვდილის აუცილებლობის საკითხს. ასეთის დასასრულის გამო ის განიცდის „არა თუ წყენას, არამედ აღშფოთებას, ბუნების რაიმე უსამართლობის გრძნობას“. „მაშასადამეო, —დაასკვნის იგი, —ჩვენ უფლება გვაქს წინააღუდგეთ მომაკვდინებელ ბუნებას, რადგან ის ჰკლავს ყოველსაჯე, რაც საუკეთესოა ჩვენში და ჩვენს მოყვასებში ზნეობრივი მხრივ„ (გვ. 462).

განსაკუთრებით სიყვარულის სახელით წინააღუდგება გეუეო სიკვდილს; „....სხვების სიკვდილი, ისეთების გაქრობა, რომელიც გიყვარს, აი, რა არის შეუწყნარებელი ადამიანისათვის, ამ არსებითად მეაზროვნე და მოსიყვარულე არსებისათვისაო“ (გვ. 462).

ესოდენ დიდი და ესოდენ ძნელად გადასაწყვეტი ამოცანა ამ სახით უდგება მას თვალწინ: „ორ დიდ ძალას მიჰყავს ადამიანის ჭკუა მოწინაღმდეგე გზებით პირადის უკვდავების საკითხში; მეცნიერება ბუნებრივის განვითარებისათვის მზადაა ყოველთვის მსხვერპლათ დასდოს პიროვნება; სიყვარულს ჰსურს მთლიანად შეინახოს პიროვნება ზნეობრივისა და საზოგადოებრივის უმაღლესის განვითარებისათვის. ეს ერთი

[1]) „L'Irreligion de l'avenir“.

აღმაშფოთებელი წინააღმდეგობათაგანია მეაზროვნე ადამიანის ჭკუისათვის". (გვ. 464).

გადუდო იმედოვნებს, რომ ევოლუციის პროგრესი შეაერთებს პიროვნებათა შემეცნებას მთლიან ერთეულშიო. „თუ ეს მართალიაო,—მოგვითხრობს იგი,—ერთი საკითხი გვიდგება წინაო: უნდა დადგეს თუ არა ოდესმე ისეთი დღე, როცა ერთიმეორესთან შეკავშირებულნი შემეცნებანი გაერთდებიან და მიანიჭებენ ერთი მეორეს ახალ არსებობასა"-ო?

ამ ფიქრით, ის მიეჭანება „იმ პრობლემატურის, თუნდაც გონებისათვის არა წინააღმდეგის ხანისაკენ, როცა სირთულისა და შინაგანი ერთობის უმაღლეს ხარისხამდე მიღწეულ შემეცნებათ შეეძლებათ უფრო ღრმად, ვიდრე დღეს, განსჭვალვა ერთი მეორისა, რომ ერთერთი მათგანი არ ჰქრებოდეს ამ განსჭვალვის მეოხებითო" (გვ. 470).

ამ ჰიპოტეზით „ამოცანას შეადგენს ის, რომ ერთსა და იმავე დროს საკმაოდ გიყვარდეს და უყვარდე სხვას, რომ იცოცხლო და გადააჭარბო სიცოცხლე სხვაში" (გვ. 471). „უნდა ისე იყოს, რომ როგორც ამ ცხოვრებას განშორებულთ, აგრეთვე ცოცხალთ ისე უყვარდეთ ერთურთი, რომ ის ლანდები, რომელთაც ისინი განიტყორცნიან მსოფლიო შემეცნებაში, ერთს ერთეულში თავსდებოდნენ". „ჩვენ მაშინ ამქვეყნადვე ვიგრძნობდით, რომ შევდივართ სიყვარულთა უკვდავებაში" და „ამ გზით ნანახი იქნებოდა სიკვდილისა და უკვდავების შემხები წერტილი"-ო (გვ. 472).

უფრო ნაკლებ პოეტურია დასკვნა, რომელიც წამოაყენა **ფინომ.** [1]) იმის აზრით, სიკვდილს შეუძლია გული მოგვიკლას, „თუ მას განვიხილავთ, როგორც საზიზღარ არყოფნას. პირიქით, თუ ჩვენ მივიჩნევთ მას სიცოცხლის შეცვლათ, გადასხვაფერებათ, მაშინ ჩვენი შიში გაჰქრება და იძულებულნი ვიქნებით შევიყვაროთ სიკვდილი"-ო (გვ. 307).

მაგრამ, რა არის ეს სიცოცხლის გადასხვაფერება, რო-

[1]) La philosophie de longévite'.

მელმაც ასეთს საიმედო შედეგამდე უნდა მიგვიყვანოს? ეს არის ,,ხორცის უკვდავება'', ესე იგი იმ არსებათა სიცოცხლე, რომელნიც ვითარდებიან ადამიანის ნეშთის ხარჯით. ,,სიკვდილის მუშათა შრომას ბუზები იწყებენ'', რომელნიც ჰქმნიან მატლისმსგავს თაობას, ესოდენ მოძრავთ გახრწნილს სხეულში. იგივე გახრწნილება, რომელიც ამ რიგად აშინებდა **ლევ ტოლსტოის** სიკვდილზე ფიქრის დროს, **ფინოს** საიმედო სიმბოლოდ აქვს წარმოდგენილი. იგი აგვიწერს ნეშთის თანდათანობითს ფაუნას და დაასკვნის: ,,ამ რიგად სიცოცხლე გრძელდება სამარეში, სიცოცხლე ხმაურობით სავსე, მუდამ გასაცოცხლებლად განმაახლებელი. აქ არის სიყვარული, გამრავლება, სიცოცხლე და გაქრობა. სამარის მყუდროება არის ცთუნება მსგავსად მიწისა, რათაც ვითომდა უნდა იქცეს ჩვენი ხორცი'' (გვ. 105).

ეს მაგალითი მოვიტანე იმის დასანახად, თუ რაზომ დიდია სიკვდილის საკითხის გადაჭრის მოთხოვნილება და ამ აღსასრულის აუცილებლობის წინააღმდეგ იმედის რაიმე შუქის წყურვილი. ცხადია, რომ მკვდრის ფაუნის წარმოდგენა არასოდეს არ გახდება სიკვდილის ფილოსოფურ სისტემად. მოაზრე ადამიანი ისევ გაურკვეველობას მისცემს უპირატესობას. და მართლაც, დღევანდელ ფილოსოფოსთა უმრავლესობა სხვაფრივ არჩევს ამ საკითხს.

მეჯერ — ბენფეჯ თვის ნაწერებში ,,თანამედროვე სარწმუნოება''-ში, რამდენადაც მესმის, ფრიად სწორედ და მასთანავე გასაგებად დაასკვნის საკითხის დღევანდელს მდგომარეობას. [1]) სულის უკვდავება შეუძლებელია''-ო, — ამბობს ის. პიროვნება მთლად და აუცილებლად უნდა გაჰქრესო. ხოლო, როგორც ჩვენის ხორცის არც ერთს ატომს არ ძალუძს გაჰქრეს, აგრედვე ,,ჩვენი სულის არც ერთს ძალას არ შეუძლია გაქარწყლება''-ო. რაც უფრო სრული იყო ჩვენი ცხოვრება, მით უფრო აშკარა კვალსა სტოვებს ჩვენი

[1]) ,,Die moderne Religion''.

ოღვაწეობა. ეს დაკავშირება ,,პიროვნებათა მოქმედების და კაცობრიობის საერთო ცხოვრებისა წარმოადგენს ნამდვილ უკვდავებას, ნამდვილს ნირვანასა''-ო.

„ერთად-ერთი საშუალება სიკვდილის შიშისა და არყოფნის საშინელების დათრგუნვისა არის ჩვენი ჭკუის შეჩვევა ამ აზრებისა, მისი გაწვრთნა ამ მხრივ".

მეჯერ-ბენფეჯ პესიმისტთა იმ აზრს აღიარებს, რომ ყოვლად შეუძლებელია ბედნიერება შეადგენდეს კაცობრიობის საბოლოო მიზანსაო: ამ შემთხვევაში მთელი ევოლჯუციონური პროცესი მხოლოდ შემცდარი ნაბიჯი იქნებოდაო. უფრო მიზანშეწყობილი იქნებოდა ადამიანის გვარის წარმოშობის წინაშე შეჩერება, რადგანაც ცხოველები ვერა ჰგრძნობენ სიკვდილის აუცილებლობას და, რასაკვირველია, ადამიანზე უფრო ბედნიერები არიანო.

„ხოლო, რადგან ჩვენ უკვე განვლილი გვაქვს გზა ცხოველიდან ადამიანამდე, შევმდგარვართ კულტურულს გზაზე და ყოველივე ეს მოხდარა არა ჩვენის ნებაყოფლობით ან რაიმე შემთხვევით, არამედ ჩვენის ბუნების თანდაყოლილი აუცილებლობით, აშკარაა, რომ ის მიზანი, საითაც ჩვენ მივდივართ, —სხვა არის. უეჭველია, რომ ეს მიზანია—წმინდისა და სრულის კულტურის სამეფო"-ო.

უკვე დიდი ხნის გამოთქმულია ის აზრი, რომ კაცობრიობის მიზანს უნდა შეადგენდეს პროგრესი ყოველსავე თვის განსახიერებაში. წარმოდგენილი იყო რამდენიმე ფორმულაც იმის გამოსარკვევად, თუ რა არის ნამდვილი პროგრესი. ხოლო დღემდე ეს არ არის შესრულებული. სიტყვა „კულტურა" იქამდე დარჩება ესოდენ აშკარად და საერთოდ, ვიდრე არ გამოსძებნიან რასმე გარკვეულს მის გამოსახატავად, რაიც მას კონკრეტულ აზრს მისცემს.

გადავათვალიერეთ რა სიჩქარით ყველა ფილოსოფური სისტემები, რომელიც ესოდენ ილესებიან პიროვნების სიკვდილის საკითხის გადაწყვეტაში, ჩვენ უნდა დავასკვნათ, რომ

უმეტეს ნაწილად ისინი უარჰყოფენ საიქიოსა და სულის უკვდავებას. პირიქით, უმრავლესობა რომელსამე საერთო პრინციპს, გაურკვეველს, მუდმივ დასაბამს აყენებს, რომელმაც უნდა შთანთქას თვის ერთეულში სულის ინდივიდუალობა. ფილოსოფოსები ჰგრძნობენ, რომ ესოდენ ბუნდოვანი აზრებით შეუძლებელია საცოდავი, სიკვდილისა და გაქრობის მოკრძალე კაცობრიობის დაიმედება და მუდამ, რამდენადაც შეუძლიათ, მორჩილებას ჰქადაგობენ. გაუჭირეს ამჩნევს, რომ მის მოძღვრებას სიყვარულის უკვდავების შესახებ არ ძალუძს დაამშვიდოს ის ხალხი, რომელიც მოაზროვნეთაგან მოელის რაიმე სანუგეშო სიტყვას და დაბოლოს გამოტეხით ამბობს: „რადგან შეუძლებელია შეუწყნარებელის წინაშე შემწეობის მოლოდინი“ ანუ მოლოდინი თანაგრძნობისა იმის შესახებ, რაც ეთანახმება მთლიანსა და ჩვენს საკუთარ აზრს, გვრჩება ერთად-ერთი მორჩილება“-ო (გვ. 476).

როგორც მიღებულია, ფილოსოფოსობა ჰნიშნავს იმას, რომ საგანს შეჰხედო ისე, როგორც სინამდვილეშია, არ წინააღუდგე შესამჩნევად სინამდვილეს; და მართლაც, ყველა ფილოსოფურ სისტემათა მოძახილი მუდამ ერთი და იგივეა: შუხლი მოიყარო აუცილებლობის წინაშე, ესე იგი დაემორჩილო გაქრობის პერსპექტივას.

თ ა ვ ი IX.

რას შეუძლიან მიაღწოის მეცნიერებამ ავადმყოფობასთან ბრძოლაში.

ექსპერიმენტული მეთოდის საფუძველი.—სარწმუნოების გარეგა ავადმყოფობასთან ბრძოლის საქმეში.—ავადმყოფობათა მნიშვნელობა პესიმისტურ ფილოსოფოსთა მოძღვრების საბრალმდებლო ოქმის მიხედვით.—სამეცნიერო მკურნალობის წარმატება ავადმყოფობებთან ბრძოლაში.—რა არეულობა მოახდინა პასტერის გამოკვლევებმა მედიცინასა და დოსტაქრობაში.—რა სარგებლობა მოიტანა შრატის თერაპიამ

გადამდებ სენებთან ბრძოლაში.—მეცნიერების უძლურება ჭლექისა და ავ მეტხორცთა განკურნვაში.—სამეცნიერო განვითარების წინააღმდეგობანი.—**ჟან-ჟაკ რუსო, ტოლსტოი** და **ბრუნეტიერი.**—მეცნიერების გაკოტრების საკითხი.—სარწმუნოებისა და მისტიციზმისადმი დაბრუნება.

უმცროსმა შტომ შემეცნების მოღვაწეობისამ—მეცნიერებამ ხელი მიჰყო კაცობრიობის ამღელვებელ ზოგიერთ დიდ საკითხთა გადაჭრის საქმეს.

მხოლოდ ადამიანთა შორის გავრცელებულს, ძველი დროის სოფლმხედველობათა და ფილოსოფურ სისტემათა დამყარების დიდი ხნის შემდეგ გაჰბედა სკეპტიკურმა ჭკუამ ასეთი საკითხის წამოყენება: შეესაბამება თუ არა სინამდვილეს ეს ადამიანის მსჯელობის ნაყოფი? ნელ-ნელა აღმოცენდა სკეპტიციზმი და ასტყდა ბრძოლა დამყარებულს მოძღვრებათა და დოქტრინალურ ავტორიტეტისა ერთის მხრივ და სამეცნიერო მოსაზრებათა შორის მეორე მხრივ.

ის სისტემები, რომელნიც განსაზღვრავდა ადამიანისა და მსოფლიოს დამოკიდებულებას, და **არისტოტელის** ფილოსოფია უკვე 15-დან 20 საუკუნის განმავლობაში ბატონობდა, როცა ეპვი შეეპარათ ამ მოძღვრებათა ნამდვილის მნიშვნელობის შესახებ.

ბეკონ ვერულამელმა წამოაყენა ის საკითხი, თუ მისი დროის ყველა სისტემები რატომ იყვნენ ესოდენ გაურკვეველნი და ესოდენ სუსტნი მსოფლიო მოვლენათა აღსნაში? ამის მიზეზი არ არის თვით ბუნება, რადგან ბუნება ექვემდებარება შეურყეველ კანონებს, რომელნიც შეიძლები იქმნენ მტკიცე მეცნიერების საგნად; არც იმ ხალხის ჭკუა მოკლეობის მიზეზია, რომელთაც თავზედ იდვეს ამ საკითხების გადაჭრა. ნამდვილი მიზეზი უნდა ვეძიოთ ხმარებულ მეთოდების სიყალბესა ანუ უკმარისობაში. ამ უხერხულობის ასაცდენად ბეკონი [1]) გვირჩევს „დინჯ აზროვნობას, კერძო ფაქ-

[1]) Novum Organum.

ტებიდან დასკვნებამდე ასვლას მხოლოდ თითო ხარისხით, ვიდრე შესაძლო იქნება საერთო ფორმულის მიღწევაო. ამ გზით ჩვენ შეგვეძლება არა თუ ბუნდოვანი და ორეოფი პრინციპების, არამედ აშკარა და გარკვეულის დასკვნის დამყარება, რომელსაც თვით ბუნებაც ვერ უარჰყოფს"-ო.

ნელი და მძიმე იყო მეცნიერების პირველი ნაბიჯები, რომელნიც ემყარებოდა ამ მტკიცე მეთოდზე, რომელიც თუნდა დიდი ხნის წინეთ იყო მოსაზრებული, მხოლოდ პირველად **ფრანცისკ ბეკონის** მიერ იყო ჩამოსხმული. ხოლო შემეცნებითი მოქმედების მეტად ადრინდელი ფორმები ჯერ კიდევ მძლავრად მოქმედობდა აზროვნობაზე. და გზას ულობავდა ახალ მეთოდის მისაღებად. მაგრამ პროგრესმა მაინც თავისი ჰქნა და შესაძლო შეიქნა რთული და მძიმე საკითხებისადმი იერიშის მიტანა, რომელნიც ესოდენ ეხალისებოდა კაცობრიობას.

ორიათასი წლის წინეთ, ვიდრე დამყარდებოდა მტკიცე მეცნიერება, **ბუდდამ** ჩამოაყალიბა კაცობრიობის უმთავრესი უკმაყოფილებანი. „აი, ბერებო, წმინდა ჭეშმარიტება ტანჯვის შესახებო,-წარმოსთქვა მან თვის ბენარესის ქადაგებაში,—დაბადება არის ტანჯვა, სიბერე არის ტანჯვა, სენი არის ტანჯვა, სიკვდილი არის ტანჯვა"... და სხვა და სხვა.

ნელისა და თანათანობის გზით კერძოდან საზოგადომდე მეცნიერებამ გაჰბედა იერიშის მიტანა მხოლოდ ოთხთაგან ერთს უძნელეს საკითხისადმი, ესე იგი ავადმყოფობისადმი.

მე-VI თავში აღნიშნულ ბუდდურ ლეგენდაში ავადმყოფის სახემ „დაუძლურებულის გრძნობებით, მძიმე სუნთქვით, გამხმარ საღსრებით, აშლილისა და ტანჯვით შეპყრობილ სტომაქით,-ავადმყოფის, რომელიც გასვრილი იყო თვისის განავალით," გამოიწვია **ბუდდა** ამ მოსაზრებად: „ტანმრთელობა, მაშასადამე, ემსგავსება სიზმრის ფერადობას! და სიკვდილის შიშს ასეთი საოცარი სახე ჰქონებია! ამგვარ არსებობის ვითარების შემხედვარეს, რომელ ბრძენს შეუძლია კი-

დევ იფიქროს სიხარულსა და განცხრომაზე?“ „ვაი ისეთს ტანმრთელობას, რომელსაც ხრწნის ყოველგვარი სენი!“-ო. როცა ჯერ კიდევ ახალგაზდა ბატონიშვილმა, ბუდდამ სხვათა შორის შესთხოვა მამა მისს „მუდამ ტანმრთელად ყოფნა, რათა არასოდეს არ მიჰკარებოდა სენი,“ მეფე—მამამ უპასუხა: „შენ მთხოვ შეუძლებელს, შვილო ჩემო; ეს ჩემ ძალთ აღემატებაო“.

იმ ხნიდან მოყოლებული ყოველი სარწმუნოება ჰლამობს მოსპოს და განკურნოს სენი, რომელთა მიზეზად ჩვეულებრივ მიაჩნდათ ავ სულთა გავლენა და ღმერთების რისხვა. სენთა მოსასპობ საშუალებათ მიაჩნდათ მსხვერპლი, ლოცვა და ყოველივე, რასაც კი შეეძლო ღვთიურ რისხვის დამშვიდება. პირველყოფილი ტომები დღესაც კი ამგვარ მკურნალობას მისდევენ. სუმატრის კუნძულზე, როცა ვერ მოახერხებენ იარასაგან სისხლის დენის შეწყვეტას, ამ უბედურობას მიაწერენ ავი სულის (პოლაზიეკ) გავლენას, რომელიც სწოვს და განუკურნებლად ხდის იარას. [1]) ნიასში ბავშვთა ცხვირიდან სისხლის დენა მიაჩნიათ მამის დასჯათ ცოლის ორსულობის დროს ღორის მოკვლისათვის. განსაკურნებლად აუცილებელია ღვთაებისათვის მსხვერპლის შეწირვა.

უნდა გამოვტყდეთ, რომ ასეთ ცრუმორწმუნოებასთან ერთად პირველყოფილ ტომთა სარწმუნოებრივ წესებში ვხვდებით ზოგიერთ სასარგებლოთაც, რომელნიც დამყარებული არის ნამდვილს დაკვირვებაზედა და ცდაზედაც კი. ხალხი ისეთს საშუალებებს აწვდის ავადმყოფებს, რომელთა უმრავლესობა უფრო მავნე არის; ხოლო შიგა და შიგ ხანდახან ფრიად სასარგებლოსაც შეხვდება კაცი. ამიტომაც ხალხურ მედიცინას აქვს უეჭველად ღირსება, ხოლო მისი შედარება სამეცნიერო მედიცინასთან, რომელიც დამყარებულია დაკვირვებასა და სასტიკ ცდაზე, შორეულადაც შეუძლებელია.

---

[1]) Bartels: „Die Medicin der Naturvölker“ გვ. 20.

სამეცნიერო მედიცინა ფრიად ნელად განვითარდა, ხოლო დღეს ისეთს ხარისხს მიაღწია, რომ კაცობრიობას შეუძლია იამაყოს. ჩვენი მიზნისათვის არაა საჭირო ამ საგანზე შეჩერება; ხოლო საჭიროდ მიმაჩნია მკითხველს წარვუდგინო ზოგიერთი ფაქტები, რომელთაც შეუძლია მედიცინის დღევანდელის ვითარების ცხადყოფა.

უეჭველია, რომ პესიმისტურს სოფლმხედველობაში დიდი მნიშვნელობა აქვს შიშს ავადმყოფობის წინაშე. ამას გვიდასტურებს არა მარტო ბუდდას ზემოდმოყვანილი სიტყვები, არამედ პესიმისტურ ფილოსოფურ სისტემათა შესწავლაც.

მე-VI თავში მოხსენებული იყო, რომ 1831 წ. შოპენჰაუერი ხოლერის შიშით ბერლინიდან ფრანკფურტს გაექანაო. მსოფლიოს მოწყობილობის წინააღმდეგ მიმართულს ბრალდებაში ერთს უმთავრეს იმის დასამტკიცებელ საბუთად, რომ ეს წუთისოფელი მოწყობილია „ყველა ქვეყანათა უარესად", შოპენჰაუერს მიაჩნია გადამდებ სენთა გავრცელების ფაქტი. „ჰაერის ისეთი მცირედი ცვლილება, რომლის აღმოჩენა ქიმიურის ანალიზის შემწეობითაც კი შეუძლებელია, იწვევს ხოლერას, ყვითელ ციებას, შავ ჭირსა და სხვა სენთ, რომელნიც მილიონ კაცს მუსრავენ; ცოტა მეტი ცვლილება კი ყოველივე სიცოცხლის ნიშანწყალს მოსპობდა"-ო, [1]— მოგვითხრობს შოპენჰაუერი.

შოპენჰაუერის პესიმიზმის უმთავრესი მიმდევარი—**ჰარტმანიც** ფრიად უნუგეშო აზრისაა ავადმყოფობასა და მედიცინაზე. ის დარწმუნებულია, რომ, რაც უნდა წინ წადგას ფეხი, კაცობრიობა ვერასოდეს ვერ შესძლებს, არა თუ ავადმყოფობის მოსპობას, არამედ მის შემცირებასაც. „რაც უნდა საშუალებები გამოიგონონ ავადმყოფობის წინააღმდეგო,— მოგვითხრობს იგი,—მაინცა და განსაკუთრებით ქრონიკული და უშიშარი, ხოლო შემაწუხებელი სენები განვითარდება მედიცინაზე მეტად". [2])

---

[1]) „Die Welt als Wille und Vorstellung", II, გვ. 687.

[2]) „Philosophie des Unbewussten". გვ. 615.

პესიმისტურ ფილოსოფიის დამფუძნებელნი, რომ თვისის მოძღვრების ყოველს ნაბიჯზე ისევე სცდებოდნენ, როგორც მედიცინისა და ავადმყოფობის შესახებ სცდებიან, კაცობრიობას შეეძლო თავი თვისი ბედნიერად ეგრძნო. დიდ მოარულ სენთა შესახებ შოპენჰაუერის აზრი რომ შევადაროთ დღევანდელ სამეცნიერო მედიცინის მდგომარეობას, ადვილად წარმოვიდგენთ, თუ რა დიდი ნაბიჯი გადუდგამს წინ ამ მედიცინას. რასაკვირველია, შოპენჰაუერი თვისი დროის მკურნალთა შეხედულებას გამოხატავდა, როცა ირწმუნებოდა, რომ მოარულ სენთა გაჩენა დამოკიდებულია ჰაერის ქიმიურ შემადგენლობის მცირედ ცვლილებაზედაო. ეს შეხედულება ექსპერიმენტულმა მეცნიერებამ სავსებით უარჰყო. უეჭველად დამტკიცებულია, რომ ის ორი მოარული სენი, რომლებზედაც მოგვითხრობს პესიმისტური ფილოსოფოსი, ხოლერა და შავი ჭირი, ჰაერის შემადგენლობის ცვლილებისაგან კი არა, არამედ ორის მიკრობისაგან ჩნდება, რომელთა ბუნება და თვისებანი ისევე კარგად არის შესწავლილი, როგორც რომელიმე მცენარის თვისებები. ხოლერას იწვევს **კოხის** მიერ აღმოჩენილი თვალით უხილავი (მიკროსკოპული) სხეული, რომელსაც უწოდებენ **ვიბრიო.** ეს **ვიბრიო** სცხოვრობს წყალში და ჩადის ადამიანის ნაწლავებში სასმელ-საჭმელთან ერთად. დღემდე არ აღმოუჩენიათ ხოლერის წინააღმდეგ რაიმე საშუალება, ხოლო მისი გავრცელების წინააღმდეგ კი სწორი და ნამდვილი საშუალება ხელთა გვაქვს. პირველ ყოვლისა უნდა ნადული წყალი სვათ და მოუხარშავი არა სჭამოთ რა, ერიდოთ განავალს,, წყალსა და ყოველივეს, რაშიაც კი **ვიბრიო** იმყოფება. ამასთანავე ზოგიერთ შემთხვევაში კარგია ხოლერის წინააღმდეგ შრატი. 1831 წ. რომ სამკურნალო მეცნიერებას ეს საშუალებები ხელთ ჰქონებოდა, ფილოსოფიას შეეძლო მიეღო სულ სხვა მიმართულება. მის მაგიერ, რომ შიშით შეპყრობილი **შოპენჰაუერი** გაქცეულიყო ფრანკფურტში, მას შეეძლო წყნარად ეცხოვრა ბერლინში და **ჰეგელიც**

დარჩენილიყო იმავე ქალაქში და განეგრძო თვისი იდეალისტური ფილოსოფიის ლექციების კითხვა.

თვის დებულებას **შოპენჰაუერი** ადასტურებს აუარებელ ხალხის შემმუსრველ ,,შავი სიკვდილის'' მაგალითით. უეჭველია, რომ ეს სენია ადამიანის შავი ჭირი, რომელმაც აუარებელი ხალხი იმსხვერპლა და მე-XIV საუკუნეში ევროპის თითქმის ერთი მესამედი ხალხი ამოსწყვიტა. იმ დროს დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ეს სენი ღვთის რისხვის ბრალია და მის თავიდან ასაცილებლად ეკლესიებში სალოცავად იკრიბებოდნენ, მიჰქონდათ საკურთხები და თავს იწუხებდნენ ამ საშინელ სენის თავიდამ ასაცდენათ. ვენაში მოგზაურს ნახული ექნება ერთს უმთავრეს ქუჩაზე (გრაბენ) ტლანქი და უშნო ძეგლი მე-XVII საუკუნისა, რომელიც აღუმართავთ ერთ უსაშინელეს მოარულ შავი ჭირის წინააღმდეგ ღვთიურ განგებისათვის.

ამ ხანად, როცა მეცნიერებამ გამოიძია შავი ჭირის ნამდვილი მიზეზი, ჩვენ სრულიად სხვა ფრივი წარმოდგენა გვაქს ამ სენის გაჩენისა და გადაკვეთის შესახებ. იგი რომლისმე ღვთაების გულისწყრომის ნიშანი კი არ არის, არამედ პირდაპირ დამლუპველი სენია, პატარა, თვალით უხილავი მიკრობის მიერ გამოწვეული, რომელიც 1894 წ. ერთდროულად აღმოაჩინეს **კიტაზოტომა** და **იერსენმა**. ამ შავი ჭირის მიკრობის ყველა თვისებები უკვე შესწავლულია და ჩვენ დანამდვილებით ვიცით, რომ იგი იწვევს ეპიდემიას ადამიანთან ახლოს მყოფ მღრინავთა შორის, განსაკუთრებით ვირთხებისა და თაგვების შორის. ხოლო ამ ცხოველებიდან სენი გადადის ადამიანზე. ამიტომაც, ფრიად საჭიროა კაცმა ყოველივე ღონისძიება იხმაროს ამ ცხოველების გასაწყვეტად. შავი ჭირი უთუოდ გადაჰკვეთს ხოლმე, როცა ამოხოცავს ამ მღრინავებს; ასე უნდა მომხდარიყო ვენაშიაც XVII საუკუნეში.

თუ ძველად შავი ჭირი იყო ერთი საშინელ სენთაგანი, ამხანად იგი ეკუთვნის ისეთ სენთა რიგს, რომლის წინააღმ-

დეგ ბრძოლა შედარებით ადვილია. უნდა გაანადგუროთ ვირთხები და თაგვები და მოერიდოთ ისეთ საგნებს, რომლებზედაც შეიძლება შავი ჭირის მიკრობები იყვნენ. სასარგებლოა აგრეთვე შავი ჭირის აცრა და მის საწინააღმდეგო შრატის ხმარება; ეს შრატი, არა თუ უზრუნველჰყოფს ადამიანს ამ სენისგან, არამედ ჰკურნავს კიდეც, თუ სენი ძლიერ გამჯდარი არა აქვს ტანში. მაშასადამე, ის საფრთხე, რომელზედაც მოგვითხრობს შოპენჰაუერი, როგორც შესაძლებელ საგულვებელზე, არის ექსპერიმენტულ მეცნიერების მიერ საბოლოოდ დათრგუნვილი განსაცდელი. და თუ რომელსამე ქვეყანაში, როგორც ინგლისის ინდოეთში, შავი ჭირი კიდევ მუსრს ავლებს ხალხს, ეს მკვიდრთა უმეცრების ბრალია. იმის მაგიერ, რომ იხმარონ მეცნიერების მიერ შემუშავებული საშუალება, მისდევენ ბრამინთა სარწმუნოების მიერ დამყარებულ წეს-რიგს. იმათი წარმოდგენა სისუფთავისა არა სამკურნალო და ბაქტერიოლოგიურია, არამედ სარწმუნოებრივი და გასაკვირველიც არაა, რომ ასეთ ვითარებაში ინდოეთში შავი ჭირი მუდამ მძვინვარებს. მაინცა და მაინც ძნელად თუ მოსძებნის კაცი მტკიცე მეცნიერების კეთილმყოფელობის მეტად დამამტკიცებელს მაგალითს.

ჰარტმანის მოსაზრება სენთა პროგრესულ განვითარების შესახებ როდია დამყარებული რაიმე მტკიცე საბუთზე, არამედ ეწინააღმდეგება მრავალს მტკიცედ დამყარებულს ფაქტს და სრულიად წინააღმდეგაც კი,—ჰიგიენის წინსვლისა და მისი კანონების პოპულიარიზაციის თანახმად ყოველგვარი სენი იშვიათიც ხდება და მასთანავე ნაკლებ საშიშარიც.

დიდი აღფრთოვანება გამოიწვია მედიცინასა და დოსტაქრობაში შემოღებულმა ვითარებამ, რომელიც აღმოაჩინა **პასტერმა** დუღილის შესახებ. ამ სახელოვანმა მეცნიერმა დაგვანახა, რომ ორგანულ ნივთიერებათა გახრწნა დამოკიდებულია ადამიანის ირგვლივ ფრიად გავრცელებულს მიკროსკოპულ სხეულებზე.

ეს აღმოჩენა ჯერ დოსტაქრობას შეუფარდეს. შოტლიანდელმა **ლისტერმა** დაგვანახა, რომ ჭრილობაში ჩირქის დაგუბება წარმოსდგება მიკრობების დაბუდებისაგან. ამ ჭეშმარიტების ხელმძღვანელობით **ლისტერმა** შეხვია ჭრილობები და ამ გზით ააცდნა ჭრილობებს ყოველგვარი უსუფთაობა და მასთანავე შეამჩნია, რომ ოპერაციის შემდეგ ჭრილობის მიმდინარეობა ფრიად საკეთილდღეო შეიქმნა. იმის შემდეგ, რაც გრძნობის დამჩლუნგველი (ანესტეზიური) საშუალებები აღმოაჩინეს, როგორიც არის ეთერი, ქლოროფორმი, კოკაინი და ჭრილობების შეხვევით დაიცვეს იარები უსუფთაობისაგან, დოსტაქრობა საოცარის სიჩქარით განვითარდა. მრავალი და ძნელი ოპერაციები რომ არ ვახსენოთ, სტომაქის ფოსოში, ამხანად თამამად აკეთებენ ოპერაციებს თვით გულშიაც კი.

თანამეღროვე დოსტაქრობის იარების მორჩენის საქმეში წინსვლის შესახებ შეგვიძლია ადვილი წარმოდგენა ვიქონიოთ, თუ გავითვალისწინებთ და შევადარებთ ცეცხლისმფრქვეველ იარაღით დაკოდილთა სიკვდილს XIX საუკუნის ომების დროს. ყირიმის კამპანიაში ინგლისელთა ჯარში დაკოდილთა სიკვდილი უდრიდა 15,21%; 1859-სა და 1860 წლებში ფრანგების ჯარში იტალიაში სიკვდილმა მიაღწია 17,36%; გერმანელთა შორის 1870—1871 წ., იმ ხანებში, როცა ანტისეპტიკა შემოიღეს დოსტაქრობაში, სიკვდილმა დაიწია 11,07%-მდე, მაშინ, როდესაც ისპანიისა დ- ამერიკის ომის დროს 1898 წ., ესე იგი სამეცნიერო მეთოდების ბრწყინვალე ხანაში, ჭრილობით მოკვდა მხოლოდ 6,54%[1]. ტრანსვაალის უკანასკნელ ომის დროს სიკვდილი ჭრილობისაგან განახევრდა 1870- 1871 წლებთან შედარებით[2].

საფუვებლებისა და გადამდებ ვირუსების აღმოჩენაზე დამყარებულმა ახალმა სამკურნალო ცოდნამ იმდენად შესცვალა მეანობის თეორია და პრაქტიკა, რომ ძველად კა-

[1]) „Borden: The use of the Roentgen Ray". გვ. 20.

[2]) „Bulletin du service militaire". 1903. № 499, გვ. 73.

ცობრიობის ღვთის რისხვა—სამშობიარო ცხელება ამ ხანად შედარებით უმნიშვნელო სენად ითვლება.

ახლად დაბადებულთა სიბრმავე, რომელიც მთელს მათ არსებობას უბედურად ჰხდიდა, ამ ხანად თითქმის სრულებით მოსპობილია წინდახედულ ზომათა მეოხებით, რომელი საშუალებაც ხელს უშლის ბალღს მიიღოს დედისაგან სენი. ეს წარმატება შოახდინა გერმანელ მკურნალ **კრედეს** [2]) მეთოდმა.

ესოდენ გავრცელებულს სენს—ჭიისმსგავს ნაწლევის ანთებას, რომელზედაც ჩვენ მე-4 თავში ვისაუბრეთ, როგორც საუკეთესო მაგალითზე ადამიანის ბუნების დისჰარმონიისა, ძლიერ წინააღმდეგობას უწევს სამეცნიერო მედიცინა. ზოგჯერ დოსტაქრული შემწეობა სრულიად ჰკურნავს აპენდიციტს, ზოგჯერაც სრულიად საკმარისია წამლის მიღება მორჩენისათვის და ოპერაციისაგან განთავისუფლებისათვის.

ურწმუნონი დიდხანს ამტკიცებდნენ, რომ მიკრო-ბიოლოგიურის წამლობით მხოლოდ სადოსტაქრო სნეულებათა დაძლევა არის შესაძლებულიო, ხოლო **პასტერმა** ჩქარა გამოაშკარავა ამ აზრის სიყალბე. **შამბერლანისა** და **რუს** თანამშრომლობით მან აღმოაჩინა ზოგ მოარულ სენთაგან სხეულის უზრუნველყოფა დასუსტებულ მიკრობების მეოხებით. მანვე უზრუნველჰყო ადამიანი და ცხოველები ცოფიან ცხოველების მიერ დაკბენილნი იმ აუცილებლად მომაკედინებელსა და უსაშინელეს სენისაგან, რომელსაც ცოფს ვუწოდებთ.

სამკურნალო მეცნიერება საოცარის სისწრაფით განვითარდა ამ მხრივ, და განახორციელა შესანიშნავ აღმოჩენათა მთელი წყობა, რომელთაგან უნდა მოვიხსენიოთ ცხოველთა შრატის მკურნავი თვისების აღმოჩენა, იმ ცხოველთა, რომელთაც აუცრეს ზოგი მიკრობები ანუ მათი გამდნარი პროდუქტები. იაპონურ მეცნიერის **კიტაზოტოს** თანამშრომლობით **ფონ ბერინგმა** დაგვანახა, რომ ასეთი სერუმი (შრატი), დი-

[2]) სტოკჰოლმში ამ მეთოდის მეოხებით ბლენორაგია ახლადშობილებისა დამცირდა 0,56%-დამ 1891 წ. 0,045%-მდე 1896 წ.

ფტერიტის (ხუნაგის) მიკრობის შხამის შემწეობით დამზადებული (ეს შხამი აღმოაჩინა **იერსენის** თანამშრომლობით **რუმ**), შემძლეა არა თუ ტანმრთელი ადამიანის უზრუნველყოფისა ხუნაგისაგან, არამედ უკვე ამ სენით შეპყრობილთა განკურნვისა. ხოლო, თუ სენი ძლიერ გაძლიერებულია (დიდის ხნისა), მაშინ შრატი (სერუმი) ვეღარ ჰკურნავს.

ხუნაგის წინააღმდეგმა სერუმმა, რომელსაც ხმარობენ უკვე 9 წლის განმავლობაში და რომელიც ყოველმხრივ დაცთილია, საბოლოოდ გამოაჩინა თვისი უზრუნველმყოფელი და მკურნავი თვისებები. და თუ ჯერ კიდევ ზოგნი ჰკვდებიან ხუნაგისაგან, ეგთავრესად ან დაგვიანებულის წამლობის ან უკმარისი წამლობის გამო.

ხუნაგისწინააღმდეგმა სერუმმა სიკვდილი დასწია 50 და თვით 60%-დამ 12%—14%-მდე. რომ გამოიანგარიშოთ, თუ რამთენი ბავშვია გადარჩენილი სიკვდილისაგან ამ საშუალებით, სწორედ გაოცდებით.

ამ კეთილმყოფელ სეროთერაპიის აღმოჩენა შეუფარდეს ზოგ სხვა სენებსაც და დაუყოვნებლივ წარაქეზებელი შედეგები ძიიღეს. ჩვენ არ შეგვიძლია აქ დაწვრილებით განვიხილოთ ეს საკითხი, ხოლო ვიტყვით, რომ სულ 25 წელიწადია, რაც მედიცინამ შეჰყო თავი ამ ფაზაში და ამ ხნის განმავლობაში დაიკავა ადგილი სხვა მტკიცე მეცნიერებათა გვერდით, რომელნიც ემყარება ექსპერიმენტულ მეთოდს. და რასაკვირველია, რომ ამ მოკლე ხანში მან ვერ შესძლო ისეთი ამოცანების გადაწყვეტა, რომელნიც წამოუყენა მას დაავადებულმა კაცობრიობამ. ამ ნაკლმა ბევრი სასტიკი წინააღმდეგობა გამოიწვია ურწმუნოთა შორის.

როგორაო, — გაიძახიან, — თქვენ ჰყვირით სამკურნალო მეცნიერების წარმატებაზე იმ დროს, როცა ვალდებულნი ხართ აღიაროთ მისი უძლურება ჭლექის მორჩენის შესახებ, ამ ყველაზე მეტად გავრცელებულ სენისა, რომელიც მუსრს ავლებს კაცობრიობის ერთ მეექვსე ნაწილს!-ო.

მართლაც, ამ სენის გადამდებობა (მოარულობა) აღმოაჩინა ვილმენმა თითქმის ორმოცი წლის წინათ. 20 წელზე მეტია, რაც **კოხმა** აღმოაჩინა ფილტვებისა და სხვა ყოველგვარ ტუბერკულოზის მიკრობი. და დღემდე არც ერთი წამალი არ ჰკურნავს ამ სენს. ყველა მიკრობიოლოგურ ინსტიტუტებში და ლაბორატორიებში ეძებენ რაიმე უზრუნველსაყოფელ აცრას, სერუმსა და ტუბერკულოზის გასაკურნავ წამლებს იმ დროს, როცა ამ სენს ესოდენ ბევრს შემთხვევაში ჰკურნავს თვით შეუგნებელი ბუნება. ხოლო ამ ცდათა ნაყოფი ჯერ არსაითა სჩანს.

მაშასადამე, ჩვენ აქ გვაქვს მეცნიერების უძლურების დამამტკიცებელი კარგი მაგალითი. ხოლო, თუ საკითხს დაახლოვებით განვიხილავთ, დავრწმუნდებით, რომ დღეს ჩვენ ხელში მყოფ მასალითაც შესაძლო იყო უფრო წარმატებით ჭლექთან ბრძოლა, ვიდრე ეს აქამდეა. ჭლექის გადამდებობის გამომჟღავნების შემდეგ, **კოხის** აღმოჩენამდეც უნდა გვეხმარა და ვალდებულნიც ვიყავით გვეხმარა ყოველი ღონისძიება იმ ნივთიერებათა მოსასპობად, რომელშიაც იმყოფება გადამდები ვირუსი, ესე იგი ჭლექიანების ნახველი და ჭლექიან ძროხათა რძე. მაგრამ მუდამ ვხედავთ, როგორ აფურთხებენ ვაგონებისა და საჯარო ადგილთა იატაკებზე. ჭლექი მეცნიერების უძლურების გამო კი არა, ხალხის უმეცრებისა და დაუდევრობის გამო ვრცელდება. ამა და მრავალ სხვა სენთა, როგორიც არიან ხურვება და მუცელა, შესამცირებლად საკმაო იყო სამეცნიერო ჰიგიენის კანონების მიყოლა და არა სპეციურ საშუალებათა აღმოჩენის მოლოდინი.

თუნდა ჯერ კიდევ ვერ გამოუძებნიათ ნამდვილი საშუალება ტუბერკულოზის წინააღმდეგ, მაგრამ მეცნიერებამ მაინც გადადგა წინ ნაბიჯი ასეთ საშუალების გამოსაძებნად. რამდენისამე წლის წინათ ყოველივე ცდა ამ სენის წინააღმდეგ უზრუნველსაყოფ შრატის მომარჯვებისა უაზროდ მიაჩნდათ.

მაგრამ **ბერინგის** [1]) ცდამ, რომელიც ამ ბოლო ხანებში დაადასტურა **ნეიფელდმა** [2]) **კოხის** ინსტიტუტში ბერლინში, გვამცნო ასეთის აცრის შესაძლებლობა ხბოსათვის.

ხოლო თუ თანამედროვე მეცნიერება უკვე შესამჩნევად არის შეიარაღებული მოარულ სენთა წინააღმდეგ ბრძოლისათვის, იგივე ვერ ითქმის ზოგიერთ სხვა სენთა შესახებ, რომელთა შორის პირველი ადგილი უჭირავს ავ ხორცმეტებს, ანუ კუს ხორცმეტებს, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით.

ცოტაა ისეთი საშინელი სენი, როგორც ეს ხორცმეტები: თავისთავად მათი მორჩენა ყოვლად შეუძლებელია და განკურნვის მტკიცე იმედით მათი ამოჭრა შესაძლოა მხოლოდ მაშინ, თუ ადრევეა შემჩნეული. ამიტომაც, ეს სენი უსპობს სიცოცხლეს ყოველწლივ უამრავს მოხუცთ და ახალგაზდათ. ადვილი შესაძლებელია, რომ კუ უფრო ვრცელდება, ვიდრე ადრე ყოფილა, და ამას ჰხსნიდნენ ჩვენი დროის ადამიანის სიცოცხლის მეტის ხანგრძლივობით. რადგან კუს ხორცმეტით ყველაზე მეტად მოხუცნი ჰხდებიან ავად, მაშასადამე, სიცოცხლის მეტი ხანგრძლივობა შეეფარდებოდა ავ ხორცმეტთა მრავალრიცხოვნობას. ხოლო, გარეშე ამ გარემოებისა, კუ თანდათან მატულობს.

ავი ხორცმეტნი უეჭველად ყველაზე მეტად უნუგეშონი არიან მედიცინისა და დოსტაქრობისათვის. უფრო მეტის სიბნელით არიან მოცულნი, ვიდრე გადამდები სენები იყვნენ სენის მომგვრელ მიკრობების აღმოჩენამდე. იმდროს, როცა ჯერ კიდევ არა იცოდნენ რა ამ სენისმომგვრელ ჩანასახისა, უკვე გაეგებოდათ ვირუსებისა, ესე იგი იმ ნივთიერების, რომლის აცრაც იწვევს სენს. ამგვარად იცოდნენ ყვავილის შხამი და შეეძლოთ კიდეც მისი მეოხებით ადამიანის უზრუნველყოფა ასეთ მძიმე ავადმყოფობისაგან. პასტერამდე თითქმის ერთის საუკუნის წინ აღმოჩენილი იყო მეორე

[1]) „Beiträge zur experlmentallen Therapie". 1902.

[2]) „Deutsehe Medic. Wochenschrift". 1903. გვ. 653.

ვირუსი—ძროხის ყვავილის შხამი, რომელიც მშვენივრად უზრუნველჰყოფს ადამიანს ყვავილისაგან. ეს დიდი სამსახური კაცობრიობის წინაშე მიუძღვის **ჯენნერს**.

რაც შეეხება ავ ხორცმეტებს, დღემდე მათი ბუნებაც არაა გამოკვლეული. არ ვიცით, გადემდებია ეს სენი, თუ არა, თვით სხეულშია მისი მიზეზი, თუ სხეულს გარეშე.

ხოლო ეს უცოდინაობა არავითარ საბუთს არ გვაძლევს სასოწარკვეთლობისას. პირიქით, შეგვიძლია განსვჰვრიტოთ, რომ ავი ხორცმეტნი ჩქარა ისეთ მოარულ სენთა წყობაში ჩაირიცხებიან, რომელთაც იწვევენ გარეშე მიკრობები. კუს აცრამ თაგვებსა და ვირთხებზე დაგვანახა, რომ ეს ხორცმეტი ისევე ეცრება, როგორც მოარული სენი. **განაუმ** ეს დაგვანახა ცნობილ ეპიტელიომის შესახებ ბებერ ვირთხებზე; **მორომ** გაუჩინა კუ თეთრ თაგვებს და ეს მდგომარეობა დაადასტურა **იენსენმა** და პასტერის ინსტიტუტში **ბორრელმა**.

ლინიერმა მაცნობა, თეთრი თაგვების უმეტესი ნაწილი ჩემს ლაბორატორიაში ბუენოს—აირესში იხოცება კუთით, რომელიც არგენტინის რესპუბლიკაში ფრიად ხშირია ადამიანზედაო. სენის ამგვარი ეპიდემიური ხასიათი დიდად მოწმობს მის მოარულ (ინფექციურ) ხასიათს.

ეს ფაქტები უკვე დიდი ნაბიჯია კუს მეცნიერულ შემეცნებისა. მაშასადამე, ავი ხორცმეტნი ვერ წარმოადგენენ საყურადღებო საბუთს ჰესიმისტურ სოფლმხედველობისათვის.

ბერლინელი მკურნალი **ბოასი** [1]) გვარწმუნებს, რომ კუთ დასნეულებულთა დიდი ნაწილი მიმართავს ხოლმე მკურნალს ავადმყოფობის უკვე დაგვიანებულს ეანაშიო. მაგალითად, ყიტაწელის (rectum) კუს 80% მას შეხვედრია ისეთი შემთხვევა, როცა ოპერაცია უკვე დაგვიანებული ყოფილა. ამიტომ **ბოასი** გვირჩევს, ყველასთვის გასაგების ენით დაწერილ წერილებით, მიექცეს საყოველთაო ყურადღება კუს პირველ

[1]) „Deutsche med. Wochenschrift", 30 ოქტ. 1902 წ. გვ. 798.

ნიშნებს. ამ ზომით, იმის აზრით, შესაძლო იქნება მრავალს შემთხვევაში კუს თავის დროზე ოპერაციით მორჩენა.

უკანასკნელ დროში თანდათან მეტი ხმა გაისმის ავ ხორცმეტთა რადიუმისა და რენტჰენის სხივების შემწეობით განკურნვის შესახებ. გერმანელ მკურნალთა ახლად დასრულებულ კრებაზე კასსელში მოყვანილი იყო რამდენიმე ახალი მაგალითი ასეთი წამლობისა.

სენთაგან უზრუნველყოფა და მათი წამლობა, რომელნიც დიდი ხნის განმავლობაში იყო სარწმუნოების გამგებლობის ქვეშ, თანდათანობით გადადის სამკურნალო მეცნიერებით განსწავლილ პირთა ხელში. დარჩა კიდევ რამდენიმე ნერვული სენი, რომელთა განკურნვაც შესაძლო იქნება შთაგონებით; ასეთი განკურნვის წარმატება ცოტად თუ ბევრად დამოკიდებულია საზოგადოდ რწმენაზე და კერძოთ სარწმუნოებაზე.

საჭიროდ არ მიმჩნია სიტყვა გავაგრძელო იმის შესახებ, თუ რა უპირატესობა აქვს მეცნიერებას სენების წინააღმდეგ ბრძოლაში; ეს მეტად ცხადი და აშკარაა; ეს ფაქტი ყველას მიერ აღსარებულია და მეცნიერების თვით უაღრესნი მოწინააღმდეგენი იძულებულნი შეიქმნენ ქედი მოეხარათ მის წინაშე.

მაშინ საკითხს ფერი უცვალეს და ასე დააყენეს იგი: რასაკვირველია, მეცნიერებას შეუძლია შეუმსუბუქოს კაცობრიობას ერთი თუ მეორე სენი, ხოლო საკითხი სულ სხვაა: სენი არის მხოლოდ ეპიზოდი ადამიანის ცხოვრებისა, რომლის დიდი საკითხებიც გადუჭრელი რჩება მეცნიერების მიერ. საკმაო როდია განკურნო კაცი ხუნაგისა და ციებისაგან, არამედ უნდა გააგებინო, თუ რა არის მისი დანიშნულება და რატომ უხდება მას დაბერება და სიკვდილი იმდროს, როცა სიცოცხლის ასეთი მძლავრი სურვილით არის აღჭურვილი. აი, სწორეთ აქიდან იწყება ყოველი მეცნიერების უძლურება და სარწმუნოებისა და ფილოსოფიის კეთილმყოფელი მნიშვნელობაო. და, რადგან მეცნიერება მუდამ იჭვიანობას იწვევს და ფილოსოფურ სისტემებს აკრიტიკებს, მის მაგიერ

რომ სარგებლობა მოუტანოს კაცობრიობას, მხოლოდ ვნება მოაქვს მისთვისაო.

დიდი ხანია, რაც მეცნიერება აითვალწუნეს. **ჟან-ჟაკ რუსსომ** [1]) გაითქვა სახელი იმ ტალანტისა და გულის თქმის მეოხებით, რომელთა შემწეობითაც ის ებრძოდა მეცნიერებას. საოცარის ძალითა და მჭევრმეტყველობით იცავს თვის დებულებას, რაიცა სჩანს შემდეგის ამონაწერიდან: „ხალხნო, გაიგეთ დაბოლოს,—მოგვითხრობს **რუსსო,**—რომ ბუნებას ჰსურდა თქვენი დაფარვა მეცნიერებისაგან, როგორც დედას, რომელიც აცლის ხელიდან თვის ბალღს საშიშარ იარაღს, რომ ყველა საიდუმლონი, რომელთაც ის თქვენგან მალავს, არის ტანჯვა, რომლისაგანაც თქვენ ის გიფარავს და რომ სიძნელე, რომელიც თანაუძღვის განათლებას, არის ბუნების დიდი კეთილმყოფელობა. ხალხი გარყვნილია და მეტად გარყვნილი იქნებოდა ისეთი უბედური ყოფილიყო, რომ განათლებულნი დაბადებულიყვნენ (469). ,,თუ ჩვენი მეცნიერება, თვის მიზნის მიხედვით, ამაოა, მით უმეტეს საშიშია თვისის შედეგებით. უსაქმურობისაგან შექმნილი, იგი უსაქმურობასვე ჰკვებავს.... მიპასუხეთ, სახელოვანნო ფილოსოფოსნო, რომელთაც ჩვენ გვასწავლეთ სივრცეში სხეულთა ურთიერთისადმი მიმზიდველობა, თვის ბრუნვაში ცოცმილთა მიერ ერთდროულად განვლილ გზათა ურთიერთობა, ბრუნდე ხაზთა წერტილების შეხვედრა, დახრა და უკუქცევა,.... ის, თუ რა ცოცმილებზეა შესაძლო მოსახლეობა; არაჩვეულებრივი მწერთა წარმოშობა; გვიპასუხეთ მეთქი, ამოდენ საოცარ ცოდნათა მომცემნო: სრულიადაც რომ არ გემცნოთ ეს ყოველივე ჩვენთვის, გავმრავლდებოდით თუ არა, გვეყოლებოდა თუ არა უკეთესი მთავრობა, მეტად მოგვეკრძალებოდნენ თუ არა, იკლებდა თუ არა ჩვენი აღყვავება, ჩვენი გარყვნილობა?''-ო (გვ. 470).

ამ სტრიქონებს შეეძლო, რასაკვირველია, ემოქმედნა

[1]) ფრანგული სრული გამოცემა 1875 წ. ტ. I, გვ. 463.

თვისის გულწრფელობითა და მჭევრმეტყველობით, ხოლო არას გზით არ შეეძლო ხელი შეეშალა მეცნიერების ძლევამოსილისა და განუწყვეტელ მსვლელობისათვის. სწორეთ მე-XVIII საუკუნეში დამყარდა მისი პირველი და მტკიცე წარმატება. ამას გვიმტკიცებს ლაპლასის მსოფლიოს სისტემა და ქიმიის საფუძველი — მატერიის უკლებლობის კანონი ლაუაზიეს.

მე-XIX საუკუნეში მეცნიერებამ ორთქლისა და სხვა ფრიად საუცხოო აღმოჩენათა მეოხებით სრულიად შესცვალა მთელის ცხოვრების წესრიგი. ხოლო ბევრ წარჩინებულ მოაზრეთ არც ეს აკმაყოფილებდა და მე-XIX საუკუნის მეცნიერების წინააღმდეგ ამხედრდა მეორე გენიოსი მწერალიც.

წერილში: **მეცნიერებისა და ხელოვნების მნიშვნელობაზე ლევ ტოლსტოი**[1]) ჰლამობს დაამტკიცოს მეცნიერების ურგებლობა ადამიანისათვის საინტერესო უმთავრეს ამოცანათა გადაწყვეტის საქმეში. ასეთი ამხედრება, რასაკვირველია, რუსის მწერლისათვის უფრო მძიმე უნდა ყოფილიყო, ვიდრე ჟ. ჟ. **რუსსოსათვის**, რადგან წარსულ საუკუნეში მეცნიერებამ მეტად დიდი ძალა მოიპოვა, ვიდრე მე-XVIII საუკუნეში ჰქონდა.

ტოლსტოი დარწმუნებულია, რომ ცოცხალ არსთა, ქსოვილთა შინაგან წყობილობისა და სხვათა თეორიული გამოკვლევანი არაფერს მოასწავებს ადამიანისათვის გარდა იმისა, რომ ხელს აფარებს მსწავლულთა უსაქმობას. „ყოველივე, რასაც ჩვენ კულტურას ვუწოდებთო, — მოგვითხრობს ტოლსტოი, — ჩვენი მეცნიერება, ხელოვნება, ცხოვრების განცხრომათა წარმატება, — ეს თვალთმაქცობაა, ადამიანის ზნეობრივ მოთხოვნილებათა მოსატყუებელი; და რასაც ჰიგიენასა და მედიცინას ვუწოდებთ, ეს თვალთმაქცობაა, ადამიანის ბუნების ბუნებრივ და ფიზიკურ მოთხოვნილებათა მოსატყუებელი“-ო. (გვ. 337).

[1]) Собр. соч., т. XII, 1897 г., გვ. 372—446.

მეცნიერების ყოველმავე წარმატებამ ,,აქამდე თუ გაუარესა, თორემ არ გაუუმჯობესებია უმრავლესობის, ესე იგი მუშის მდგომარეობა''-ო (გვ. 497).

ტოლსტოჲს აზრით, ნამდვილ მეცნიერებათ უნდა ჩაითვალოს ის, ,,რაც არის ყოველი კაცისა და ყველა ადამიანთა დანიშნულება და ჭეშმარიტი სიკეთე (დოვლათი). სწორედ ამ მეცნიერებას ჰქონდა ხელმძღვანელობა ყველა დანარჩენ ცოდნათა მნიშვნელობის გამორკვევისა''... ,,ვიდრე არ იქნება ადამიანის დანიშნულებისა და სიკეთის მეცნიერება, მანამდე არ შეიძლება რაიმე მეცნიერების შექმნა და ამიტომაც არის, რომ უამცოდნოთ ყველა დანარჩენი ცოდნა და ხელოვნება ჰხდება, როგორც ჩვენს დროში გახდა, უქმ და მავნე გასართობათ''. (გვ. 411).

მაშასადამე, რუსის მწერლის წინააღმდეგობა მეცნიერებისა, კულტურისა და პროგრესისადმი შეეხება უძნელეს საკითხთა გადაწყვეტას, სახელდობრ: ადამიანის არსებობის ნამდვილ მიზანსა და ნამდვილ სიკეთის გამორკვევას, რომლისადმიც უნდა მიესწრაფებოდეს კაცობრიობა.

ამ შემთხვევაში ტოლსტოი არის იმ აზრის გამომხატველი, რომელსაც იზიარებს მეაზროვნეთა დიდი რიცხვი. რამდენიმე წლის შემდეგ კარგად ცნობილმა კრიტიკოსმა და პუბლიცისტმა **ბრუნეტიერმა** [1]), რომში მოგზაურობისა და პაპის ნახვის გავლენის მეოხებით, გამოსთქვა სრულიად მსგავსი აზრი და ხმამაღლა გამოაცხადა ,,მეცნიერების გაკოტრება''.

ბრუნეტჲერმა ასე გამოსახა თვისი კრიტიკა: „უკვე რამდენმამე საუკუნემ განვლო, რაც მეცნიერება დაგვპირდა ქვეყნის განახლებას და მის საიდუმლოებათა ახსნას; მან ეს დაპირება ვერ შეასრულა. ის უძლურია აგვიხსნას ერთად ერთი არსებითი საკითხი, რომელიც ეხება ადამიანის წარმოშობას, მის ყოფაქცევის კანონებსა და მის მომავალ ბედის-

[1]) ,,Revue des deux mondes'', 1895, ტ. I, გვ. 97. ,,La science et la Religion'', Paris, 1895—,,Le Figaro'', № 4, 1899.

წერას. ეხლა ჩვენ ვუწყით, რომ ბუნებისმეტყველების მეცნიერება ვერასოდეს ვერას აგვიხსნის ამის შესახებ. მაშასადამე, სარწმუნოებასთან შეკამათებაში მეცნიერება აღმოჩნდა უძლურათ, რადგანაც მან უნდა აღიაროს თვისი თავი უმწეოთ იქ, საცა სარწმუნოება იჩენს თვის ძალას. სარწმუნოება აგვიხსნის საკითხებს, რომელთა გადაჭრა მეცნიერებას არ ძალუძს. ის გვიშლის თვალწინ იმას, რისი ახსნაც არ შეუძლია არც ანატომიას და არც ფიზიოლოგიას, ესე იგი, რანი ვართ, საით მივდივართ და როგორ უნდა მოვიქცეთ".

„ზნეობრივობა და სარწმუნოება ურთერთს ასრულებს და რადგან მეცნიერებას არა რა შეუძლია გააკეთოს ზნეობრივობისათვის, ამ უკანასკნელის დამყარების მოვალეობა წილად ხვდა სარწმუნოებას".

ბრუნეტიერს უპასუხეს, რომ მისი საყვედურები უსაფუძლოა ჯერ ერთი იმიტომ, რომ მეცნიერება არასოდეს არ დაპირებულა ადამიანის ცხოვრების მიზნისა და ზნეობრივობის საფუძველთა დიდ საკითხების გადაჭრას და მეორეც იმიტომ, რომ ზოგიერთი ამ საკითხთაგან ალბად ვერასოდეს ვერ გადაწყდება ადამიანის შეგნების უსრულობის გამო. კარგად ცნობილ ფრანგების ფიზიოლოგს **შარლ რიშეს** [1]) ტყუილად ეძებნია ის სამეცნიერო თხზულებები, საცა უნდა ყოფილიყო ამ საკითხთა გადაჭრის დაპირება, რომელნიც ეხალისება ტოლსტოის, ბრუნეტიერსა და მათთან ერთად კაცობრიობის უმეტესობას.

,,რომელ კლასიკურ ნამუშევრებში მოგვცა მეცნიერებამ ის ბრწყინვალე დაპირებები, რომლებზედაც ასეთის სიმწარით იხსენიებს ბრუნეტიერიო? — ჰკითხულობს რიშე. — ამხანად ჩემ თვალთ წინა მაქვსო, — განაგრძობს რიშე, — სახელმძღვანელო მეცნიერებათა ბაკალავრის ხარისხის მისაღებადაო. ეს არის თანამედროვე სამეცნიერო ცოდნათა გროვა. ფუჭად ვძებნე დაპირებები... იქ არავითარი დაპირებები ჯრ არის'' (გვ. 34).

[1]) ,,Revue scientifique''. 1899, I, გვ. 33.

ეს დაპირებები უნდა ვძებნოთ სამეცნიერო პოპულიარულს თხზულებებში. უეჭველია, რომ რაციონალისტურ და სკეპტიკურ აზრის გაღვიძების შემდეგ ევროპაში, ესე იგი რამდენისამე საუკუნის განმავლობაში, გამოითქვა ისეთი აზრი, რომ ადამიანის ცხოვრების სრული მართვა შეუძლია ბუნებრივ კანონებსაო. ამ მხრივ ბევრი ცდა იყო მიმართული. **ბიუხნერის** თხზულებაში ,,ძალა და მატერია'', რომელიც წარმოადგენს მე-XIX საუკუნის სამეცნიერო საბუთზე დამყარებულ სოფლმხედველობის გროვას, ვპოულობთ შემდეგ ცნობას; ,,მაშასადამეო, — მოგვითხრობს გერმანული პოპულიარიზატორი, — დღევანდელ დროს ჩვენ უნდა ვეძიოთ ზნეობრივობის საფუძველი დაძველებულ და საოცნებო ზებუნებრივ რწმენათა გარეშე..... ბუნებრივ სინამდვილისა და ურყევ წესთა რწმენამ უნდა დაიკავოს ადგილი სულთა და მოჩვენებათა რწმენისა, ბუნებრივმა ზნეობრივობამ — ხელოვნურისა..... ,,(გვ. 511). ბიუხნერი ჰლამობს აგვიხსნას, თუ რა არის ბუნებრივი ზნეობრივობა. მისი აზრით, ეს არის ურთიერთ პატივისცემის კანონი, ყოველის სწორუფლებობა, საზოგადო და პირადის თვალსაზრისით კაცობრიობის საკეთილდღეოდ. ყოველივე, რაც ამ კეთილდღეობის წინააღმდეგია, არის ,,სიბოროტე'', რაც მას ხელს უწყობს — ,,სიკეთე'' (გვ. 513).

მეორე საკითხიც „საით მივდივართ?" აგრეთვე ჰპოვებს ბიუხნერის პასუხს: „არყოფნის და პირადის სიცოცხლის მოსპობის აზრი არაფრად საშიშია იმ ადამიანისათვის, რომელიც აღრზდილია ფილოსოფურს პრინციპებზე. არყოფნა არის სრული მოსვენება, ყოველ ტანჯვათაგან და სულისა და ხორცის მწამებელ შთაბეჭდილებათაგან განთავისუფლება;

ეს უკვე გამორკვეული იყო ბუდდას ღრმა სარწმუნოების მიერ; მაშასადამე, გაქრობის არაფრადაც უნდა გვეშინოდეს, ის უფრო სასურველი ჰხდება, როცა ცხოვრება იწურება და მოდის სიბერე თვისის უძლურებათა აუცილებელის ამალით-ო (გვ. 431).

ნურავინ იფიქრებს, რომ ეს აზრი მხოლოდ ბიუხნერის იყოს. იმავე აზრს ვპოულობთ **ჰეკკელის** წიგნშიაც: „მსოფლიო ამოცანები,“ რომელიც დაიბეჭდა „ძალა და მატერია“-ს პირველი გამოცემის 50 წლის შემდეგ. ისიც აგრედვე ჰპოებს პასუხს იმ საკითხისას, რომელიც ესოდენ ეხალისება კაცობრიობას. როგორც მე-5 თავში დავინახეთ, ისიც ზნეობრივ ფილოსოფიის საკითხის გადაჭრას ჭლამობს ადამიანის ზნეობრივ ალღოს შემწეობით და ჰფიქრობს, რომ ამ საკითხს არავითარი დამოკიდებულება არა აქვს სარწმუნოებრივს დოდმატთანაო. რაც შეეხება ადამიანის დანიშნულებას, ის ამგვარად ჭსნის საკითხს: სინიდისიერად და კეთილად შრომაში გატარებულ ცხოვრების სანეტარო დასასრული არის საფლავში საუკუნოდ განსვენება“-ო (გვ. 239).

ბიუხნერი და ჰეკკელი გვანუგეშებენ მით, რომ სიკვდილი არის საუკუნო „განსვენებაო“ და ივიწყებენ, რომ განსვენებისა და სრულის არყოფნის შორის აუარებელი განსხვავებაა.

მე-XIX საუკუნის ამ ორ პოპულიარიზატორთა დებულებებში დიდ მსგავსებას ვხედავთ. როგორც ბიუხნერს მოჰყავს ლეგენდა „საუკუნო ებრაელზე“, აგრეთვე ჰეკკელიც ეყრდნობა უბედურ აღასფერის ლეგენდაზე, რომელიც ამაოდ ეძებდა სიკვდილს და ჰპოულობდა თვის საუკუნო ცხოვრებას აუტანლად.

თვით სამოთხეშიაც კი, თვისის ყოველის სიმშვენიერით რომ წარმოვიდგინოთ ასეთი ცხოვრებაო,—მოგვითხრობს ჰეკკელი,—დაბოლოს სიცოცხლე უნდა ფრიად მოსაწყენი შეიქმნასო“ (გვ. 239).

უეველია, რომ ამ აზრებს იზიარებს სამეცნიერო საბუთებზე დაყრდნობილი დიდძალი ხალხი; ხოლო არც ისეთ მეცნიერთა რიცხვი ნაკლები, რომელიც ამ საკითხს სრულიად სხვაფრივ უყურებს.

საზოგადო სამეცნიერო და მსოფლიო საკითხების ფიქრ-

ში გართულმა გერმანელმა ფიზიოლოგმა **ემილ დიუ-ბუა-რეიმონმა** წარმოსთქვა თვისი ,,ignorabimus'' (,,არ გვეცოდინება''). ამით მას უნდოდა ჩვენი გაფრთხილება, რომ კაცობრიობისათვის ფრიად საყურადღებო საკითხთა მთელი წყობა ადამიანის შემეცნებაზე მაღლა არის და ვერასოდეს ვერ გადასწყდებაო. და სწორედ ამ შვიდ მსოფლიო საკითხთა გადაჭრას ჰლამობს ჰეკკელი თვის ზემოაღნიშნულს წიგნში.

ხშირია ისეთი მეცნიერნი, რომელნიც ჰფიქრობენ, რომ მთავარი საკითხებია ისეთები, რომელნიც ტოლსტოის აზრით, მხოლოდ მარტონი წარმოადგენენ ნამდვილ მეცნიერებას და არასოდეს არ იქნებიან გადაჭრილნი. „ყოველ დღესო,—მოგვითხრობს შარლ რიშე,—მოაქვს რაიმე ახალი გამარჯვება ადამიანის დანიშნულების საკითხის გადაუჭრელად, რომელიც არასოდეს არ იქნება გადაჭრილი"-ო (l. c., გვ. 35). ფილოსოფოსებიც ამისვე მსგავს აზრებს იზიარებენ. „რასაკვირველიაო,—ამბობს გეუჯო,—რომ არა მეცნიერებას უნდა ეკითხებოდეს პიროვნება თვისის უკვდავების საბუთებსა"-ო. (Irréligion, გვ. 460).

თანამედროვე მეცნიერების პასუხი არაა საკმაო იმ ხალხის სანუგეშებლად, რომელიც მას მიჰმართავს ხოლმე. როცა მეცნიერების გაკოტრების შესახებ მსჯელობის დროს რიშემ მოიყვანა სამეცნიერო აღმოჩენათა ძლიერების დასამტკიცებლად ხუნაგის (დიფტერიტის) წამლობა მხსნელი სპეციფიური სერუმით (შრატით), ბრუნეტიერმა უპასუხა: „სეროთერაპია (შრატით წამლობა) ვერ გვიხსნის სიკვდილისაგან და ვერც იმას გვეტყვის, თუ რატომ ვკვდებით''-ო. მუდამ სიკვდილის საკითხს ვუბრუნდებით ხოლმე. რისთვის უნდა განვკურნოთ ხოლმე ხუნაგისაგან ბავშვი, თუ კი, როცა გაიზრდება, უნდა გაიგოს აუცილებელის სიკვდილის შესახებ, რამაც უნდა შიშის ზარი მოჰგვაროს მას?

თუ მეცნიერებას არ ძალუძს კაცობრიობის მტანჯველ და ფრიად საყურადღებო საკითხების გადაჭრა, თუ ის უარ-

ზედაა ცოდნათა უკმარისობის გამო, ანუ თუ ის სხვას ვერას სჭრის და სამარის არარაობაზე მიგვითითებს, ადვილი გასაგებია, რომ ბევრი გამოჩენილი მოაზრეც კი უკუიქცევა. ჩვენი არსებობის ტანჯვა-ვაებაში რაიმე ნუგეშის პოვნის სურვილს მიჰყავს ისინი გამოურკვეველის გზით სარწმუნოებისა და მეტაფიზიკისადმი. და ამიტომაც, თანამედროვე კაცობრიობას უეჭველად ეტყობა სარწმუნოებისადმი მისწრაფება. ჩაყურყუმალებულან მისტიციზმში და ჰფიქრობენ, რომ ის უფრო სანუგეშებელ პასუხს მისცემს, ვიდრე გაქრობისა და არყოფნისას.

ეს ზებუნებრივის ძებნა სწარმოებს თანამედროვე საზოგადოების ყოველს ნაწილში. ამიტომაც, ფრიად საგულისხმიერია მეცნიერებისაგან დაშორების და სარწმუნოებისადმი დაბრუნების შინაგანი მექანიზმი. ტოლსტოჲს „აღსარებაში“ საუკეთესოდაა დახატული ეს ცვლილება.

იმ დასკვნამდე მისულმა, რომ სიცოცხლე უაზრობაა, რადგანაც არ ძალუძს შეეფარდოს სიკვდილისა და სრულის გაქრობის წინაშე შიშის ხაკითხს, ტოლსტოჲმ დაეკითხა თვის თავს: შეეძლება თუ არა მას სამეცნიერო საბუთების დახმარებით კაცობრიობის არსებობის დიდი საკითხის გადაჭრა? „ვეძებე ყოველს ცოდნაში და არა თუ ვერ ვნახე, არამედ დავრწმუნდი, რომ ყველა იმათაც, რომელნიც ჩემსავით ცოდნაში ეძებდნენ, აგრეთვე ვერაფერი ნახეს. არათუ ვერ ნახეს, არამედ ცხადად აღიარეს, რომ სწორედ ის, რასაც მე სასოწარკვეთილებისაკენ მივყავდი, არის ცხოვრების უაზრობა და ერთადერთი უეჭველი ცოდნა, რომელიც კი შეუთვისებია ადამიანს“ (გვ. 26). „ვუგდებდი რა ყურს მეცნიერების მნიშვნელოვანსა და სერიოზულ ტონს, რომელიც ადასტურებდა თვის დებულებებს, რომლებშიაც არა ეყარა რა საერთო კაცობრიობის სიცოცხლის საკითხებთან, მე დიდ ხანს მეგონა, რაღაცა არ მესმის მეთქი“ (გვ. 27).

იმავე დროს ტოლსტოჲს სრულიად უბრალოდ მიაჩნდა

ის საკითხი, რომელსაც თავის თავს უყენებდა: „რისათვის უნდა ვიცხოვრო, რისათვის უნდა რამ ვაკეთო? კიდევ სხვაფრივ შეიძლება ამ საკითხის დაყენება: არის თუ არა ჩემს ცხოვრებაში რამ აზრი, რომელიც არ იქნება გაქარწყლებული ჩემი აუცილებელის სიკვდილის ხელით? ამ ერთსა და იმავე, ხოლო ფერადად გამოთქმულს კითხვის პასუხს ვეძიებდი ადამიანის ცოდნაში“ (გვ. 27). „თვით სიყრმიდგან მაინტერესებდა განყენებული ცოდნა, ხოლო შემდეგ გამიტაცა მათემათიკისა და ბუნების მეტყველების საკითხებმა და ვიდრე ცხადად არ დავსვი საკითხი, ვიდრე ეს საკითხი არ აღიზარდა ჩემს არსებაში და სთხოულობდა დაჟინებულ გადაწყვეტას, მანამდის ვკმაყოფილდებოდი იმ საკითხის თაღლითურის პასუხებით, რომელთაც იძლევა ცოდნა“ (გვ. 28). „მე ვეუბნებოდი ჩემ თავს: ყოველიფერი ვითარდება, დიფერენციაციას განიცდის, რთულდება და წარმეტებაში მიდის და არის კანონები, რომელნიც ამ სვლას განაგებენ. შენა ხარ მთელის ნაწილი“. ,,თუნდა სამარცხვინოდ მიმაჩნია, მაგრამ უნდა გამოვტყდე, რომ ერთ დროს ეს მაკმაყოფილებდა. ეს იყო მაშინ, როცა მე თვითონ ვრთულდებოდი და ვვითარდებოდი. ჩემი კუთები იზრდებოდნენ და მაგრდებოდნენ, მეხსიერება მდიდრდებოდა, აზროვნობისა და შემეცნების ნიჭი დიდდებოდა, მე ვიზრდებოდი და ვვითარდებოდი და, ვგრძნობდი რა ამ ზრდას, ბუნებრივად ვფიქრობდი, რომ თვით ეს იყო მსოფლიოს კანონი, რომელსაც უნდა გადაეჭრა ჩემი ცხოვრების საკითხი. ხოლო დრომ განვლო და, როცა ზრდა შესწყდა, ვიგრძენ, რომ კი აღარ ვვითარდები, არამედ ვხმები, კუთები მისუსტდება, კბილები მცვივა, და დავინახე, რომ ეს კანონი არათუ არაფერს მიხსნის, არამედ, რომ არც ასეთი კანონი ყოფილა და არ შეეძლო მას ყოფნა, რომ მე კანონად მომეჩვენა ის, რაც ჩემში ვნახე ჩემი სიცოცხლის ერთ დროს. (გვ. 29). ,,რადგან ცოდნაში ვერ ვპოვე ახსნა, დავიწყე მისი ძებნა ცხოვრებაშიო,—განაგრძობს ტოლსტოი

თვის გრძნობიერ მოთხრობას,—დაიმედებული, რომ ჩემს ირგვლივ მყოფ ხალხში ვიპოვიდი მასაო'' (გვ. 44). ,,ჭკუა მუშაობდა, მაგრამ მუშაობდა სხვა რაღაც, სხვას ვერას ვუწოდებ, როგორც სიცოცხლის შეგნებას. მუშაობდა კიდევ ის ძალა, რომელიც იქცევდა ჩემს ყურადღებას იმაზე და არა ამაზე და ამ ძალამ გამომიყვანა ჩემს საშინელ მდგომარეობიდან და სულ სხვაფრივ მიმართა გონება'' (გვ. 133).

ეს ახალი მიმართულება თურმე იყო რწმენა. ,,როგორც არ უნდა წამოვაყენო საკითხი: როგორ უნდა ვიცხოვრო?—პასუხი ერთია: ღვთის კანონზე. რა გამოვა ჩემი აწინდელის ცხოვრებიდან?—მუდმივი ტანჯვა თუ მუდმივი ნეტარება? რა აზრია, რომელსაც სიკვდილი ვერ შეეხება?—შეერთება დაუსრულებელ ღმერთთან, საპოთხე. ასე რომ... აუცილებლად უნდა შემეგნო ის, რომ კაცობრიობას აქვს რაღაც სხვა ცოდნა, გარეშე გონებისა,—რწმენა, რომელიც გვაძლევს ცხოვრების შეძლებას".

,,გონებისა და რწმენის წინააღმდეგობა ჩემთვის იგივე იყო, როგორც ადრე, ხოლო არ შემეძლო არ შემეგნო, რომ რწმენა აძლევს ადამიანს პასუხს სიცოცხლის საკითხისას და ამიტომ სიცოცხლის შეძლებასაც''.

„გონიერმა ცოდნამ მიმიყვანა იმის შეგნებამდე, რომ სიცოცხლე უაზროა—ჩემი სიცოცხლე შეჩერდა და მოვისურვე სიცოცხლის მოსპობა. ხოლო დავუკვირდი რა ხალხს, კაცობრიობას, დავინახე, რომ ხალხი სცხოვრობს და ამტკიცებს, ცხოვრების აზრი მესმისო. დაუკვირდი ჩემ თავს: ვცხოვრობდი, ვიდრე ცხოვრების აზრი მესმოდა. როგორც სხვებს, მეც რწმენა მაძლევდა ცხოვრების აზრსა და შემძლებლობას" (გვ. 57).

დაადგა რა რწმენის გზას, ტოლსტოი ასე დაასკვნის: „ადამიანის მიზანია სიცოცხლეში—იხსნას სული თვისი; სულის ხსნა შეიძლება ღვთის ნებაზე ცხოვრებით, ღვთის ნებაზე ცხოვრება კი მოითხოვს ყოვლისავე განცხრომისაგან უკუ-

ქცევას, შრომას, მორჩილობას, მოთმენასა და მოწყალებას'' (გვ. 77). ამ დასკვნამ გამოიწვია თავის მხრივ შემდეგი: ყოველივე რწმენის ძალა ისეთია, რომ ეს ძალა ისეთ ფასსა სდებს სიცოცხლეს, რომელსაც სიკვდილი ვერ სთრგუნავს'' (გვ. 78).

ადვილი დასანახია, რომ ამ სიკვდილის შიშის ალლომ წარმოშვა მთელი ეს ევოლუუცია, რომელმაც ტოლსტოეს მისცა რწმენა ისეთი რამ უცნაურის, რაიც სიკვდილს გაურბის. ამ ვითარებაში ადვილი გასაგებია ესოდენ ცხადად გამოსახული წინააღმდეგობა ტოლსტოესა მეცნიერებისადმი.

რასაკვირველია, არა მარტო ტოლსტოე ჰფიქრობს, რომ შეუძლებელია მეცნიერების საშუალებით სიკვდილის საკითხის გადაწყვეტაო, მეცნიერების უარყოფა და სარწმუნოების გაღვივებაო.

რამდენადაც ბრუნეტიერის ნაწერებიდან სჩანს, იმასაც უნდა განეცადა ასეთივე შინაგანი ბრძოლა, ვიდრე ესოდენ გადაწყვეტილად დაუბრუნდებოდა კათოლიკეთა სარწმუნოების წიაღს.

თვით ზოლას დინჯმა და სკეპტიკურმა ჭკუამ ვერ აუარა გვერდი სარწმუნოების მიერ გამოწვეულ სულის მდგომარეობას. ამის შესახებ ფრიად საინტერესო ცნობას გვაძლევს ე. ფონკური 20 თებერვალს 1883 წ. „დღეს საღამოს სადილის შემდეგ ჩუქურთმით დახატულ ტახტთან, სადაც ჩვენ ლიკიორებს ვსვამთ ხოლმე, ზოლა ლაპარაკობს სიკვდილის შესახებ, რომელზედაც ფიქრი მას ჩასჭიდებია დედის სიკვდილის შემდეგ. სიჩუმის შემდეგ ის განაგრძობს, რომ ამ სიკვდილმა შეარყია ჩემ სარწმუნოებრივ რწმენათა ნიღილიზმიო,— ასეთი ზარი დაუცია მისთვის სამუდამო განშორების ფიქრსა.“

ცხადია, რომ ის წრეები, რომელნიც უფრო დაშორებულია რაციონალისტურსა და სამეცნიერო იდეებს, უფრო ხშირად უნდა უბრუნდებოდნენ სარწმუნოებას. ამ შემთხვევაში მე ვიცი ერთი უბრალო მუშა დედაკაცის ისტორია, რომელიც გამოტეხილად ამბობდა თავის ადრინდელ სრულს ურწ-

უნოების შესახებ და მხოლოდ მაშინ იწამა ღმერთი, როცა შვილი გაუჩნდა, იმ ფიქრით, რომ მარტო ამ ერთ რწმენას შეეძლება ჩემი ბალღის ყოველგვარ ჭირისაგან დაფარვაო.

შეიძლება ასეთმავე მოსაზრებამ შექმნა მითი პრომეთეოსის (აჭირანის) შესახებ, რომელიც ციურის ცეცხლის მოტაცებისათვის მიჯაჭვული იყო კლდეზე.

სრულიად გარკვეულად გამოსთქვამს იმავე აზრს სოლომონიც: „აი, ავაღლდი და შევიქენ იერუსალემის ყველა ჩემამდე ყოფილ მფლობელთა უბრძნესად და გულმა ჩემმა სცნა მრავალი სიბრძნე და ცოდნა. და ვსცდილობდი მეცნო სიბრძნე და უჭკუობის შეცდომანი ხოლო გავიგე, რომ ესეც ჭკუის ტანჯვა იყო. იმიტომ რომ, საცა მრავალი ცოდნაა, იქ მოავალი მწუხარებაცაა და ვინც მდიდრდება ცოდნით, მდიდრდება აგრეთვე მწუხარებითაც.“

მეტად უფრო გვიან **ჰამლეტში** შექსპირმა წარმოადგინა ფრიად მაღალი კულტურის ტიპი, რომელსაც მსჯელობა და გულის ხმა უშლიდა მოქმედებას. რადგან უძლურად ჰგრძნობდა თავს რაციონალურის გზით გადაეწყვიტა თვისი მწვავე საკითხები, ის დაეკითხა თავის თავს: ღირს თუ არა სიცოცხლეო? და დაუმატა მრავალმნიშვნელოვანი სიტყვები: „ამგვარად გვქმნის ყველას გონება მხდალად; ასე ჰკარგავს ფერს ნებისყოფობის სიწითლე გულის ხმის მკრთალის შუქის წინაშე-„ო.

რადგან ესოდენ გენიოსთა აზრი შეთანხმებულა, ჩვენ იძულებული ვხდებით წამოვაყენოთ ასეთი საკითხი: ეგებ მართლაც მავნეა ადამიანის კეთილდღეობისათვის დიდი ცოდნა? თუ მართლაც მეცნიერება მხოლოდ სპობს რწმენას და გვასწავლის მხოლოდ იმას, რომ ხორცშესხმულმა მსოფლიომ იგრძნოს სიბერის ტანჯვანი და სიკვდილის აუცილებლობა, უკეთესი არ იქნება შევწყვიტოთ მეცნიერების ესოდენ დამღუპველი მსვლელობა? ეგებ ადამიანის მისწრაფება მეცნიერების სინათლისადმი იმდენადვე მავნებელი იყოს კაცობრიო-

ბისათვის, როგორც პეპელათა ცეცხლისადმი მისწრაფება დამღუპველია ამ ბედშავ მწერთათვის?

ეს საკითხი მოითხოვს გარკვეულ პასუხს. ხოლო ვიდრე განაჩენს გამოვიტანდეთ, საჭიროა საკითხის ყოველმხრივ კარგად შესწავლა და ამას ჩვენ შევეცდებით შემდეგ ორ თავში.

თ ა ვ ი X.

სიბერის სამეცნიერო შესწავლის შესავალი.

სიბერის საერთო სურათი.—ერთუჯრედოვანთა ბებრულ გადაგვარების თეორია.—ინფუზორიათა კონჯუგაციის მნიშვნელობა.—ფრინველთა და ადამიანისგავს მაიმუნთა სიბერე.—ბებრულ გადაგვარების საერთო თვისებანი.—სხეულის ნაწილთა (ორგანოთა) სკლეროზი.—ბებრულ გადაგვარების ფაგოციტარული თეორია.—მაკროფაგების მიერ კეთილშობილ ქსოვილთა დარღვევა.—თმის გათეთრების (გაჭაღარავების) მექანიზმი.—უჯრედებზე მომქმედი შრატები (ციტოტოქსინები).—ათეროსკლეროზი და მისი მიზეზები.—ნაწლევებში დამყაყება და მისი აცილების ცდა.—ბიბლიურ დროთა დღეგრძელობა.

შეგვიძლია არ გავიზიაროთ იმათი აზრი, რომელნიც ზურგს უქცევენ მეცნიერებას და სარწმუნოებაში ეძებენ სიმართლესა და ნუგეშს, ხოლო ნება არ გვაქვს ანგარიში არ გაუწიოთ ანუ გულგრილად მოვეპყრათ მათ აზრს. არც ისაა აგრედვე შესაძლო, რომ ვიკმაროთ ისეთი მტკიცება, რომ ის ხალხი, რომელიც იტანჯება სიცოცხლის სურვილისა და სიკვდილის აუცილებლობის შორის წინააღმდეგობით, იყვნენ მეტად ჟინიანნი და დაუჯერებელნი.

როცა მკურნალს ეუბნებიან: „ჩემი შიმშილ—წყურვილი დაუსრულებელიაო“, მკურნალი იმას კი არ ეტყვის, რომ გაუმაძღრობა ცუდია და უნდა ნებისყოფობის ძალით დასთრგუნო ეს ნაკლი, არამედ გულდასმით გამოიკვლევს ავადმყოფს და შეეცდება შეძლებისა დაგვარად ააცილოს თავიდან ის საჩივრები, რომლებიც მას აწუხებს და რომელთაც უმრავლეს შემთხვევაში გამოიწვევს ხოლმე ქყურტი.

აგრედვე უნდა მოექცნენ სიცოცხლის მწყურვალთ მეცნიერნიც, რომელნიც ვალდებულნი არიან შეუმსუბუქონ ტანჯვა.

თუმცა უნდა გამოვტყდეთ, რომ მეცნიერებამ ბევრი ცოდნა შეკრიბა ყველა იმის შესახებ, რაც შეეხება სენთ, მათგან უზრუნველყოფობის და წამლობის საშუალებათ,—მაგრამ მას მაინც ფრიად ცოტა საბუთები აქვს იმ ტანჯვათა წინააღმდეგ, რომელთაგან განთავისუფლებასაც სთხოვდა ბუდდა მამა მისს, სახელდობრ სიბერისა და სიკვდილის წინააღმდეგ. სენთა შესახებ მეცნიერებამ ისეთს წარმატებას მიაღწია, რომლის შესახებაც ბუდდას მამას, მეფე **კუდგოდანას** არ შეეძლო რაიმე წარმოდგენა ჰქონებოდა, ხოლო სიბერისა და სიკვდილის საკითხის შესახებ ვერც მეცნიერებას შეუძლია უკეთესი პასუხი მისცეს, ვიდრე დასახელებულმა მეფემ მისცა. იმ ხალხს, რომელიც ეკითხება მეცნიერებას, როგორც მეფეს, არ შეუძლია სხვა პასუხი მისცეს, თუ არ ასეთი: თქვენ მთხოვთ შეუძლებელს, მე ეს არ ძალმიძს.

არათუ არავითარი საშუალება არა აქვს მეცნიერებას სიბერის წინააღმდეგ, არამედ არც არა იცის რა ამ ადამიანისა და ცხოველთა ხანის შესახებ. ფრიად მიძნელდებოდა წარმოშედგინა მკითხველისათვის რამდენიმე გვერდის სივრცეზე თანამედროვე მედიცინის მდგომარეობა: იმდენი სათქმელი იყო ამის შესახებ. ხოლო რამდენიმე პწკარია საკმაო სიბერის შესახებ ცნობათა წარმოსადგენად: ისე ცოტა ვიცით მის შესახებ.

როგორც ადამიანი, აგრეთვე ყოველი ცხოველიც ჰასაკის თანახმად განიცდის ძირითად ცვლილებებს. ძალები სუსტდება, ტანი იხრება, თმა ჭაღარავდება, კბილები იცვლება. [1]) ერთის სიტყვით იწყება მოვლინება ბებრულ ატროფიისა. ამ მიხრწნილს ჰასაკში, რომელიც სხვა და სხვა ცხოველთა გვარს

[1]) „სული კრული, გული წყლული, სახე მჭკნარი, თმა ჭაღარა.“ —აკაკის დახასიათება სიბერისა, მთარგმნელი.

სხვა და სხვა დროს უდგება, სხეული ველარ ეწინააღმდეგება შავნე მოვლენათ და ფერად სენისმომგვრელ მიზეზთა გამო ეთხოვება ამ სოფელს.

ზოგჯერ ვერ ვხედავთ სიკვდილის მიზეზს და ვლამობთ სხეულის საერთო დაძაბუნებით ავხსნათ, თითქო ასეთი შემთხვევა იყოს ბუნებრივის სიკვდილის მაგალითი.

ეს გადაგვარება, ანუ ბებრული ატროფია მხოლოდ ადამიანისა და მაღალ ცხოველთა თვისებაა, თუ ყოველი სულდგმული განიცდის მას? აი, პირველი საკითხი, რომელიც უტრიალებს თავში მეცნიერს.

ყველას უნახავს ბებერი ხეები, რომელთ გარეგნობაც ჰხატავს მათ მიხრწნილ ჰასაკს. ტანი გამოფუტურებულია, კანი დამსკდარი, შტო და ფოთოლი დაცრეცილი. ზოგი ხის ჯიში სცოცხლობს ასეულებსა და შეიძლება ათასეულებ წელსაც; ზოგიც უფრო ადრე ბერდება.

მიხრწნილება, მაშასადამე, მცენარეულობასაც აქვს. ჰფიქრობდნენ, რომ უმარტივეს ცხოველთაც აქვსო, რომელნიც ინფუზორიათა კლასს ეკუთვნიან. და აი, რა აღმოაჩინეს. თივის ან ფოთლების ნახარშში ინფუზორიები ადვილად ხეიროობენ. მათი ნაყოფიერი გამრავლება ჰხდება ორად დაყოფის საშუალებით, რაიც ფრიად მოკლე დროში ჰხდება. ზოგი იყოფა თითქმის ყოველსაათობით. რასაკვირველია, რომ ამ ვითარებაში ინფუზორიები საოცარის სისწრაფით მრავლდებიან და მოკლე ხანში ფუსფუსი გააქვსთ.

ერთმა უწარჩინებულესმა ზოოლოგთაგანმა, მოპამ [1]) შეამჩნია, რომ ინფუზორიები მოდგმათა მთელის წყობის შემდეგ თანდათან წვრილდებიან, კნინდებიან, ასე ვთქვათ კახექსიას (დაძაბუნებას) განიცდიან და, თუ ვერ მოახერხებენ კონჯუგაციას, იხოცებიან. ამ შეუღლებას თან მოსდევს ინფუზორიათა სხეულების ზოგიერთ შინაგან ნაწილთა მიმოცვლა, რის შედეგიც არის განახლება. ამ აქტის შემდეგ, რომელიც

[1]) Le rajeunissement variogamique chez les Cilliés.

არის განაყოფიერების მოვლენა, ინფუზორიები ისევ ძველ სახეს იღებენ და კვლავ მრავლდებიან დაყოფის მეოხებით.

ეს პერიოდული დაძაბუნება, რომელიც წინ უძღვის შეუღლებას, მოპას აზრით, არის ინფუზორიათა ბებრულ გადაგვარების მაგალითი. ასეთი მოვლენა მოპას შეუმჩნევია მაღალ ინფუზორიათა მრავალს ჯიშში. იგივე მოვლენა ემჩნევა სხვა მრავალრიცხოვან სადა ორგანიზმებსაც, ხოლო უნდა ვიფიქროთ, რომ ეს მოვლენა არაა საერთო ყველა თვალით უხილავ (მიკროსკოპულ) არსებათათვის. ბაქტერიათა შორის, რომელთაც ეკუთვნის სენისმომგვრელ ჩანასახთა უმრავლესობა, კონჯუგაციას შეხვდებით მხოლოდ ფრიად იშვიათად. თვით უდიდესი გვარიც, რომელსაც ეკუთვნის საქონლის ჭირის (Anthrax) ბაქტერია, შეიძლება გაამრავლოთ თაობათა გრძელ წყობის სივრცეზე და ვერასოდეს ვერ შეამჩნიოთ კონჯუგაცია ანუ შეუღლება.

თუნდა ინფუზორიებისათვის საჭიროა კონჯუგაცია განუსაზღვრელ გამრავლებისათვის, მაგრამ მათი დაძაბუნება კონჯუგაციის დროს ვერ შეედრება ადამიანის ან ხეებისა და ცხოველების ბებრულ გადაგვარებას. ამ უკანასკნელთა დაძაბუნება კონჯუგაციასა და განახლებას კი არ უძღვის წინ, არამედ ეჭველ სიკვდილს.

მეორე განსხვავება, რომელზედაც უნდა შევჩერდეთ, არის ის, რომ ინფუზორიების სიძაბუნე, რომელიც წინ მიუძღვის შეუღლებას, არაა სავალდებულო ყველა ერთეულისათვის, რომელთაც იპყრობს ხოლმე ნამდვილი სიბერე. ვიდრე სუსტი ერთეულები გაჩნდებოდნენ, რომელთაც შეუძლიათ შეუღლება, ინფუზორიათა რამდენიმე ასეული თაობამ უნდა შესცვალოს ერთმა მეორე.

და, თუ ყველა ამისდა მიუხედავად, ვინმე დაჟინებით დაიწყებს მტკიცებას, რომ ადამიანის ბებრულ გადაგვარებისა და ინფუზორიათა შეუღლების წინ არსებულ გადაგვარების შორის ნამდვილი მსგავსება არისო, მარტო წარმოდგენაა საჭი-

რო იმ შედეგებისა, რომელსაც გამოიწვევდა ადამიანის სხეულში იმ საშუალების ხმარება, რომელიც აუცილებლად საჭიროა ინფუზორიებისათვის,—რომ სრულიად შესცვალო ასეთი აზრი: ინფუზორიათა კონჯუგაცია არის ნამდვილი განახლება, რომელიც ერთბაშად ჰკურნავს სიძაბუნისაგან; ასეთივე საშუალება ადამიანს მოჰგვრიდა მხოლოდ უფრო საჩქაროდ და სრულს სიძაბუნეს. ხოლო **კალკინსის** [1]) უკანასკნელ დროის გამოკვლევებით, გადაგვარების გამო დაძაბუნებულ ინფუზორიათა განახლება, არა თუ მარტო ურთიერთ შორის შეუღლების მეოხებით შეიძლება, არამედ ბულიონისა და ტვინის ექსტრაქტის მიმატებითაც იმ სითხეში, რომელშიაც ისინი ჰბუდობენ.

ნამდვილი სიბერე კი არის არსებობის ისეთი ხანა, როცა ძალები სუსტდება ისე, რომ მათი განახლება უკვე შეუძლებელია.

იმ ცხოველებს, რომელთაც ჭქვთ ცხოვრების განკერძოებული ციკლი, სიბერის გადაგვარება არ ემჩნევათ. მთავარ მწერთა დღე ფრიად მოკლეა; ისე იხოცებიან, რომ არავითარ სიბერის თვალსაჩინო თვისებებს არ ცხადჰყოფენ. დაბალ ხერხემლიან ცხოველების სიბერეზე ცოტა ვიცით და საერთოდ ცოტად ემჩნევათ. ფრინველთა და ძუძუმწოვართა სიბერის ატროფიის თვისებები კი ფრიად თვალსაჩინოა.

ზოგიერთ ფრინველთა ჯიში დღეგრძელია. მათი სიცოცხლე მეტად ხანგრძლივია საერთოდ, ვიდრე ძუძუმწოვრებისა. ხშირად ბატი, შურთხი, ყორანი და ზოგი ონავარი ფრინველი 50 წელზეც [1]) მეტსა სცოცხლობს; ძუძუმწოვართათვის ასეთი დღეგრძელობა იშვიათია.

ისეთ პატარა ჩიტსაც, როგორც იადონია, შეუძლია 20 წლამდე იცოცხლოს. ხოლო განსაკუთრებით დღეგრძელნი

[1])Biological Bulletin t. III. 1902.

[1]) Gurney. On the comparative Ages to wich Bird live. The Ibis. 1899.

არიან თუთიყუშები, კაკადუ 80 და მეტ წელს სცოცხლობს, ჩვენ მოგვეცა შემთხვევა გამოგვეკვლია სამხრეთ ამერიკის თუთიყუში (Chryosotis amasonica), რომელიც ამ ჯიშისთვის ფრიად ღრმა სიბერეში მოკვდა 82 წლისა. რამდენიმე წლით სიკვდილის წინ ამ თუთიყუშს ემჩნეოდა სიბერის გადაგვარების ცხადი თვისებები. მოძრაობა დაუსუსტდა და, თუნდა ფრთები არ გაუჭაღარავდა, მაგრამ მათი ფერადობა მკრთალი იყო და ფეხების საღსრებში ემჩნეოდა ნეკრისის ქარის (Arhtritis) ცხადი თვისებები. ერთის სიტყვით, ადვილი დასანახი იყო, რომ თუთიყუში დასუსტდა და დაძაბუნდა.

სიბერის თვისებები უფრო მკაცრად ემჩნევათ ძუძუმწოვართ, ვიდრე ფრინველებს. ბებერი ძაღლი ადვილი გამოსაცნობია მოდუნებული სიარულით, ჭაღარა ბალნითა და გაცვეთილის კბილებით. ასეთი ცხოველის დანახვა არა სასიამოვნოა, მით უმეტეს, რომ ამ ხანში ბინძური და ავი არის. **ბრემი** [2]) ამგვარად ახასიათებს ძაღლის სიბერეს: „12 წლის ძაღლი ბერდება. ეს უკანასკნელი საფეხური მისი სიცოცხლისა აშკარავდება საერთო შეხედულობით, მისი სხეულის საერთო მდგომარეობით. ბალანი აღარ უბრწყინავს და ჭაღარავდება შუბლზე და სახეზე; კბილები ეცვითება და სცვივა. ზარმაცდება და აღარ აქცევს ყურადღებას ყოველსავე იმას, რაიც ადრე აღელვებდა და ახარებდა. ხშირად ხმა ეკარგება და ბრმავდება. ხანდახან, მხოლოდ ფრიად იშვიათად, ძაღლი 20, 26 და 30 წლამდეც კი სცოცხლობს“.

რადგან ჩვენ აქ ვმსჯელობთ შინაურს ცხოველზე, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ესოდენ თვალსაჩინო გადაგვარების ნიშნებიანი სიბერე მოსწრაფებულია ცხოვრების ხელოვნურის პირობებითო. ამიტომაც არსებითად რომ შეიძლებოდეს მსჯელობა, საჭირო იქნებოდა მაგალითად მოგვეყვანა ისეთი ძუძუმწოვარის სიბერე, რომელიც თავისუფლად სცხოვრობს. ხოლო ამ პირობის შესრულება ადვილი არ არის, რადგან

[2]) ადამიანი და ცხოველები ტ. I.

ბებერი ცხოველები თვისი უძლურების გამო ადვილად უვარდებიან ბრჭყალებში ონავარ ცხოველებს. ამიტომ საინტერესოა რამდენისამე ცნობის მოტანა, რომელნიც შეკრებილია ადამიანის მსგავს მაიმუნთა სიბერის შესახებ.

ბორნეოს მკვიდრთ უნახავთ ისეთი ბებერი ორანგუტანგები, რომელთაც არა თუ ყველა კბილები ჩასცვივნოდა, არამედ ისე იღალებოდნენ ხეზე ასვლით, რომ ერჩიათ ეჭამათ მხოლოდ შემთხვევით ხიდან ნაყარი ხილი და ბალახების წვენი. [1]) სევაჯის სიტყვით სიბერეში გორილა ჭაღარავდება, რის გამო შეითხზა ზღაპარი ამ ცხოველთა ორი ჯიშის შესახებ.

თავისუფალ მაიმუნების სიბერე ძალიანა ჰგავს ჩვენსას და აგეთივე სავალალო მოვლენიანია. მაშასადამე, სიბერის გადაგვარება, რომელსაც ყველანი სთვლიან უდიდეს უბედურებად, სრულიადაც არ არის მხოლოდ ადამიანის პრივილეგია.

თუ სიბერის სურათი, რომელიც ჩვენ მოვიტანეთ მე-VI თავში, ბუდდელ ლეგენდისა, გადაჭარბებულიც არის, მაგრამ ის მაინც ნამდვილია, რომ ცხოვრების ამ ხანას ახასიათებს ისეთი ცვლილებები, რომელნიც მოხუცთა არსებობას ფრიად სავალალოდა ჰხდის. თვისის პესიმიზმის მეოხებით ბუდდა ფრიად უმწეო შეხედულებისა იყო. ეხლა ვნახოთ, როგორ ახასიათებენ სიბერეს ოპტიმისტები. აი, რა დახასიათებას იძლევა მკურნალი, ლიტერატორი და პუბლიცისტი **მაქს ნორდაუ**: „...ბებერიო,—მოგვითხრობს **ნორდაუ** მიუდგომელ მკვლევარის თვალსაზრისით,—ფიზიკურად არის არასასიამოვნო განხორციელება მიხრწნილობისაო, ზნეობრივად იგი ბრმა და შეუბრალებელი ეგოისტიაო, რომელსაც არა ეხალისება რა, გარდა თვისი თავისა; გონებრივად იგია სუსტი და შეზღუდული მოაზრე, არსებითად ძველ შეცდომათა და

[1]) Huxley. Мѣсто человѣка въ природѣ. 1891. გვ. 210.

ცრუმორწმუნოებათაგან გამსჭვალული და ახალ აზრთა მისაღებად დახშული''-ო.

ხოლო შესაძლოა მიკიჟინონ, რომ მომყავს ისეთი პუბლიცისტის აზრი, რომელსაც ჩვეულებადა აქვს გადაჭარბებაო. მაშ, მოუსმინოთ მეცნიერ ფიზიოლოგს, რომელიც ესაუბრება სწავლის მოყვარულსა და ჭეშმარიტების მაძიებელ მსმენელებს. სიბერისაგან გამოწვეულ ფიზიკურ გადაგვარების საზოგადო სურათის დახატვის შემდეგ **ლონჟე** [1]) ასეთს სურათს იძლევა: ბებრები ,,ჰგრძნობენ, რომ ამქვეყნიური მათი ვალი მოხდილია; მათ ეჩვენებათ, რომ ყველა იმათზე ჰფიქრობს და უსაყვედურებს, რომ ადგილი უჭირავთ დედამიწაზე; აქედან მომდინარეობს მათი იქვიანობა და შური ახალგაზრდათა მიმართ; აქედამვე მომდინარეობს მარტოხელობის სიყვარული და ხასიათის უსწორმასწორობა... რასაკვირველია, რომ ყველა ბებერი არაა ამგვარი: ზოგიერთთა გული ახალგაზრდავე რჩება და ფხიზლად ჰფეთქავს დასუსტებულს სხეულში; ხოლო საზოგადოდ ბებრები დაღვრემილნი არიან, ტვირთად აწვანან თავიანთ თავსა და სხვებსაც, თუ არა ჰყავთ შვილები და შვილიშვილები, რომელთაც უყვართ მათი წარსული და რომელნიც არ სწუხან მათი აწინდელ ცხოვრებით.—ასე მიმდინარეობს მათი წლოვანება და ყოველი საათი უახლოვებს ასპარეზის ბოლოს, ყოველი საათი უმატებს მათ სახეს ახალ ნაოჭს, ახალ სისუსტეს, ახალ შებრალებას. მათი ტანი.... იხრწნება; ხერხემლები ფრიად სუსტია ტანის გასამაგრებლად და ამის გამო ისეთ მდგომარეობას იღებენ, რომელიც უახლოვებს დედამიწას.“

უეჭველია, რომ სიბერე სამძიმო მდგომარეობაა; მის არსების შესაგნებად საჭიროა ღრმა შესწავლა. ვიდრე არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდათ სენთა ნამდვილ მიზეზების შესახებ, არავითარი საღსარი არ ჰქონდათ მათ მოსასპობად. ასევეა სიბერის საკითხის საქმეც.

[1]) Учебник физіологіи. ტ. II, გვ. 235.

შესაძლოა, თუ არა თანამედროვე მეცნიერების მდგომარეობის დროს ვიქონიოთ რამდენადმე სწორი წარმოდგენა ბებრულ გადაგვარების დამახასიათებელ თვისებათა შესახებ? ეს საკითხი არაა ადვილი ამ ესოდენ საყურადღებო საკითხის შესახებ ნამდვილ ფაქტების რიცხვთა სიმცირის გამო.

ყველამ იცის, რომ ბებერი საქონლის ხორცი მაგარი არის. ბებერი ქათმის ხორცი ვერ შეედრება წიწილების ნორჩ ხორცს. სხვა ორგანოები, მაგალითად ღვიძლი და თირკმელები ბებრებს უფრო მაგარი აქვთ, ვიდრე ახალგაზდებს. ბებერ ცხოველთა ხორცს ადარებენ ლანჩას და არსებითად ეს შედარება სწორია. ლანჩას აკეთებენ ცხოველის ტყავიდამ, ესე იგი იმ მაგარ ქსოვილიდამ, რომელიც შედგება ეგრედ წოდებულ „შემაერთებელ ქსოვილიდან"-უამრავ ხათა რაცხვისაგან, რომელნიც არეულია ცხოველ ელემენტთა, ანუ შემაერთებელ—ქსოვილიან უჯრედებთან. ეს ქსოვილი ფრიად მკვიდრია და ამიტომაც ვარგა ფეხსაცმლის ლანჩად.

როცა რომელსამე სხეულის ნაწილში შესამჩნევად მატულობს შემაერთებელი ქსოვილი, ეს ნაწილი მაგრდება და საჭმელად უვარგისი ხდება. ამ გამაგრებას (ღვიძლისა, თირკმელების, თუ სხვისა) უწოდებენ **სკლეროზს**. სწორედ სიბერეში მრავალ ორგანოთ სჩვევიათ გამაგრება, ანუ სკლეროზული გადაგვარება. ეს კარგი ხანია შემჩნეული იყო, მხოლოდ მისი მნიშვნელობა შეიგნეს მეტად გვიან. აი, რას მოგვითხრობს **დემანჟი** [1]) თვის მონოგრაფიაში სხეულის სიბერის დროს ცვლილებათა შესახებ: „პარენქიმატულ ელემენტთა [2]) ატროფიასა და გადაგვარებასთან ერთად ჩვენ ვხედავთ შემაერთებელ ქსოვილთა ღრმა ცვლილებას, რომელ ქსოვილსაც ემყარება ხსენებული ელემენტები. ზოგ შემთხვევაში უჯრედულ ატრო-

[1]) Etude clinique et anatomo-pathologique sur la vieillesse. Paris. 1886.

[2]) პარენქიმატული ელემენტები შეადგენენ თვით არსებით უჯრედებს ისეთის ორგანოებისა, როგორც არის ღვიძლი, თირკმელები, კუთები, ტვინი და სხვა.

ფიის მეოხებით შემაერთებელ ქსოვილთა გარსი უფრო ცხადად ისახება, ხოლო სიჭარბით არ ვითარდება; ეს მოვლენა ხშირია ბებრების ღვიძლში. ხოლო უმეტეს შემთხვევაშ შემაერთებელი ქსოვილი განიცდის ნამდვილ ატეხილობას, რომელიც არ შეიქმს ანთებას, არამედ იწვევს ჩანასახულ გამრავლებას და შემდეგ სკლეროზს. მდგომარეობათა მიხედვით ეს სკლეროზი ვითარდება, ან კუნძულაკებად, ან ზოლებად; იწყება ან პერიფერიით, ან ორგანოს სიღრმიდან და თვისის ნასკვებით დახშავს ხოლმე ორგანოთა ელემენტებს და ამრიგად ჰხდება ამ ორგანოთა ატროფიისა და გადაგვარების საბაბათ. უჯრედული ელემენტები ამგვარად თანდათან ჰქრება და მის ადგილს იჭერს შემაერთებელი ქსოვილი, რომელიც თვისის ძლიერის განვითარებით ზოგჯერ, მაგალითად პროსტატულ ჯირკვალს ადიდებს ხოლმე, ხოლო უფრო ხშირად შედეგათ მოჰყვება ხოლმე საერთო ან კერძო ატროფია" (გვ. 9).

ბებრული სკლეროზები ზოგჯერ გამოიხატება ღვიძლის ან თირკმელების გამაგრებით (ღვიძლის ან თირკმელების ციროზი); ხოლო უფრო ხშირად ამ ცვლილებას განიცდიან ხოლმე არტერიები, რომელთა დეგენერაციასაც (გადაგვარება) ჰქვიან **არტერიოსკლეროზი.**

კაზალისმა უკვე დიდი ხანია გამოსთქვა ესოდენ სახელდახელო აფორიზმი: „ჩვენი ჰასაკი ჩვენი არტერიების ჰასაკია-" ოდა მართლაც, ეს ის ჭურჭლებია, რომელთაც მიმოაქვთ სისხლი ჩვენი სხეულის ყველა ნაწილებში და ესოდენ დიდი მნიშვნელობა აქვთ ჩვენის ორგანიზაციისათვის. როდესაც შემაერთებელ ქსოვილის ფრიადის განვითარების გამო ეს არტერიები მაგრდება, უკვე ცუდად ასრულებენ თვის მოქმედებას და ფხვიერდებიან. ყველა ბებრულ ცვლილებებსაც კი არტერიათა გადაგვარვბას აწერდნენ (დემანჟის თეორია). ეს ცხადი გადაჭარბებაა მით უმეტეს, რომ ბებრების ნეშთების გაჭრის დროს ჰპოულობდნენ ან მცირე არტერიოსკლეროზს ან სრულ უმისობას.

შეიძლება კაცს ეფიქრნა, რომ მრავალ ორგანოთა გამაგრება სიბერეში იყოს საერთო მოვლენა, რომელიც მეტ სიმტკიცეს აძლევს მთელს ჩონჩხს. მწიფე ჰასაკში ერთი მეორესაგან განცალკევებული ძვლები სიბერეში შეკავშირდებიან ხოლმე ნაწიბურებში კირის გამოლების მეოხებით. ხერეხმლის მალები ხშირად შეკავშირდებიან ხოლმე მათ განმაცალკევებელ ნაწილთა გაძვალების მეოხებით. კაკნატელთა უმეტესობაც აგრეთვე ძვალდება ხოლმე. ხოლო, ყოველ ამისდა მიუხედავად თითქო იმის დასამტკიცებლად, რომ მთელი სიბერე სავსე არის წინააღმდეგობით, თვით ძვლის ჩონჩხი რბილდება, მის მინერალურ ნივთიერებათა რაოდენობა კლებულობს. ამის მეოხებით ბებრებს ხშირად უტყდებათ ხოლმე ძვლები. მეტად ხშირია მათ შორის ტაბუხის თავის გადატეხა, რის შემდეგ ხშირია ხოლმე სიკვდილი, რომელიც წილადა ჰხვდა სახელოვან **ვირხოვს**, მე-XIX საუკუნის სამეცნიერო მედიცინის ერთ უდიდეს წარმომადგენელთაგანს.

შეუძლია თუ არა მეცნიერებას აღნიშნოს ბებრების ქსოვილთა უმთავრესი ცვლილებანი?—1890 წლის ბერლინის მკურნალთა საერთაშორისო კონგრესზე ამ საკითხის პასუხის გაცემა მოინდომა ცნობილმა ანატომოსმა **მერკელმა**. სიბერეში ქსოვილთა აღწერით ის ჭლამობს დაამტკიცოს, რომ ქსოვილთა ზოგი ნაწილი, მაგალითად ის ქსოვილები, რომელნიც ჰფარავენ კანსა და ლორწოიან გარსებს (ეპიტელური ქსოვილები) განსხვავდებიან **სიყმვწვილის** ჰასაკის სახის შერჩენითაო; სხვები კი, როგორც შემაერთებელი ქსოვილი, წარმოადგენს უდიდეს ცვლილებებსაო. ეს ცდა პირველი მიმოხილვაა ბებრულ გადაგვარების შინაგან მხარისა, ხოლო არავითარ უბრალოსა და საერთო მცნებას არ გვაძლევს.

შემდეგ მე შევეცადე [1]) სხვა და სხვა მკვლევართა ნამუშევრის და მიხედვით ბებრულ გადაგვარების შესახებ შემევსო ეს დანაკლისი. ასე გამოვბატე ჩემი აზრი: ბებრულ ატრო-

[1]) Annéé Biologique de Vves Delage. ტ. III, გვ. 249.

ფიაში ჩვენ მუდმივ ვხედავთ ერთსა და იმავე სურათს—**ქსოვილთა კეთილშობილ და სპეციფიურ ელემენტების ატროფიას და მათ ადგილზე შემაერთებელ ქსოვილის გიპერტროფიას.** ტვინის ნერვული უჯრედები, ესე იგი ის უჯრედები, რომელნიც მსახურობენ უმაღლეს მოქმედებისათვის—გონებრივისა, მგრძნობიარობისა, მოძრაობათა და სხვა,—ჰქრებიან, რათა ადგილი დაუთმონ უმდაბლეს ელემენტებს, **ნევროგლიებათ** სახელწოდებულთ, რომელნიც წარმოადგენენ ნერვიულ ცენტრთა ერთგვარს შემაერთებელ ქსოვილს. ღვიძლში შემაერთებელი ქსოვილი ავიწროებს ღვიძლის უჯრედებს, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ სხეულის კვების საკითხში. ტყირპიც ამავე ქსოვილით არის აკლებული; ის ეფარება იმ სანდუნებს, რომელნიც აუცილებლივ საჭირონი არიან ჩვენთვის გახსნილ ნივთიერებათა უმრავლესობის გასადენად. საკვერცხეებში კვერცხები—ჯიშის გასამრავლებელი სპეციფიური ელემენტები—აგრედვე იდევნებიან და მათ ადგილს იჭერს მარცვლოვან ფარდის უჯრედები, რომელნიც შემაერთებელ ქსოვილთა ჯგუფს ეკუთვნიან.

ესე იგი, სიბერეს ახასიათებს სხეულის კეთილშობილ და მდაბიო, პირველყოფილ ელემენტთა შორის ბრძოლა, რომლისგანაც გამარჯვებულნი გამოდიან უკანასკნელნი. მათი გამარჯვება გამოიხატვის გონებრივ ნიჭის დასუსტებით, სხეულის კვების მოშლით, ნივთიერებათა მიმოცვლის გაძნელებით და სხვ.

სიტყვა „ბრძოლას" გადაჭარბებით კი არა ვხმაროობ. აქ, ჩვენის სხეულის სიღრმეში ნამდვილი ბრძოლა სწარმოებს, ომი.

ჩვენი სხეულის ყველა ნაწილში საკმაო უჯრედები იმყოფება, რომელთაც შეურჩენია ცოტა თუ ბევრი დამოუკიდებლობა. შეუძლიათ მოძრაობა და სხვა და სხვა მაგარ სხეულთა გადაყლაპვა, რის გამოც დაარქვეს **ფაგოციტები**, ესე იგი გადამყლაპავი **უჯრედები**, რომელნიც არსებითს მნი-

შვნელობას ასრულებენ ჩვენს სხეულში, სახელდობ: ისინი მრავლად გარსეხვევიან მიკრობებსა და სხვა ფერად გარეგან სხეულებს, რომელთაც შეუძლიათ ჩვენი ტანმრთელობისათვის ვნების მოტანა, და ჰყლაპავენ. ფაგოციტები აგრედვე განსწოვენ ჩაქცეულ სისხლს და სხვა ელემენტებს, რომელნიც ისეთ ალაგებში ჩნდებიან, სადაც არასფრად სასარგებლონი არ არიან. მაგალითად, როცა სისხლის თავში ავარდნის დროს (წვეთის დაცემა) სისხლი ჩაიქცევა ტვინის რომელსამე ნაწილში და იწვევს მოძრაობითს დამბლას, ფაგოციტები გარს ეხვევიან დაკვეთილ სისხლს და სჭამენ სისხლის წითელ სორსლებიანათ. ეს განწოვნა ძლიერ ნელა სწარმოებს, ხოლო იმისდა მიხედვით, როგორც ტვინი თავისუფლდება სისხლის ჩაქცევისაგან, მოძრაობა კვლავ ბრუნდება და სხეულს შეუძლია სრულებით განიკურნოს. ამ მაგალითით ცხადია, რომ განკურნვა ფაგოციტების მეოხებით ჰხდება.

როცა მშობიარობის დროს საშო წარმოადგენს უშველებელ ჭრილობას, დაკვეთილი სისხლით სავსეს, კიდევ ფაგოციტები სწმენდნენ და ჯეროვან მდგომარეობაში მოჰყავთ. მაშასადამე, ამ უჯრედების მნიშვნელობა საზოგადოდ ფრიად კეთილმყოფელია.

ფაგოციტების ორი დიდი კატეგორია არის: წვრილი მოძრავი ფაგოციტები, რომელთაც **მიკროფაგებს** უწოდებენ და ხან მოძრავი და ხან უძრავი დიდი ფაგოციტები, რომელთაც **მაგროფაგებს** ეძახიან.

წვრილი მოძრავი ფაგოციტები წარმოსდგებიან ძვლის ტვინისაგან, იმყოფებიან სისხლში და შეადგენენ სისხლის თეთრ სრსოლების, ანუ ლეიკოციტების ნაწილს. მათი გული დაკბილულია და ამის მეოხებით ადვილად გაძვრებიან ხოლმე სისხლის წვრილ მილებში და გროვდებიან ექსუდატებში, რომელნიც მიკრობების გარშემო ჩნდება. ზოგჯერ ექსუდატები ფრიად მოკლე დროის განმავლობაში ჩნდება, რაიც

ძალიან სახეიროა გადამდებ (მოარულ) სენთაგან განკურნვისათვის.

პირიქით, ჩაქცეულ სისხლის განწოვნისა და ჭრილობათა ნაწიბურობის დროს მოქმედობენ მაკროფაგები. საზოგადოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მიკროფაგები გვკურნავენ მიკრობებისაგან და მაკროფაგები—მექანიკურ დაშავებულებათაგან. როგორიც არის ჩაქცეული სისხლი, ჭრილობა და სხვ.

მაკროფაგებს აქვთ უბრალო, არა დაკბილული გული. ისინი ეკუთვნიან ან სისხლის თეთრ სრსოლების, წრბოლის და ექსუდატების რომელსამე კატეგორიას ან და შემაერთებელ ქსოვილის უძრავ უჯრედებს, ტყირპისა, ლიმფატურ ჯირკვულთა და სხვ.

ფაგოციტებს საკუთარი გრძნობიერება აქვთ. ერთგვარი ყნოსვის ანუ გემოს გრძნობა აქვთ, რის მეოხებითაც შეუძლიათ გაიგონ ირგვლივ მყოფ ნიადაგის შემადგენლობა. შთაბეჭდილებისდა მიხედვით ან უახლოვდებიან იმ სხეულებს, რომელთაც მათზე იმოქმედნენ, ან ყურადღებას არ აქცევენ, ან გაურბიან. სხეულში სენისმომგვრელ მიკრობების გაჩენა უმეტესად აღიზიანებს მიკროფაგებს, რომელთაც იზიდავს მიკრობების პროდუქტები და ისინიც იკრიბებიან ექსუდატებში.

ბებრულ გადაგვარების დროს მოქმედობენ მაკროფაგები. ამგვარად ეს ფაგოციტები ბებრების თირკმლების ატროფიის საბაბათ ჰხდებიან.

უამრავად იკრიბებიან თირკმელებში, თავს იყრიან თირკმლების სადუნებში და სპობენ მათ. დაიკავებენ თუ არა ამ სადუნების ადგილს, მაკროფაგები ჰქმნიან შემაერთებელ ქსოვილს, რომელიც ამრიგად იჭერს თირკმლების ჯეროვანი ქსოვილის ადგილს. ასეთივე პროცესი სწარმოებს დანარჩენ ორგანოებშიაც, რომელნიც კი განიცდიან ბებრულ გადაგვარებას. მოხუცებულთა და ბებერ ცხოველთა ტვინში, მაგალითად, უნახავთ მრავალი ნერვული უჯრედები, მაკროფაგები-

საგან გარემოცულნი, რომელთაც კიდეც შეუჭამიათ ეს უჯრედები.

ზემომოყვანილ ჩემ წერილში ნება მივეცი თავს იმის დასამტკიცებლად, რომ ბებრულ გადაგვარების ძირითადი თვისება არის მაკროფაგების მიერ სხეულის კეთილშობილ ელემენტთა დაღუპვა მეთქი. აუცილებელი იყო ამ დასკვნის პირდაპირი დაკვირვებით დადასტურება მით უმეტეს, რომ ზოგიერთ მსწავლულთ იგი საეჭვოდ მოეჩვენა.

მარინესკო, [1]) რომელსაც ავტორიტეტი აქვს ნერვულ სისტემის საკითხებში, წინააღუდგა ჩემ აზრს, დამყარებული იმ ფაქტზე, რომ ბებრების ნერვულ ცენტრების სპეციფიურ ელემენტების დარღვევა არ არის დამოკიდებული ფაგოციტებზედაო.

აი, რა აზრისაა მარინესკო ამის შესახებ: ბებრების თავის ტვინის ქერქისა და ხერხემლის ტკინის დიდძალ პრეპარატებზე არასოდეს არ მინახავს ნერვულ უჯრედების დამრღვევი ფაგოციტები; ბებრული ატროფია, მაშასადამე, არ ყოფილა შედეგი ნერვულ უჯრედებზე ფაგოციტების მიერ იერიშის მიტანისა. თვისი აზრის დასამტკიცებლად მარინესკომ გამოგზავნა მოხუცთა ხერხემლის ტვინისა და თავის ტვინის ქერქის რამდენიმე პრეპარატი. ადვილად დავეთანხმე ხერხემლის ტვინში, რომელსაც საზოგადოდ ბებრული გადაგვარება ნაკლებად ეხება, ფაგოციტების არყოფნაზე. პირიქით, ორი ბებრის დიდი ტვინის ქერქის ნაჭრებზე, ერთი იყო 102 და მეორე 117 წლისა, სრულიადაც ადვილად შევამჩნიე ნერვულ უჯრედთა მრავალი რიცხვი, რომელნიც დაზიანებულნი იყვნენ მაკროფაგებისაგან. ამ ბოლო ხანებში მარინესკომ გამოსთქვა ისეთი აზრი, რომ ნერვულ უჯრედებზე მაკროფაგების მისევა არ ნიშნავს უკანასკნელთაგან პირველების შეჭმასო. ახალ გამოკვლევების მიხედვით ეხლა უფრო დარწმუნებული ვარ, ვიდ ოდესმე, რომ მაკროფაგები სჭამენ ნერვულ უჯრედებს.

[1])Comptes rondus de l'academie des Sciens, 3 აპრ., 1900.

იგივე მოვლენა ადვილად ეგრეთვე ბებერ ცხოველებსაც, მაგალითად თუთიყუშებსა და ძაღლებს.

სიბერეში ქსოვილებზე მაკროფაგების მისევა იმოდენად საერთო მოვლენაა, რომ მას უეჭველად უნდა მივაწეროთ დიდი მნიშვნელობა. ხოლო ამ ფაგოციტების მნიშვნელობის უფრო ცხადსაყოფად განსაკუთრებით გამოკვლევის სახელდახელო ობიექტის გამოძებნა იყო საჭირო. მივმართე თმის გაჭაღარავებას, [1]) რაიც ყველაზე ხშირად არის სიბერის პირველი გარეგანი თვისებათაგანი.

ფერადი თმა გატენილია პიგმენტის (საღებავის) მარცვლებით, რომელნიც თმის შემადგენელს ორსავე ფენილშია დაქსაქსული. ერთს დროსაც თმის ღერძის ნაწილის უჯრედები დაიწყებენ მოძრაობას, დასძლევენ თვის უსაქმურობას და მოსდგებიან, რამდენიც მოხვდებათ, პიგმენტის ჭამას, ეს ფერადი მარცვლებით გატენილი უჯრედები, რომელნიც ეკუთვნიან მაკროფაგების ერთს ჯურს (და რომელთაც პიგმენტოფაგებს ანუ ქრომოფაგებს უწოდებენ), ამოძრავდებიან და სტოვებენ თმას, მიდიან ან კანში ან სრულიად სტოვებენ სხეულს. ამგზით ქრომოფაგები ცლიან თმას პიგმენტს და თმაც ამისგამო ჰხდება უფერული, ჭაღარა.

თმის და ბალნის გაჭაღარავების მექანიზმს ის მნიშვნელობა აქვს, რომ გვიჩვენებს მაკროფაგების ატეხვას, როგორც ბებრულ გადაგვარების უპირატეს მოვლენას. ბებერთა ძვლების დასრუტებაც დამოკიდებულია ამის მაგვარ მიზეზზე, ესე იგი ჩონჩხის განწოვნასა და დარღვევაზე ატეხილ მაკროფაგებისაგან, რომელნიც მოედებიან ხოლმე ძვალს.

ეს დასკვნა გამომდინარეობს იმ გამოკვლევებიდან, რომელნიც ჩვენ ვიკისრეთ დოქტორ **ვეინბერგთან** ერთად და ეთანხმება იმ საბუთებს, რომელნიც უკანასკნელ ხანებში გამოაქვეყნა **ტაშირომ** [2]).

[1]) Annales de l' Institut Pasteur. 1901, გვ. 865.

[2]) Ziegler's Beiträge für patholog. Anatomie 1893.

მაკროფაგების გაძლიერებული მოქმედება სიბერის დროს ფრიად მჭიდროდაა დაკავშირებული ზოგიერთ ქრონიკულ სენთა მოვლენებთან. ბებრული სკლეროზი ეკუთვნის იმავე კატეგორიას, როგორც ორგანოების სკლეროზი, რომელსაც იწვევს სხვა და სხვა სენის მომგვრელი მიზეზები. უეჭველი ანალოგია ჰსუფევს თირკმლების ბებრულ გადაგვარებისა და ეგრედწოდებულ ინტერსტიციულ ნეფრიტის შორის. ჩვენ მიერ ნაჩვენები მაკროფაგებისაგან ნერვულ უჯრედთა დარღვევა თავს იჩენს ხოლმე აგრედვე ნერვულ ცენტრების ზოგ ავადმყოფობის დროსაც, მაგალითად ტვინის პროგრესულ სიდამბლის დროს. ბებრული არტერიოსკლეროზი ნამდვილი ანთებითი სენი არის, რომელიც ემსგავსება არტერიების ანთებას სხვა და სხვა ავადმყოფობის დროს.

უკვე დიდი ხანია შემჩნეული სიბერისა და ავადმყოფობის მსგავსება. ამიტომაც, არაა გასაკვირველი ადამიანის დიდი ზიზღი სიბერისადმი. იმ დროს, როცა ბავშვები და ყრმები იმატებენ წლოვანობას და ჭლამობენ თავის მთავარ ადამიანათ გამოჩენას, მთავარ ადამიანს არავითარი სურვილი არა აქვს დაბერებისა. ინსტინქტური გრძნობა გვიკარნახებს, სიბერეში რაღაც არანორმალური არისო. უეჭველად შემცდარია, ვინც სიბერეს ფიზიოლოგიურ მოვლენათ სთვლის. იმის გამო, რომ ყველანი ჰბერდებიან, შეიძლება სიბერე ნორმალურ მოვლენათ ჩაითვალოს იმდენადვე, რამდენადაც შესაძლოა კაცმა ნორმალურათ ჩასთვალოს მშობიარობის ტკივილები, რომელთაც არა ჰგრძნობს ხოლმე ქალთა უმცირესი ნაწილი. ორსავე შემთხვევაში, რასაკვირველია, ჩვენა გვაქვს საქმე პატოლოგურსა და არა წმინდა—ფიზიოლოგურ მოვლენასთან. როგორც ბუნებრივია მშობიარე დედაკაცის ტკივილების შემსუბუქების, ან გაქარწყლების სურვილი, აგრედვე ბუნებრივია იმ განსაცდელის თავიდან აცილების სურვილი, რომელიც მოაქვს სიბერეს. ხოლო მშობიარობის დროს საკმაოა კაცმა იხმაროს ტკივილის მომსპობი საშუალება და

სიბერე კი ისეთი ქრონიკული განსაცდელია, რომლის წინააღმდეგაც წამლის გამოძებნა ბევრად მეტად ძნელია.

ჩვენ დავინახეთ, რომ სიბერის დროს სწარმოებს ბრძოლა კეთილშობილ ელემენტთა და ფაგოციტების შორის, რომ უმეტეს ნაწილად პირველთა სიცხოვლე დასუსტებულია მაშინ, როცა მეორენი, პირიქით, იჩენენ გამალებულ მოქმედებას. ამიტომაც ცხადია, რომ პატალოგურ სიბერის წინააღმდეგ საბრძოლველ საშუალებათ ერთი მხრივ უნდა მივიჩნიოთ სხეულის მეტად ძკირფას ელემენტების გაძლიერება და მეორე მხრივ კი—ფაგოციტების იერიშისებურ მისწრაფების შესუსტება.

ეხლავე უნდა გავაფრთხილო მკითხველი, რომ ეს საკითხი ჯერ არ არის გადაჭრილი, ხოლო არც ისეა საქმე, რომ მისი გადაჭრა შეუძლებლათ მივიჩნიოთ. ესეც ერთი ისეთი სამეცნიერო საკითხია, როგორც მრავალი სხვა. უჯრედულ ელემენტების თვისებანი იოლათ იცვლება სხვა და სხვა გავლენის ზედმოქმედებით. ამიტომაც, უგუნურებათ ვერავინ ჩამოგვართმევს, თუ ვეცდებით ისეთი საშუალებების გამოძებნას, რომელთა მეოხებითაც შეგვეძლება გაძლიერება სისხლის სრსოლეგისა, ნერვულ, ღვიძლისა და თირკმლების უჯრედებისა, გულისა და სხვა კუთების ხათა. ამ საქმეს კიდევ აადვილებს ამ სხვა და სხვა ელემენტებზე მომქმედ შრატების აღმოჩენაც.

მე-III თავში იყო მოხსენებული იმ შრატების შესახებ, რომელნიც იკეთებს დანალეკს ფანსაკუთრებით ადამიანისა და მის ახლობელ ნათესავის—ადამიანისმსგავს მაიმუნების სისხლთან შერევის დროს. ასეთი შრატი, მაშასადამე, საკმაოდ სპეციფიური არის. უკვე ამზადებენ ისეთ შრატებს, რომელნიც ჰხსნიან (შლიან) ზოგიერთ ცხოველთა ჯიშის მხოლოდ სისხლის წითელ სრსოლებს და არ ავნებენ ხოლმე სხვა ელემენტებს. აგრედვე შესაძლოა ისეთი შრატის მომზადება, რომელიც თითქმის მყის შეაჩერებს ხოლმე ადამიანის თესლის სხეულთა მოძრაობას და არ მოქმედობს სხვა ძუძუმწოვართა თესლის სხეულებზედ.

ამ შრატების დამზადების პრინციპი ერთი და იგივეა. ერთი ცხოველის უჯრედულ ელემენტებს—წითელ სრსოლებს ან თესლის სხეულებს, ღვიძლის ან თირკმლების უჯრედებს —შეუშხაპუნებენ სხვა ჯიშის ცხოველს. რამდენიმე ამგვარ შეშხაპუნების შემდეგ ამ ცხოველის შრატი ხდება მოქმედათ იმ უჯრედებზე, რომელნიც შეუშვეს მის სხეულში. ეს შრატები აღმოაჩინა **პასტერის** ინსტინტუტში **ბორდემ**. მის შემდეგ ეს აღმოჩენა დაადასტურეს და შეისწავლეს მთელი ქვეყნის მეცნიერებმა. ამ შრატებს უწოდებენ ციტოტოქსიურათ, ესე იგი სხვა და სხვა კატეგორიის უჯრედების ტოქსიურად (მოსაშხამად.)

და გამოარკვიეს, რომ ამ ციტოტოქსიურ შრატების მცირე კერძი კი არა ჰკლავს ან ჰხსნის ქსოვილთა სპეციფიურ ელემენტებს, არამედ აძლიერებს. [1]) ამასთანავე შეამჩნიეს ისეთი რამ მოვლენა, როგორიც შემჩნეული იყო მრავალ საწამლავთა შესახებ, მაგალითად დიგიტალისის, სახელდობ ის, რომ ამ საწამლავის დიდი კერძი ჰკლავს და პატარა კი ჰკურნავს ან აუმჯობესებს სხეულის ზოგიერთ ელემენტთა მდგომარეობას. ამ კანონის მიხედვით შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ადამიანის სისხლის წითელ სრსოლების გამხსნელი შრატის მცირე კერძი ამრავლებს ადამიანის ამ ელემენტთა რაოდენობას, როცა მას უშხაპუნებენ ასეთ კერძს, აგრეთვე თუ ბაჭიას შეუშხაპუნებთ მის თეთრ სრსოლების გამხსნელ შრატის საკმაო ცოტა კერძს, ეს სრსოლები გაძლიერდებიან.

აი, მაშასადამე, რაციონალური გზა, რომელსაც უნდა დავადგეთ ადამიანის სხეულის კეთილშობილ ელემენტების გასაძლიერებლად და სიბერის ასაცდენად. შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ ეს ადვილი საქმეაო. შეუშხაპუნე ცხენს ან სხვა ცხოველს ადამიანის ზოგიერთი გასრესილი ორგანოები, როგორც ტვინი, გული, ღვიძლი, თირკმელები და სხვა და რამდენისამე კვირის შემდეგ დაამზადე ამავე ორგანოებზე მომქმედი შრატები.

---

[1]) V. Annales de l'Jnstitut Pasteur. 1900. ტ. XIV.

ხოლო სინამდვილე გვიკარნახებს, რომ არც ასე ადვილია ეს საქმე. სადა გვაქს ადამიანის ეს ორგანოები ისეთის სახით, რომ შესაძლებელი იყოს მათი ადამიანისადმი აცრა? მკვდრის გაჭრის ნებას კანონი იძლევა მხოლოდ 24 საათის შემდეგ და მასთანვე ფრიად საძნელოა მიიღო ნებართვა ნეშტიდან რომელიმე ორგანო ამოსჭრა. და ეს დაბრკოლებანი კიდეც რომ გადალახოთ, კიდევ მრავალი ახალი დაბრკოლება გადაგელობებათ ციტოტოქსიურ შრატების სხვა და სხვა კერძების მოქმედების გამოცდის დროს. ამიტომაც ნურავის გაუკვირდება, რომ ადამიანის სხეულის კეთილშობილ ელემენტების გაძლიერების ცდა მოითხოვს ფრიად დიდ დროს. ხოლო, თუ ამ კეთილშობილ ელემენტებს (ნერვების, ღვიძლის, თირკმელების და გულის უჯრედები) უნდებათ გაძლიერება, ეს იმას გვიმტკიცებს, რომ ყოფილა რაღაც მათი თანდათან დამასუსტებელი მიზეზები.

ძალიან საგულისხმიერო იქნებოდა ამ მიზეზების გამოცნობა, რადგან ეს მოგვცემდა კვლავ ახალ საშუალებას. ბებრულ გადაგვარებისა და ჩვენი სხეულის ფრიად მნიშვნელოვან ორგანოთა ატროფიულ სენთა შორის ანალოგია ნებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ამ მოვლენათა ორსავე წყობის გამომწვევი მიზეზები მსგავსნი უნდა იყვნენ. ტვინის, თირკმელებისა და ღვიძლის სკლეროზი ხშირად დამოკიდებულია ხოლმე ისეთ საწამლავებზედ, როგორიც არის ალკოოლი, ტყვია, ვერცხლის წყალი და სხვა. ამ სენთა გამოწვევა შეუძლია ისეთ ვირუსებსაც, რომელთა შორის უმთავრესი მნიშვნელობა აქვს ლუესს (ართაშანგს).

ამ ვენერიული სენის, რომელიც იწვევს სიბერის დამაავადებელსა და პატალოგიურ ნიშნებს, დიდი მნიშვნელობა გამოიხატება უმთავრესად არტერიოსკლეროზით. ფრიად კეთილსინდისიერი გამოკვლევები მკურნალის **ედგრენისა** [1]) „არტერიოსკლეროზის მონოგრაფია“ გვიმტკიცებს, რომ ამ

[1]) Die Arteriosclerose 1897.

შემთხვევათა ერთს მეხუთედს იწვევს ლუესი და უფრო მეტს (25%) ქრონიკული ალკოოლიზმი. ეს ორი ფაქტორი არის, მაშასადამე, არტერიოსკლეროზით დასნეულების 45%-ს საბაბი.

ლუესის ვირუსი და ალკოოლი მოქმედობენ, როგორც საწამლავები, რომელნიც ჯერ არტერიების დეგენერაციასა და მათი კედლების გამაგრებას (სკლეროზს) ახდენენ და შემდეგ სხეულის კეთილშობილ ელემენტთა დასუსტებას, მდაბიო უჯრედები—ფაგოციტები—ნაკლებად განიცდიან ამ საწამლავების გავლენას.

რევმატიზმს (ქარები), პოდაგრას (ნეკრესის ქარები) და მოარულ სენთ უფრო ნაკლები მნიშვნელობა აქვთ არტერიოსკლეროზის გამომწვევ მიზეზთა შორის. სრულის გამოანგარიშების შემდეგ **ედგრენი** გულახდით მოგვითხრობს, რომ თითქმის ყველა შემთხვევების ერთი მეხუთედი არტერიოსკლეროზის ნამდვილ მიზეზისა შეუძლებელი იყო გამოსაცნობად. ამ შემთხვევათა დიდი უმრავლესობა ეხებოდა „ისეთ“ ხნიერ ადამიანს, რომელნიც, **ედგრენის** აზრით, „შეპყროობილნი იყვნენ, ასე ვთქვათ, ფიზიოლოგიურის სკლეროზით“ (გვ. 118).

მე კი ვფიქრობ, რომ ეს გამოურკვეველ მიზეზის სკლეროზი სრულიადაც არაა ფიზიოლოგიური, არამედ ისეთივე პატოლოგიური უნდა იყოს, როგორც ლუესისაგან და ალკოოლისაგან გამოწვეული სკლეროზი არის. საიდგან წარმოსდგება მოწამლვა ამ შემთხვევაშიო?—დამეკითხებიან. ლუესს უეჭველად გასხეულებული ვირუსი აქვს, რომელ ც იწვევს ინფექციას ან მოწამლვას, რომელზედაც არის დამოკიდებული არტერიოსკლეროზი, ტვინის პროგრესიული დამბლა და სხვა ტანმრთელობის საყურადღებო დაშავებანი. ალკოოლიზმი დამოკიდებულია საფუარისაგან, იმ მიკროსკოპულ სოკოებისაგან, რომელნიც ახლოს დგანან მიკრობებთან. იმ მაგალითებში, საცა არ არის არც ლუესი, არც ალ-

კოოლიზმი, არც სხვა რამ გარკვეული მიზეზი, არტერიოსკლეროზის მიზეზი უნდა ვეძიოთ იმ აურაცხელ მიკრობების გავლენაში, რომელნიც ფუსფუსებენ ჩვენის ნაწლევების არხში,

უკვე **ბუშარმა** [1]) მიაქცია ყურადღება ჩვენის ნაწლევების არხზე დამოკიდებულს სხეულის მოწამლვას. **გეუშარი** [2]) განსაკუთრებით აღნიშნავდა საჭმლის შხამის მნიშვნელობას. არტერიების საერთო გამაგრების საქმეში. ამ შხამს ამზადებენ ნაწლევების მიკრობები.

ამ მიკრობთა შორის შეიძლება იყვნენ უვნებელნიც და სასარგებლონიც კი, ხოლო მრავალნი ისეთებიც არიან, რომელნიც ვნებას აძლევენ ტანმრთელობასა და სიცოცხლეს. მე აქ არ ძალმიძს ამ საყურადღებო საკითხის დაწვრილებით განხილვა და ამიტომ საჭიროდ ვრაცხ მოკლედ აღვნუსხო იგი.

ადამიანის ნაწლევების არხი ჰკვებავს ბაქტერიათა უამრავ რიცხვს. **სტრასბურგერის** [3]) უკანასკნელ გამოკვლევების თანახმად, მათი რიცხვი უდრის 128.000.000.000,000 ღლეში. ნაწლავების საჭმლის მომნელებელ ნაწილში, მიკრობები ცოტანი არიან, ხოლო მსხვილ ნაწლევებში, ესე იგი დაბალს ნაწილში, რომელიც ს ბუდარია საჭმლის ნამეტნავისა, მიკრობები უამრავად ჰფუსფუსებენ. ეს საჭმლის დანარჩენები, ლორწოსთან შეზავებულნი, წარმოადგენს მიკრობების გამრავლებისათვის სახეირო ნიადაგს. მართლაც, მიკრობების ფლორა შეადგენს ადამიანის განავალის მესამედ ნაწილს. ეს ფლორა ძლიერ ფერადია და შესდგება მრავალის ჯიშისაგან, რომელთა შორის არიან ბაცილები, კოკკები და სხვა გვარი მიკრობები; ზოგი მათგანი ჯერ საკმაოდ შესწავლული არ არის.

---

1) Leçons sur les auto-intoxications· 1887.

2) Traité clinique des maladies des coeur. 1899.

3) Zeitschrift für klinische Medicin. 1902.

მარტო ეს ერთი განაწილება ამ მიკრობების ფლორისა გვიმტკიცებს ადამიანის სიცოცხლისა და ტანმრთელობისათვის უსარგებლობას; ეს ფლორა ღარიბია საჭმლის მომნელებელს ნაწილში და მდიდარი იმ ნაწილებში, რომელნიც ამ მნიშვნელობას მოკლებულნი არიან. მარტო ეს ფაქტიც საკმაოა იმ მეცნიერთა საწინააღმდეგოდ, რომელნიც ნაწლევების ფლორას დიდ მნიშვნელობას აკუთვნებენ ხოლმე. მათი აზრი დამყარებულია უმთავრესად იმაზედ, რომ, როცა ზოგ ცხოველს ჰზრდიან განსაკუთრებულს პირობებში უმიკრობებოთ, ისინი სუსტდებიან **შოტელიუსმა** [1]) პირველმა სცადა ეს. მან წიწილები გამოტეხა განსაკუთრებულად დამზადებულს გალიაში. წიწილები გამოიჩეკენ კვერცხებიდან და რამოდენიმე კვირა იცოცხლეს და, რადგან მათ ტანში მიკრობები არ იყო და იკვებვბოდნენ მხოლოდ მიკრობებისაგან განწმენდილის წყლით, ზრდის მაგიერ გახდნენ და უკიდურესად დაძაბუნდნენ.

როცა **შოტელიუსმა** ამ დაძაბუნებულ წიწილების საკვებავს მიკრობები მიუმატა, წიწილები იმწამსვე გამოკეთდნენ და წესიერი ზრდა იწყეს.

ასეთივე ცდა მოახდინა ქ-მა **მეჩნიკოვისამ** [2]) ბაყაყების თავბერებზე; როცა თავბერებს აშმევდნენ მიკრობებიან პურს, ისინი წესიერად იზრდებოდნენ, ხოლო, როცა პურში მიკრობები დასუსტდნენ და, თუნდ რამდენიმე თვე იცოცხლეს, მაგრამ ძიბუნად და დაკნინებით.

მეორე მხრივ **ნიუტალმა** და **ტირფელდერმა** [1]) რამდენისამე დღის განმავლობაში ზარდეს ახლადშობილი ზღვის გოჭები, რომელთა ნაწლევებში არ იყო მიკრობები და რომელთაც ჭკვებავდნენ განსაკუთრებით სრულიად მიკრობებისაგან განთავისუფლებული რძით ან მცენარეულობით., ამ ვითარებაშიაც ზღვის გოჭები საკმაოდ იზრდებოდნენ.

---

[1])Archiv f. Hygiene. 1898.
[2]) Aunales de l'Jnstitut Pasteur. 1901.
[1]) Zeitschrift f. physiologische Chemie. 1895.

რადგან ამ ცდათა ორივე წყობა შეუცთომელს პირობებში იყო მოწყობილი, ფრიად საგულისხმიერო იქნებოდა ესოდენ მოწინააღმდეგე შედეგების ერთი მეორესთან შეთანხმება. საერთო ამ სამ ზემორე მოყვანილ ცდაში არის ის, რომ ეს ცდა ეხებოდა ახლადშობილ ცხოველებს და, როგორც ვიცით, ახალდაბადებულთა ნაწლავებში ფერმენტები ნაკლებად არის. შეიძლება ზღვის გოქვებს საკმაო ფერმენტები ჰქონდათ საჭმლის მოსანელებლად იმ დროს, როცა წიწილებისა და თავბერების ფერმენტებს ველარ შესწვდათ საჭმლის მოსანელებელი ძალა. მიკრობების მიმატებამ, რომელთა საჭმლის მომნელებელი ძალა ძლიერია, ალბად ადვილად შეავსო საკუთარ ნაწლევთა ფერმენტების უკმარისობა.

ნიუტალისა და ტირფელდერის მიერ აღზრდილ ზღვის გოქთა გვერდით სდგას დაბალ ცხოველთა მთელი წყობა, როგორც ჩრჩილისა და სხვა მწერთა ჭიები, რომელთა ნაწლევებშიაც სრულიადაც არ არის მიკრობები, მაგრამ იოლად ინელებენ ისეთს ძნელად მოსანელებელ საჭმელს, როგორიცაა ცვილი და მატყლი. ამ შედეგებს სრულიად ადასტურებს კიდევ ეს ფიზიოლოგებისათვის კარგად ცნობილი ფაქტი: ძუძუმწოვართა კუჭისა და პანკრეატული წვენი ადვილად ინელებს ფრიად ფერად საჭმელს ისეთს ნიადაგში, საცა არის ანტისეპტიური ნივთიერებანი და მიკრობებიც სრულიად არ არიან.

ჩვენბვის ამხანად არაა საჭირო ამ საკითხის ღრმა შესწავლა, რადგან ის, რაც ჩვენ არსებითად გვაინტერესებს, ადვილი დასამტკიცებელია ფაქტების შემწეობით, რომელნიც ზემორე მოვიხსენეთ. იმ ქალის მსხვილი ნაწლევების სრული ატროფია, რომელზედაც ჩვენ გვქონდა საუბარი მე-IV თავში, საკმაოდ გვიდასტურებს, რომ ნაწლევების ეს ნაწილი არა თუ არ არის აუცილებლად საჭირო ადამიანის ტანმრთელობისა და სიცოცხლისათვის, არამედ ადამიანი იოლად იტანს ამ ნაწლევებში მყოფ მდიდარ ფლორის უმისობას. და სწორედ

ეს შეადგენს ამ საკითხის არსებით მხარეს. თვით ეს ურგები ფლორა არის ხოლმე მიზეზი ტანმრთელობის საყურადღებო დაზიანებისა და სიკვდილისაც კი. ნაწლევების მუწუკები მით არის საშიში, რომ ნაწლევების განავალს ეძლევა შეძლება ჩავიდეს მუცლის ღრუში. მაშინ ნაწლევების მიკრობები მრავლდებიან სხეულში, რომელიც მძიმედ ან სასიკვდილოდ ავადდება ხოლმე.

როცა ეს მიკრობები იმყოფებიან ნაწლევებში, იშვიათად და მცირე რიცხვით გადადიან ხოლმე სისხლში და ამიტომაც სხეულს იოლად შეუძლიან მათი დაძლევა. ამ მიკრობთა დიდ უმრავლესობას არ შეუძლია გასვლა ნაწლავების კედლებში, ხოლო მათი პროდუქტების ხსნარი ადვილად უერთდება წრბოლსა და სისხლს. ეს ფაქტი გამომდინარეობს კარგად დადასტურებულ საბუთებიდგან.

უკვე დიდი ხანია, რაც ადამიანისა და ცხოველების შარდში აღმოაჩინეს მთელი წყობა ისეთი ნივთიერებებისა, რომ გორიცაა ფენოლი, კრეზოლი, ინდოლი, სკატოლი და სხვათა წარმომდგარნი. შემჩნეულია, რომ ზოგიერთ სხეულს ამ ნივთიერებათა რაოდენობა ემატება. ნაწლევებში განავალის შეჩერებას მოსდევს ფენოლისა და ინდოლის მომეტება.

როგორც ამ ფიქტებმა, აგრეთვე სხვა მსგავსებმაც აღძრეს ის აზრი, რომ ამ პროდუქტებს ამზადებენ ნაწლევებში მცხოვრებნი მიკრობები. ეს პროდუქტები განიწოვებიან ნაწლავთა კედლებით და უერთდებიან სისხლს და აქ იწვევენ ტანმრთელობის ცოტად თუ ბევრად საყურადღებო ცვლილებებს.

ბაუმანმა დიდად იმეცადინა ამ საგნის გაშუქებისათვის და წარმოადგინა მტკიცე ცდებზე დამყარებულ საბუთების დიდი რიცხვი, თუ როგორ ჩნდებიან შარდში ეს ნივთიერებანი მიკრობების მოქმედების მეოხებით. **ევალდმა** ეს აზრი დაადასტურა სხვა გვარის ფრიად თვალსაჩინო ფაქტებით. მას ჰქონდა შემთხვევა შეესწავლა ერთი ავადმყოფი, რომელსაც

ფუშის ჩაჭედვის (ჩაჭეჭკვის) გამო გაუკეთეს ნაწლევის ფისტულა.

მსხვილ ნაწლევთა უმოქმედობის მთელი დროის განმავლობაში ნაწლევების განავალში და შარდში არც ფენოლი და არც ინდოლი არა სჩანდა.

ნეიკრა პირი ფისტულამ და აღდგენილ იქმნა ურთიერთობა ნაწლევებ შორის თუ არა, ფენოლმა და ინდოლმა მსწრაფლ იჩინეს თავი განავალებში. აქედან **ევალდი** დაასკვნის, რომ ორსავე ამ ნივთიერებათა წყაროთ უნდა მსხვილი ნაწლევები ჩაითვალოსო.

გვერდს აუვლი მსგავსსავე ფაქტების დიდ რიცხვს, რომელიც გვიმტკიცებს, რომ ჩვენ მსხვილ ნაწლევთა ფლორა არის წყაროო ცოტად თუ ბევრად მავნე ნივთიერებათა წარმოშობისა, რომ ისინი განიწოვნებიან ჩვენს სხეულში. სწორედ ამ ნივთიერებათა შორის უნდა ვეძებოთ ის ნელი საწამლავები, რომელთაც შეუძლიათ არტერიოსკლეროზისა და სიბერის სხვა ნიშნების გამოწვევა იმ ვითარებაში, საცა არ მოქმედობს ლუესი, ალკოოლიზმი და სხვა მიზეზი.

მე-VI თავში ჩვენ გამოვთქვით ის აზრი, რომ მსხვილი ნაწლევები განუვითარდათ ძუძუმწოერებს საჭმლის ნამეტნავთა შეგროვებისათვის, რაიც აძლევს საშუალებას ხანგრძლივ და შეუჩერებლად ირბინონ. ეს კი უპირატესობას აძლევს არსებობისათვის ბრძოლაში. მეორე მხრივ ესოდენ გამრავლებულნი მსხვილ ნაწლევებში მიკრობები უადვილებდნენ ზოგ ისეთ ძნელად მოსანელებელ ნივთიერებათა მონელებას, როგორიც არის ცელულიოზა (ბადური). ხოლო ორსავე ამ გარემოებას კაცობრიობისათვის დღეს მნიშვნელობა აღარა აქვს.

არა სირბილით იძენს ადამიანი ლუკა პურს და არა სირბილით გაურბის თვის მტერს. თვისის გონივრულ ნიჭის ფრიადი განვითარება აძლევს მას ბრძოლისათვის სხვა უკეთ გამოსაყენებელს საშუალებას. მეორე მხრივ მას იოლად შეუძლია აღარ იხმაროს ბადური: სამზარეულო ხელოვნება და

საჭმელ მცენარეულობის კულტურა აძლევს კვების ისეთ საშუალებას, რომელზედაც არც ერთს ცხოველს არასოდეს ფიქრიც კი არ შეეძლო.

ხოლო ამ საკითხსაც აქვს თვისი მეორე მხარე. ცხოველებს არ ჰქონიათ წარმოდგენა არც სიკვდილზე და არც სიბერეზე, ხოლო შეიძინეს უპირატესობა მსხვილ ნაწლევებისა თვისის დღეგრძელობისათვის. უკვე მოვიხსენიეთ, რომ ფრინველები ძუძუმწოვრებზე მეტს სცხოვრობენ. ეს კანონი წარმოადგენს ერთ დიდმნიშვნელოვან გამონაკლისს. სირაქლემები და სხვა მრბენავნი, ფრინველთაგან უდიდესნი, განირჩევიან ფრენის უნიჭობითა და ჩქარის სირბილის ნიჭით, რომელიც იცავს მტერთაგან დევნისაგან. ყველა ფრინველთა შორის ამ ფრინველებსა აქვთ ფრიად განვითარებული მსხვილი ნაწლევები. ხოლო სხვა წვრილ ფრინველებზე, როგორც თუთიყუშია, ან ყვავი ან გედი და სხვანი, მეტის დღეგრძელობის მაგიერ, სირაქლემები სცოცხლობენ 35 წლამდე, რაც გამოიკვლია ალჟირში მათმა მომშენებელმა **რივიერმა**. თვისის ცხოვრებით, მსხვილ ნაწლევთა განვითარებით, ნაწლევთა ფლორის სიმდიდრითა და დღემოკლეობით სირაქლემა, მაშასადამე, უფრო უახლოვდება ძუძუმწოვართ, ვიდრე ფრინველთ.

შესანიშნავია, რომ დღეგრძელ ფრინველთა მრავალ რიცხვს არა აქვს ბრმა ნაწლევი,—ის ნაწილი, რომელშიაც ყველაზე მეტად ბუდობენ მიკრობები. თუთიყუშის ნაწლევთა შინაარსის გამოკვლევა გვარწმუნებს, რომ მისი ფლორა ღარიბია. მაშასადამე, ფაქტების შედარებით შესწავლა გვიდასტურებს იმ თეორიას, რომ ნაწლევთა მდიდარი ფლორა ურგები არის საჭმლის მონელებისათვის, ამოკლებს მხოლოდ სიცოცხლეს კეთილშობილ ელემენტების დამსუსტებელსა და ფაგოციტების გასაძლიერებელ მიკრობების შხამის გაჩენის მეოხებით.

ადამიანის გვარმა მიიღო თვისის წინაპრებისაგან მემკვიდრეობათ როგორც მსხვილი ნაწლევები, აგრეთვე ის ვითარებაც, რომელიც ხელს უწყობს ნეწლევთა ფლორის სიმდიდრის

განვითარებას. ადამიანი, მაშასადამე, განიცდის ამ მემკვიდრეობის უხერხულობას. მეორე მხრივ ადამიანს არაჩვეულებრივ განუვითარდა ტვინი და მასთან ერთად გონებრივი ნიჭი, რომელზედაც არის დამოკიდებული სიკვდილ—სიცოცხლის შეგნებაც. ჩვენი დღეგრძელობის ფრიადი სურვილი უპირისპირდება სიბერის უძლურებასა და დღემოკლეობას. ეს არის ადამიანის ბუნების უმთავრესი დისჰარმონია.

მაშასადამე, სიბერე რომ მართლაც ფიზიოლოგიურად ვაქციოთ, უნდა წინააღვუდგეთ იმ უხერხულებებს, რომლებზედაც არის დამოკიდებული მსხვილ ნაწლევთა განვითარება. რასაკვირველია, შეუძლებელია დავემყაროთ იმ ძალებს, რომელნიც ადამიანის ნებისყოფის გარეშე მოქმედობენ, დავუცადოთ იმ მსხვილ ნაწლევთა მოსპობას, რომელნიც უკვე ჩვენთვის ურგებნი შექმნილან. ის ადამიანი, რომელიც მტკიცე მეცნიერებით ხელმძღვანელობს, უნდა მხნეობით აღიჭურვოს და შეეცადოს ასეთ მოსპობას. ხოლო, თუნდა დოსტაქრობა დიდის წარმატების გზას ადგია, მაგრამ დღესდღეობით შეუძლებელი წარმოსადგენია მსხვილ ნაწლევთა ამ გზით მოსპობა. შესაძლოა, შორეულ მომავალში დაადგნენ კიდეც ამ გზას. ხოლო ჯერხანად უფრო უპრიანია ვიმოქმედოთ პირდაპირ იმ მავნე მიკრობებზე, რომელნიც ბუდობენ ჩვენს მსხვილს ნაწლევებში. მათ მრავალფეროვან ფლორაში შესაძლოა გავარჩიოთ აგრეწოდებული ანაერობული ბაქტერიები, რომელთაც შეუძლიათ იცხოვრონ უჟანგბადოთ, და რომელნიც ამ ჟანგბადს ჰპოულობენ მათ მიერ გახსრწნილს ორგანიულს ნივთიერებაში. ეს გამრავლება ვამოიხატვის გაფუებისა და დამყაყების მოვლენებით, რომელთაც ხშირად თანახლავს ხოლმე შხამის გაჩენა, რომელთა შორის ხშირია ალკალოიდები (პტომაინები), მსუქანი მჟავენი და თვით ნამდვილი ტოქსინებიც კი.

ნორმალურ ადამიანის ნაწლევებში დამყაყების მოვლენა ან იშვიათია ან სულაც არ არსებობს. ხოლო ნაწლევთა

ავადმყოფობის დროს ბავშვებსაც და დიდებსაც უვითარდებათ დამყაყებს მიკრობები, რომელნიც ჰქმნიან ნაწლევების კედლების გამაღიზიანებელ შხამს.

ბავშვების ამ დამყაყველ სენთა თავიდან ასაცთენად უკვე დიდი ხანია შემოიღეს სტერილი რძე (იმ შემთხვევაში, როცა ბავშვებს ჰკვებავენ საწოვრით) ანუ ბაქტერიებისაგან წინასწარ განთავისუფლებული საჭმელი. უმეტეს შემთხვევაში ამგვარი კვებვა ფრიად სასარგებლოა ხოლმე.

დამყაყების ხელის შემშლელ მიზეზის ძებნის დროს გამოირკვა, რომ რძე მხოლოდ იშვიათად მყაყდება ხოლმე იმ დროს, როცა იმავე ვითარებაში შენახული ხორცი ძალიან ადვილად იხრწნება. ამ განსხვავებას, რძის დაუმყაყებას მსწავლულნი თანდათანობით მიაკუთვნებდნენ ხოლმე ხან კაზეინსა და ხან რძის შაქარს. ხოლო ალზასელ მკურნალ **ბინშტოკის** [1]) გამოკვლევით, რომელიც დაადასტურეს **ტისსიემ** და **მარტელლიმ** [2]), დამტკიცდა, რომ რძის დამყაყებას ხელს უშლიან მიკრობები. ეს ის მიკრობებია, რომელნიც ჰკვეთენ რძესა და რძის შაქარს გარდაჰქმნიან რძის მჟავეთ, ეს მიკრობები წინაუდგებიან დამყაყველ მიკრობებს. დამყაყება ჰხდება ხოლმე ნაცარწმულიანს ნიადაგში. რძის მიკრობები კი თანდათანობით ჰქმნიან მჟავის დიდს რაოდენობას, რომელიც ხელს უშლის დამყაყველ ბაქტერიათ მოქმედების განვითარებას. ხორცის წვენს, რომელშიაც ჩათესილია დამყაყველი და რძის მიკრობები, რომ ბორაკი გაურიოთ, იმ წამსვე დამყაყებას დაიწყებს ამ ხელისშემშლელ ორგანიზმების მიუხედავად.

ამ პირობებში გასაგებია, თუ რატომ ესოდენ ხშირად ჰკურნავს რძის მჟავე ზოგიერთ ფალარათს და რძის რეჟიმი რატომ არის ესოდენ სასარგებლო ნაწლევებში დამყაყებისაგან გამოწვეულ ზოგ სენის წინააღმდეგ. ასეთივე გასაგებია, თუ რატომაა ესოდენ სასარგებლო დაკვეთილი რძე ზოგ სენთა წინააღმდეგ.

---

[1]) Archiv f. Hygiene. 1902.
[2]) Aunales de l'Jnstitut 1902.

იტალელი მკურნალი **როვიგი** [1]) ყოველ დღე ჰსვამდა $1^1/_2$ ლიტრ კეფირს, ესე იგი ისეთ რძეს, რომელსაც განცდილი ჰქონდა რძისა და ალკოოლის გაფუება. უკვე რამდენსამე დღის შემდეგ მის შარდში ინდიკანი (ნაწლევებში დამყაყველ გახრწნის ერთი პროდუქტთაგანი) გაჰქრა და საზოგადოდ ეთერებმა (დამყაყების პროდუქტებია) თვალსაჩინოდ იკლო.

მაშასადამე, საკვსებით ცხადია, რომ იმ ნელის მოწამვლის შესამცირებლად, რომელიც ასუსტებს ჩვენს კეთილშობილ ელემენტებს და აძლიერებს ფაგოციტებს, საჭიროა შევიტანოთ ჩვენს საკვებ რეჟიმში კეფირი და მით უკეთეს მაწონი.

მაწონსა და კეფირს შორის ის განსხვავებაა, რომ მაწონში არ არის ალკოოლი, რომელსაც შეუძლია დროთა ვითარებაში შეასუსტოს ჩვენი სხეულის ზოგ არსებით უჯრედთა სიცხოვლე. რძის მიკრობთა დიდმა რაოდენობამ აუცილებლად უნდა შეუშალოს ხელი დამყაყველ მიკრობთა განვითარებას და ესეც კი ფრიად სასარგებლოა ჩვენი სხეულისათვის.

ხოლო ჩვენს სხეულში სასარგებლო მიკრობების გავრცელებით არ უნდა იზღუდებოდეს საჭირო ღონისძიებანი. შეიძლება აგრეთვე ხელი შეუშალოთ ჩვენს სხეულში „ველურ“ მიკრობთა გაჩენას, რომელთაც შეუძლიათ ვნება მოგვიტანონ. საგანგებოდ გაპატივებულ ნიადაგში ბევრი მრავალგვარი და, სხვათა შორის, მავნე მიკრობებია. **ბინშტოკმა** აღმოაჩინა, რომ მისი ბაღის მარწყვის მარგში იყვნენ ტეტანუსის მიკრობები. სამი კვირის განმავლობაში ჰყლაპავდა **ბინშტოკი** ცოტ-ცოტად ასეთ მიწას და რწმუნდებოდა, რომ მის ნაწლევებში ეს მიკრობები ჰქრებოდნენ. ასეთ გავლენას ის თვის ნაწლევთა მიკრობებს მიაწერს. ხოლო ჩვენ გვაქვს უფლება ვიფიქროთ, რომ იმ შემთხვევაში, როცა ამგვარი

[1]) Zeitrschrift f. Physiohog. Chemie 1892.

ანტაგონიზმი საკმაოდ არ განსაზიერდება, შეიძლება განვითარდეს ტეტანუსი, — ტეტანუსის ბაცილის კაკლების მეოხებით, რომელთაც გადაყლაპვენ მიწასთან, მარწყვთან ანუ უმ ხილთან ერთად, რომელნიც ამ მიწაზედ ალმოცენდნენ. ხოლო გაპატივებულს ნიადაგში მარტო ტეტანუსის ბაცილები კი არა, მრავალი სხვა მიკრობებიც არის და მათ შორის ფრიად მავნე ანაერობიულნი.

ამიტომაც, სავსებით გამორკვეულია უმი საჭმლისაგან თავის დაჭერა და მხოლოდ მოხარშულის ან სრულიად სტერილი საჭმელის ხმარება. ველურ მიკრობთა თავიდან აცთენასა და მაწვნის კულტურულ მიკრობთა სხეულში გაჩენას შეუძლია თვალსაჩინოდ შეცვლა ჩვენ ნაწლევთა ფლორისა, რაიც საკვთილდღეო იქნება ჩვენი ტანმრთელობისათვის. მე ვიცნობ ისეთ პირთ, რომელნიც ასეთ დიეტას ადგანან და ფრიად კმაყოფილნიც არიან.

მაშასადამე, თვით აწინდელი, წარმატებას მოკლებული სახითაც კი, მეცნიერება არ არის უილაჯო იმ საშუალებათა გამოძებნაში, რომელნიც აფერხებენ ან ასუსტებენ ნელსა და ქრონიკულს მოწამვლას ჩვენის სხეულისას, რომლის მეოხებითაც გადაგვარდებიან ხოლმე ჩვენი მეტად ძვირფასი ელემენტები. იმ შემთხვევაში. როცა ასეთი გადაგვარება დამოკიდებულია ლუესზე ან ალკოოლიზმზე, ბრძოლა მათ წინააღმდეგ უნდა იქმნეს მიმართული. ჩვენ უკვე დიდი ხანია ვიცით ასეთი ბრძოლის საშუალებანი და, თუ ეს ბრძოლა ფრიად ნაყოფიერი არ არის, ეს დამოკიდებულია მხოლოდ და მარტო იმ პირთა დაუდევრობაზედ, რომელნიც დაინტერესებულნი არიან.

კეთილშობილ ელემენტთა გაძლიერება და ადამიანის ნაწლევთა ველურ ფლორის კულტურულად გადაქცევა — აი, ხელმისაწვდომი საშუალება იმისათვის, რათა სიბერე უფრო ფიზიოლოგიური შეიქმნეს, ვიდრე დღესაა, და, შეიძლება, აგრეთვე ადამიანის ცხოვრებაც მეტად დღეგრძელი იქმნეს.

თუ რომ ჩვენ ნაწლევთა ფლორის ზოგ მავნე მიკრობების სრულიად თავიდან აცილება შეუძლებელი იქნება, ის კი შესაძლოა, რომ მათი უვნებლობა უზრუნველვჰყოთ შესაფერის შრატების მეოხებით. უკვე აღმოჩენილია სპეციფიური შრატი ბოტულიზმის მიკრობის წინააღმდეგ, რომელსაც შეუძლია თვალსაჩინოდ ავხოს ტანმრთელობას, თუ ნაწლევთა არხში გაჩნდა.

ჩვენი შინაგანი შეგნება გვეუბნება, რომ სიცოცხლე ჩვენი ფრიად მოკლეა და დიდი ხანიცაა, რაც დღეგრძელობის საშუალებას ეძებენ. საშუალო საუკუნოების ცდაც რომ არ მოვიხსენიოთ სიცოცხლის ელექსირის გამოძებნის შესახებ,—ეს საკითხი იქცევდა ყოველ დროის დინჯ მეაზროვნეთა ყურადღებას:

დეკარტს ეგონა, დღეგრძელობის საშუალება გამოვნახეო და ფრიად დიდ ფასსა სდებდა თვის აღმოჩენას. **ბეკონ** ვერულამელმა დაწერა თხზულება სიკვდილ-სიცოცხლის შესახებ, საცა რჩევას იძლევა დღეგრძელობის მისაღწევად; ამ რჩევაში ის დიდ მნიშვნელობას მიაწერს სისხლის გაშვებასა და ჯვარჯილას.

ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობის უძველეს საშუალებათ ითვლებოდა ეგრედწოდებული **გეროკომია**, ესე იგი ბებერ მამაკაცთა ახალგაზრდა ქალების შეხება. უკვე მეფე დავითი ეცხრობოდა ამ საშუალებას და მას უკანაც გავრცელებული იყო.

მე-XVIII საუკუნის შარლატნები ფერად წამლებს ურჩევდნენ სიბერის წინააღმდეგ და მათ შორის ირიცხებოდა წმ. გერმანის ნაკურთხი წყალი, რომელიც წარმოადგენდა სინამაქის ნახარშს, ესე იგი უბრალო საფაღარათოს. უეჭველია, რომ ზოგი ამ წამალთაგანი სწმენდდა ნაწლევებს და მასთანავე ამცირებდა ნაწლევთა ფლორას და, მაშასადამე, ხელს უშლიდა მიკრობების შხამის შემუშავებას, რომელიც ესოდენ მავნეა ჩვენ მეტად კეთილშობილ ელემენტებისათვის.

მე-XVIII საუკუნის მიწურულში გამოვიდა „**მაკრობიოტიკა**“, ანუ ადამიანის სიცოცხლის გაგრძელების საშუალება“, ცნობილ გერმანელ პროფესორ **ჰუფელანდისა**. თავის დროზე ამ თხზულებამ დიდი ხმაურობა აღძრა; ის შეიცავდა რამდენსამე საგულისხმიეროსა და სწორ დაკვირვებას. სისუფთავისა და ზომიერების რჩევათა შორის **ჰუფელანდი** იძლევა რჩევას „უმეტესად მცენარეულ საჭლის ხმარებისას, ვიდრე სხვისას; ხორცი უფრო ადვილად დამყაყდება ხოლმე, ვიდრე მცენარეულობა, რომელშიაც არის ჩვენი მოსისხლე მტერის — დამყაყების მომსპობი მჟავის ჩანასახი“-ო. როგორცა სჩანს, იმ შორეულ ხანის მკურნალს წინასწარ განუჭვრეტავს თანამედროვე მეცნიერების ერთი არსებითი წარმატება.

ადამიანის ღრის გაგრძელება განუწყვეტლივ აინტერესებს ჩვენის დროის მსწავლულთაც. ერთი თანამედროვე ცნობილ ფიზიოლოგთაგანი, ბონელი პროფ. **პფლაუგერი** [1]) ერთს საჯარო ლექციაში აქვეყნებს თვის გამოკვლევათა დასკვნებს ამ საკითხის შესახებ. დარწმუნებული, რომ დიდი ხნის ადამიანთა ბიოგრაფია არ იძლევა საკმაო ცნობებს იმ ყოფა-ცხოვრების შესახებ, რომელსაც უნდა მისდევდეს ადამიანი, **პფლაუგერი** გვირჩევს გადამდებ სენთა თავიდან აცილებას და ასე დაასკვნის; „დაბოლოს იძულებული ვარ მივემხრო ყოველსავე მას, რასაც ყოველს თვის მუხლებში გვირჩევს მაკრობიოტიკა: აიცილეთ თავიდან მავნე და იყავით ზომიერნი ყოველისფერში“-ო.

ერთის წლის შემდეგ ერთმა ფრიად ცნობილმა კლინიცისტმა **ებშტეინმა** [2]) გამოსცა დიდად დასაბუთებული თხზულება სიცოცხლის გაგრძელების ხელოვნების შესახებ. იგი ძლიერ გაკვირვებულია, რომ ღრმად მოხუცთა შორის აღმოჩნდნენ რამდენიმე ისეთები, რომელნიც ძალიან ლოთობდნენ

[1]) Ueber die Kunst der Verlëngerung des menschlichen Lebens. 1890.

[2]) Die Kunst das menschliche Leben zu verlëngern. 1881.

ხოლმე. ამის მიუხედავად, **ებშტეინი** გვირჩევს თუ არ სრულს სიფხიზლეს, დიდს ზომიერებას მაინც. იგი გვირჩევს აგრეთვე ცხოვრების გამარტივებას და ყოვლისავე ისეთის უარისყოფას, რასაც კი შეუძლია ავნოს ტანმრთელობას.

შესწავლა ამ მეცნიერის შრომისა, რომელიც სწორეთ მეცნიერების სულითაა გამსჭვალული, გვიკარნახებს: მაკრობიოტიკა ისეთი მეცნიერებაა, რომელსაც შექმნა უნდაო. მოხუცებულობის მოვლენათა დაწვრილებითი გამოკვლევა ამ მხრივ ფრიად სასარგებლო იქნება. ყოველს შემთხვევაში არ შეიძლება უტოპიათ ჩაითვალოს სიბერის ფიზიოლოგიურად და ადვილ ასატანად შექმნის ცდა ისევე, როგორც ადამიანის სიცოცხლის გაგრძელებაც. მით უმეტეს, რომ დღეგრძელობის მაგალითებს ძებნა არ სჭირია.

დიდძალი ფაქტებია შეკრებილი ისეთ ხალხზე, რომელთაც 100 და მეტი წელი უცხოვრიათ მხნედა და გონივრულად. არაფერი საჭიროა ისეთი ხალხის ისტორიის მოტანა, რომელთაგან ზოგს უცხოვრია 120, 140 და 185 წელიც კი, (**სან-მუნგო** გლასკოვში). ჩემი მეგობარი **რეჯ-ლანკესტერი** [1]) ჰფიქრობს, რომ ასეთი იშვიათი მოხუცნიც ისეთივე მახინჯი მოვლენა არის, როგორც ის დევკაცნი, რომელთა სიდიდე ყოველსავე ზომას აღემატებაო. ხოლო ასი წლის მოხუცნი ბევრად მეტია, ვიდრე დევ-კაცნი და მაშინ, როცა ამ უკანასკნელთ ამჩნევენ უეჭველ პატოლოგიურ თვისებებს, დღეგრძელნი ადამიანები, პირიქით, გვაკვირვებენ თვისის ხალისითა და ტანმრთელობით.

ბევრია ნათქვამი ძველ ებრაელების დღეგრძელობაზე, რომელიც მოხსენებულია ძველს აღთქმაში. გადამეტებულია ის ხანი, რომელსაც მიაწერენ მათუსაილს—963, ნოეს—595, თუ იმდროინდელი წელთაღრიცხვა განსხვავდებოდა ჩვენისაგან? **ბენზელერის** აზრით, იმ შორეულს დროში, წლის ყოველს ხანას წლად რაცხდნენო. ამ შემთხვევაში მათუსაილის ხნოვა-

[1]) The Advancement of Science 1890

ნობა იქმნებოდა 242, რაიც ბევრით არაფრად აღემატება იმ ხანგრძლივ ხნოვანობას, რომელსაც ჩვენც მოვსწრებივართ.

რაც შეეხება დაბადების ისტორიის უფრო ახლო ხანს, ბევრი საბუთია მისი მაჩვენებელი, რომ იმ დროის წელიწადი ჩვენსას ეთანხმება. მაგალითად „რიცხვთა“ წიგნში რამდენიმეჯერ არიან მოხსენებული ისეთები, „რომელნიც 20-სა და მეტის წლისანი შეადგენენ ისრაელთა საომრად გამზადებულ რაზმს“. ლევიტელებს შეეძლოთ სამსახურში შესვლა 25 წლიდან, ხოლო 50 წლის ლევიტელი ანებებს თავს სამსახურს, „მეტს ველარ იმსახურებს“; მოღვაწეობის ესოდენ ხანმოკლე ვადა გვიჩვენებს, რომ მათი სიცოცხლის ხანა ჩვენსას ეთანაბრებოდა. ამასთანავე „**ხუთიწიგნის**“ მრავალი ადგილიც, საცა ბაასია ხილის მოკრეფის შემდეგ წლიურ დღესასწაულებზე, გვიდასტურებს ამავე დასკვნას. ამიტომაც მიბლიურ პიროვნებათა ხნოვანება უნდა გავზომოთ 100, 120 წლით (აარონი, მოსე, იესო ნავინი). აგრეთვე ფრიად მნიშვნელოვნად უნდა ვიგულოთ ეგვოვას პირით ნათქვამი სიტყვები, საიდამაც სჩანს, რომ იგი 120 წლით საზღვრავს ადამიანის სიცოცხლეს.

მაშასადამე, ამ შორეულ ხანის ხნიანობა აწინდელზე მართლა მეტი უნდა ყოფილიყო. **ებშტეინის** ანგარიშით, წესიერი სიცოცხლე უნდა 70 წელს გრძელდებოდეს, რადგან ამ ხანში უფრო მეტი ხალხი იხოცება. მიუხედავად იმისა, რომ დღეგრძელობამ XIX საუკუნის განმავლობაში იმატა, მაინც უნდა გამოვტყდეთ, რომ ზოგ მიბლიურ ხანაში ხალხი უფრო ხანგრძლივი იყო, ვიდრე დღესაა და არც ბევრად უნდა გვიკვირდეს ეს გარემოება.

ჩვენ დავინახეთ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ათაშანგს (ლუესს), როგორც ადრეულისა და პატალოგიურის სიბერის მიზეზს. ეს უმთავრესი ფაქტორი არის არტერიოსკლეროზისა და ჩვენი სხეულის მეტად კეთილშობილ ელემენტთა გადაგვარებისა. მით უფრო საშიშია ლუესი, რომ

შთამომავლობაზე გადადის ხოლმე. თუნდა დაბადებაში მოხსენებულია სქესობრივ ორგანოთა სნეულებანი და თუნდა წინადაცვეთის შესახებ მოყვანილია დაწვრილებითი საბუთები, მაგრამ ისეთი არაფერია, რაიც შეიძლებოდეს მიეწეროს ლუესს. **ებშტეინი,** [1]) რომელმაც გამოსცა თხზულება ძველი აღთქმის ხანის მედიცინის შესახებ, ირწმუნება, რომ „დაბადების საბუთებში არაფერია ნათქვამი ამ სენის შესახებო“ (გვ. 156). ძველ დროში ლუესის არა იცოდენ რა ბ, თუ იყო, დასუსტებული სახის უნდა ყოფილიყო. **გაუზერი** [2]), ჩვენი დროის საუკეთესო ტრაქტატის ავქსონი მედიცინის ისტორიისა, ჰფიქროფს, რომ თუ ძველად იყო კიდეც ლუესი, იგი „იყო ადგილობრივი და ყოველ შემთხვევაში ბევრად ნაკლებად იყო გავრცელებულიო,“

ამ მაგალითიდან სჩანს, თუ რა წარმატებას მიაღწევდა კაცობრიობა ხანგრძლივობის მხრივ, რომ თავიდამ აეცდინა ლუესი, რომლის მეოხებითაც ჩნდება არტერიოსკლეროზის ერთი მეხუთედი. ლოთობის (ალკოოლიზმის) მოსპობა, რომელიც წარმოადგენს მეორე დიდ მიზეზს არტერიების დეგენერაციისას (გადაგვარებისა), მომავალში მეტად ხანგრძლივს ჰყოფს ადამიანის სიცოცხლეს. მეცნიერული შესწავლა სიბერისა და მის პათალოგიურ ხასიათის საშუალებათა შეცვლისა უეჭველად ხელს შეუწყობს ადამიანის დღეგრძელობასა და ბედნიერებას. და თუნდა დღევანდელი მეცნიერება არ არის უაღრესად განვითარებული, მაინც არავითარი საბუთი არა გვაქვს პესიმისტური შეხედულობა ვიქონიოთ ამის შესახებ.

---

[1]) Die Medicin in im alten Testament Stutgart, 1901.

[2]) Lehrbuch d. Geschichte d. Medicin. Jena. 1878. I, III, გვ. 223.

თ ა ვ ი XI

შესავალი სიკვდილის მეცნიერულ შესწავლისა.

სადა ორგანიზმთა უკვდავების თეორია.—უმაღლეს ორგანიზმთა სქესობრივ ელემენტების უკვდავება.—უჯრედის სულის უკვდავება—ზოგ ცხოველთა ბუნებრივის სიკვდილ ის არსებობა.—წამიერთა ბუნებრივი სიკვდილი. —მთავარ წამიერთა თვითდაცვის ალღოს დაკარგვა.—ბებრების სიცოცხლის ალღო.—ადამიანის ბუნებრივის სიკვდილის ალღო.—ძველის აღთქმის მოხუცთა სიკვდილი.—ადამიანისა და ცხოველების ალღოთა შეცვლა.

მის შემდეგ, რაც ზემოთა ვთქვით, ვფიქრობ, დამეთანხმებიან, რომ ცოტად თუ ბევრად დაშორებულს მომავალში შესაძლო იქნება სიბერის მდგომარეობის შეცვლა. სნეულიანისა და საზიზღარის მაგიერ, როგორიც დღესაა, სიბერე შეიქნება ფიზიოლოგიური და ასატანი. დღევანდელთან შედარებით მეტს ხანგრძლივობასაც მიაღწევენ. ხოლო რა საჭიროაო, შემეკითხებიან, ასის და ასოცი წლის სიცოცხლე სამოცდა ოთხმოცის მაგიერ, თუ იგივე საშიშარი პერსპექტივა დაგვრჩება სიკვდილის მიერ აუცილებელის გაქრობისაო? განა **მარკოზ ავრელიუსმა** (l. c., გვ. 247) არ დაგვიმტკიცა, რომ „ის, ვინაც კვდება სიცოცხლის უაღრეს საზღვრამდე მიღწეული, არაფრითაა მოგებული იმასთან შედარებით, რომელიც ადრეულად კვდებაო“? ან კიდევ, რომ „სულერთია ასის თუ სამის წლის განმავლობაში უყურებ, რაიც შენ ირგვლივ ჰხდებაო“. (გვ. 248). ამ მსჯელობაში არაა მიღებული მსედველობაში თვისებრივი განსხვავება ღირობულობათა დაფასებისა სხვა და სხვა ჰასაკში. 25 და 50 წლის ხალხი, არა თუ სხვაფრივ მსჯელობენ, არამედ სხვაფრივაც იღებენ გარეშე შთაბეჭდილებებს. თვით ერთისა და იმავე ადამიანის „შეხედულობა, რაც ირგვლივ ჰხდება,“ იცვლება მისი ხნის ცვლილების თანახმად. ახალგაზდანი აფასებენ შთაბეჭდილებებს თავიანთ იდეალთან შედარებით და, რადგან ეს იდეალი მუდამ

ფრიად მაღალია, სინამდვილე არ აკმაყოფილებს. მათი მოთხოვნილება გადაჭარბებულია და უკმაყოფილონი არიან მით, რასაც აძლევს რეალი ცხოვრება. მწიფე ანუ ხნიერი ხალხი უფრო ადვილად კმაყოფილდება და უკედა აქვს შეგნებული ღირებულობათა ნამდვილი ფასი. როგორც ერთ წინა თავში გვქონდა ახსნილი, ახალგაზდები უფრო ემხრობიან პესიმიზმს, ვიდრე მოხუცებულნი.

მაშასადამე, ცხოვრების დაფასება იცვლება ხნოვანობასთან ერთად. იცვლება თუ არა ეს დაფასება სიკვდილის შესახებაც? ხშირად უთქვამთ, რომ სიცოცხლე სიკვდილისადმი მომზადება არისო, **ციცერონი** ამბობდა, რომ „ახალგაზდობიდანვე უნდა შეეჩვიო უშიშრად მოელოდე თვის უკანასკნელ წამსო; სხვაფრივ ვერ მოისვენებ, რადგან უეჭველია, რომ ჩვენ სიკვდილი მოგველისო“ (l. c., გვ. 268). ფილოსოფიას უყურებდნენ, როგორც სიკვდილისათვის მოსამზადებელ ხელოვნებას.

ვიდრე ვუჩვენებდეთ იმ გზას, რომელსაც უნდა დაადგეს მეცნიერება სიკვდილის საკითხის გადასაჭრელად, „ამ უკანასკნელი მტრის, რომელიც უნდა დათრგუნვილ იქმნეს“ პავლე მოციქულის სიტყვის თანიხმად, ჩვენ უნდა გავიგოთ ის, რაც იცის მეცნიერებამ საზოგადოდ სიკვდილის შესახებ.

ესოდენ ბუნებრივად და აუცილებლად შეჩვეულან სიკვდილის დაფასებას, რომ ძველის დროიდან მიაჩნიათ ის ყოველი სხეულის თვისებათ. ხოლო, როცა ბიოლოგებმა დაახლოვებით დაიწყეს ამ საკითხის შესწავლა, ამაოდ ეძებდნენ ამ აზრის დამამტკიცებელ საბუთს, რომელიც ყველასგან აღსარებული იყო, როგორც დოდმატი.

სადა ცხოველთა, როგორიც არიან ინფუზორიები და სხვანი, დაკვირვებამ დაგვანახა, რომ ისინი მრავლდებიან დაყოფით და მოკლე ხნის განმავლობაში არაჩვეულებრივ მრავლდებიან. ერთ თაობას სცვლის მეორე დიდის სისწრაფით და არც ერთი კი არა ჰკვდება. სრულიად ამაო იქნებოდა

მკვდარი სხეულის ძებნა მოფუსფუსე ინფუზორიათა ურიცხვ სიმრავლეში. ამ ადვილად დასაკვირვებელ ფაქტისაგან ზოგიერთმა სწავლულმა, სახელდობ **ბაუჩლიმ** და **ვეისმანმა**, [1]) დაასკვნეს, რომ ერთუჯრედოვანნი არსებანი უკვდავნი არიანო. ინფუზორია შუაზედ იყოფა; ყოველი ნახევარი მსწრაფლ იზრდება და ახლდება, რათა კვლავ იმავე გზით გამრავლდეს. უფრო რთულია ის მოვლენა, როცა ერთი სხეული ერთსა და იმავე დროს იყოფა რამდენსამე ნაწილად, რომელთაგან თითოეულს მიაქვს დედა სხეულის ნაწილი. ამ წესით გამრავლების მაგალითები მრავალრიცხოვანია. რადგანაც ცხოველი მსწრაფლ იყოფება ახალ თაობის ერთეულთა მრთელ წყობათ, პირველი ერთეულის პიროვნება უკვე ჰქრება. ამ შემთხვევაში შეიძლებოდა, როგორც ჰფიქრობს გალტე [2]), დაგვენახა ბუნებრივი სიკვდილი, ნამდვილ გახრწნილებისა და მკვდარის სხეულის თვინიერ.

ყოველს შემთხვევაში უეჭველია ის, რომ სადა ცხოველთა შორის არ ჰსუფევს ბუნებრივი სიკვდილი, ცოტად თუ ბევრად მსგავსი იმისა, რასაც ჩვენ ვხედავთ უმაღლეს ცხოველთა და ადამიანთა შორის. ჰფიქრობდნენ, რომ გრძელის წყობის დაყოფის შემდეგი ინფუზორიათა დაუძლურება, რომელიც მოითხოვს ორ თითეულთა კონჯუგაციას (შეერთებას), შესაძლოა განიხილოს კაცმა, როგორც ბუნებრივის სიკვდილის შემთხვევაო. ხოლო ეს აზრი არ უდგება იმ განახლებას, რომელიც მოსდევს ხოლმე ასეთ შეუღლებას. თუ შეუღლება არ მოხდა, მაშინ დაუძლურებული ინფუზორიები იხოცებიან, ხოლო ასეთი სიკვდილი ჩვენ უნდა ვიცნათ შემთხვევითად, როგორც სიკვდილი შიმშილის გამო.

მაშასადამე, ერთუჯრედოვან სხეულთა უკვდავების თეორია თითქმის საყოველთაოდ მიღებულია. ხოლო იმ ცხოველთა შორისაც, რომელნიც უფრო მაღლა დგანან

[1]) Ueber d· Dauer des. Lebens Jena, 1882.

[2]) Ueber den Ursprnng des Todes. 1893.

ცოცხალ არსებათა საფეხურზე, არიან ისეთნი, რომელთა შორის არ ჰსუფევს ბუნებრივი სიკვდილი. ამგვარი ცხოველებია, რომელნიც შემდგარნი არიან რამდენიმე ასოსაგან და უჯრედთა დიდის რიცხვისაგან. როგორც მრავალნი პოლიპები და ჭიები, სახელდობ ჭიაყელები. ამ უკანასკნელთა შორის არიან ისეთები, რომელნიც ძლიერ მრავლდებიან დაყოფით. „მთელი ზაფხულის განმავლობაშიო,—მოგვითხრობს **ედმონდ პერიჯე** [1]),—ნაიდომორფიული ჭიები მოკლებულნი არიან სქესობრივ ორგანოებს და ვვონებ კიდეც, რომ შესაძლოა მათი ამ უსქესო სახით ხელოვნურად შენახვა რამდენსამე წლის განმავლობაში და, შეიძლება, სამუდამოდაც“. მაშასადამე, ეს შემთხვევა შეიძლება თამამად მოიყვანოს კაცმა უკვდავების მაგალითად, რომელიც დამოკიდებულია იმ არსების რეგენერაციის განუზომელს ნიჭზედ, რომელიც საკმაოდ რთული არის თვისის აგებულობით.

ეს საბუთები საკმაოა იმის დასანახავად, რომ ბუნებრივი სიკვდილი არ არის აუცილებლად დაკავშირებული სხეულთან. გერმანეთის ფრიად გამოჩენილმა ბოტანიკოსმა **ნეგელიმ** [2]) ისეთი აზრიც კი გამოსთქვა, თითქოს ბუნებაში არც უნდა იყოს ბუნებრივი სიკვდილიო. იგი მოგვითხრობს რამოდენიმე ათასი წლის ხეებზე, რომელთაც დღე ესწრაფებათ, არა ბუნებრივის სიკვდილის ან ძალთა სიძაბუნის მეოხებით, არამედ კატასტროფის მეოხებით.

ჰფიქრობენ, რომ სახელგანთქმული დრაკონის ხე **ვილლა ოროტავისა ტენერიფზე**, რომელიც ისე მოსწონდა **ალექსანდრე ჰუმბოლდტს**, უვნებლად იდგა რამოდენიმე ათასი წელიწადიო. მისი ტანი თუნდა ფუღუროიანი იყო, მაგრამ უზარმაზარი ხე განაგრძობდა სიცოცხლეს, ვიდრე ქარბუქმა არ მოუსპო დღე. მაშასადამე, ერთ-ერთ გარეგანმა ტლანქმა ძალამ მოუღო ბოლო ამ ესოდენ ხანგრძლივ სხეულს. ჩვეუ-

[1]) ზოოლოგიის სახელმძღვანელო, გვ. 1713.
[2]) Abhandlungd. k. Bairischen Akademie d. Wissenschaften. 1865.

ლებრივ ირწმუნებიან, რომ ბაობაბს შეუძლია იცოცხლოს 5,000 და 6,000 წელიც.

ამ მოკლე ხანში გამოქვეყნებულს ნაშრომში ამერიკის სიხელოვანი ბიოლოგოსი ჟაკ ლჲობი [2]) არკვევს ბუნებრივ სიკვდილის საკითხს, რომლის არსებობაც მას არა სწამს. იმის დაკვირვებით, გაუნაყოფიერებულ ზღვის ვარსკვლავთა მწიფე კვერცხები ილუპება დადების შემდეგ რამდენისამე საათის განმავლობაში. ეს სიკვდილი **ლჲობს** მიაჩნია ბუნებრივ სიკვდილის მაგალითად. ხოლო ასეთს აზრს ვერ დავეთანხმებით, რადგანაც მამობრივ ელემენტების უმისობის გამო განუყოფიერებული კვერცხი შეიძლება შევადაროთ ისეთს სხეულს, რომელიც მოკლებულია საკვებს და ჰკვდება შიმშილის მეოხებით.

თუ ბუნებაში ჰსუფევს ბუნებრივი სიკვდილი, მას უნდა ეჩინა თავი დედამიწაზე ბევრად უფრო გვიან, ვიდრე პირველი სხეულნი გაჩნდებოდნენ. **ვეისმანის** აზრით, ბუნებრივი სიკვდილი უნდა განვითარებულიყო, როგორც სასარგებლო საშუალება სახის სიცოცხლისათვის, ესე იგი „როგორც ცხოვრების გარეშე პირობათა წინაშე დათმობა და არა აბსოლჲუტური აუცილებლობა, რომელსაც უნდა ჰქონდეს საფუძველი სიცოცხლის თვით დასაბამში (l. c., გვ. 33). რადგანაც გაცვეთილი სხეული აღარ ვარგა გამრავლებისა და არსებობისათვის ბრძოლისათვის, **ვეისმანი** ჰფიქრობს, რომ ბუნებრივი სიკვდილი არის შედეგი ბუნებრივის არჩევის პრინციპისაო: იგი ჰხდება აუცილებლათ სახის ძალთა დასაცავადაო. ხოლო ამგვარი ახალი აზრი სრულიად ზედმეტია, რადგან დაბერებულ სხეულის დაძაბუნება სრულიად საკმაოა მისი ბრძოლისაგან განდევნისათვის. ნაძალადევი სიკვდილი უნდა გაჩენილიყო დედამიწაზე სიცოცხლის პირველ ნაბიჯთან ერთად. ინფუზორიები და სხვა სადა ცხოველები, თუნდა პრინციპიალურად უკვდავნი არიან, მაინც ყოველს წამში უნდა

[2]) Arechiv für die gesammte Physiologie. 1892.

მომკვდარიყვნენ ნაძალადევის სიკვდილით; მათ ჰსანსლავდნენ მეტად ძლიერნი სხეულნი. მაშასადამე, შეუძლებელია ბუნებრივი სიკვდილი, თუ კი იგი ნამდვილად არსებობს, მიიჩნიოს კაცმა ბუნებრივის არჩევანის შედეგათ სახის სასარგებლოდ. ქვეყნიერებაში ბუნებრივი სიკვდილი უნდა ფრიად იშვიათი იყოს ხშირის ნაძალადევ სიკვდილისა, ავადმყოფობისა და მტერთა გაუმაძღრობის გამო.

მართალია, ყველა სტატისტიკოსები აგვიწერენ ხოლმე ცოტად თუ ბევრად მრავალს შემთხვევას სიბერისაგან გამოწვეულ სიკვდილისას ხილულად გამოჩენილ ავადმყოფობის თვინიერ. ხშირად ფრიად დასუსტებულნი მოხუცნი არავითარ ტკივილს არა ჰგრძნობენ და ტკბილად საუკუნოდ მიიძინებენ ხოლმე; ხოლო სხეულის გაკვეთის დროს ამ შემთხვევაში მაინც აღმოაჩენენ ხოლმე სხეულის ნაწილთა ცოტად თუ ბევრად საყურადღებო დაზიანებას. მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ აქაც ჩვენ გვაქვს საქმე ნაძალადევ სიკვდილთან, რომელიც უმეტეს ნაწილად გამოწვეულია ხოლმე მიკრობებით. ყველა ამისდა მიუხედავად, მის მაგიერ, რომ მივიღოთ დებულება, თითქო ბუნებრივი სიკვდილი სრულიად შეეფერებოდეს სხეულს, უნდა ვეძებოთ ნამდვილი საბუთები ბუნებრივ სიკვდილისა დედამიწაზე.

დიდი ხანია იყო ნათქვამი, რომ ბუნებრივ სიკვდილს ექვემდებარება მხოლოდ მარტო ის ელემენტები, რომელიც ინდივიდუალურ ცხოვრებას ემსახურებიანო. პირიქით, ის უჯრედები, რომელნიც უზრუნველჰყოფენ სახის წარმოშობას, ისევე უკვდავნი არიან, როგორც ერთუჯრედოვანნი სხეულნი. დედობრივი კვერცხი გარდიქმნება ჩანასახად და აძლევს დასაბამს ახალ თაობას, რომლის სქესობრივი ელემენტებიც ჰხდებიან მესამე თაობის დასაბამად და სხვ. კვერცხებისა და თესლის სხეულთა დიდი უმრავლესობა ჰკვდება არა ბუნებრივის სიკვდილით, არამედ გარეშე პირობათა მავნე გავლენის მეოხებით. ხოლო ამ სქესობრივ ელემენტთა უმნი-

შვნელო უმცირესობა განუწყვეტლივ სცოცხლობს მომავალს თაობებში.

მაშასადამე, შეგვიძლია სამეცნიერო საბუთებით დავამტკიცოთ, რომ ჩვენს სხეულში არიან სრულიად უკვდავნი ელემენტები—კვერცხები და თესლის სხეულნი. რადგან ეს უჯრედები დაჯილდოებულნი არიან დამოუკიდებელის ცხოვრებით და ცხადჰყოფენ ზოგ ისეთ თვისებებს, რომელიც ეკუთვნის ფსიქიურ მოვლენათა რიგს, შესაძლოა კაცმა მართლაც წამოაყენოს სულის უკვდავების საკითხი.

სადა ცხოველთა, სახელდობ ინფუზორიათა, ცხოვრების დაკვირვება გვარწმუნებს, რომ ამ ერთუჯრედოვან არსებებს აქვთ ფრიად ძლიერი გრძნობიერობა: შეუძლიათ აირჩიონ საჭმელი, გაარჩიონ ცოცხალი ინფუზორიები მკვდრებისაგან, [1]) გამოირჩიონ თვისი მზგავსთაგანი შესაუღლებლად, მოერიდონ საფრთხეს, ინადირონ,—ერთის სიტყვით, იჩენენ ისეთ თვისებათა მთელს წყობას, რომელიც უეჭველია ეკუთვნის ფსიქიურ თვისებათა დიდ ჯგუფს. ეს მოვლენები, შედარებით იმასთან, რასაც წარმოადგენენ უმაღლესი ცხოველები, რა თქმა უნდა, ინფუზორიებში ეანვითარების ფრიად დაბალ საფეხურზე დგანან. ხოლო სადა ცხოველების სულზე მაინც შეგვიძლი ვიქონიოთ მსჯელობა.

სხეულის უკვდავებით დაჯილდოებულნი, განმეორებით დაყოფის მეოხებით თანდათანობითის გამრავლების წყალობით ეს არსებანი დაჯილდოებულნი არიან აგრეთვე უკვდავის სულითაც. ხოლო იმის გამო, რომ ეს სული ფრიად პირველყოფილია, ძნელია რამდენადმე გარკვეული წარმოდგენა ვიქონიოთ მის შესახებ.

რადგან ადამიანის სხეულშიაც აგრეთვე იმყოფებიან უკვდავნი სქესობრივი უჯრედები, იბადება საკითხი—აქვთ თუ არა ამათაც უკვდავი სული? ამ ხანად უკვე უეჭველია ის,

[1]) Salomonsen. Festkrift udb indvielsen Statens Serum Institut Kopenhague, 1902.

რომ კვერცხები და თესლის სხეულნი დაჯილდოებულნი არიან ისეთივე გრძნობიერობით, როგორც სადა. სხეულები. კვერცხები აშზადებენ ისეთ ნივთიერებებს, რომელნიც აღძრავენ ხოლმე თესლის სხეულთა გრძნობიერობას. თესლის სხეულნი თავისებური ყნოსვის ანუ ქიმიოტაქსიის მეოხებით გზას იკვლევენ კვერცხისაკენ და შიგ შეძვრებიან. ზოგი ნივთიერებანი აღძრავენ ხოლმე თესლის სხეულთა გრძნობიერობასა და მოძრაობას და იზიდავენ მათ, ზოგნი — უკუაგდებენ. თესლის სხეულთა ქიმიოტაქსია პირველად აღმოაჩინა ფარულდაქორწინებულ მცენარეთა შორას სახელოვნმა ბოტანიკოსმა **პფეფერმა**, ამის შემდეგ გამოაშკარავდა რამდენისამე მცენარეთა და ცხოველთა მამობრივ უჯრედთა გრძნობიერობა.

კვერცხები და სპერმატოზოიდები, რომელთაც უხდებათ კონჯუგაცია (შეუღლება), აძლევენ დასაბამს ახალ თაობას და, როგორც **ჰეკკელი** [1]) ამბობს, გადასცემენ მას თვის „უჯრედულ სულს". მართლაც, ეს სულიც იმდენადვე უკვდავია, როგორც წარმომშობელ უჯრედთა სხეული.

მაშასადამე, სრულიად მართალია ის აზრი, რომ ჩვენს სხეულში არის ისეთი ელემენტები, რომელნიც დაჯილდოებულნი არიან უკვდავის სულით, ხოლო მართალია ისიც, რომ ეს ფაქტი არაოდნადაც არ ადასტურებს ჩვენის გონებრივის სულის უკვდავებას. ერთს წინა თავში იყო უკვე მოხსენებული, რომ სრულიადაც ვერ ვითვალისწინებთ ფსიქიურ მოვლენებს ჩვენის უჯრედების უმრავლესობისას, რომელთაც აქვთ თავისი უჯრედული სული. სრულიადაც ვერა ვგრძნობთ იმ ბრძოლას, რომელსაც უწევენ ჩვენი ფაგოციტები იმ მიკროებს, რომელნიც ჰლამობენ ჩვენ სხეულში ჩათესლებას. ამავე დროს ფაგოციტები არიან მგრძნობიარე და მოძრავი ელემენტები, რომელთაც ისეთივე სული აქვთ, როგორც ინფუზორიებს.

---

[1]) Preyer. Die Seele des Kindes და Speceille Physiologie des Embryo.

ქალებიც აგრეთვე სრულიადაც არა ჰგრძნობენ იმ აუარებელ თესლის სხეულებს, რომელთაც აქვთ უჯრედული სული და რომელნიც შეძვრებიან ხოლმე მათ სხეულში ისევე, როგორც მათ კვერცხებში. არ შეუძლია რაოდენადმე მაინც იგრძნოს თვისი ჩანასახის მეტად განვითარებული სული. დაბადებამდე შავშვი დაჯილდოებულია გაშორებით მეტისა და წარჩინებულის ფსიქიურის თვისებებით, ვიდრე თესლის უჯრედები. მას შეუძლია ზოგად იგრძნოს და იმოძრაოს. სიმძიმის უკანასკნელს თვეებში ბავშვს აქვს შეხებისა და გემოს გრძნობა და რამდენადმე მხედველობაც და ამავე დროსვე მისი სულის გაგება დედას სრულიადაც არ შეუძლია. დედას ისიც კი არ ძალუძს გაიგოს, ერთისა თუ ორი ჩანასახის სული უძევს მუცელში. მაშასადამე, უჯრედულ სულის უკვდავებას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს სიკვდილის საკითხთან, რომელიც მხოლოდ გვაინტერესებს.

ხშირად გამოუთქვამთ ის აზრი, თითქო უკვდავები იყვნენ მხოლოდ ადამიანისა და ცხოველების წარმომშობი უჯრედები, ხოლო მათ სხეულთა დანარჩენი უჯრედები მომაკვდავნი. თუ ეს უჯრედები აიშორებენ თავიდამ ნაძალადევს ანუ შემოხვევით სიკვდილს, მათ ბუნებრივად ესწრაფებათ სიცოცხლის დღენიო. მაშასადამე, იმ აზრს ადგენენ, რომ ინდივიდუალურ ცხოვრების უჯრედთა შორის, რომელნიც არიან მომაკვდავნი და სახის უჯრედთა შორის, რომელნიც არიან უკვდავნი, ჰსუფევს კონტრასტიო. ხოლო არავითარი საბუთი არ არის უარვჰყოთ უკვდავება იმ შემთხვევაში, როცა არა სქესობრივს, არამედ სხეულის სხვა ელემენტებს შეუძლიათ განსახიერება. როცა პოლიპი, ანუ ჭია მრავლდება დაყოფით, მის უჯრედთა მთელი მრავალი რიცხვი ხელს უწყობს ახალი არსების შექმნას სწორედ ისევე, როგორც შუაზე გაყოფილი ინფუზორია. მაშასადამე, ეს უჯრედებიც ამდენადვე უკვდავნი ყოფილან.

უკვდავი ცხოველები იმყოფებიან ძალიან ადა უღერ-

ხემლოთა შორის. რაც უფრო ავიწევთ არსებათა კიბის საფეხურზე, მით ნაკლებ ვხედავთ რეგენერაციის მოვლენას.

იმ დროს, როცა ჭიები, მაგალითად ჭიაყელა, შეიძლება დავჭრათ რამდენსამე ნაჭრად, რომელთაგან ყოველსავე შეუძლია განვითარდეს მთლიან ერთეულად,—რბილსხეულიანნი განახლდებიან ხოლმე ნაწილობრივ. ლოკოკინას ეზრდება მოჭრილი თათები, ხოლო თუ ის ნაწილ-ნაწილად დასჭერით, აუცილებლად მოკვდება. ხერხემლიანთა შორის მხოლოდ სადათა წარმომადგენელთ, მაგალითად **ტრიტონსა** და **სალამანდრას**, შეუძლიათ კუდისა და ფეხების განახლება. მათ დაყოფით განმრავლებაზე ლაპარაკი ისევე შეუძლებელია, როგორც რბილხორციანების შესახებ. მაღალ ხერხემლიანთა შორის, ფრინველთა და ძუძუმწოვართა რეგენერაცია ფრიად ვიწრო ფარგლებში ჰხდება. არც კუდი და არც ფეხები ხელმეორედ არ ეზრდებათ.

აქედამ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პროგრესი ცხოველთა სხეულში განვითარებულა ელემენტთა და ქსოვილთა წარმომშობელ თვისების მეოხებით. უმაღლეს ცხოველთ ემჩნევათ კიდე ზოგიერთ ასოთა განახლება, მაგალითად ღვიძლის. ხოლო იმავე ცხოველთ აქვთ უჯრედები, რომელთაც შეუძლიათ განახლება მხოლოდ განსაკუთრებულს შემთხვევებში. ასეთები არიან ნერვული უჯრედები, რომელნიც შეადგენენ სხეულის კეთილშობილსა და სრულყოფილ ელემენტებს. განვითარდებიან რა ჩანასახში, ისინი მთელი არსებობის განმავლობაში მეტად არც მრავლდებიან და არც ახლდებიან. მიიღეს რა უაღრესი თვისებები, როგორც ფსიქიური, მათ სრულიადაც დაჰკარგეს უკვდავ უჯრედთა ნიშნობლივი თვისებები, ესე იგი დაყოფის ნიჭი.

თუ კი არის ელემენტები, აუცილებლად ბუნებრივ სიკვდილით განწირულნი, უნდა ვეძიოთ ასეთები ნერვულ ცენტრთა უჯრედების შორის.

ცხოველთა შორის ბუნებრივის სიკვდილის არსებობა

უეჭველია, ხოლო უეჭველადვე იგი არის იშვიათი. ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენენ ღირსშესანიშნავი მწერები, რომელთაც ეძახიან „წამიერნი“ (ეთემერები). ვის არ უნახავს ზაფხულობით ამ ფრთოსან, მოყვანილსა და ლამაზ მწერთა გუნდები, რომელნიც ეხვევიან სინათლეს? წამიერნი გამოდიან წყლიდან,—საცა მათი ჭიები სცხოვრობენ,—პატარა სამწყვილფეხიანი მწერები, რომელნიც იკვებებიან წყალში მყოფ ფრიად წვრილ ორგანიულ დანარჩენებით. ამ ჭიებს არ ძალუძთ ცოცხალ სანადიროზე გალაშქრება და იძულებულნი არიან თვის უამრავ გაუმაძღარ მტერთაგან თავი დააღწიონ გაქცევით. ხანგრძლივ სცხოვრობენ (ზოგნი 2 და 3 წელს) მდინარის ლამში მისთვის, რომ შემდეგ გადაიქცნენ ფრთოსან მწერად. პარიზის მიდამოებში მეთევზეებმა კარგად იციან „მანნას“ სახელით წამიერთა ერთი გვარი (Palingenia virgo), რომელნიც გამოდიან სენას ან მარნის სილრმიდან მზის ჩასვლის შემდეგ. ფრიად ხანმოკლივ დაჰფრინავენ დიდის გუნდებით, როგორც თოვლის დიდი ნაფლეთები, როცა თოვლი უეცრივ მოდის ხოლმე. „მანნას“ ნავარდობა ძლივ ერთს ან ორ საათს გასტანს ხოლმე. შემდეგ ეს მწერები ქანცმილეულნი მრავლად ეცემიან ძირს. ისინი მიისწრაფიან სინათლისაკენ და მეთევზეებიც ჰკრეფენ ლამპარისა და ფანრების ირგვლივ თევზის მისატყუებლად. ფრთოსან მდგომარეობაში ამ მწერთა სიცოცხლე მართლა რომ წამიერია, რადგან არა უმეტეს რამდენისამე საათისა გრძელდება. მთელი მათი სხეული ადასტურებს მათ დღემოკლეობას. იმ დროს, როცა ამ მწერთა ჭიებს კარგად განვითარებული აქვთ საღეჭი ორგანოები, რომელთ მეოხებითაც შეექცევიან საჭმელს,—ფრთაშესხმულ მწერებს ეს ორგანოები მხოლოდ ჩასახული აქვთ. ამიტომაც არ შეუძლიათ კვება, რაიც აშკარად გვიდასტურებს მათ ხანმოკლე ცხოვრებისათვის შეგუებას. იმ მოკლე დროს, რომელსაც წამიერნი ატარებენ ჰაერში, ახმარებენ სიყვარულს. გამოვლენ

თუ არა წყლიდან, დედალ-მამალი წამიერნი შეუღლდებიან ხოლმე და დაუყოვნებლივ სდებენ კვერცხს, რომელიც ჯგუფ-ჯგუფად სცვივა წყალში. რამდენსამე კვირის შემდეგ ამ კვერცხიდან ჩნდებიან ქორფა ჭიები.

დამთავრებულ წამიერთა მთელი სიცოცხლე და ორგანიზაცია ცხადჰყოფს, რომ აქ საქმე გვაქვს ბუნებრივ სიკვდილთან. იმიტომ კი არ იხოცებიან, რომ სიახლოვეს საჭმელი ან სხვა აუცილებლად საჭირო რამ არ მოეპოვებოდესთ, ან იმიტომ, რომ დაბადებიდანვე უძლურნი ყოფილიყვნენ და ისეთ საღსრებს მოკლებულნი, ურომლებოთაც შეუძლებელი ყოფილიყოს მათი სიცოცხლე.

მივედით რა იმ დასკვნამდე, რომ ბუნებრივი სიკვდილი ნამდვილად არსებობს, ძალიან საყურადღებო იქნებოდა, რამდენადაც დღევანდელი მეცნიერების მდგომარეობა ნებას გვაძლევს, შეგვესწავლა ასეთი სიკვდილის მექანიზმი. ნაძალადევ სიკვდილზე ყოვლისავე იქვის თავიდან ასაცილებლად საჭიროა გავიგოთ, ხომ საჩქაროდ გადამდები რამ სენი არ იპყრობს ამ წყლიდან ამოსულ წამიერთ?ეს ჰიპოტეზა, თუნდ არ არის დასაჯერებელი, მაგრამ მაინც განსახილველია. მრავალი მწერი იხოცება სულ მოკლე ხანში პარაზიტული ობის მეოხებით, რომელიც (ობი) ნამდვილ ეპიდემიებს ჰქმნის. ყველას ნანახი ეყოლება, ნაშეტურ შემოდგომაზე, სარკმლის მინაზე თეთრის ობით მიკრული და ზედ მიმკვდარი ბუზი. რადგან ამ მწერთა უამრავი რიცხვი ერთდროულად იხოცება, შესაძლო იყო კაცს ეფიქრა, რომ აქაც ბუნებრივი სიკვდილი არისო, იმ დროს, როცა ამ შემთხვევაში უბრალო გადამდები მომაკვდინებელი სენია, რომელსაც აჩენს ხოლმე პარაზიტული სოკოები.

წამიერთ მწვავე ეპიდემიის შესახებ ყოველივე იქვი უნდა უკუვაგდოთ. ამ აზრს ჩემი გამოკვლევანი უტყუარს ჰქმნიან. მომაკვდავ წამიერებზე ვერავითარ მიკრობებს ვარა ჰპოვებთ, რომელთ მეოხებითაც შეიძლებოდეს სიკვდილის გამოწვევა.

ბაშასადამე, აქ უნდა ვგულისხმობდეთ ბუნებრივ სიკვდილს, რომელიც დამოკიდებულია თვით სხეულზე, ამ მწერთა თვით შინაგან არსებაზე. წამიერთა სხეულის უჯრედებ შორის ფაგოცეტებიც ბევრია. ეგებ ამ მწერთა დღემოკლეობა გამოწვეული იყოს ფაგოციტების განმანადგურებელის მოქმედებით ორგანოებსა და კეთილშობილ ქსოვილებში? გულდადებულმა მიკროსკოპულმა გამოკვლევამ უარჰყო ეს ჰიპოტეზა. პირიქით, ყველა ორგანო, რომელიც შენახული იყო საუკეთესო ტექნიკურ ვითარებაში, წარმოადგენს თვის ნორმალ სტრუქტურას. ტვინი, ნერვული ცენტრები საზოგადოდ, როგორც კუნთები და სხვა ორგანოები არ წარმოადგენენ არავითარ კვალს ფაგოციტების იმ განადგურებისას, რომელზედაც ჩვენ მივუთითეთ, როგორც ბებრულ დეგენერაციის საზოგადო კანონს. ამიტომაც, ამ ბუნებრივ სიკვდილის უეჭველს მაგალითში კრინტიც არ დაიძვრის მაკროფაგების საქმეში ჩარევის შესახებ.

ზოგ მსწავლულთა აზრით, წამიერთა და სხვა მწერთა ესოდენ მოსწრაფებული სიკვდილი აიხსნება იმ დაუძლურებით, რომელსაც განიცდიან კვერცხის სწრაფის დადებითა და მამობრივ ელემენტთა გამოთხევით. ამ შემთხვევაში იმის მსგავსი რამ უნდა ჰხდებოდეს, რაიცა ჰხდება ოპერაციის შემდეგ—სხეულის შერყევა, რომლის მეოხებითაც ავადმყოფები ჰკვდებიან. ბოლო ეს ჰიპოტეზა არაა მისაღები: სქესობრივ მომქმედ მამალ წამიერებთან ერთად უეცრივ იღუპებიან მრავალი ისეთებიც, რომელთაც განაყოფიერებაში არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ. წამიერთა შორის მამლები ბევრად სჭარბობენ დედლებს; ამიტომაც, მრავალი მათგანი არ განიცდის სქესობრივ შერყევას, რადგან სრულიადაც არ დაუცლიათ თვისი სამშობიარო ორგანოები. ვარნა ეს გარემოება სრულიადაც არა ჰშველის.

ამ ბუნებრივ სიკვდილის მაგალითში შეუძლებელი შეიქმნა იმის გაგება, ერთდროულად ჰკვდება ყველა ქსოვილი

თუ არა. ადვილი შესაძლოა, პირველად ნერვული ელემენ-ტები ჰკვდებოდეს, რაზედაც დამოკიდებულია მრთელი სხეუ-ლის სიკვდილიც. ამ საკითხს ჯერხნობით დაწვრილებითი გამო-კვლევა ესაჭიროება.

წამიერთ დღე ესწრაფებათ სიყვარულის ხანაში, სქესო-ბრივ ალღოს დაკმაყოფილების წამის დროს. ფრიად საგული-სხმიერო იქნებოდა გაგვეგო, თუ რასა გარეშეგრძნობენ ეს არსებანი წარმოშობის აქტის დროს რომ იხოცებიან.

რადგან, თავის თავად იგულისხმება, ძნელია ამ საკითხის სავსებით გადაჭრა, — იძულებულნი ვართ დაკმაყოფილდეთ ამის შესახებ რამდენისამე ფაქტით.

ყველა წამიერნი, არათუ ისინი, რომელნიც რამდენისამე საათის, არამედ ისეთნიც, რომელნიც რამდენისამე დღის განმავლობაში სცოცხლობენ (ხლოე, Chloë), ადვილი დასა-ჭერნი არიან. მათ დასაჭერად არც ბადეა საჭირო და არც უცაბედობა, მსგავსად ბუზისა, კრაზანასი და სხვა მწერთა. წამიერი შეგიძლიათ აიღოთ ხელში უბრალოდ, რადგან არა-ვითარ წინააღმდეგობის, ან გაფრენისა და გაქცევის სურვილს არ იჩენენ, თუნდა რწყვილი ან ორი რწყვილი ფრთაც აქვთ და სამი რწყვილი ფეხიც. ეს ფაქტი მწერთა შორის ერთად ერთი როდია. მრავალი სხვა მწერიც ასევე ადვილი დასაჭერია, მაგალითად: ფრთიანი ჭიანჭველა, მგრაგნელი და სხვ. ხოლო იმ დროს, როცა უკანასკნელნი მთელის თვისის სიცოცხლის განმავლობაში მტერს არ გაურბიან, ჭიათ მყოფი წამიერი ფრიად მშიშარაა. თუ დააპარებ მის დაჭერას წყლის მცენარეთა შორის, საცა ისინი სცხოვრობენ, შუშის მილის მეოხებით, იმწამსვე ჰგრძნობენ მილის მიახლოვებას და გამალებით გარ-ბიან. ამ მწერთა დაჭერას ზოგჯერ დიდი ხელოვნება და მოთ-მინება სჭირია. მათი სიცოცხლის ალღო, თვითდაცვის გრძნობა გამოიხატება აჩქარებულის გაქცევით. მასთანავე ცხადია, რომ მთავარ წამიერს ეს ალღო არა აქვს. თუ ხელი მოჰკიდე, ზოგჯერ დაიძვრის, ხოლო არ მიფრინავს, თუნდა მოძრაობის

ორგანოები ფრიად განვითარებული აქვს და სხეულიც მსუ-ბუქი, რასაც ხელს უწყობს მასთანავე საჭმლის მაგივრად ჰაერით გავსილი ნაწლევები. ხშირად წამიერი არც გაიძვრის და არ გეწინააღმდეგებათ ხელში აიყვანოთ.

არავითარი უფლება არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ წამი-ერის ჭიის სიცოცხლის ალღომ დაუთმო ადგილი მთავარის წამიერის ბუნებრივის სიკვდილის ალღოსო, ხოლო უნდა ვი-ფიქროთ, რომ წამიერს სიცოცხლის ალღო გაჰქრობია. შე-უძლებელია კაცმა იფიქროს, რომ ფრთებიან წამიერთა ამ-გვარი თვინიერება დამოკიდებული იყოს რომლისამე გრძნო-ბის ორგანოს უკმარისობაზე. მართლაც: არა თუ იგივე თვა-ლები აქვთ. რაიც ჭიის მდგომარეობის დროსა ჰქონდათ, არა-მედ მამლებს უჩნდება ორი დიდი თვალი, რომელიც მას ესაჭი-როება დედლის მოსაძებნად გამალებულის ფრენის დროს, ჩა-მავალ მზის შებინდებისას. შეხების ორგანოებიც აგრეთვე ფრიად განვითარებული აქვთ წამიერთ ყოვლის ჰასაკის დროს. და მიუხედავად ამ უმაღლესის განვითარებისა, მთავარი წა-მიერნი გულგრილნი არიან ხოლმე მტრის წინაშე.

შემთხვევით კი არ ავირჩიეთ საუკეთესო მაგალითი ბუნე-ბრივის სიკვდილისა, სახელდობ მწერთა შორის. ცხოველთა ეს რიგი განირჩევა უჯრედულ ელემენტთა დიდის სიმტკი-ცითა და ქსოვილთა განახლების თანაბარის უმისობით. ამ მხრივ მწერები ჰგვანან უმაღლეს ცხოველებსა და ადამიანს. მათი ნერვიული უჯრედები ფრიად განკერძოებულნი არიან და შეუძლიათ მეტად მაღალ ფუნქციათა შესრულება, რომე-ლთა შორის ფსიქიურ ფუნქციას უჭირავს პირველი ადგილი. ხოლო ფუნქციონურის მხრივ კარგად მომარჯვებულთ, ამ ელემენტებს არ ძალუძთ განახლება. ბევრი ცდა იყო მოხდე-ნილი ამ მარივ და აღმოჩნდა, რომ იმ დროს, როცა ციცვი-სსლიან ხერხემლიანთ თავის და ხერხემლის ტვინებს მათი ნერ-ვულის უჯრედებით შეუძლიათ განახლება, ძუძუმწოვართა შორის მხოლოდ განსაკუთრებულს შემთხვევაში ჰხდება ხოლ-მე ნერვულ ცენტრთა უჯრედების ზოგადი რეგენერაცია.

ამიტომაც უფრო შესაძლო იყო ბუნებრივის სიკვდილის მაგალითების მოლოდინი იმ ცხოველთა შორის, რომელიც ორგანიულ სამფლობელოს უმაღლეს საფეხურებზე დგანან, როგორც ადამიანია. ხოლო აქ ვერა ვპოულობთ ისეთს დამადასტურებელ მაგალითს, როგორც მწერთა შორის წამიერებში. ზემოთ უკვე მოხსენებული გვქონდა, რომ ბებრულ დაძაბუნების გამო დიდი უმრავლესობა სიკვდილისა, რომელიც მიჩნეულია ხოლმე ბუნებრივად, უნდა მიეწეროს შემთხვევით მიზეზებს და განსაკუთრებით მოხუცებულთა გადამდებ სენებს (ფილტვების, თირკმლების ანთებას და სხვა). ქსოვილთა გულდადებითი გამოკვლევა გვიდასტურებს ამ დასკვნას.

ფაგოციტების მიერ კეთილშობილ ელემენტთა ხშირი განადგურება უფრო ნაძალადევ პროცესს გულისხმობს, ვიდრე ბუნებრივ სიკვდილს, მსგავსად იმისა, რომელსაც ჩვენ ვხედავთ მთავარ წამიერთა შორის.

შაშასადამე, ადამიანის ბუნებრივი სიკვდილი უფრო პოტენციალურია, ვიდრე დანამდვილებითი. სიბერე არ არის ფიზიოლოგიური მოვლენა და წარმოადგენს ავადმყოფობის ნიშნებს. ამ ვითარებაში საკვირველიც არ არის, რომ მას მოსდევს მხოლოდ შემთხვევითი სიკვდილი. შესაძლოა მაინცა და მაინც, რომ ფრიად მიხრწნილს ჰასაკში ზოგჯერ ბუნებრივი სიკვდილიც იჩენდეს თავს.

ხშირად ცდილან გადაეჭრათ ადამიანის სიცოცხლის საზღვარი. და ამ მხრივ ფლურანსი [1]) ემყარებოდა ზრდის ხანგრძლივობაზე. იმ აზრით, რომ ზრდის პერიოდი ეთანაბრება მრთელის სიცოცხლის ერთ მეხუთედს, ფლურანსი ასკვნიდა, რომ ადამიანის სიცოცხლე უნდა გაგრძელდეს 100 წელიწადს. და რადგან ასი წლის ხალხი ფრიად იშვიათია, ამიტომ ამ ხნის უმალ სიკვდილის ყველა შემთხვევა უნდა ადრეულად და შემთხვევითად მივიჩნიოთო. ხოლო ფლურანსის კანონი თვითნებითია და მისი სიმართლე ვერაფრით ვერ მტკიცდება. ალბათ, კაცობრიობის სიცოცხლის საზღვარი არაა

1) De la longevité humaine. 1885.

ისე მუდმივი, როგორც წამიერთა და ამიტომაც, შეუძლებელია მისი რომლისამე რიცხვით განსაზღვრა. უმეტეს შემთხვევაში იგი უნდა ას წელზე ბევრად მეტი ყოფილიყო და მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში უნდა დამცირებულიყო ეს საზღვარი. ბუნებრივის სიკვდილის ჰასაკი უნდა ისევე ირყეოდეს, როგორც ირყევა ხოლმე სქესობრივის სიმწიფის ჰასაკი. თუმცა სქესობრივი სიმწიფე ექვემდებარება ზოგად წესს, მაგრამ ცოტად თუ ბევრად ამ სიმწიფის საშუალო ჰასაკის ცხადყოფა რყევაში არის.

ადამიანის სიბერის პატოლოგიურ ხასიათს უნდა დაერღვია აგრეთვე ყოველივე ის, რაიც ეხება ბუნებრივ სიკვდილს. ამიტომაც, ჯერხნობით სრულიად შეუძლებელია კაცმა გაითვალისწინოს ასეთი სიკვდილის ვითარება. როგორც ვიცით, ზოგ ორგანოსა და ქსოვილს შეუძლია შეირჩინოს სიცოცხლის ნიშანწყალი რამდენსამე ხანს სიკვდილის შემდეგაც. ოცდა ათი საათის შემდეგ სიკვდილისა, გადამდები სენის გამო, გულს, ამოღებულს ნეშთისაგან და შენახულს განსაკუთრებულს პირობებში, შეუძლია გაცოცხლება და რამდენსამე ხნის განმავლობაში მოძრაობა. მკვდრის სისხლის თეთრი სრსოლები, თესლის სხეულები და მოციმციმე ბუსუსები კიდევ მოძრაობენ. იგივე მოვლენა ჰხდება თუ არა ბუნებრივ სიკვდილის ესოდენ იშვიათ შემთხვევაშიაც? ამ საკითხს ერთადერთი ზომავალი გასცემს პასუხს.

ბუნებრივ სიკვდილთან დაკავშირებული მეტად საყურადღებო საკითხი არის შემდეგი: თანაუძღვის თუ არა ადამიანის ბუნებრივ სიკვდილს სიცოცხლის ალღოს გაქარწყლება და ახალის სიკვდილის ალღოს გაჩენა? არის თუ არა ამ შემთხვევაში ანალოგია ბუნებრივ სიკვდილთან წამიერთა შორის? ადვილი მისახვედრია, რომ ამ საკითხზე სრული სისწორით პასუხის გაცემა შეუძლებელია.

სიბერე, ასე რომ ვთქვათ, დამახინჯებული მოვლენაა ამიტომ, ის პირნი, რომელნიც უახლოვდებიან ბუნებრივის

სიკვდილის ჰასაკს, მხოლოდ სრულიად განსაკუთრებულს შემთხვევაში შეინარჩუნებენ ხოლმე გონებრივის ნიჭის საკმაო სისრულეს. მე მომიხდა ერთი ასი წლის დედაბრის ნახვა, რომელსაც ახსოვდა რამდენიმე გარემოება თვისი სიყმაწვილისა. დიდი სურვილი ჰქონდა სიცოცხლისა, ხოლო მისი გონებრივი ნიჭი ფრიად დაზიანებული იყო. როცა მისი ნეშთი გაჰკვეთეს, ტვინი წარმოადგენდა ნერვულ უჯრედთა დიდ დეგენერაციას მაკროფაგების მიერ განადგურების გზით.

მე მივიღე საკმაოდ დაწვრილებითი ცნობები ასი წლის დედაბრის შესახებ, რომელიც სცხოვრობდა რუანაში 1900 წ. [1]) საკმო იყო შეგეხედათ მისი სურათისათვის, რომ დარწმუნებულ ყოფილიყავით მისი გონიერების დასუსტებაში. იგი მრავალმხრივ ინვალიდი იყო. სახელგანთქმული ქირურგი **შევრეული** გაცდაიცვალა 103 წლისა და დიდი სურვილი ჰქონდა სიცოცხლისა, ხოლო ჭკუა დიდად შესუსტებული ჰქონდა.

ჩვენ ვნახეთ ამ მოკლე ხანში ერთი ასი წლის დედაბერი, რომლის დაბადების დღე დიდის ამბით იდღესასწაულეს სოტვილში, რუანის ახლო [2]). თუნდა ტანმრთელობის მხრივ ეს მოხუცებული კარგად გამოიხედებოდა, ხოლო გონებრივის მხრივ იმდენად სუსტი იყო, რომ ლაპარაკიც არ შეიძლება მისი ახალი თვისების — ბუნებრივ სიკვდილის ალღოს გაწვითარების შესახებ. გახდა რა ავად ამ რამდენისამე წლის წინ ფილტვების ანთებით, იგი აშკარად გამოხატავდა გამობრუნებისა და სიცოცხლის სურვილს.

ზემოხსენებული შემთხვევები საერთო კანონს შეადგენენ. ხოლო გამონაკლისებიც არის ხოლმე, რომელთაც ყურადღებით უნდა მოვექცეთ. მეექვსე თავში მოხსენებულ **ტოკარსკის** სტატიაში სიკვდილის წინაშე შიშის შესახებ, მას მოჰყავს ასი წლის დედაბრის მაგალითი, რომელსაც ასეთი სიტყვები ეთქვა: „შენ რომ ამდენი გეცოცხლა, რაც მე ვიცოცხლე,

[1]) Journal de Rouen, 28 ენკენისთვე 1903.

[2]) იგივე ჟურნალი, 21 ენკ. 1900. Georgus Dubosc.

გაიგებდი, რომ შეიძლება არა თუ არ გეშინოდეს სიკვდილის, არამედ მოისურვო კიდეც იგი და **ისევე იგრძნო სიკვდილის საჭიროება, როგორც ადამიანი ჰგრძნობს ძილის საჭიროებას**"-ო. ამ ღრმა სიბერეში დაიბადა ახალი გრძნობა, ძილის საჭიროების მსგავსი და გაუგებარი ნაკლებად მოხუცთათვის. ცხადია, რომ აქ ჩვენა გვაქვს საქმე ბუნებრივის სიკვდილის ალღოსთან, რომელიც განუვითარდა ასი წლის მოხუცებულს, ჯერ კიდევ დაუზიანებელის ფსიქიურის თვისებებით დაჯილდოებულს.

დიდი სურვილი მქონდა ერთი ვინმე მოხუცთაგანი მენახა ჩემის თვალით ამ შესანიშნავის ალღოთ დაჯილდოებული იმ დიდრიცხოვან მოხუცთაგან, რომელნიც მინახავს, ხოლო ყველანი, ვიზედაც მიმითითეს, როგორც ამ ალღოთი დაჯილდოვებულებზე, ახლო დაკვირვების შემდეგ აღმოჩნდენენ სრულიად წინააღმდეგის გრძნობისანი. ზოგი დედაბრები იყვნენ დაავადებულნი, სენით დაქანცულნი; ესენი არჩევდნენ სიკვდილს ტანჯულის სიცოცხლის წილად, ხოლო მეტი სურვილი ჰქონდათ განკურნებისა და წყნარი სიცოცხლისა. როცა ეტყოდნენ განკურნვის შესახებ, აშკარად სიამოვნობდნენ და იმედებით იღჭურვებოდნენ.

თავშესაფრებში მოხუცთა გამოკვლევამ უარყოფით დასკვნამდე მიგვიყვანა ამ შემთხვევაში. არც ერთ მათგანს მცირეოდენი სიკვდილის ალღო არ გამოუჩენია. სამაგიეროდ მკურნალ **ფოველისაგან** გავიგე ერთი ფაქტი, რომელიც შეიძლება გვერდით დაუყენოთ **ტოკარსკის** დაკვირვებას. ეს ფაქტი შეეხება ერთს დედაბერს, რომლის ტანმრთელობა და ქონებრივი საღსარი სრულიად საკმაო იყო და რომელიც სიკვდილის წინეთ ცხადჰყოფდა უეჭველ სურვილს სიკვდილისას, იგიც ისევე ხატავდა ამ სურვილს, როგორც **ტოკარსკის** ასი წლის დედაბერი. ხოლო **ფოველის** მოხუცი 85 წლისა იყო. თუ, რაიც ფრიად დასაჯერებელია, ეს არის ბუნებრივ სიკვდილის ალღოს მეორე მაგალითი, უნდა და-

ვასკვნათ, რომ ეს ალღო იჩენს თავს ისევე ფერად ჰასაკში, როგორც სქესობრივი ალღო.

სიკვდილის ალღოს მაგალითების ძებნის დროს მივმართეთ **ლეჟონკურის**[1]) დიდ კრებულს. ხოლო ამ ავტორის ცნობები შეეხება უმთავრესად ასი წლის მოხუცთა სიცოცხლეს და ვერაა სრული იმ მხრივ, რაც შეეხება მათ უკანასკნელ წამებს.

დაბადებაში მოხსენებულია იმ შორეულ დროის ისეთი მრავალი ადამიანები, რომელნიც ასი წლისანი იყვნენ და სრულიად კარგადაც გამოიყურებოდნენ[2]). დაბადებაში ვპოულობთ აგრეთვე ზოგ ცნობას, რომელიც შეიძლება კაცმა ახსნას ბუნებრივ სიკვდილის ალღოს თვალსაზრისით. აი, როგორ არის აწერილი ზოგიერთ პატრიარქთა სიკვდილი. აბრაამს უცოცხლია 175 წელი. ძალ-ღონე მილეული იგი მიცვლილა ბედნიერს სიბერეში, მოხუცად და თვისის დღით გამძღარი. ისაკს უცხოვრია 180 წ. ძალ-ღონე მილეული, იგი გადაცვლილა მოხუცად და სიცოცხლე მოყირჭებული. იობმა იცოცხლა 140 წ. ის მოესწრო შვილებსა და შვილიშვილებს მეოთხე მოდგმამდე. შემდეგ მიიცვალა მოხუცი და სიცოცხლით მოყირჭებული. ალბათ ეს გრძნობა სიცოცხლის მოყირჭებისა, რომელიც ესოდენ არაჩვეულებრივია ჩვენთვის, არის იგივე ბუნებრივის სიკვდილის ალღო, რომელიც განვითარებული ჰქონიათ საკმაოდ ძალ-ღონით სავსე 140—180 წლის მოხუცთ. სხვათა სიკვდილთა აღწერილობაში ჩვენ ვხედავთ, რომ ეს ბიბლიური გამოთქმა არაა უბრალო ფორმულა სახელოვან კაცთა სიცოცხლის შესახებ. მაგალითად, ისმაილზეა ნათქვამი 137 წელი იცოცხლაო, რის შემდეგ დაჰკარგა ძალ-ღონე და მიიცვალა და წაყვანილ იქმნა თვის ტომებთანაო.

[1]) Galerie des centenaires anciens modernes Paris 1842.

[2]) შესაძლოა, რომ მრავალ პატრიარქთა ასეთი დღეგრძელობა, რომელიც ჰქმნიდა ბუნებრივ სიკვდილის ალღოს, იყო მიზეზი ძველ ებრაელთა რელიგიის მომავალ ცხოვრების ნაკლების განვითარებისა.

იაკობი სცხოვრობდა ეგვიპტეში 17 წელს. უცოცხლია 147 წ. აარონი ყოფილა 123 წლისა, როცა გადაცვლილა გორის მთაზე. მოსე გადაცვლილა 120 წლისა; მხედველობა კარგად შერჩენოდა და ძალ-ღონეც არ გამოლეოდა.

ყველა ამ მაგალითებში მოხსენებულია მოხუცებულები, რომელთაგან მხოლოდ ერთმა გადააჭარბა 140 წლის ჰასაკს, როცა მას გამოაჩნდა სიკვდილის ალღო.

უნდა ფრიად საოცრად და თითქმის დაუჯერებლად გვეჩვენებოდეს ის, რომ ადამიანს შეიძლება განუვითარდეს ბუნებრივის სიკვდილის ალღო,—იმდენად საწინააღმდეგო ალღოთია ჩვენი არსება გამსჭვალული. მეექვსე თავში ნათქვამისაგან უეჭველად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ, როგორც სიცოცხლის სურვილი, აგრეთვე სიკვდილის წინაშე შიში არის იმავე ადამიანის ბუნებაში ღრმად ჩაჭედილ ალღოს გამოსახვა. ეს ალღო შეიძლება შევადაროთ შიმშილის, წყურვილის, ძილის, მოძრაობის, სქესობრივ და დედობრივ სიყვარულის ალღოს.

ამ ალღოებს შეუძლიათ ერთის უკიდურესობიდან მეორეში გადასვლა. ყველამ იცის იმ თავდადებისა და მზრუნველობის შესახებ, რომელსაც ძუ იჩენს ხოლმე თვისი შთამოებისათვის. არავითარ თავგანწირვას არ დაერიდებიან ხოლმე ეს დედები თვის შთამოების სიცოცხლისა და კეთილდღეობის დასაცველად. აი, ეს არის დედობრივის ალღოს გამოსახვა, რომელიც უძლიერესია ყველა ალღოებში. ხოლო ესოდენ ნაზი და თავდადებული სიყვარული მანამდე გრძელდება, ვიდრე შვილები უძლურნი არიან. შეიქმნებიან შვილები თუ არა დამოუკიდებელნი, დედის სიყვარული იქცევა გულგრილობათ და თვით სიძულვილათა და მტრობათაც კი...

იგივე დედები ხელახლა ჰგრძნობენ სიყვარულს თვის შვილთა ახალ თაობისადმი,—ასე რომ დედობრივის ალღოს პერიოდული ცვლილება ჰხდება ხოლმე.

ახლად შობილი ბალღი ინსტინქტურად სტაცებია ქალის

რძით, რომელიც მას ეჩვენება ერთად-ერთ გემრიელ საჭმელათ მთელს დედამიწაზე. თვის გრძნობათა პირველსავე ცხადყოფაზე ბალღს ემჩნევა სრული სიამოვნება ძუძუს წოვის დროს. ხოლო ეს ინსტინქტი გასტანს ხოლმე მთლოდ ძუძუს წოვის პერიოდში. როგორც კი დაიწყებს ბავშვი ყოველისავე სხვა საჭმლის ჭამას, მას გული უცრუვდება ქალის რძეზე და დაბოლოს ეზიზღება კიდეც ეს რძე. ეს ზიზღი შეიძლება ბავშვს შერჩეს მთელს თვის სიცოცხლეში. უმეტესმა ნაწილმა მთავარ ადამიანებისამ, რომელთაც შევსთავაზე ქალის რძე, ისე საზიზღრად მოეჩვენათ, რომ გასინჯვაზედაც კი უარი სთქვა. ქალის რძეს კი არაფერი უსიამოვნო არა ექვს. აქაც დროებითი და ცვალებადი ინსტინქტი მოქმედებს.

ხშირად ბავშვები ნამეტნავად გაძღებიან ხოლმე რაიმე ტკბილეულობით, რის შემდეგ არა თუ ეს ტკბილეულობა აღარ იზიდავს, არამედ ფრიადაც შეეზიზღებათ და ასეთ ზიზღს მთელს თვის სიცოცხლეშიაც კი ჰგრძნობენ ხოლმე.

აქბობენ, როცა ბავშვები საკანდიტროში იწყებენ მუშაობას, არ უკრძალავენ ტკბილეულობის ჭამას რამდენსაც მოინდომებენო.

მოკლე ხნის განმავლობაში ისე მოყირჭდებათ ტკბილეულობა, რომ ხელსაც აღარ აკარებენ.

როგორც დედას, რომელიც აღმერთებს თვის შვილებს, აგრეთვე ბავშვიც, რომელიც აღმერთებს ტკბილეულობას, ადვილად ვერ გაიგებენ იმას, თუ რაფრად შეიძულა დედამ თვისი შთამოება, ან საკონდიტროს ნოქარმა ტკბილეულობა.

სწორედ აგრეთვე კაცობრიობა, რომელსაც ესოდენ სწყურია სიცოცხლე, უფრო ადვილად ირწმუნებს უკვდავებას, ვიდრე სიცოცხლის ინსტინქტის სიკვდილის ინსტინქტად შეცვლას. სიკვდილის აღლო, როგორც სჩანს, პოტენციალურის სახით ბუდობს ადამიანის ბუნებაში. ადამიანის სიცოცხლის მიმდინარეობა რომ თვისი იდიალურის, ფიზიოლოგიურის გზით სწარმოებდეს, ბუნებრივის სიკვდილის ალღო თავის

დროზე იჩენდა თავს წესიერ სიცოცხლისა, ტანმრთელისა და ხანგრძლივ სიბერის შემდეგ.

უთუოდ ამ ინსტინქტს მოსდევს საუცხოვო გრძნობა, უკეთესი, ვიდრე ყველა სხვა გრძნობანი, რომელთა განცდაც ჩვენ შეგვიძლია. შეიძლება აღშფოთებული ძებნა ადამიანის სიცოცხლის მიზნისა არის ცხადყოფა გაუგებარის მისწრაფებისა ბუნებრივის სიკვდილის დადგომის გრძნობისაკენ. აქ უნდა იყოს რაღაც მსგავსი იმ ყმაწვილ ქალწულთა გაუგებარის გრძნობისა, რომელიც წინაუსწრობს ხოლმე ნამდვილს სიყვარულს.

სინამდვილეში ჩვენი სიცოცხლე დაბადების დღიდან განიცდის ადამიანის ბუნების დისჰარმონიის მავნე გავლენას. ეს გავლენა თანდათან იზრდება ჩვენის არსებობის განმავლობაში და მიგვაქანებს მოშლილ პატალოგიურ სიბერისაკენ. ამიტომაც, არაა გასაკვირი, რომ ამ ვითარებაში ადამიანი არა ჰგრძნობს არც დაბადების სურვილსა და არც სიკვდილის ალღოს. მიუხედავად სიცოცხლის სურვილისა, ბებრებს არ ძალუძთ გაიგონ ცხოვრების სიამენი და ჰკვდებიან შიშითა და სიკვდილის ალღოს გამოუცნობად.

ასეთი ბებრები შეგვიძლია შევადაროთ ისეთ ქალებს, რომელნიც თვით სქესობრივ მოთხოვნილების განვითარების უმალ გათხოვილან და მომკვდარან მშობიარობის დროს ნამდვილის სიყვარულის ინსტინქტის გაუგებრად.

აბაშეთის ზოგ ნაწილში ქალები ძალიან ადრე სთხოვდებიან, სათანადო ფიზიკურის განვითარების უმალ. **გასენშტეინის** [1]) აზრით, ამ ყმაწვილ ქალთა თითქმის ერთი მესამედი იხოცება მშობიარობის დროს. ისე ესალმებიან ამ სოფელს, რომ კარგად არც კი იციან, თუ რა ვარის ნამდვილი სქესობრივი ალღო.

საზოგადოდ კულტურისა და მედიცინის წარმატებამ ფრიად შეამცირა ამ ქალების რიცხვი.

---

1) Ploss -Bartels, Das Weib.

უნდა ვიმედოვნობდეთ, რომ ასეთსავე წარმატებას მიაღწევს მეცნიერება ბუნებრივის სიკვდილის ალღოს შესახებაც.

მეცნიერების წარმატების თანახმად თანდათან გამრავლდება იმ ადამიანთა რიცხვი, რომელნიც მიაღწევენ ამ ალღოს წესიერ ცხადყოფამდე.

თ ა ვ ი XII.

საერთო მიმოხილვა და დასკვნები.

ადამიანის ბუნების დისჰარმონია წარმოადგენს ჩვენ უბედურებათა მთავარ წყაროს.—ადამიანის წარმოშობისა და დანიშნულების შესახებ სამეცნიერო საბუთები.—ადამიანის არსებობის მიზანი.—ის დაბრკოლება, რომელიც წინ ეღობება მეცნიერებას ამ საკითხის შესწავლის დროს.—რა არის პროგრესი?—დაბრკოლება მთელი კაცობრიობის მოთავსებისა პროგრესისა და ზნეობრივობის ფორმულის ქვეშ.—სიცოცხლისა და ბუნებრივის სიკვდილის ალღო.—პრაქტიკულ ცხოვრებასთან შეთანხმება იმ პრინციპებისა, რომელზედაც არის ნათქვამი ამ წიგნში.

ადამიანმა, რომელიც წარმოიშვა რომლისამე ადამიანის მსგავს მაიმუნისაგან, მემკვიდრეობით მიიღო ისეთი შენაწევრობა, რომელიც შეგუებული იყო სიცოცხლის სრულიად სხვა ვითარებასთან, ვიდრე მას უხდება სიცოცხლე. შეუდარებლად უფრო მეტად განვითარებულის ტვინით დაჯილდოებულმა, ვიდრე მისი ცხოველნი წინაპარნი იყვნენ, ადამიანმა გახსნა ახალი გზა უმაღლეს არსებათა ევოლუციისაკენ. ესოდენ უეცარმა შეცვლამ ბუნებისამ შექმნა მთელი წყობა ორგანიულ დისჰარმონიათა, რომელთაც მით უფრო ჰგრძნობდა ადამიანი, რაც უფრო ემატებოდა ჭკუა და მგრძნობელობა. აქედან წარმოიშვა იმ უბედურებათა მთელი რიგი, რომლის თავიდან აშორებასაც სცდილობდა საბრალო კაცობრიობა ყოვლისავე ხელმისაწდომ საშუალების მეოხებით.

სქესობრივ ფუნქციის დისჰარმონიამ დაბადა ხშირად ფრიად გასაოცარი ზომები ამ უბედურების შემცირების მიზნით. ხო-

ლო უდიდესი უთანხმოება ადამიანის ბუნებისა გამოიხატვის პატოლოგიურის სიბერითა და ბუნებრივის სიკვდილის ინსტინქტამდე სიცოცხლის შეუძლებლობით.

შეიგნო რა კაცობრიობამ თვისი უძლურება ესოდენ სასურველ ჰარმონიის აღორძინებისა, ბევრი შეურიგდა პასიურ ფატალიზმს და იმის ფიქრიც კი დაიწყო, რომ ადამიანის სიცოცხლე ბედისწერის ერთგვარი დაცინვა არისო და ცოცხალ არსებათა განვითარების ყალბი ნაბიჯიო. მტკიცე მეცნიერება, რომელიც აუჩქარებლივ, ხოლო განსაზღვრულის მიმართულებით ვითარდებოდა, დაბოლოს შეეცადა ეს საქმე თვის ხელთ ეგდო. თანდათანისა და წარმატების გზით მსვლელობაში მარტივიდან რთულამდე და კერძოდან საერთომდე მეცნიერებამ დააწესა ჭეშმარიტებათა მთელი რიგი, რომელიც საყოველთაოდ აღსარებულ იქმნა.

საბრალო კაცობრიობა მეცნიერებას უყენებდა საკითხს საკითხზე და მოთმინება ელეოდა მეცნიერების წარმატების ნელის ბიჯით მსვლელობის წინაშე. იმ საკითხებს, რომლებსაც მეცნიერება სჭრიდა, კაცობრიობა აცხადებდა ამაოდა და ნაკლებად საინტერესოდ. დროგამოშვებით ამჯობინებდა უკან დაბრუნებას და იმ მშვენიერის ილჯუზიებით თავის დატყუილებას, რომელთაც მას სთავაზობდა ზოგი ფილოსოფური სისტემა.

ხოლო თვისის მეთოდებით დაიმედებული, მეცნიერება წყნარად განაგრძობდა თვის საქმეს. ნელ-ნელა მეცნიერებამ მოიპოვა უფლება პასუხი გაეცა ზოგ დაყენებულ საკითხისათვის.

საიდან წარმოვიშვითო?—ეკითხებოდნენ მეცნიერებას.

ადამიანი არის მაიმუნის ერთგვარი მახინჯი, რომელიც დაჯილდოებულია დიდის ჭკუითა და შორსმსვლელობის ნიჭითო,—იყო პასუხი. მისი ტვინი ასრულებს ფრიად რთულსა და უაღრეს მოთხოვნილებებს, ბევრად უაღრესს, ვიდრე მისი ცხოველი წინაპრების ტვინი.

საითკენ მივესწრაფებით? აი, საკითხი, რომელსაც ყველაზე მეტად ყურადღებას აქცევს კაცობრიობა, რადგან მისთვის უფრო ნაკლებად საინტერესოა თვისი წარმოშობის, ვიდრე თვისი დანიშნულების საკითხი. სრული არყოფნაა სიკვდილი, თუ მხოლოდ ახალის, დაუსრულებელის ცხოვრების დასაწყისი? და თუ არ ეს უკანასკნელი ცხოვრებაა ჩვენი ხვედრი, რაფრათ უნდა დავყაბულდეთ სიკვდილის აუცილებლობით?

რადგანაც, ჩვენის აზრით, სიკვდილი არის სრული გაქრობა, მისი აუცილებლობა ჩვენთვის აუტანელად ჰხდება იმ ვითარების გამო, რომელშიაც ის ჩვენ გვეწვევა ხოლმე. სიკვდილი გვეწევა იმ დროს, როცა კაცს არ შეუსრულებია თვისი ფიზიოლოგიური განვითარება და როცა მაზედ სრულიად მოქმედობს სიცოცხლის ინსტინქტი.

იმ დროიდან, როცა ადამიანი რამდენადმე ამაღლდა თვის დამოუკიდებელ, ყოველდღიურ ინტერესებზე, შეეკითხა თავის თავს: აქვს თუ არა ადამიანის ცხოვრებას რაიმე განსაზღვრული მიზანი და რაგვარია ეს მიზანი? რადგან ვერ გამოსძებნა ეს მიზანი უმეტეს ნაწილად, მივიდა იმ რწმენამდე, რომ ადამიანის არსებობა უბრალო შემთხვევა არისო და არც კი ღირს კაცმა ეძიოს ეს მიზანიო.

ამის მიხედვით, ის აწყდებოდა დამაღონებელსა და პესიმისტურს დასკვნებს. კაცობრიობამ იმ ჭაბუკის მდგომარეობაში ამოჰყო თავი, რომელიც სქესობრივის გრძნობის გაჩენის უმალ შეეკითხებოდა თვის თავს, თუ რა მიზანი აქვს ჩემს სქესობრივ ორგანოებსო? და რადგან თვისის სქესობრივის ფუნქციით ეს ორგანოები არაფრად ესაჭიროება, ადვილად შეეძლო დაესკვნა მათი ურგებლობა და უაზრობაც კი.

თვისი ბუნების დისჰარმონიის მეოხებით ადამიანი არ მისდევს თვის წესიერ განვითარებას. მისი ცხოვრების პირველი ნახევარი ჯერ კიდევ ფარსაგ უკულმართ მიდრეკის თვინიერ მიმდინარეობს ხოლმე; ხოლო მწიფე ჰასაკის შემდეგ ჩვენი განვითარება ცოტად თუ ბევრად გადაგვარე-

ბის გზას ადგება და თავდება მოსწრებულისა და პატალოგიურის სიბერითა და ფრიად ნაადრევისა და არაბუნებრივის სიკვდილით.

ნუ თუ ადამიანის არსებობის მიზანი არ უნდა წარმოადგენდეს უპირველეს ყოვლისა ცხოვრების სრულ ფიზიოლოგიურ ციკლის დასრულებას წესიერის სიბერითა, რომელმაც უნდა გააქარწყლოს სიცოცხლის ალღო და დაბადოს ბუნებრივის სიკვდილის ალღო?

პესიმისტების ბანაკში ხშირად გაისმოდა ხმა სიკვდილის შესახებ, როგორც ადამიანის არსებობის ნამდვილს მიზანზე. **შოპენჰაუერი** [1]) მაგალითად ამბობს: „ჭეშმარიტად სიკვდილს უნდა უყურებდეთ ისე, როგორც ცხოვრების ნამდვილ მიზანს; მისი გაჩენის წამში სწყდება ყოველივე ადრე დამზადებული და შეთვისებული მთელი სიცოცხლის განმავლობაში“-ო.

იგივე აზრია გამოხატული **ბოდელერის** [1]) ამ ლექსში:

C'est la mort, qui console, helas! et qui fait vivre;
C'est la but de la vie et c'est le seul espoir
Qui, comme un élixir, nous monte et nous énivre
Et nous donne le coeur de marcher jousq' au soir.
(„ვაი, რომ სიკვდილი გვანუგეშებს და გვაიძულებს ვიცოცხლოთ;
ის არის სიცოცხლის მიზანი და ერდთად-ერთი იმედი,
რომელიც, როგორც ელექსირი, გვამხნევებს და ვვა-თრობს
და გვათამამებს ვიაროთ საღამომდე.“)

ნორმალი დასასრული, რომელიც უნდა დადგეს სიკვდილის ალღოს განვითარების შემდეგ, მართლაც შეიძლება მივიჩნიოთ ადამიანის არსებობის საბოლოო მიზნათ. ხოლო ვიდრე ამას მივაღწევდეთ, უნდა გავიაროთ მთელი ნორმალი

[1]) Die Welt als Wille und Vorstellunq.
[1]) Fleurs du mal. La mors des pauvres.

ცხოვრება, რომელიც აგრეთვე უნდა დაკმაყოფილებული იყოს. არსებობის ნამდვილი მიზნის შეგნება ბევრად გვიადვილებს ამ საკითხს, გვიჩვენებს რა იმ ყოფაქცევას, რომელსაც უნდა დავადგეთ მთელი ჩვენი ცხოვრების განმავლობაში.

პირველს თავში მკითხველს წარვუდგინეთ ამ საკითხის შესახებ აზრთა საერთო მიმოხილვა. პირველის ცდიდანვე ზნეობრივობის რაციონალურ დასაბუთებისა შეეცადნენ ამ საძირკვლის მოპოვებას ადამიანის ბუნებაში, რომლის წინაშეც მრავალნი მუხლს იყრიდნენ. მოძღვრებანი, რომელნიც აარსებდნენ ყოფაქცევის წესებს სხვა დასაწყისის წინააღმდეგ, ადამიანის ბუნებას რაცხდნენ ძირიანად გათახსირებულათ. მეცნიერებამ აგვიხსნა, რომ ადამიანი წარმოიშვა ცხოველისაგან და მას აქვს თვის ბუნებაში, როგორც კარგი, აგრეთვე ავი თვისებაც და ეს თვისება ქმნის ჩვენს ცხოვრებას ასე უბედურად. ხოლო ადამიანის ბუნება ცვალებადია და შეიძლება გადაკეთდეს კაცობრიობის საკეთილდღეოდ.

მაშასადამე, ზნეობრივობა უნდა დაარსდეს ადამიანის წარყვნილ ბუნებაზე კი არა, როგორიც ის ეხლა არის, არამედ იდეალურზე, ესე იგი ისეთზე, როგორიც ის უნდა შეიქმნეს მომავალში. უპირველეს ყოვლისა უნდა შეეცადნეთ აღვადგინოთ ადამიანის ცხოვრების სწორი ევოლუცია. ესე იგი დისჰარმონია გადავქნათ ჰარმონიად (ორტობიოზი). რადგან მხოლოდ მეცნიერებას შეუძლია ამგვარის საკითხის გადაჭრა, ამისათვის კაცობრიობა ვალდებულია მისცეს მას საშუალება ამის შესასრულებლად. ამასთანავე თვით ფრიად დაწინაურებულს ქვეყნებშიაც კი მეცნიერება დაშორებულია ამ იდეალს. ყოველ ნაბიჯზე მას წინ ეღობება მრავალგვარი დაბრკოლება, რომელიც შესამჩნევად უგვიანებს წარმატებას.

თანამედროვე საზოგადოება ვერა სცემს ღირსეულ პატივს მეცნიერებას და უკმარისად ასწავლიან მოზარდ თაობას, რომელსაც აკარგვინებენ დროს მისთვის უმეტეს ნაწილად ურგებ კლასიურ ენათა შესწავლაშა.

ადამიანის ბუნების გაუმჯობესობისათვის უპირველეს ყოვლისა საჭიროა მისი ღრმა შესწავლა. როგორ შეიძლება კაცი შეეცადოს შუსცვალოს დღევანდელი, ფრიად პატოლოგიური სიბერე ფიზიოლოგიურად და ნორმალურად, თუ სიკმაოდ არ ეცოდინება ამ სიბერის შინაგანი მექანიზმი. და ამასთანავე ღრმად ძვალ-რბილში გამჯდარ ცრუმორწმუნეობის გამო ფრიად ძნელია მიცვალებულ მოხუცთა ორგანოების შოვნა. მკვდრის გაკვეთა შეფარგლულია დაუძლეველის დაბრკოლებებით. საფრანგეთის სავალდებულო კანონით „შეუძლებელია ნეშთის გაკვეთა ოცდა ოთხი საათის განმავლობაში სიკვდილის შემდეგ“. ამის გარდა ნეშთის გაკვეთა ნებადართულია მხოლოდ მაშინ, თუ იგი არ არის გამოთხოვილი ალმავალსა და ქვემავალ სწორის ხაზის ნათესავთაგან, ანუ მეუღლეთა, ძმათა, დათა, ძმისა და ძმისწულთაგან“. ნათესავების გარდა ურთიერთ შორის დამხმარე საზოგადოებათაც შეუძლიათ ნეშთი გამოითხოვონ და გაკვეთა აღუკრძალონ. თუ გაკვეთა ნებადართეს „მხოლოდ მისთვის, რომ დაამყარონ მეცნიერული ფაქტები და არასოდეს არ უნდა ასცდეს ამ მიზანს ნეშთის დასამახინჯებლად ორგანოების ამოჭრითა ან ანატომიურ პრეპარატების გასაკეთებლად, რაც უნდა ინტერესს წარმოადგენდნენ ეს ორგანოები და პრეპარატები (Assistance publique დირექტორის ცირკულიარი 20 იანვ. 1900 წ.). აქედან ადვილი გასაგებია ის დაბრკოლებანი, რომელთაც კაცი ეღობება ადამიანის სიბერის დეგენერაციის შესწავლისა და მის წინააღმდეგი საშუალების გამოძებნის დროს, განსაკუთრებით იმ შრატებისა, რომელთა დამზადებაც შესაძლოა მხოლოდ ადამიანის ორგანოთაგან დამზადებულის ემულსიის შეშხაპუნებით.

თვით ბებერ ცხოველთა შოვნაც საძნელოა. ურჩევნიათ უსარგებლოდ ჰყავდეთ შინ სიკვდილამდე და შემდეგ დამარხონ მათი ნეშთები, ვიდრე სამეცნიროდ შეასწავლონ, რაიც ესოდენ სასარგებლო იქნება კაცობრიობისათვის.

რადგან იმ დასკვნამდე მივედით, რომ მისტიურსა და მეტაფიზიურ სისტემებს არ შეუძლია ადამიანის ბედნიერებისა და სიკვდილის საკითხის გადაჭრა და რომ მხოლოდ ერთად ერთ მტკიცე მეცნიერებას შეუძლია ამ საქმის გადაჭრა, ჩვენ უნდა შევეცადნეთ ავიცილოთ თავიდან ის დაბრკოლება, რომელიც წინ ეღობება მეცნიერების წარმატებას. ადამიანის ბუნების დისჰარმონიათა გასწორება სამეცნიერო მეთოდების მეოხებით შესაძლოა, რადგან ძველს დროში ადამიანის სიბერე უფრო ფიზიოლოგიური იყო და სიკვდილიც უფრო ბუნებრივი.

როგორც ადამიანის ბუნების შესწავლა გვაძლევს საშუალებას გავარკვიოთ ჩვენი არსებობის ნამდვილი მიზანი, აგრეთვე გვიხსნის ჭეშმარიტ კულტურისა და ჭეშმარიტ პროგრესის მნიშვნელობას.

ზემოთ ჩვენ დავინიხეთ, რომ მეაზროვნენი აღნუსხავენ კაცობრიობის კულტურისა და პროგრესისაკენ მოძრაობას. ხოლო რას გულისხმობენ ამ ორს სიტყვაში? რაც შეიძლებოდა, ცხადად ჰლამობდნენ ამ ცნებათა გამორკვევას და თანამედროვე მეაზროვნეთა შორის პირველმა **ჰერბერტ სპენსერმა**[1]) უძღვნა ამ საკითხს სპეციალი შრომა. ის მოვლენები, რომელთაც რაცხს პროგრესიულად, მან გაარჩია ჯერ არაორგანიულ სამეფოში, შემდეგ ცოცხალ არსებათა და ბოლოს კაცობრიობის სამეფოში. პროგრესიულად **სპენსერს** მიაჩნია მხოლოდ ისეთი ცვლილებები, რომელთაც დამოკიდებულად თუ დამოუკიდებლად შეუძლია გაამრავლოს საერთო სიკეთე; და მხოლოდ ამისდა მიხედვით შეგვიძლია ჩავთვალოთ ისინი პროგრესიულად. პროგრესის მომასწავებელ მოვლენების გამოსარკვევად **სპენსერს** აუცილებლად მიაჩნია პარალელურად მათი გათვალისწინება, როგორც გარეშე კაცობრიობისა, აგრეთვე კაცობრიობის სამეფოშიაც. მისი აზრით, პროგრესს ყოველგან ახასიათებს ერთგვარ მოვლენათა მეტად

[1]) Прогресс, его законы и причины. Этюды. Т. I.

რთულად გადაქმნა; პლანეტების სამეფოში, თუ ცხოველთა და ადამიანთა საზოგადოებებში მუდამ განკერძოება ხდება ხოლმე. ეს განკერძოება არ ამოსწურავს მთელ პროგრესს; ამ პროგრესში არის ხოლმე მოთავსებული უფრო შესამჩნევად გამოურკვეველ მდგომარეობის უფრო გამორკვეულ მდგომარეობათ გარდაქმნა. **ჰერბერტ სპენსერს** მიაჩნია პროგრესისა და ევოლიუციის იგივეობა, რაიც არის, მისი აზრით, „ნივთიერების ინტეგრაცია, რომელსაც თან ახლავს მოძრაობის განფანტვა; ამდროსავე ერთგვარი, გაურკვეველი და შეუკავშირებელი მატერია გარდიქმნება ფერადად, გარკვეულად, შეკავშირებულად; ამასთანავე თავშეკავებული მოძრაობა განიცდის მსგავს გარდაქმნას“ [1]). ეს ფორმულა ლამობს ფრიად ბევრ მოვლენათა გარეშეცულობას, რაიც მას საკმაოდ გაურკვეველად ჰხდის, განსაკუთრებით ადამიანთა მოვლენების მხრივ. თავისთავად განკერძოება როდი შეადგენს მთელ პროგრესს. აქ იბადება საკითხი, თუ სად არის ამ განკერძოების საზღვარი, ან როგორ უნდა იცვალოს ფერი ამ განკერძოებამ ყოველს კერძო შემთხვევაში.

ამ ევოლიუციის და პროგრესის თეორიის შეფარდება აიძულებს **სპენსერს**, თვის თხზულებაში „ზნეობრივობის საფუძველნი“ გაარკვიოს ზნეობრივობა, როგორც სიცოცხლისადმი მისწრაფება, რამდენადაც შეიძლება, სრულად და ხანგრძლივად. როგორც მისი საბუთებიდან სჩანს, იგი აიგივებს სისრულესა და სირთულეს ცივილიზაცია არის პროგრესის განხორციელება პირველყოფილ ცხოვრებასთან შედარებით. „ცივილიზური ადამიანი იკვებება უფრო მართებულად, თანახმად მადის გახსნისა, უფრო ფერადად და უფრო გემრიელად.“ ასეთივე განკერძოება ემჩნევა ტანსაცმელში, სახლკარში და სხვა. **სპენსერ ს** აზრით, მრთელი ეს პროგრესი უნდა ემსახურებოდეს ჭეშმარიტ სიკეთეს, ესე იგი ადმიანის სიცოცხლის სისრულესა და ხანგრძლივობას.

---

[1]) Основныя начала.

ხოლო ადვილი მისახვედრია, რომ პროგრესის ამგვარი შეგნება არ არის ნამდვილი; იგივე ითქმის არსებობის მიზნის გამოსახვის შესახებაც. თუ კი ესოდენ მკაცრი გართულება ცივილიზურ ხალხთა ცხოვრების პირობებისა არის საუკეთესო საშუალება ბედნიერების მისაღწევად, რაღა საჭიროა ამ გზაზე გაჩერება. პირიქით, როგორც მე მგონია, ნამდვილი პროგრესი მდგომარეობს ადამიანის ბუნების დისჰარმონიათა თავიდამ აცილებაში და ფიზიოლოგიურ სიბერის დამყარებაში, შემდეგის ბუნებრივის სიკვდილით, მაშინ პროგრესის ვითარება ერთბაშად იცვლება და ირკვევა.

თანამედროვე ცივილიზურ ხალხთა ფრიად რთული ცხოვრება **სპენსერს** მიაჩნია პროგრესის ნიშნად. ჩემის აზრით, ეს არ არის მართალი. **სპენსერი** მოგვითხრობს სასმელ-საჭმელზე, მის ფერადობაზე და დამზადებაზე. უეჭველია, საკვების სირთულე, ფიზიოლოგიურის სიბერის თვალსაზრისით, მავნებელია და უფრო მარტივი საკვები ნაკლებად ცივილიზურ ხალხების უფრო მარგებელია. ჩვენ არ გვესაჭიროება აღვნუსხოთ კულინარული ჰიგიენა; საკმაოა ვთქვათ, რომ მდიდარ სახლებში, სასტუმროებსა და რესტორანებში გემრიელად დამზადებულ საჭმლების უმრავლესობა ფრიად მავნედ აღიზიანებს მოსანელებელსა და გამოთხევის ორგანოებს. ამ თვალსაზრისით ნამდვილ პროგრესს შეადგენს დღევანდელ სამზარეულოს უკუგდება და ჩვენ წინაპირთა უბრალო საკვებისადმი დაბრუნება. ერთი იმ პირობათაგანი, რომელმაც მისცა ბიბლიურის ხანის ებრაელებს უფრო ტანმრთელისა და ხანგრძლივ სიცოცხლის უნარი, ვიდრე ცივილიზურ ხალხებს, რასაკვირველია, იყო მათი საჭმელის მეტი სიმარტივე. ჭეშმარიტი ჰიგიენა არ ეთანხმება გემრიელ კულინარულ ხელოვნებას, როგორც თანამედროვე ტანსაცმლისა და სახლკარის ზედმეტ დიფერენციობას. შაშასადამე, პროგრესი არის ცივილიზურ ხალხთა ცხოვრების მრავალ მხარეთა გამარტივება.

ფუფუნება, რომელმაც კაცობრიობას ესოდენი მავნებ-

ლობა მოუტანა, სავსებით ეთანხმება ფორმულას „გაურკვეველ ერთგვაროვნისაგან გარკვეულს მრავალგვაროვნისაკენ“. ამ ფუფუნების საძირკვლად მსოფლიოს განვითარების საერთო კანონი კი არ არის, არამედ უფრო მეტად სრულიად განსხვავებული შეხედულება სიცოცხლეზე, ვიდრე ის, რომელსაც არსებობის მიზნათ მიაჩნია ადამიანის სიცოცხლის ნორმალ ციკლის აღდგენა.

ადვილი შესაძლოა, რომ იმ სოფლმხედველობის ერთი უძველესი წყაროთაგანი, რომელმაც ამ ფუფუნებისაკენ გაიკვლია გზა, იყოს ჯერ კიდევ ეკლესიასტეს წიგნში. მივიდა რა სოლომონი იმ დასკვნამდე, როჰ „საცა სჭარბობს ცოდნა, იქ სჭარბობს მწუხარება“, და „გაიგო რა ადამიანმა ყოველსავე იმისა, რაიც ჰხდება მზის ქვეშ, და თუ ის ეძებს ამ მიზეზის გაგებას, მაინც ვერა ნახავს მას, და თუ ბრძენი ამბობს კიდეც, რომ იცის ეს მიზეზი, მაინც ვერა ნახავს მას“, იგი გვიქადაგებს ყოფაქცევის ასეთ კანონს: „წადი მაშ და სჭამე პური შენი სიხარულით და სვი ღვინო შენი მხიარულად. რადგან ღვთისათვის სასიამოვნონი არიან საქმენი შენნი, იყოს ტანსაცმელი შენი მუდამ თეთრი და თავი შენი კეთილსუნნელოვანი. დაატკბე შენი ამაო სიცოცხლის ყველა დღენი საყვარელ ქალთან ცხოვრებით, რომელიც შენ გრგებია მზის ქვეშ შენი ამაოების ყოველის დღისათვის; რადგან ასეთია ხვედრი შენი ცხოვრებაში იმ შენის შრომისათვის, რომელსაც ჰქმნი მზის ქვეშ. ძალისამებრ შენისა გააკეთე ყველაფერი, რისაც გაკეთება შეგიძლია, რადგან საფლავში, საითკენაც მიეს-წრაფები, არა არს! არც საქმე, არც სიტყვა, არც ცოდნა, არც სიბრძნე“.

ეს სიბრძნე გვასწავლის, რაც შეიძლება, მეტად დავტკბეთ ცხოვრებით, რადგან ადამიანს არ ძალუძს თვისი არსებობის მიზეზის საკითხის გადაჭრაო. ეს მოძღვრება შეიქმნა სახელმძღვანელოდ და მიგვიყვანა იმ ცხოვრების შენაწევრებამდის, რომელიც თან და თან წარმატებით მიდიოდა ამ ეპიკურეულის გზით.

ხოლო, როგორც ცხოვრების აზრი და მიზანი უფრო ირკვევა, ფუფუნება ველარ ედება საფუძვლათ ჭეშმარიტ სიკეთეს, ის ფუფუნება, რომელიც ეწინააღმდეგება ადამიანის ცხოვრების ნორმალ ციკლის წარმატებას. მის მაგიერ, რომ ბოროტად ისარგებლონ ყოველგვარ განცხრომით, ახალგაზდანი, დარწმუნებულნი, რომ ამ განცხრომათა გზით ადამიანი მიექანება სამწუხარო, პატოლოგიურის სიბერისა და სიკვდილის შედეგამდე, პირიქით, შეეცდებიან დაიმზადონ თავისთვის ფიზიოლოგიური სიბერე და ბუნებრივი სიკვდილი. სამოსწავლო წელიწადი, რასაკვირველია, მეტად გაგრძელებული იქნება. ჩვენს დროშიაც უკვე მეტად ხანგრძლივია ეს ვადა, ვიდრე რამდენიმე ათეული წლის წინათ იყო. რაც უფრო იმატებს ცოდნის ჯამი, მით მეტს დროს მოითხოვს სწავლისას. ხოლო ეს მოსამზადებელი ხანა იქნება სიმწიფისა და იდეალურ სიბერის პრელუდიათ.

დღევანდელ სიბერის შესაზიზღარი სურათი შეეხება ისეთ სიბერეს, რომელიც გვერდს უვლის თვის ნამდვილ აზრს და რომელიც სავსეა თვითმოყვარეობით, ვიწრო შეხედულობით, უვარგისობითა და სიავით. მომავალი ფიზიოლოგიური სიბერე, რასაკვირველია, ამ შემთხვევაში სხვაგვარი იქნება.

ცხოველთა საზოგადოებაში, რომელიც საგანგებოდა აქვს განვითარებული ზოგ მწერს, პიროვნებათა ფრიად დიფერენციაცია მოხდა. ისეთ პიროვნებასთან, რომელსაც შეუძლია გამრავლება, გვერდით იმყოფება სხვა, უნაყოფო, რომელიც შთამომავლობის აღზრდასა და საზოგადოებისათვის აუცილებელ საჭირო მუშაობას ემსახურება ხოლმე. ეს თემისათვის ფრიად სასარგებლო განკერძოება უნდა მოვხდარიყო დამოუკიდებლად სხვა დასხვა საზოგადოებრივ მწერთა შორის. ამიტომაც, ჭიანჭველათა და ფუტკართა საზოგადოებაში მუშებათ არიან უნაყოფო დედლები, ხოლო ტერმიტთა შორის—ორსავე სქესის ერთეულები ატროფიულის სქესობრივის ორგანოებით. ადამიანის გვარში ევოლიუცია სწარმოებს სხვა მიმართულებით.

ეს ევოლუცია არ საჭიროებს უსქესო ადამიანთა კლასის შექმნას; ხოლო, რადგან ადამიანის დღე ბევრად უფრო გრძელი არის, ვიდრე მწერთა, ადამიანის ცხოვრება განიყოფება ორ პერიოდათ: პირველი—ნაყოფიერი და მეორეც—უნაყოფო.

სიბერე, რომელიც დღევანდელს ვითარებაში არის თემისათვის უფრო ურგები ტვირთი, შეიქნება სამუშაო, სასარგებლო პერიოდათ. ბებრები, რომელთაც უკვე აღარ ეკარგებათ მეხსიერება და არ უსუსტდებათ გონიერება, შესძლებენ მოიხმარონ თვისი დიდი გამოცდილება უფრო მეტად რთულსა და საჭირბოროტო საზოგადოებრივ ცხოვრების საკითხთა გადაჭრისათვის.

ახალგაზდანი უმეტეს ნაწილად ფრიად ცუდნი პოლიტიკოსები არიან, და იმ ქვეყნებში, სადაც ზედმეტად ერევიან საზოგადო საქმეში, უმეტეს ნაწილად დიდი ვნება მოაქვთ. იმის გამო, რომ ჯერ კიდევ არა აქვთ საჭირო პრაქტიკული ცოდნა. მათ უვარგისობას ცხადჰყოფს პოლიტიკური აზრის მძაფრად ხშირი შეცვლა იმასთან შედარებით, როცა ხანში შედიან. ხოლმე და გამოცდილებას იძენენ.

მომავალში ეს ძნელი და რთული მოვალეობანი დაევალებათ მოხუცებულთ. მაშინ თვალსაჩინოდ გაუმჯობესდება პოლიტიკა და მართლმსაჯულება, რომელთა დღევანდელი ნაკლი აიხსნება ჯერ კიდევ მტკიცე საფუძვლის უქონლობითაც.

გამოიწვევს თუ არა ადამიანის ხანგრძლივობის თვალსაჩინო წარმატება დედამიწის ფრიად ხშირს მოსახლეობას, სივიწროვეს? უკვე ეხლაც უჩივიან ბებრების ხანგრძლივობას, რომ ბებრები არ უთმობენ ადგილს ახალგაზდებს. ხნიერთა სიჭარბის წინააღმდეგ შესაძლო იქნება დაბადებულთა შემცირება, რათა იბადებოდეს ერთეულთა ნაკლები რიცხვი. შეიძლება შემცირდეს ადამიანთა რიცხვი, ხოლო გაუმჯობესდეს მათი თვისებანი და ხანგრძლივობა.

როდესაც ყველას ეცოდინება ადამიანის არსებობის ნა-

მდვილი მიზანი და თვის იდეალათ მიიჩნევს ცხოვრების ნორმალ განვითარების განხორციელებას, მას ხელთ ექნება პრაქტიკული ცხოვრებისათვის სწორი სახელმძღვანელო წესი. ის მაინც ცხადი იქნება, რაიც დღეს არ ვიცით, თუ საით უნდა მივესწრაფებოდეთ. დღეს ყველა მოწადინებულია ცხოვრების გაუმჯობესობას, ხოლო არ იციან, როგორ და ვის სასარგებლოდ.

წინეთ ჰფიქრობდნენ, რომ მოყვასისადმი სიყვარული მიდის გაერთიანებისა და წარმატების გზითო. ოჯახის სიყვარული გავრცელდა თემზე ან შემდეგ ერზე. ჰფიქრობდნენ, რომ არა დაუშლის რა მის გავრცელებას მთელს კაცობრიობაზედაო. ეს იდეა ძალიან გავრცელდა მე-XVIII საუკუნეში და მას აქეთ საფუძვლად დაედო ყველა ფილოსოფურ, ზნეობრივსა და პოლიტიკურ სისტემებს.

ხოლო მას აქეთ, რაც ფრიად გაუმჯობესდა და გავრცელდა მიმოსასვლელი გზები, როცა თვით უშორესი მოგზაურობა გაადვილდა, ბურუსით მოსული ცნება „კაცობრიობა“ შეიცვალა გარკვეულის გაცნობით ადგილობრივ დაბალ რასათა დედამიწის მრავალ კუთხეებისა. დარწმუნდნენ, რომ „კაცობრიობა“ ამ სიტყვის ადრინდელის მნიშვნელობით სრულიადაც არ არსებობს, — იმდენად დიდია განსხვავება პირველყოფილსა და ცივილიზურ ხალხთა შორის. და მართლაც ვხედავთ, რომ მრავალნი თანამედროვე თეორეტიკოსნი ავიწროვებენ საზოგადო გრძნობათა გავრცელებას მთელს კაცობრიობაზე. მეხუთე თავში იყო მოყვანილი მორალისტ **სუტერლენდის** აზრი შესახებ კეთილყოფისა, რომელიც გამომდინარეობდა ანგლო—საქსონთა მიერ ავსტრალიის ტყეების მითვისებისაგან, რომელნიც ადგილობრივ მკვიდრთ ეკუთვნოდათ. მეორე მხრივ აგრეთვე ყველას მოეხსენება, თუ რა ღრმა სიძულვილი არსებობს თეთრკანიანთა და შავკანიანთა შორის, განსაკუთრებით ორსავე ამერიკასა და ანტილის კუნძულებზე. ასეთი მაგალითები მრავალზედ უმრავლესია.

ხოლო რა გზით უნდა დავაღწიოთ თავი ამ დაბრკოლებას? სად უნდა შეიკავოს თავი მოყვასისადმი სიყვარულმა, თუ მისი ერთგვარად გავრცელება მთელს კაცობრიობაზე შეუძლებელია?

გერმანეთის სახელოვანი ფიზიკო-ქიმიკოსი **ოსტვალდი** [1]) თვის უკანასკნელს ხანებში გამოქვეყნებულს ლექციებში ნატურ-ფილოსოფიის შესახებ ეხება ამ საკითხს. ის კეთილ საქციელად აღიარებს „ისეთ საქციელს, რომელიც უადვილებს არსებობას სხვა ადამიანებს.“ ხოლო რომელ „სხვა ადამიანებს“ უნდა შეეხოს ეს ზნეობრიობა? რამდენად დიდია წრე ამ მოყვასისადმი სიყვარულისა?—ეკითხება თავის თავს **ოსტვალდი**. „საზოგადო აზრითაო,—ამბობს **ოსტვალდი**,—ეს წრე უნდა ვრცელდებოდეს ოჯახზე და ერზეო; რაც შეეხება იმ აზრს, რომ ეს წრე უნდა ვრცელდებოდეს მთელს კაცობრიობაზე, უმეტესობას ეს უფრო თეორიულ იდეალათ მიაჩნია, ვიდრე პრაქტიკულად შესაძლებელ მოთხოვნილებათ. მართლაც, ჩვენ უფრო მეტად შეგვწევს სურვილი ჩვენი ალტრუისტული მოქმედების შეზღუდვისა მდაბალ რასათა მიმართ, ვიდრე ჩვენის თანამემამულეებისა **ან** ჩვენის საზოგადოებრივ ცხოვრების ამხანაგთა მიმართ.“ ამ ფორმულის მიხედვით ზნეობრივი მოქმედება არ უნდა ვრცელდებოდეს თანამემამულეთა წრის გარეშე. კაცობრიობა უნდა გაძევებული იქმნას ამ წრიდან.

ჩვენ აქ ვეხებით ერთს იმ საკითხთაგან, რომელიც შეეხება წესიერის ცხოვრების პრინციპებს. ძველად ადამიანთა შორის უმთავრეს კავშირს შეადგენდა სარწმუნოებრივი იდეალი. შემდეგ სარწმუნოებრივმა იდეალმა ადგილი დაუთმო სამშობლოს იდეალს, რომელმაც, უკეთესის უქონლობის გამო, აქნობამდე მოაღწია, ერთის ტომის შვილთ აკავშირებს საერთო ენა; ხოლო ცივილიზაციის წარმატებამ შეაფერხა ამ დიფერენციობის საძირკველი. ადამიანთა შორის დიდის სო-

[1]) Vorlesungen über Naturphilosophie. 1902.

ლიდარობის არსებობა ადვილი წარმოსადგენია, როცა ისინი ერთის ენით ლაპარაკობენ და სხვა ენა კი არ იციან, რადგან ეს ერთად ერთი საშუალებაა ერთიმეორის აზრთა გაზიარებისა. ხოლო მხოლოდ ერთი ენის ცოდნა როდია ადამიანის წარმატების უკანასკნელი სიტყვა.

მიმოსვლის საშუალებათა განვითარების თანახმად სხვა და სხვა ტომები თანდათანობით ხვდებიან ერთიმეორეს. ამიტომაც, უცხო ენათა ცოდნა შეადგენს თანამედროვე ცხოვრების პირველ აუცილებლობას. ამ ვითარებაში ტომთა შორის კავშირი ისევე უნდა დასუსტებულიყო, როგორც ოჯახური კავშირიც. მტრობა, რომელიც არსებობდა გაუგებარის ენით მობაასე ადამიანთა შორის, შესცვალა სოლიდარობამ, როცა ერთმა მეორეს აზრი გაუზიარა. მაშასადამე, ამ გზით ცხადია წარმატება და ფრიად საგულისხმიეროც იქნებოდა რაიმე საერთო დასაბამის გამოძებნა საერთაშორისო თანაზიარობის დასამყარებლად.

სხვა და სხვა ტომთა საერთო კულტურობაზე ლაპარაკობენ იმისდა შეუგნებლად, რომ ეს აზრი ფრიად გამოურკვეველია.

ადამიანის არსებობის ჭეშმარიტის მიზნისა და მეცნიერების აღსარებას, როგორც ერთად ერთ საშუალებისა ამ მიზნის მისაღწევად, შეუძლია იქმნეს იდეალათ ადამიანთა ერთობისა. ამ იდეალის, როგორც სარწმუნოებრივის იდეალის, გარშემო შეუძლია ადამიანს შეჯგუფება,

ადვილი წარმოსადგენია, რომ სიბერისა და სიკვდილის მეცნიერული შესწავლა, რომელმაც უნდა წარმოადგინოს მეცნიერების ორი ახალი დარგი—გერონტოლოგია და თანატოლოგია, შექმნის ადამიანის ცხოვრების უკანასკნელს ხანაში თვალსაჩინო ცვლილებებსა. რაც კი ვიცით ამის შესახებ, ყოველივე ადასტურებს ამ აზრს. ხოლო შესაძლო იქნება თუ არა ოდესმე სიკვდილის აღლოს მიღწევა? ეს აღლო მალულის სახით ბუდობს ადამიანის ბუნების სიღრმეში. შესაძლო იქნება თუ არა მისი გამოღვიძება? ესოდენ დიდის ხნით დამალული, ხომ არ გაჭრალა იგი? მეცნიერება შესძლებს ამ

საკითხის გადაჭრას. შთამომავლობითი გადაცემისათვის ნიშ-ნობლივი თვისებები შეიძლება იყვნენ მალულს მდგომარეო-ბაში და სრულიადაც აუცილებლად არ უნდა ცხადიყვნენ იმ პიროვნებაში, რომელიც მათ გადასცემს ხოლმე, მაგალითად ქალისაგან თვიურის რიგის დაკარგვა გადაეცემა ხოლმე, ასე ვთქვათ, პოტენციალურის წესით. თვიური რიგის შეწყვეტის შემდეგ უმრავლეს შემთხვევაში დედაკაცი უკვე აღარა მშო-ბიაროობს. მუშა ფუტკართა თვისებები როდი გადაეცემა შთა-მომავლობას ამ უნაყოფო მწერთაგან. დედა გადასცემს ხოლმე ამ თვისებების ფარულ ჩანასახებს უიმისოდ, რომ თვითონ ცხადჰყოს იგინი რომლისამე სახით. აგრეთვე დედო არასო-დეს არ ამზადებს ხოლმე ცვილს და არც კი აქვს ცვილის ჯირკვლები; ხოლო გადასცემს ხოლმე თვის უნაყოფო შვი-ლებს ცვილის კეთების ნიჭს და თანაბარ ორგანოთა ჩანასა-ხებს. ამიტომაც, არავითარი საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ბუნებრივის სიკვდილის ალღო, რადგან ის ჩაქსოვილია ჩვენს ბუნებაში, დაკარგულიყოს ესოდენ ხანგრძლივის უხმა-რებლობის გამო.

ბუნებრივის სიკვდილის ალღო ამ ხანად ადამიანთა შო-რის იშვიათია. ხოლო ხელშემწყობ ვითარებასა და ერთგვარ ალზრდას უეჭველად შეძლება ექნება გაალვიძოს და საკმაოდ გაავითაროს იგი.

ბევრი შრომაა საჭირო ამ მიზნის მისაღწევად. ხოლო მეცნიერების დამახასიათებელი თვისება სწორედ ისაა, რომ ის ფრიად დიდს მოქმედებას თხულობს იმ დროს, როცა მეტაფიზიკურის ფილოსოფიის სისტემები განისაზღვრება პა-სივურის ფატალიზმით და მუნჯურის თავმდაბლობით. დიდ საკითხთა, რომელიც კაცობრიობას აინტერესებს, თუნდა შორს მომავალში მეცნიერულის გადაჭრის პერსპექტივასაც კი შეუძლია მოგვანიჭოს დიდი დაკმაყოფილება.

როცა ტოლსტოიმ, რომელსაც ჰქენჯნიდა ამ საკითხთა გადაჭრის შეუძლებლობა და სიკვდილის წინაშე შიში, შეეკი-

თხა თავის თავს: შეუძლია თუ არა ოჯახის სიყვარულს მისი გულის დამშვიდება, იმ წამსვე დაინახა, რომ ეს ტყუილი იმედი იყო. ღირს თუ არაო, — ეკითხებოდა ის თავის თავს, — ბავშვების აღზრდა, რომელნიც ჩქარა ისეთსავე კრიტიკულს მდგომარეობაში ჩავარდებიან, როგორც მათი მამაო? „რის მაქნისია მათი სიცოცხლე? რისთვის უნდა მიყვარდეს, ვზარდო და მოუარო მათ? უილაჯობისათვის, რომლითაც მე ვიტანჯები, ან სასულელისათვის? მათი სიყვარულის გამო არ ძალმიძს დაუფარო მათ ჭეშმარიტება, — ყოველ ნაბიჯს მიჭყავს ისინი ამ ჭეშმარიტების გასაგებად. ჭეშმარიტება კი სიკვდილი არის“. აშკარაა, რომ ზოგნი, დაადგებიან თუ არა ამ პესიმისტურ შეხედულებას, თაყს იკავებენ შთამოჰავლობის წარმოშობისაგან.

ამ თვალსაზრისით კი, რომელსაც ჩვენ ამ წიგნში ადვიარებთ, ჩვენი მდგომარეობა ბევრად უფრო საიმედოა. მარტო ერთს რწმენას, რომ ადამიანის ცხოვრება არც მაცდურ ნაბიჯსა და არც უაზრობას, რომელსაც ყოველის ღონისძიებით თავი უნდა დავახწიოთ, არ წარმოადგენს, მხოლოდ ამ ერთს რწმენას უკვე შეუძლია მეაზროვნე და დატანჯეულ ადამიანის ჭეშა-გონება დაამშვიდოს.

ჩვენს თაობას არ ვითარი შანსი არ აქვს მიაღწიოს ფიზიოლოგიურ სიბერესა და ბუნებრივ სიკვდილს. ხოლო ჭეშმარიტად შეუძლია ინუგეშოს მით, რომ ახალგაზრდები გადადგამენ რამოდენსამე ნაბიჯს წინ ამ მიზნის მისაღწევად. მას შეუძლიან იფიქროს, რომ ყოველი ახალი თაობა თანდათანობით მიუახლოვდება ამ საკითხის გადაჭრას და ოდესმე დადგება ის დრო, როცა კაცობრიობა მიაღწევს ჭეშმარიტ კეთილდღეობას.

ეს პროგრესული მსვლელობა ჯერ კიდევ მოითხოვს მრავალ მსხვერპლს. მეცნიერები უკვე ეხლაც კი სწირავენ თვის ტანმრთელობას და ზოგჯერ სიცოცხლესაც რომლისამე საგულისხმიერო საკითხის გადასაჭრელად, როგორცაა მაგალითად ზოგი სამკურნალო საკითხები შესახებ მოყვასთა განკურნებისა და მათი სიკოცხლის დაცვისა.

ამის მისაღწევად საჭიროა, რომ კაცი დარწმუნდეს მეცნიერების ყოვლადშეძლებლობაში და ღრმად ფესვგამჯდარ ცრუმორწმუნეობათა მავნე გავლენაში. საჭირო იქნება შეცვლა მრავალ ჩვეულებათა და დაწესებულებათა, რომელნიც ესოდენ მტკიცედ დამყარებულად მიგვაჩნია. მრავალ გავრცელებულ ჩვეულებათა უკუგდება კი, სწავლების მთელი გეგმის შეცვლა—ეს მოითხოვს ხანგრძლივსა და მძიმე შრომას.

ადამიანის არსებობის მიზნის გამორკვევა უფრო მეტის სიმტკიცით განხორციელდება ზეობრივობის ფუძეზედ.

ადამიანის ცხოვრების საკითხის გადაჭრა აუცილებლად მოითხოვს პირადის ზნეობრივობის. მეტად მტკიცე გარკვევას. პირადი ზნეობრივობის მიზანს უნდა შეადგენდეს არა დამოუკიდებელი სიამოვნება, არამედ არსებობის წესიერის ციკლის დასრულება. ამის მისაღწევად ადამიანი მოვალე იქნება ბევრად მეტად შეეწიოს თვის ახლობელს, ვიდრე ეხლა ეწევა. მისთვის საჭირო იქნება ბევრად მეტი სწავლის მიღება, ვიდრე ამჟამად იღებს. ამან ბევრად უნდა გააუმჯობესოს მრთველი საზოგადოებრივი წყობილობა

ჭეშმარიტი პოლიტიკა უნდა დაეფუძნოს ახალს საფუძველს. აწინდელი პოლიტიკა იმყოფება იმავე მდგომარეობაში, რომელშიაც დიდის ხნის წინათ იმყოფებოდა მედიცინა. მას დროსა შინა ყველას შეეძლო მკურნალობა თავისებურად, რადგან არ არსებობდა სამედიცინო მეცნიერება და ყოველივე გამოცდილი იყო. ეხლაც კი ზოგ ნაკლებ ცივილიზურ ფემთა შორის ხნიერ ქალს ნება აქვს ბებიაობა გასწიოს. ხანდედა უბებიავებს ხოლმე თვის ქალს, ხან (მაგალითად პოლაჯიერთა კასტაში, მალაბარში) დედამთილი. ხშირად ბებიათ მოიპატიჟებენ ხოლმე მშობიარის მეგობარ ქალს. მეტად კულტურულს თემებში ზოგადი სპეციალიზაცია მოხდა: ბებიაობას გასწევენ ხოლმე გამოცდილი დედაკაცები, ნამდვილი დიპლომიანი ქალი-ბებ ები. მეტად ცივილიზურ თემებში საკმაოდ სწავლა მიღებული ქალი-ბებიები მუშაობენ მკურ-

ნალების, კაც—ბებიების ხელმძღვანელობით, რომელთაც სპეციალი სწავლა აქვთ მიღებული. ეს ღრმა განკერძოება იყო გამოწვეული ობსტეტრიკის (საბებიო ხელობის) წარმატებით და თავის მხრივ დიდად ხელს უწყობდა ამ წარმატებას.

პოლიტიკის თანამედროვე მდგომარეობა ეთანაბრება მედიცინის ძველ მდგომარეობას. ყოვილი ჰასაკში მოსული მამობრივი სქესის პიროვნება ირიცხება საკმაოდ მომზადებულათ ფრიად ბნელ ფუნქციათა აღსრულებისათვის, მაგალითად ამომრჩეველისა, ნაფიც მსაჯულისა და სხვა. ამის ერთად ერთ გასამართლებელ საბუთად არის სოციალური მეცნიერების თოთო მდგომარეობა. როცა ეს მეცნიერება განვითარდება, მაში ისეთივე სპეციალიზაცია იჩენს თავს, როგორც მედიცინაში. მაშინ ხნიერი ადამიანები, რომელთაც შეძენილი ექნებათ დიდი გამოცდილება და დაურღვეველ ფიზიოლოგიურ მდგომარეობის მეოხებით შენახული ექნებათ ყველა თვისი ნიჭიერებანი, მომავალს კაცობრიობას უაღრეს სამსახურს გაუწევენ.

წარმატების თანახმად არსებობის ჭეშმარიტის მიზნის შიმართ ადამიანმა შესაძენევის ზომით უნდა უარჰყოს პირადი თავისუფლება. სამაგიეროდ ადამიანი მიიღებს სოლიდარობის უმაღლესს ხარისხს. რაც უფრო მტკიცედა და გარკვეულად ჰხდება რაიმე ცოდნა, მით ნაკლები უფლება გვაქვს ანგარიში არ გაუწიოთ მას. წინეთ ყველას თავისუფლად შეეძლო სწავლება, რომ ვეშაპი თევზიაო; ხოლო მას შემდეგ, რაც ხრულიად აშკარად იყო დამტკიცებული, რომ ეს ცხოველი ძუძუმწოვარია, ასეთი შეცდომა უკვე შეუწყნარებელია. მას შემდეგ, რაც მედიცინა შეიქნა მტკიცე მეცნიერებათ, მკურნალთა თავისუფლება უფრო შეიზღუდა. ჩვენ ვიცით, რომ ზოგი მკურნალი დასჯილი იყო იმისათვის, რომ გვერდი აუარა ასეპტიკისა და ანტისეპტიკის კანონებს. ისეთი თავისუფლებანი, როგორც ყვავილის აუცრელობის თავისუფლება, იატაკზე დაფურთხება, პირაუკრელად ძაღლების გაშვება და სხვა — ღირსნი არიან უკულტურო დროებისა და უნდა გაჰქრენ ცივილიზაციის წარმატების თანახმად.

მეორე მხრივ რწმენა, რომ ადამიანის ცხოვრების მიზნის მიღწევა შესაძლო იქნება მხოლოდ კაცთა შორის დიდის სოლიდარობის მეოხებით, დაამცირებს თანამედროვე ეგოიზმს. უკვე ერთი ის ფაქტი, რომ ცხოვრებით დატკბობა, **სოლომონის** წესის მიხედვით, ადამიანის არსებობის მიზნის წინააღმდეგია, საკმაო არის, რომ შეეკირდეს ფუფუნება და მისგან გამოწვეული უბედურობა. რწმენა, რომ მხოლოდ მეცნიერებას ძალუძს წინააღუდგეს ადამიანის ბუნების დისჰარმონიისაგან წარმომდგარ უბადრუკობას, აუცილებლად მიგვიყვანს განათლების განვითარებამდე, რაიც თავის თავად გააძლიერებს ადამიანთა შორის სოლიდარობას.

მიზნისადმი პირდაპირ მსვლელობის დროს მუდამ უნდა პასუხი გავცეთ ხოლმე ბუნებას, რომელმაც უკვე განასრულა, ანგალითად წამიერებში, წესიერის ცხოვრების სრული ციკლი, იმ ცხოვრების, რომელიც ბუნებრივის სიკვდილით სრულდება ხოლმე. ადამიანის დანიშნულების საკითხში ადამიანი ვერასოდეს ვერ შესძლებს დაკმაყოფილდეს ხოლოდ მითი, რაც მისთვის ბუნებას მიუცია: საჭირო იქნება თვით აქტივურად გაერიოს ბუნების მოქმედებაში. მსგავსად იმისა, როგორც ადამიანმა შესცვალა ცხოველთა და მცენარეთა ბუნება, მან უნდა შესცვალოს თვისი საკუთარი ბუნებაც მისთვის, რათა იგი უფრო ჰარმონიულ ჰყოს.

როდესაც ახალი ჯიშის შემუშავებაზე მიდგება ხოლმე საქმე, რომელი ჯიშიც უფრო აკმაყოფილებს ჩვენს ესთეტიურ გრძნობას ან უფრო მარგებელია ადამიანისთვის, სპეციალისტები ჯერ დაისახვენ ხოლმე იმ იდეალს, რომლის მიღწევაცა ჰსურთ. შემდეგ უთვალთვალებენ ცხოველთა და მცენარეთა ინდივიდუალურ განსხვავებებს, რომელთა შეცვლა უნდათ და დიდის გულდასმით მოახდენენ ხოლმე ირჩევანს, რათა ხელსაყრელი ჰქნან ეს განსხვავებანი.

იდეალი უნდა ეთანაბრებოდეს არჩეულ ორგანიზმთა ბუნებას.

ადამიანის ბუნების შესაცვლელადაც ყველაზე უმალ უნდა გავითვალისწინოთ იდეალი, რომლის მიღწევასაც ვეშურებით, და შემდეგ ვიხმაროთ ყოველი საშუალება, რომელსაც მეცნიერება გვაძლევს ამის განხორციელებისათვის.

605
38.
59

სახელმწიფო გამომცემლობა.

ბადარეულია მთავსაბჭლიტგამ. № 199. ტირაჟი 1000.